



ISSN—0132—6058

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-9/2
1984/2

38

6752

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

3. 1984

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ისტორიის,
არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1984, № 3

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

СЕРИЯ
ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ,
ЭТНОГРАФИИ И
ИСТОРИИ ИСКУССТВА



თბილისი
ТБИЛИСИ

3. 1984

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი,
ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე),
გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе,
В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (зам. редактора), Р. К. Кикнадзе (зам. редактора),
Г. А. Меликишвили (редактор), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-85-50 Телефон

გადაეცა წარმოებას 5.VI.84; შეკვ. № 2056; ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.I.85;
ანაწყოების ზომა 7×11; ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; პირობ. ნაბეჭდი თაბახი 15.4;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13,3;

უე 05026;

ტირაჟი 900;

ფასი 1 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

წირობები

შ. ციკვამძე, ვ. გურბანიძე, ვ. კიკნაძე, საწარმოო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ადგილისა და როლის ბურჟუაზიული ფალსიფიკაციის წინააღმდეგ	5 ✓
ნ. გელაშვილი, ცნობები საქართველოს შესახებ სპარსულ ისტორიულ თხზულებაში „ალამარაი-ე შაჰ ისმაილ“	18
ზ. მინთუაშვილი, ბერბერების როლი თანამედროვე აღმოსავლეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში	32
ნ. მგებელი, ნათესაური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი აჭარაში ადათობრივი ნორმების შუქზე	46

ცნობები და შენიშვნები

მ. მარსაბიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ერთი ტერმინისათვის	62
ა. ძალდანი, პიროვნების სოციალურ აღწევებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხისათვის	68 ✓
ბ. ახვლედიანი, ერთი ფოლკლორული მოტივი ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრებაში“	77
ბ. მარსაბიშვილი, ბ. მინთუაშვილი, ბრინჯაოს წარმოების ძეგლები კახეთის სიღელმის გამადნების ზოლში	86

დისკუსია და განხილვა

ს. ბაბაძე, ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა	90
ბ. მგებელი, ბოლნისის სიონის დათარიღებისათვის	100
ნ. ლომოური, ნ. ანდუღაძე, დ. თუმანიშვილი, თ. საყვარელიძე, ბოლნისის სიონის საკითხისათვის	115

სამეცნიერო ცნობები

ბ. მარსაბიშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ახალი ისტორიის განყოფილება და ახალი ისტორიის კვლევა-ძიება	142
ბ. ჯალაღბაძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდები	151

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მ. ითნუაშვილი გ. ხორნაული, მთები და სახელები (მთიულეთ-გუდამაყრის ტაღლი-მიკური მასალები და ძიებანი)	156 ✓
ლ. კუშპარიანი, საქართველოს სასარგებლო გამოცემა	162
მ. სვანიძე, ოსმალეთის იმპერიის ეკონომიკა და საზოგადოება (XVIII ს. მიწურული — XIX ს. დამდეგი)	166
თ. გომეზი, ა. შახელიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან	169

პრობლემა და ინფორმაცია

ზ. ჯამბურია, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XVIII სამეცნიერო სესია	171
მ. დუმბაძე, ბ. თოგოშვილი, ზურაბ ანაბაძის ხსოვნა	173
მ. ნათესაძე, შ. სიღამონიძე, ნ. სტურუა (ნეკროლოგი)	175

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

Ж. ЦЕРЦВАДЗЕ, В. ГУРГЕНИДЗЕ, В. КИКНАДЗЕ, Вопросы буржуазной фальсификации производственной сельскохозяйственной кооперации	5
Н. ГЕЛАШВИЛИ, Сведения о Грузии в персидском историческом сочинении «Аламарай-и шах Исмаил»	18
З. МЕНТЕШАШВИЛИ, Берберы в общественно-политической жизни современного Алжира	32
Н. МГЕЛАДЗЕ, Некоторые вопросы родственных отношений в свете обычного права Аджарии	46

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

М. МАРСАГИШВИЛИ, К изучению одного термина древнегрузинской исторической литературы	62
А. КАЛДАНИ, Некоторые вопросы борьбы личности за социальные прерогативы	68
Г. АХВЛЕДИАНИ, Один фольклорный мотив в «Истории Грузии» Парсадана Горгиджанидзе	77
В. МАИСУРАДЗЕ, Г. ИНАНИШВИЛИ, Памятники производства бронзы в зоне Кахетской меднорудной области	86

ДИСКУССИЯ И ОБСУЖДЕНИЕ

С. КАКАБАДЗЕ, Строительная надпись Болнисского Сиона	90
Б. МЧЕДЛИШВИЛИ, К вопросу датировки Болнисского Сиона	100
Н. ЛОМОУРИ, Н. АНДГУЛАДЗЕ, Д. ТУМАНИШВИЛИ, Т. САКВАРЕЛИДЗЕ, К вопросу о Болнисском Сионе	115

НАУЧНАЯ ЖИЗНЬ

Г. МАРГИАНИ, Отдел новой истории Грузии Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили и исследование новой истории	142
Г. ДЖАЛАБАДЗЕ, Фонды отдела этнографии Государственного Музея Грузии	151

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

В. ИТОНИШВИЛИ, Г. Хорнаули, Горы и названия (Мтиулет-Гудамакарские топонимические материалы и разыскания)	156
Л. ПУШКАРЕВ, Нужное, полезное издание (к выходу в свет на русском языке «Источниковедческих разысканий за 1979 г.»	162
М. СВАНИДЗЕ, Экономика и общество в Османской империи (конец XVIII — начало XIX вв.)	166
Т. БОЦВАДЗЕ, А. Шавхелишвили, Из истории горной Восточной Грузии	169

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

З. ДЖАМБУРИЯ, XXVIII научная сессия Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили	171
М. ДУМБАДЗЕ, Г. ТОГОШВИЛИ, Памяти З. В. Анчабадзе	173
Н. НАТМЕЛАДЗЕ, У. СИДАМОНИДЗЕ, Н. И. Стураа (некролог)	175

წ ე რ ი ლ ე ბ ი

შიული ცარცვაძე, ვაჟა ზურაბიძე, ვახტანგ კიკნაძე

17.825

საწარმოო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის აღვილისა და როლის ზურქუაზიული ფალსიფიკაციის წინააღმდეგ

თანამედროვე იდეოლოგიური ბრძოლის არსებითი თავისებურებაა მისი უკიდურესი გამწვავება, რაც უშუალოდ დაკავშირებულია თანამედროვე სა-ზოგადოებრივი ცხოვრების უდიდეს დინამიზმთან და ორი მსოფლიო სისტე-მის ურთიერთმოქმედებასთან. იდეათა თანამედროვე ბრძოლის უკიდურესი გამწვავება ვლინდება იმით, რომ იგი უფრო და უფრო მოიცავს საზოგადოებ-რივი პრობლემების უფართოეს ასპექტებს — ეკოლოგიიდან სპორტამდე, სა-ზოგადოებრივი პროგრესის კანონზომიერებებიდან მხატვრულ შემოქმედებამ-დე და ა. შ. „მიმდინარეობს ბრძოლა პლანეტაზე მილიარდობით ადამიანის გონებისა და გულის გადასაბირებლად და კაცობრიობის მომავალი ბევრად არის დამოკიდებული ამ იდეოლოგიური ბრძოლის შედეგზე“¹. ამიტომ ვასაგებია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია იმპერიალისტური პროპაგანდის, მისი რეფორ-მისტული, ოპორტუნისტული კონცეფციებისა და თეორიების, მარჯვე და დროული მხილება.

ბურჟუაზიული „სოვეტოლოგების“, „პოლიტოლოგების“, „კრემნოლოგე-ბისა“ და სხვათა მიერ საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის კრი-ტიკაში მკვეთრად გამოიყოფა ორი დამოკიდებულება, მიმართულება, თუ შეი-ძლება ასე ითქვას: პირველი მათგანი იმაში მდგომარეობს, რომ „კრიტიკოსთა“ ძირითადი ყურადღება კონცენტრირებულია პოლიტიკური სისტემის ცალკეულ ელემენტებზე, მის სხვა შემადგენელ ნაწილებსა და, აგრეთვე, მთლიანად სო-ციალისტური დემოკრატიის სისტემასთან დამოკიდებულების გარეშე. ასეთი სახის „გამოკვლევებში“ საზოგადოების პოლიტიკური სისტემის საკითხი მეორე რიგში დგას და მას ეხებიან მხოლოდ იმდენად, რამდენადაც „კრიტიკის“ მსვლელობაში წამოიჭრება აუცილებლობა განისაზღვროს ამა თუ იმ ელემენ-ტის ადგილი სოციალისტური დემოკრატიის სისტემაში, დადგინდეს საზოგა-დოების პოლიტიკური სისტემის სხვა ელემენტებთან დამოკიდებულების ხასია-თი. ამგვარი სახის გამოკვლევებს ეკუთვნის ნაშრომები, რომელთა ძირითად საგანს წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოსა და მისი ცალკეული ორგანოების, იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების „შესწავლა“, რომლებიც საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სტრუქტურული ელემენტებია: სკკპ, კოოპერაციები, პროფკავშირები, ალკკ და სხვა².

ბურჟუაზიული „კრიტიკის“ მეორე მიმართულება მდგომარეობს იმაში, რომ აქ „კრიტიკის“ სიმძიმის ცენტრი გადააქვთ არა სოციალისტური დემო-

¹ გაზეთი „კომუნისტი“, 16. 06 1983 წ., ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა სკკპ ცკ პლენუმზე 1983 წ. 15 ივნისს.

² See: Conquest K. The soviet Police. System, London, 1978; Wren M. The Course of Russian History, New-York, 1968., Lewin M. Russian peasant and Soviet power, Evanston 1968; Shapiro L., The Communist Party of the Soviet Union, New-York, 1969.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

კრატის სისტემის ცალკეულ ნაწილებზე, არამედ მთლიანად მის არსზე, მისი ფუნქციონირების პრინციპებზე, მისი ელემენტების ურთიერთდამოკიდებულების ხასიათზე, მისი ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური და სამართლებრივი საფუძვლების კრიტიკაზე. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის კლასობრივ არსს და საბჭოთა დემოკრატიის დამახინჯებას.

ბურჟუაზიული იდეოლოგები განსაკუთრებით აკრიტიკებენ სსრ კავშირში საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მათ შორის კოოპერაციის (კოლმეურნეობების) სამართლებრივ და პოლიტიკურ მდგომარეობას. ბურჟუაზიული „თეორეტიკოსები აბტიციბენ“³, რომ სსრ კავშირში არავითარი დამოუკიდებლობა არა აქვთ არც კოოპერაციას, არც პროფკავშირებს, არც სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რადგან ისინი, ჯერ — ერთი, ემსახურებიან არა საკუთარ თავს, არამედ სახელმწიფოს, პარტიას; მეორეც, მთლიანად და საკლებით ექვემდებარებიან პარტიას, სახელმწიფოს და, მეესამეც, საზოგადოებრივი ორგანიზაციები ყოველმხრივ დამოკიდებული არიან სახელმწიფოსა და პარტიაზე³. მიუხედავად ყოველივე ამისა აშკარა ფაქტების ზეგავლენით ბურჟუაზიული თეორეტიკოსები იძულებული არიან აღიარონ, რომ საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორცაა მაგალითად პროფკავშირი, „ფლობენ დიდ დამოუკიდებლობას იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც დაკავშირებულია მუშებისა და მოსამსახურეების მატერიალურ უზრუნველყოფასთან, მათ შეეხებულეებთან, საკენსიო მომსახურებასთან, მშრომელთა ბინით უზრუნველყოფასთან, ჯანმრთელობის დაცვასთან“⁴. ბურჟუაზიული იდეოლოგებთან ამის მსგავსი აღიარება გვეხდება კოოპერაციასთან (კოლმეურნეობებთან) და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ისტორიის თუ როლის განხილვისთან დაკავშირებით. მართალია, ასეთ აღიარებას თან ახლავს უამრავი შენიშვნა და გადახვევა, მაგრამ იგი მაინც ბევრ რამეს მოწმობს, უპირველეს ყოვლისა კი მიუთითებს ბურჟუაზიული იდეოლოგების მიერ სსრ კავშირის პოლიტიკური სისტემის საერთოდ და, კერძოდ, მისი ცალკეული სტრუქტურული ელემენტის, კრიტიკის უსუსურობაზე.

კოოპერაციული მშენებლობის ისტორიისა და თეორიის საკითხები იყო და რჩება გლენთა მასენისათვის ბრძოლის მწვავე სფეროდ. ამიტომ კოოპერაციული მშენებლობის დარგში სოცილისტური წყობისათვის მტრული ანტიმეცნიერული თეორიის მხილება კვლავაც რჩება საზოგადოებრივი მეცნიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად. ბურჟუაზიის თანამედროვე იდეოლოგები ყალბ ასპექტში წარმოადგენენ გლენთა მდგომარეობას სოცილისტურ საზოგადოებაში, დამახინჯებულად განმარტავენ კოლმეურნე გლენობის განვითარების ობიექტურ ტენდენციებსა და პერსპექტივებს. ამიტომ გლენთა სოციალური, შრომითი და პოლიტიკური აქტივობის პრობლემების მეცნიერული, მარქსისტულ-ლენინური დამუშავება ასევე ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ბურჟუაზიულ იდეოლოგებთან და მათ ხელისშემწყობებთან — „მემარჯვენე“ და „მემარცხენე“ რევოლუციონისტებთან — ბრძოლაში.

ბურჟუაზიული და წვირილბურჟუაზიული ავტორები ბუნებრივია, კოოპერაციის ისტორიისა და თეორიის საკითხებზე იდგნენ და დგანან ანტიმარქსის-

³ R. Allen, Democracy and Communist, London, 1977, გვ. 196.

⁴ იქვე, გვ. 139.

ტულ, ანტილენინურ პოზიციებზე. ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ მობარაგებით-გასაღებითი კოოპერაციის „გლენური იდეის“ კომუნის „ბოლშევიკურ იდეასთან“ დაპირისპირებაზე. მომარაგებით-გასაღებითი კოოპერაციის, მისი საბაზრო ფუნქციების იდეალიზაცია ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ისტორიკოსებისა და აგარაიკოსების ნაშრომთა დამახასიათებელი თვისებაა, მასში ხედავდნენ ისინი „კოოპერაციული სოციალიზმის“ თავიანთ იდეალს, თვლიდნენ მას გლენობის ოდინდელ ოცნებად, მიაწერდნენ რა გლენობას ასეთი სოციალიზმისადმი „სტიქიურ ფსიქოლოგიურ ლტოლვას“⁵.

ბურჟუაზიული ისტორიკოს-აგარაიკოსის— კუნის მონაცემებით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არსებობდა 1250-მდე კოოპერაციული, საკრედიტო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა კოოპერაციული გაერთიანებები, რომელთა დიდი უმრავლესობა, როგორც რუსეთში, ეკუთვნოდა შეძლებულ გლენობას, რომელთაც წვრილბურჟუაზიული ხასიათი ჰქონდათ. სავსებით გასაგებია, რომ მათი გავლენა საწარმოო სფეროში გლენობის კოოპერირების პროცესზე აბსოლუტურად არ იგრძნობოდა. მათი მთავარი დანიშნულება იყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადება და გასაღება, აგრეთვე გლენობის მომარაგება სამეურნეო საშუალებებით. მათთვის კრედიტის მიცემა, რაც უღარიბესი გლენობისათვის მეტად არახელსაყრელი იყო. ამ პერიოდში საქართველოში ვითარდებოდა ძირითადად კოოპერაციის უმარტივესი სახეები, ხოლო საწარმოო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია იმყოფებოდა ჩანასახობრივ მდგომარეობაში⁶.

ანტისაბჭოთა ელემენტები არაერთგზის შეეცადნენ გამოყენებინათ კოოპერაცია, როგორც კონტრევოლუციის ორგანიზაციული ბაზა. ისინი ცდილობდნენ წარმოედგინათ ლენინის კოოპერაციული გეგმა როგორც „კოოპერაციული“ კაპიტალიზმი, წინ სწევდნენ კოოპერაციის უმარტივეს ფორმებს (გასაღებითს, საკრედიტოს და მომარაგებითს), ხოლო კოოპერაციის უმაღლეს ფორმას (საწარმოო სასოფლო-სამეურნეო) რატომღაც ივიწყებდნენ. ისტორიის ბურჟუაზიული ფალსიფიკატორები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ვ. ი. ლენინი თითქოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის წინააღმდეგი იყო⁷. მათი აზრით, კოოპერაციის უმარტივესი ფორმების დახმარებით შეიძლებოდა განხორციელებულიყო სოფლად სოციალიზმის მშენებლობა, ამიტომ არ იყო საჭირო საერთოდ საკოლმეურნეო მშენებლობა⁸.

ლენინური კოოპერაციული გეგმის მოწინააღმდეგენი თავისი მტკიცებების არგუმენტად ასახელებენ ვ. ი. ლენინის გამონათქვამს 1921 წელს შრომაში „სასურსათო გადასახადის შესახებ“ იმის შესახებ, რომ კოოპერაცია საბჭოთა ხე-

⁵ М. И. Туган-Барановский, О кооперативном идеале, М., 1913, гл. 2; его же «Социальные основы кооперации», М., 1919, гл. 10.

⁶ См: А. Малахов, Русская кооперация и коммунисты, гл. XII — «Кооперация или коммуна», Лондон, 1921, С. С. Маслов, Экономические основы сельскохозяйственной кооперации, М., 1921, гл. 100.

⁷ E. Kuhn e, La Georgie libre: Son present, Son avenir., Jeneva, Pasis, 1920, гл. 77.

⁸ А. Атанелишвили, Критика буржуазной фальсификации вопросов социалистического строительства в Грузии, Тб., 1976, гл. 124.

⁹ იქვე, გვ. 124.

¹⁰ იქვე.

ლისუფლების დროსაც წარმოადგენს სახელმწიფო კაპიტალიზმის სახესწავლას¹¹ და სრულიად „იეფყებენ“ საბჭოთა კოლექტივის შეფასებას, რომელიც ვ. ი. ლენინმა მოგვცა 1923 წელს თავის ცნობილ შრომაში — „კოლექტივის შესახებ“, სადაც იგი კოლექტივის უწოდებს სოციალისტური ტიპის საწარმოს¹². და აქ არ არის არავითარი წინააღმდეგობა. იმ პირობებში, როცა არ არსებობდა განვითარებული სოციალისტური მრეწველობა და სოფლის მეურნეობა გაჩანაგებული იყო, კოლექტივის იგი განიხილავდა კაპიტალიზმთან შერწყმულად, როგორც უკანასკნელის თავისებურ ფორმას. 1923 წელს, როცა განმტკიცდა და გაიზარდა სოციალისტური მეურნეობა და, პირველ რიგში, სოციალისტური მრეწველობა, ვ. ი. ლენინი კოლექტივის განიხილავს სოციალისტურ მრეწველობასთან შერწყმულად და განსაზღვრავს მას, როგორც წვრილი გლეხური მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ამოცანის გადაწყვეტის უმნიშვნელოვანეს საშუალებას, ხაზს უსვამს, რომ კოლექტივაც ჩვენს პირობებში ყოველ ნაბიჯზე ემთხვევა სოციალიზმს¹³.

ვ. ი. ლენინი ამტკიცებდა, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში „კოლექტიული“ კაპიტალიზმი შეიძლებოდა ხელსაყრელი და სასარგებლო ყოფილიყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის¹⁴, რადგან მისი დახმარებით შეიძლებოდა განხორციელებულიყო ძილიონობით მოსახლეობის გაერთიანება, ორგანიზაცია, ხოლო ეს გარემოება, ვ. ი. ლენინის აზრით, გიგანტური პლუსი იყო სახელმწიფო კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე შემდგომი გადასვლის თვალსაზრისით¹⁵.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში სოფლის მოსახლეობის მაქსიმალურ კოლექტივიზაციას საქართველოშიც ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარება, რომლის გარკვეულ ხელსაყრელობაზე ლაპარაკობდა ვ. ი. ლენინი. ამიტომ ინგლისელი ბურჟუაზიული ისტორიკოს-სოცეტოლოგის, პროფესორ ლ. შაპიროსა და მისი დასავლეთ გერმანელი კოლეგის — ე. ჰომფანის¹⁶ მტკიცება იმის შესახებ, რომ ლენინმა განსაზღვრა სოციალიზმზე გადასვლა ევროპული კოლექტივის მაგალითის გამოყენებით, მოკლებულია რეალურ საფუძველს და წარმოადგენს ყველაზე პრიმიტიულ ფალსიფიკაციას. ისინი კიდევაც ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ლენინური კოლექტივიზაციული გეგმა თავისი შინაარსით ეწინააღმდეგება სსრ კავშირში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის იდეას. ისინი ამტკიცებენ, რომ გლეხობის კოლექტივიზაციის თავად იდეა არის მცდარი და უსარგებლო იმიტომ, რომ გლეხი თავისი ბუნებით უპირველეს ყოვლისა არის ინდივიდუალისტი.

ხოლო საბჭოთა ამიერკავკასიის ერთ-ერთმა „სპეციალისტმა“ — დ. ერჰორტმა განაცხადა, რომ საბჭოთა აგარარული პოლიტიკა არ უწყობს ხელს სოფლის მეურნეობის განვითარებას იმიტომ, რომ მასში არ არის გათვალისწინებული კავკასიური პირობები და მთის პირობებში სოფლის მეურნეობის წარმოების სპეციფიკა, სადაც აბსოლუტურად უნდა გამოირიცხოს კოლექტიური-

¹¹ В. И. Ленин, ПСС, т. 43, 83-225.

¹² იქვე, 83-375.

¹³ იქვე.

¹⁴ იქვე, 83-225.

¹⁵ იქვე, 83-226.

¹⁶ L. Schapiro, The Communist party of the Soviet Union, 1960, 83-373; V. H. Hoffman, Die Arbeitserfassung der Soviet Union, Berlin, 1978, 83-11-12.

ბა მიწის დამუშავებაში და უპირატესობა უნდა მიენიჭოს მეურნეობის ინდივიდუალურ წარმოებას¹⁷.

თეთრ-ემიგრანტი — ა. მანველიშვილი¹⁸; პროფესორი — დ. ლენგი¹⁹ და სხვები ჭიუტად იცავენ აზრს იმის შესახებ, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება ებრძოდა არა მარტო კულაკებს, არამედ საშუალო გლეხობასაც და გლეხობის უღარიბეს ფენასაც.

ასეთი მტკიცებების მიზანია კულაკობის მიერ მოტყუებული გლეხობის ერთი, მცირე ნაწილის ცალკეული გამოსვლების საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ფაქტად წარმოდგენის ცდა.

კოლექტივიზაციის პერიოდში კულაკობასთან ბრძოლა გამოწვეული იყო ისტორიული აუცილებლობით. ბურჟუაზიული ისტორიკოსები (ა. სანდერსი, ო. ბრონტგამი) არაერთგზის შეეცადნენ დაემახინჯებინათ საქართველოში გლეხობის კოოპერირების არსი და მნიშვნელობა²⁰. ისინი ცდილობდნენ და ცდილობენ წარმოადგინონ საქართველოს გლეხობის საწარმოო კოოპერირება, როგორც ღონისძიება, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. ეს აზრები მათგან ნასესხები აქვს თანამედროვე ბურჟუაზიულ ისტორიკოსს — ე. კოლარსაც²¹.

ცხოვრებამ აშკარად გვიჩვენა, რომ გლეხობის კოოპერირება არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, პირიქით, მან ხელი შეუწყობ რესპუბლიკის ჩამორჩენილ სოფლის მეურნეობას გადაქცეულიყო მალაგანეთარებულ, თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით შეიარაღებულ სასოფლო-სამეურნეო წარმოებად²².

საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო კოოპერირებამ, ბურჟუაზიული ისტორიკოს-აგარაკოსების მტკიცებათა საწინააღმდეგოდ, არა თუ ზიანი მოიტანა, პირიქით, მიგვიყვანა მრავალდარგობრივი სოფლის მეურნეობის განვითარებამდე, რესპუბლიკა გადაიქცა ისეთი ძვირფასი კულტურების მთავარ მწარმოებლად, როგორცაა ჩაი, ყურძენი, ციტრუსები და სხვ.

საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე კომუნისტური პარტიის აგრარული თეორიისა და პოლიტიკის, აგრეთვე მათი ანტიკომუნისტური ინტერპრეტაციის განხილვა საფუძველს გვაძლევს დასკვნისათვის, რომ უკახსკენელ ხანებში შეიმჩნევა გარკვეული ცვლილებები ანტიკომუნისტურ პროპაგანდაში წინანდელ ბურჟუაზიულ ფალსიფიკაციასთან შედარებით.

საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბურჟუაზიული იდეოლოგიები გაპყვიროდნენ თითქოსდა ღრმა, გადაუჭრელ პოლიტიკურ წინააღმდეგობებზე კომუნისტურ პარტიას ერთი მხრივ, და გლეხობის ინტერესებს შორის მეორე მხრივ. ანტიკომუნისტური იდეოლოგიები ცდილობდნენ წარმოედგინათ სკკპ და საბჭოთა ხელისუფლება, როგორც გლეხობის მტრები, ანტიკომუნისტურ „მსოფლიო კომუნისტური ენციკლოპედიაში“ ნათქვამია: „კომუნისტები ცდილობენ წარმოადგინონ გლეხთა მასები თავიანთი მეგობრების სახით, მაგრამ სინამდვი-

¹⁷ Dr. Erhorn, Die Burherei des Osranmes, Kaukasien, Berlin, 1963, გვ. 16.

¹⁸ A. Mandelishvili, Historie de Georgie, Paris, 1951, გვ. 447.

¹⁹ D. Lang, History of Georgia, London 1962, გვ. 247, 249.

²⁰ A. Sappers (Alexandre Nikuradze), Kaukasien, Nordkaukasien, Arerbahan, Armenien, Georgien. München, 1942, გვ. 311.

²¹ W. Kolars, Die Nationalpolitik der Sowjetunion, Frankfurt an Main, 1966, გვ. 30.

ლემი ვანიხილავენ მათ, როგორც თავიანთ მტრებს²². პარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი დ. მიტრანი წიგნში — „მარქსი გლეხობის წინააღმდეგ“ — წერდა, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მუშები და გლეხები წარმოგვიდგნენ, როგორც ერთმანეთის მოწინააღმდეგე ძალები²³. ამერიკელი სოვეტოლოგი — ა. მაიერი პირდაპირ აცხადებდა: გლეხობისადმი ღრმა მტრობა შეადგენს მარქსისტული იდეოლოგიის განუყოფელ ელემენტს²⁴.

ამასთან აუცილებელია აღინიშნოს, რომ სოფლად სკკპ პოლიტიკის ბურჟუაზიული ფალსიფიკაციის პირდაპირი დამხმარეები და ინფორმატორები იყვნენ ტროცკისტები და მემარჯვენე ოპორტუნისტები²⁵. ბურჟუაზიული სოვეტოლოგები ფაქტობრივად აკრიტიკებენ გლეხობის შესახებ ტროცკისტულ თეორიას, რომელსაც ლენინიზმთან არაფერი აქვს საერთო; ეს ამჟამად მათთვის უფრო ხელსაყრელია.

საბჭოთა სოფლის განვითარების საკითხებზე ჩვენი იდეოლოგიური მოწინააღმდეგეების თანამედროვე პოზიციებისათვის დამახასიათებელია ის, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგები იძულებული არიან ზოგჯერ მაინც აღიარონ საბჭოთა სოფლის მეურნეობის და, კერძოდ საკოლმეურნეო წყობის, ცალკეული წარმატებები²⁶.

საკოლმეურნეო წარმოებაში, რა თქმა უნდა, არის სიძნელები და ნაკლოვანებანი, მაგრამ ამ სიძნელებით სპეკულაცია და იმავე დროს ჩვენს უდიდეს მიღწევებზე გაჩუმება სხვა არაფერია, თუ არა სინამდვილის ბოროტი დამახინჯება.

ბურჟუაზიული იდეოლოგები არაფერს ამბობენ იმაზე, რომ საბჭოთა გლეხობას აქვს ის, რაც არ გააჩნია მიწის მუშას არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში. საბჭოთა გლეხები დარწმუნებული არიან თავიანთ ხვალინდელ დღეში. არც ერთ მათგანს არ ემუქრება გაკოტრება და უმუშევრობა. თითოეული მათგანის მატერიალური და კულტურული დონე განუწყვეტლივ იზრდება.

კაპიტალიზმის იდეოლოგიური მსახურები ამჯობინებენ არაფერი თქვან სოფლის მეურნეობის ეფექტურობის ამაღლებისა და საბჭოთა სოფლის ცხოვრებაში შემდგომი სოციალური გარდაქმნების იმ გრანდიოზულ პროგრამაზე, რომელიც მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისის (1982 წ.) პლენუმმა, სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად²⁷.

მომწიფებული სოციალიზმის ნიადაგზე უკვე ხორციელდება სოფლის კომპლექსური მეცნიერულ-ტექნიკური, სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო განვითარება.

საბჭოთა საზოგადოებაში საწარმოო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის როლის ამაღლება იწვევს სხვადასხვა სახის ფალსიფიკატორთა მხრივ თავდასხმებს. „სოვეტოლოგები“ ცდილობენ დააჯერონ კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელები, რომ მხოლოდ ბურჟუაზიულ საზოგადოებას შეუძლია ჰქონდეს

²² See: Hendbuck des Weltkommunismus. Minaken, 1958, გვ. 443.

²³ D. Mitrang, Marx against the Peasant. London, 1951, გვ. 3.

²⁴ A. Maer, The Soviet Political sistem. An interpretation, New York, 1966, გვ. 83.

²⁵ Социальное развитие села в период строительства коммунизма, Кишинев, 1976, გვ. 527.

²⁶ „Soviet Studiers“ University of Glasgow, vol. XXVI, apr. 1874, № 42, გვ. 298.

²⁷ См.: Продовольственная программа СССР на период до 1990 г. и меры по ее реализации, Материалы майского пленума ЦК КПСС, 1982, М., 1982.

სრულყოფილი დემოკრატია და სრული თავისუფლება. თავს ესხმიან რა სოციალიზმს საერთოდ და, კერძოდ საბჭოთა საზოგადოებას, „სოვეტოლოგები“ ამახინჯებენ სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების, საზოგადოების მართვაში მშრომელთა და, კერძოდ საბჭოთა გენეზობის აქტივობის ამაღლების მთელ არსს. ბურჟუაზიული და რევოზიონისტული „თეორეტიკოსების“ კრიტიკის მახვილი ამასთან მიმართულია სკკპ, საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში მისი ხელმძღვანელი როლის წინააღმდეგ. ჩვენი იდეური მოწინააღმდეგეების მიერ მთავარი ძალები გამოიყენება იმისათვის, რომ ძირი გამოუთხარონ ერთიანობის სისტემას: სკკპ — საბჭოები — პროფკავშირები — კოოპერაცია — კომკავშირი — მშრომელთა სხვა ნებაყოფლობითი გაერთიანებები, დაუპირისპირონ სკკპ პოლიტიკური სისტემის სხვა უმნიშვნელოვანეს სტრუქტურულ ელემენტებს და, კერძოდ საწარმოო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, ეჭვქვეშ დააყენონ კოლმეურნეობათა საქმიანობაზე სკკპ ხელმძღვანელობის განხორციელების კანონზომიერება და აუცილებლობა.

სკკპ საქმიანობას სოფლის მეურნეობისადმი საერთოდ და, კერძოდ კოლმეურნეობებისადმი, ხელმძღვანელობის ხაზით „სოვეტოლოგები“ აქცევენ მუდმივ „ყურადღებას“. თავიანთი „გამოკვლევებით“ ისინი ცდილობენ ძირი გამოუთხარონ შეხედულებას სკკპ ხელმძღვანელი როლის ზრდის შესახებ საბჭოთა საზოგადოებაში.

ბურჟუაზიული „სოვეტოლოგია“ უარყოფს, უკეთეს შემთხვევაში უგულვებელყოფს სოციალისტურ საზოგადოებაში ჭეშმარიტი დემოკრატიის არსებობას, წინასწარი განზრახვით ამახინჯებს ხალხთა მასების პარტიასთან მჭიდრო კავშირს, მის გარშემო ქვეყნის მთელი მოსახლეობის ერთიანობას.

სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკური სისტემა როგორც ფოკუსში, თავის თავში ასახავს განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკური საფუძვლების უპირატესობას. საყოველთაო სახალხო დემოკრატია ხასიათდება იმით, რომ სოციალისტური დემოკრატიის ყველა ძირითადი პრინციპი და, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს მართვაში მშრომელთა მასების მონაწილეობის საყოველთაობა და რეალობა, ყველაზე დიდ გასაქანს იღებს სწორედ თანამედროვე პირობებში. ეს თავის გამოხატულებას პოულობს სსრ კავშირის პოლიტიკური საფუძვლის — სახალხო დემუტატთა საბჭოების განმტკიცებასა და სრულყოფაში. ამჟამად საბჭოთა კავშირში მოქმედებს ყველა საფეხურის 50 ათასზე მეტი საბჭო, რომლებშიც არჩეულია 2,2 მილიონზე მეტი დემუტატი და რომელთა მუშაობაშიც მონაწილეობს 30 მილიონზე მეტი ადამიანი²⁸.

საბჭოების დემუტატთა რაოდენობით შემადგენლობას დიდი მნიშვნელობა აქვს უკვე იმიტომაც, რომ იგი საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ მშრომელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის დონეზე, მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების რეალობაზე. ეს მონაცემები საზოგადოების პოლიტიკური სიმწიფის, მისი პოლიტიკური კულტურის ისეთი მაჩვენებელია, როგორც არცის არც ერთმა ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ. აუცილებელია ხაზი გავსვას, რომ საბჭოების საყოველთაობა, მათი მუშაობის ეფექტურობა დაკავშირებულია, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ ამომრჩეველთა — აქტიურად რომ მონაწილეობენ საარჩევნო კომპანიებში — არამედ საბჭოების გარშემო გაერთიანე-

²⁸ См.: Научный коммунизм (под редакцией Е. А. Ануфриева (отв.), Э. В. Тадевосяна, М., В. Ветрова, М., 1982, 33. 246.

ბულ დებუტატთა და აქტივის რაოდენობრივ შემადგენლობასთანაც. განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკური სისტემისა და საყოველთაო სახალხო დემოკრატიის არსებითი თვისებების გასახსნელად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამომრჩეველთა, დებუტატთა და საბჭოს აქტივის სოციალური შემადგენლობის აღრიცხვასაც. ეს შემადგენლობა შეესაბამება მომწიფებული სოციალიზმის კლასობრივ, სოციალურ სტრუქტურას, იმ როლს, რომელსაც საზოგადოებაში ასრულებს მუშათა კლასი, გლეხობა, ინტელიგენცია, სოციალისტური ერები და ეროვნებები, მოსახლეობის სოციალური ჯგუფები, ყველა დონის საბჭოების დებუტატთა შორის, როგორც ცნობილია, კოლმეურნეები შეადგენენ 25,4 პროცენტს²⁹.

სოციალისტური დემოკრატიის პრინციპები თანმიმდევრულად ხორციელდება იმ გარემოში, სადაც ადამიანები ყოველდღიურად მონაწილეობენ შრომით კოლექტივებში, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალმხრივ საქმიანობაში, ხელს უწყობენ მშრომელთა მილიონიანი მასების საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ამძღვრებას. 3,2 მილიონიანი კაცი, მაგალითად, კოლმეურნეობათა გამგეობის წევრია, ხოლო კონკრეტულ-სოციალოგიური გამოკვლევების, — რომლებიც ჩატარდა ამბროლაურის, გურჯაანისა და ხაშურის რაიონების კოლმეურნეობებში, — მონაცემებით გამოკითხულ კოლმეურნეთა 72,1% ასრულებს საზოგადოებრივ სამუშაოს, ხოლო 27,9% მას არ ასრულებს, მაგრამ უკანასკნელთა რიცხვიდან 22,8%-მა სურვილი გამოთქვა საზოგადოებრივ მუშაობაში მონაწილეობისა, მიუთითა მასში მონაწილეობის მიუღებლობის სხვადასხვა მიზეზი. და მხოლოდ გამოკითხულთა 5,1%-ს გაუჭირდა პასუხი გაცეა დასმულ შეკითხვებზე. კოლმეურნეთაგან არავინ აღმოჩნდა, რომელსაც არ სურდა საზოგადოებრივ მუშაობაში მონაწილეობის მიღება.

თავიანთ ძრწვრათაში — დაიცვან სოფლის მეურნეობის წარმოების კაპიტალისტური ხერხი, სხვადასხვა ყალიბის „სოვეტოლოგები“ ებლაუტებიან წერილ-გლეხური მეურნეობის გამძლეობის მოძველებულ თეორიას, რომელიც საფუძვლიანად გააკრიტიკა ვ. ი. ლენინმა. მათ უჭირთ ამ თეორიაზე უარის თქმა, იგი როგორც ფუნდამენტი, საფუძვლად უდევს ბურჟუაზიული, რეფორმისტული და რევოიონისტული თეორიული ნაგებობების უმრავლესობას. თუ ამ საძირკველს მოვაშორებთ, დაინგრევა მთელი მათი „თეორიული“ შენობა.

სოვეტოლოგიურ ლიტერატურაში დღემდე ფართო პროპაგანდას უწევენ კონცეფციებს, რომელთა თანახმად თითქოსდა მცდარია მარქსისტულ-ლენინური დებულება იმის შესახებ, რომ გლეხობის საუკუნოვანი სიღატაკისა და ჩამორჩენილობისაგან ხსნის გზები ვადიან წვრილი, დაქუცმაცებული, ერთბიროვნული მეურნეობების გაერთიანებაზე მსხვილ მეურნეობათა, რომელსაც უნარი შესწევს გამოიყენოს თანამედროვე „ტექნიკა“. განავითარებენ რა ამ კონცეფციებს, „სოვეტოლოგები“ ასევე მცდარად აცხადებენ მარქსისტულ-ლენინურ დებულებას სასოფლო-სამეურნეო შრომის ინდუსტრიულურ მეთოდებზე ვადაყვანის აუცილებლობის შესახებ. ასე, რომ ამ კონცეფციის მომხრე ამერიკელი „სოვეტოლოგები“ — პ. და ბ. ლერდები კიდევაც მოუწოდებენ უკუაგონ ინდუსტრიული ხერხები და მეთოდები, გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, და ვააუქმონ კოლმეურნეობათა უმეტესობა³⁰. კოლმეურნეო-

²⁹ См.: «Правда», 1980, 7 октября.

³⁰ P. Laird and B. Laird, Soviet Communism and Agrarian Revolution, Harmondsworth, 1970, გვ. 123, 125.

ბათა ნაცვლად „სოვეტოლოგები“ (ბ. კერბლეი, ვ. კლატი, პ. და ბ. ლერდები) გვთავაზობენ ამერიკული ტიპის ეგრეთ წოდებულ „ოჯახურ ფერმებს“, რომელთა უპირატესობასაც ხოტბას ასხამენ. რა თქმა უნდა, „სოვეტოლოგები“ არაფერს ამბობენ იმ ფაქტზე, რომ საბჭოთა სოფლის მშრომელები საკუთარი გამოცდილებით რწმუნდებიან განსაზოგადოებისა და ინდუსტრიალიზაციის შედარებით ძაღლ დონეზე გადასვლის, ესე იგი სოფლის მეურნეობის ისეთი მიმართულების უპირატესობაში, რომელიც დიამეტრალურად საწინააღმდეგოა „სოვეტოლოგების“ მიერ რეკომენდებული განვითარების გზისა.

ანტიკომუნისტთა თვდასხმები საბჭოთა საკოლმეურნეო წყობაზე გამოირჩევა განსაკუთრებული იდეოლოგიური სიმწვავეით, როცა ისინი ცდილობენ გააყაღონ სკვპ, როგორც სოფლის ეკონომიკის ზრდისა და სოფლად კომუნისტური მშენებლობის ღონისძიებათა ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის, — როლი. „სოვეტოლოგების“ მიერ პარტია გამოსახულია, როგორც გლეხობისათვის რაღაც უცხო და მტრული ძალა, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი ინტერესები, ანტაგონისტური სოფლის მშრომელთა ინტერესების მიმართ და რომელიც ახორციელებს „ზედამხედველობას“ და კონტროლს კოლმეურნეობებზე. ასეთ ნამოღვაწარს ეკუთვნის „სოვეტოლოგ“ რ. სტიუარტის³¹ ოცნა, რომელიც მოგვიხსრობს კოლმეურნეობების მუშაობის ორგანიზაციის შესახებ. ამასთან ნებისმიერ ცვლილებას და გარდაქმნას საბჭოთა სოფელში „სოვეტოლოგები“ განმარტავენ და გამოხატავენ, როგორც პარტიისა და მთავრობის მისწრაფებას გააძლიერონ პირდაპირი ჩარევა კოლმეურნეობებისა და კოლმეურნე გლეხობის საქმეებში.

აშკარა ცილისმწამებლურ ხასიათს ატარებს ბურჟუაზიული იდეოლოგიის — შ. ლევისის მტკიცება საბჭოთა კოლმეურნეობების ბუნების შესახებ. მისი უსაფუძვლო განცხადების მიხედვით ჩვენს ქვეყანაში კოლმეურნეობები თითქოსდა დაარსებულია არა ნებაყოფლობით საწყისებზე, არამედ გლეხობის გარეეკონომიური იძულებით³². აქედან კეთდება წინასწარი განზრახვით ყალბი დასკვნა იმის შესახებ, რომ სოციალიზმის პირობებში კოლმეურნეობათა საქმიანობა შეზღუდულია და მათ არ შეუძლიათ გამოხატონ გლეხობის ინტერესები³³.

თავს ესხმიან რა სოციალიზმს და, განსაკუთრებით, საბჭოთა საზოგადოებას, „სოვეტოლოგები“ ამახინჯებენ სოციალისტური დემოკრატიის განვითარების საზოგადოების მართვაში მშრომელთა და, კერძოდ, საბჭოთა გლეხობის აქტივობის ამაღლების მთელ არსს. ბევრი „სოვეტოლოგი-აგარაიკისი“, საქართველოსა და ამიერკავკასიის „სპეციალისტები“ ესწრაფვიან სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გამოცდილების და წარმატებების, საწარმოო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სტრუქტურის და მათი მართვის სისტემის, დამახინჯებას. მათი ზრით, თითქოსდა საწარმოო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მართვა და დამოკიდებულება გლეხობისადმი აგებულია არა ფართო დემოკრატიის საფუძველზე, არამედ მხოლოდ ძალადობასა და კოლმეურნეთა პირადი ინიციატივის დათვრუნვაზე³⁴.

³¹ R. Stuart, *The Collective Form in Soviet Agriculture*, Toronto-London, 1974.

³² See: M. Lewin, *Russian peasant and Soviet power* Evanston, 1968, გვ. 378.

³³ იქვე, გვ. 130.

³⁴ See: A. S anders (A. Nikuradze), *Kaukasien, Nordkaukasien Aserbeidsehan, Armenien, Georgien*, Miunchen, 1944, გვ. 311—312; A. Manvelishvili, *Histoire de Georgie*,

მაგრამ კოლმეურნეობის წესდება მთლიანად აბათილებს ყველა ამ მონა-
 ჭორს. კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების მუხლის თანახმად სსრ კავშირში
 სოფლის მშრომელებს ეძლევათ უფლება ნებაყოფლობით შევიდნენ კოლ-
 მეურნეობაში, აგრეთვე თავისუფლად გამოვიდნენ იქიდან. საკოლმეურნეო მე-
 ურნეობის მთელი მმართველობა აგებულია დემოკრატიულ საწყისებზე და
 კოლმეურნეთა ინიციატივის ყოველმხრივ განვითარებაზე. კოლმეურნეობის თეი-
 თონ გეგმავენ თავიანთ წარმოებას სახელმწიფო მმართველობის კოლმეურნეთა
 შემოქმედებითი აქტივობის ყოველმხრივ განვითარებასთან შესამების საფუ-
 ძველზე. პროდუქციის ყოველი სახეობის შესყიდვის სახელმწიფო გეგმიდან
 გამომდინარე ისინი თავად განსაზღვრავენ ოდენობას, და დასათვის ფართობე-
 ბის შედარებით უფრო ხელსაყრელ სტრუქტურას, აგრეთვე მიმართულებებს
 მეცხოველეობის განვითარებაში. საერთო კრებებზე საკოლმეურნეო სოფლის
 მშრომელები ისახვენ კონკრეტულ ღონისძიებებს მოსავლის გასაღიდებლად,
 სახელმწიფოსათვის საკოლმეურნეო წარმოების პროდუქტების შესასყიდად,
 კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების გასაღიდებლად და ა. შ.³⁵

„სოვეტოლოგების“ მხრიდან შედარებით ძლიერ თავდასხმას განიცდის
 საკოლმეურნეო დემოკრატიის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, როგორი-
 ცა კოლმეურნეთა საერთო კრება. მათი მთავარი მიზანია დამატაციონ მოცე-
 მული ინსტიტუტის ისტორიული აპოქრონიზმი, მისი არაქმედუნარიანობა თა-
 ნამედროვე წარმოებისა და შრომითი კოლექტივების საქმეების მართვაში.

კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების 45-ე და 47-ე მუხლების თანახმად
 მისი წევრების საერთო კრება წარმოადგენს საკოლმეურნეო ცხოვრების მარ-
 თვის უმაღლეს ორგანოს. მხოლოდ ის იღებს კოლმეურნეობის წესდებას, შე-
 აქვს მასში ცვლილებები და დამატებები, გადაწყვეტს საკითხს საკოლმეურნეო
 კოლექტივის წევრთა მიღებისა და გარიცხვის შესახებ, ამტკიცებს გეგმებს და
 ფონდებს განაწილებას, გამგეობის ანგარიშებს და ა. შ. კოლმეურნეთათა
 გამგეობების გადაწყვეტილებები ამ საკითხებზე კოლმეურნეთა საერთო კრე-
 ბის მიერ მათი დამტკიცების გარეშე ბათილია. სანიმუშო წესდების 49-ე და
 50-ე მუხლების შესაბამისად საერთო კრება ირჩევს მის წინაშე ანგარიშვალ-
 დებულ და კონტროლქვემდებარე კოლმეურნეობის აღმასრულებელ-განმკარ-
 გულელებს ორგანოებს — გამგეობას, სარევიზო კომისიას, კოლმეურნეობის
 თავმჯდომარეს. 56-ე მუხლი ამბობს, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, გამ-
 გეობის წევრები და სარევიზო კომისიის წევრები შეიძლება ვადაძლე იქნან
 გამოწვეული კოლმეურნეთა საერთო კრების გადაწყვეტილებები³⁶.

და მაინც საბჭოთა საზოგადოების „ტოტალურ-საკომანდო“ მოდელის
 მომხრენი ფაქტების საწინააღმდეგოდ მსჯელობენ სსრ კავშირში აგრარული
 პოლიტიკის სუბიექტური საფუძვლის შესახებ, რომელიც თითქოსდა დამყარე-
 ბულია ვოლუნტარისტულ გადაწყვეტილებებზე, კონტროლზე, იძულებაზე და

Paris, 1951, გვ. 447; E. Johnson, Soviet Agriculture Revisited. American Journal of Agriculture Economics, გვ. 53. May 1971, გვ. 257—268; Hill T. The of the Russian Peasantry? The social Structure and Culture of Contemporary Soviet Agriculture Population „Soviet Studies“, 1979, გვ. 27, № 1, გვ. 109—127; A. Meyer, The Soviet Political system, Ansnterpretation, № 4, 1965, გვ. 83.

³⁵ Примерный устав колхоза., Краснодар, 1969, გვ. 6, 7, 20.

³⁶ Примерный устав колхоза. В кн.: Торжество ленинского кооперативного плана — Материалы третьего Всесоюзного съезда колхозников. М., 1969, გვ. 109.

იდეოლოგიურ ზემოქმედებაზე და საერთოდ მართვაზე სამხედრო ბრძანებების მსგავსად.

სოციალიზმის მოწინააღმდეგენი არ ზოგავენ მონდომებას, რომ და მცირონ და გააყალონ საბჭოთა სოფლის წარმატებები, მაგრამ ფაქტები სულ სხვას ლაპარაკობენ. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქტია, მიუხედავად ბუნების ყველა ჰირვეულობისა — ისინი კი ცოტა როდი იყო, — გაიზარდა მეშვიდე ხუთწლედის ყოველ წელს საშუალოდ 82,8 მილიარდ მანეთიდან 123,9 მილიარდამდე მეთაში, ესე იგი 50%-ით³⁷. აუცილებელია შედარებისათვის აღინიშნოს, რომ ევროპული ეკონომიკური ამხანაგობის ქვეყნებში შესაბამისმა მაჩვენებელმა შეადგინა 31%, ხოლო აშშ — 29%³⁸.

სოციალისტურ ქვეყნებში გლეხთა კულტურული და შეღებული ცხოვრების ფონზე უფრო ნათლად ჩანს მძიმე ხვედრი მშრომელი გლეხობისა კაპიტალისტურ ქვეყნებში. თანამედროვე ანტიკომუნისტები აცხადებენ, რომ თითქოსდა კაპიტალისტური სისტემა საშუალებას იძლევა მთლიანად დააკამყოფილოთ გლეხთა მასების სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებები. მათ წამოაყენეს უამრავი თეორია, რომლებიც ამტკიცებს სოციალისტურ და განვითარებად ქვეყნებში სოფლის მეურნეობის გარდაქმნის აუცილებლობას დასავლეთის ნიმუშის მიხედვით. მაგრამ კაპიტალისტური ქვეყნების გლეხობის ცხოვრებისა და თავიანთი უფლებებისათვის ბრძოლის ნამდვილი სურათი მთლიანად უპრყოფს იმპერიალიზმის აპოლოგეტებს.

გაკოტრების შედეგად ასობით ათასი გლეხი ყოველწლიურად ტოვებს სოფელს და ავსებს უმუშევართა არმიას ქალაქებში. მხოლოდ 1975 წელს „საერთო ბაზრის“ ცხრა ქვეყანაში თავისი არსებობა შეწყვიტა 400 ათასზე მეტმა წვრილგლეხურმა მეურნეობამ³⁹. ახასიათებს რა „საერთო ბაზრის“ ევროპული ქვეყნების მთავრობისეულ პოლიტიკას გლეხობის მიმართ, საფრანგეთის კე ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მონოპოლია „საერთო ბაზრის“ ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც „მსხვერპლად წირავს მშრომელ გლეხობას“. „საერთო ბაზრის“ ქვეყნების მმართველი წრეები ატარებენ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია სოფლის მოსახლეობის რაოდენობის შემცირებისაკენ. საეარაუდოა, რომ საფრანგეთში 1985 წლისათვის გაქრება დაახლოებით 1350 ათასი წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობა, ხოლო აქტიური მიწის დამამუშავებელი მოსახლეობის რაოდენობა შემცირდება 3 მილიონიდან 700 ათას კაცამდე⁴⁰.

თავისი უფლებებისათვის გლეხთა მოძრაობის ფართო გაქანება ინგლისში, საფრანგეთში, ვფრ, აშშ და სხვა კაპიტალისტურ ქვეყანაში ამხილებს ბურჟუაზიული პროპაგანდისტების მტკიცებას კაპიტალისტურ ქვეყნებში გლეხური მეურნეობის აყვავების შესახებ.

უკანასკნელი წლების განმავლობაში იტალიაში მოხდა გლეხთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა რამდენიმე ეროვნული გაფიცვა. მხოლოდ 1978

³⁷ Продовольственная программа СССР на период до 1990 г. и меры по ее реализации: Материалы майского Пленума ЦК КПСС, 1982 г., М., 1982, გვ. 7.

³⁸ იქვე.

³⁹ См.: «Сельская жизнь», 11 мая 1976 г.

⁴⁰ См.: «Международная жизнь», 1979 г., № 3, ст. 68.

წლის მარტში გაიფიცა 8 მილიონზე მეტი სოფლის მშრომელი⁴¹. ხოლო ფედერალური მთავრობის (გურ) „აგარაული ანგარიშის“ მონაცემებით 1979 წელს გაკოტრდა 28400 მეტი გლეხური მეურნეობა⁴².

ზემოთ მოყვანილი ფაქტები დამაჯერებლად ამხელენ კაპიტალიზმის აპოლოგეტების ფალსიფიცირებულ მტკიცებას კაპიტალისტური სოფლის მიღწევების და აყვავების შესახებ. იმ პროცესების ღრმა ანალიზი, რომელთა ძალითაც კაპიტალიზმის პირობებში კოტრდება და ილუპება წვრილი და საშუალო გლეხობა, — მეურნეობის სოციალისტური სისტემის კაპიტალისტურზე უპირატესობის საფუძვლიანი მტკიცებაა.

Ж. А. ЦЕРЦВАДЗЕ, В. П. ГУРГЕНИДЗЕ, В. И. КИКНАДЗЕ

ВОПРОЕКИ БУРЖУАЗНОЙ ФАЛЬСИФИКАЦИИ ПРОИЗВОДСТВЕННОЙ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОЙ КООПЕРАЦИИ

Резюме

Статья посвящена актуальному вопросу несостоятельности буржуазной фальсификации места и роли производственной сельскохозяйственной кооперации в политической системе социалистического общества.

Выделяются два подхода в критике политической системы социалистического общества ее буржуазными идеологами и различными «советологами». Один из них заключается в том, что основное внимание «критиков» концентрируется на отдельных элементах политической системы, и, в частности, производственной сельскохозяйственной кооперации как структурного элемента этой системы, безотносительно к их связям с другими ее составными частями, а также с системой социалистической демократии в целом.

Другой подход западной «критики» в отношении советской политической системы состоит в том, что центр тяжести «критики» устанавливается не на отдельных составных частях системы организаций социалистической демократии, а в целом на ее сущности, принципах организации и функционирования, характере взаимоотношений ее элементов, на критике ее экономических, политических, идеологических и правовых основ.

Особой критике со стороны буржуазных идеологов подвергаются правовое и политическое положение общественных организаций СССР и кооперация (колхозы) в том числе.

На основе анализа большого теоретического и статистического материала обнажается фальсификаторская сущность и социальное предназначение буржуазных концепций о месте и роли производственной сельскохозяйственной кооперации в политической системе социалистического общества.

Вопросы истории и теории кооперативного строительства были и в настоящее время остаются сферой острой классовой борьбы за крестьянские массы.

⁴¹ См.: «Мировая экономика, международные отношения», 1978 г. № 4, 83-155.

⁴² См.: «За рубежом», 4—10 апреля 1980 г., № 15 (1032), 83-10.

Разоблачение враждебных социалистическому строю антинаучных теорий в области кооперативного строительства является одной из важных задач общественной науки.

Современные идеологи буржуазии в ложном свете изображают положение крестьян в социалистическом обществе, извращенно истолковывают объективные тенденции и перспективы развития колхозного крестьянства. Поэтому научная марксистско-ленинская разработка проблемы социальной, трудовой и политической активности крестьян является так же одним из необходимых условий борьбы с буржуазными идеологами и их пособниками — «правыми» и «левыми» ревизионистами.

წარმოდგინა ვ. ი. ლენინის ორდენოსანმა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერული კომუნისმის კათედრამ

5
17.875

**ცნობები საქართველოს შესახებ სპარსულ ისტორიულ თხზულებაში
„ალამარაი-ე შაჰ ისმაილ“**

XVI ს-ის დამდეგს ირანში სეფიანთა დინასტიის გაბატონებით, ირან-საქართველოს ურთიერთობაში სრულიად ახალი ხანა იწყება. ამ ურთიერთობის ხასიათი და ფორმები დიდად იყო დამოკიდებული ირან-ოსმალეთის ურთიერთობაზე; როგორც ცნობილია, ირან-ოსმალეთის გაუთავებელი ომების ასპარეზს აღებულ ხანაში ამიერკავკასიის ქვეყნები, კერძოდ, საქართველო წარმოადგენდა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ XVI ს-ის აღმოსავლურ წყაროებში უხვი მასალა დაცული ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის. კერძოდ, სპარსულენოვან წერილობით წყაროებში უამრავი ცნობა მოიპოვება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხების შესასწავლად.

XVI ს-ის ირან-საქართველოს ურთიერთობათა საკითხების შემცველი სპარსული ნარატიული წყაროებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ხონდემირის, იაჰია ყაზვინის, ხორშაჰ იბნ ყობად ალ-ჰოსეინის, ყაზი აჰმედ ლაფარი ყაზვინის, ბუდაყ ყაზვინის, ანონიმი ავტორების, ჰასან რუმლუს, შერეფ-ხან ბითლისის, შაჰ თამაზის, მაჰმუდ ნათანზის, ისქანდერ მუნშის ნაშრომები. ჩამოთვლილი ავტორები მეტწილად თავად იყვნენ მომსწრენი აღწერილი ამბებისა. ამიტომ მათ თხზულებებში დაცული ცნობები უაღრესად საინტერესო და საყურადღებოა. აღნიშნულ წყაროთა უმრავლესობა კარგად არის ცნობილი და შესწავლილი ჩვენს ისტორიოგრაფიაში¹, მაგრამ მათი გარკვეული ნაწილი, საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გაშუქებული და დამუშავებული.

ამჯერად ყურადღებას ვამახვილებთ საქართველოს შესახებ იმ ცნობებზე, რომლებიც დაცულია ანონიმი სპარსელი ისტორიკოსის თხზულებაში „ალამარაი-ე შაჰ ისმაილ“ (ქვეყნის დამამშვენებელი შაჰ ისმაილი). ავტორის ვინაობა და თხზულების დაწერის ზუსტი თარიღი უცნობია. თვით ძეგლში ერთგან მითითებულია ჰიჯრის 1086 წელი (1675/76 წ.), რომელიც მისი შედგენის, ან თხზულების გვიანდელი რედაქტირების თარიღია. მკვლევართა ერთი ნაწილის ვარაუდით, ხსენებული ნაშრომი დაწერილია შაჰ აბას I-ის დროს (ოღონდ ჩვენამდე მოღწეული გვიანდელი რედაქციის სახით). აღნიშნულმა ძეგლმა სპე-

¹ ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1966; კ. ტაბატაძე, შერეფ-ხან ბითლისის ცნობები საქართველოს შესახებ, კავკასიურ-აღმოსავლური კრებული, II, 1962; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, შესავლი და თარგმანი ვლ. ფუთურიძის, შენიშვნები დ. კაციტაძის, თბ., 1969; შაჰ თამაზის საუბარო ოსმალეთის ელჩებთან, სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ, თბ., 1976; ნ. გელაშვილი, მაჰმუდ ნათანზის ცნობები საქართველოს შესახებ, „მაგნი“, ისტორიის სერია, 1983, № 1.

ცილისტა ფართო წრეების ყურადღება მიიპყრო მას შემდეგ, რაც 1965 წელს ჟურნალ „იაღმაში“ გამოქვეყნდა ასლარ მონთაზერ საპების სტატია, რომელშიც მოცემული იყო „ალამარაი-ე შაჰ ისმაილ“-ის მის ხელთ არსებული ხელნაწერის ვრცელი აღწერილობა. ამ ხელნაწერზე დაყრდნობით (გადაწერილია ჰიჯრის 1240 წ.-1824/25 წ.) ასლარ მონთაზერ საპებმა 1970 წელს თეირანში განახორციელა თხზულების პირველი ბეჭდური გამოცემა. ერთი წლის შემდეგ კი თეირანში გამოქვეყნდა ძეგლის მეორე გამოცემა, მომზადებული იაღმაში-ლაჰ შოქრის მიერ. ამ გამოცემას საფუძვლად დაედო ჰუსეინ მაფთაჰის კერძო კოლექციაში დაცული ორი ნუსხა (ერთი უთარილოა, მეორე გადაწერილია 1234 წლის რაბი II-ში (1819 წლის იანვარი)².

როგორც თხზულების სათაურიდან ჩანს, „ალამარაი-ე შაჰ ისმაილ“-ის სახით საქმე გვაქვს სეფიანთა დინასტიისა და სახელმწიფოს დამაარსებლის, შაჰ ისმაილ I-ის (1501—1524) ზეობის ხანის ისტორიასთან. ისევე როგორც სხვა იმდროინდელი ნაწარმოებები, ხსენებული თხზულებაც გაბატონებული დინასტიის აპოლოგიაა. დასაწყისში ავტორი გვაცნობს სეფიანთა დინასტიის გენეალოგიას, მოგვითხრობს შაჰ ისმაილის წინაპრების შესახებ, შემდეგ კი დეტალურად აღწერს ისმაილის ზეობის წლებში მომხდარ ამბებს. მიუხედავად იმისა, რომ თხზულებაში საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი ნახევრად ლეგენდარული სიუჟეტები, მასში დაცული კონკრეტული ისტორიული მასალები გარკვეულ ინტერესს იმსახურებენ და ავსებენ სხვა წერილობით წყაროებში დამოწმებულ ცნობებს³.

ქვემოთ განვიხილავთ „ალამარაი-ე შაჰ ისმაილ“-ში დაცულ მხოლოდ იმ ცნობებს, რომლებიც საქართველოს შეეხება. ცნობების მოტანისას ვსარგებლობთ თხზულების ორივე ზემოხსენებული გამოცემით⁴.

ანონიმი სპარსელი ავტორის ცნობები საქართველოზე ძირითადად დაკავშირებულია შაჰ ისმაილ I-ის სარდლის დივ-სულთან რუმელუს ლაშქრობასთან საქართველოში 1521 წელს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცნობების ფრანგული თარგმანი (ი. შოქრის გამოცემის მიხედვით) 1980 წელს გამოაქვეყნეს ფრანგმა მკვლევრებმა ჟ.-ლ. ბაკე-გრამონმა და შ. ადლიმ⁵. ვიდრე დივ-სულთანის ლაშქრობასთან დაკავშირებულ ცნობებს განვიხილავდეთ, შევეხებით

عالم آرای شاه اسماعیل با مقدمه و تصحیح و تعلیف اصغر منتظر صاحب²، تهران، ۱۳۴۹ (اشارات بنگاه ترجمه و نشر کتاب ۳۴۴، مجموعه متون فارسی ۴۳)؛
 عالم آرای صفوی به کوشش یدالله شکر، تهران، ۱۳۵۰ (اشارات بنیاد فرسنگ ایران ۱۱۰، مابع تاریخ و جغرافیای ایران ۳۸).

³ თხზულების და მისი ხელნაწერების შესახებ, გარდა ასლარ მონთაზერ საპებისა და ი. შოქრის შესავალი წერილებისა, რომლებიც წამოღებულნი აქვთ მათ გამოცემებს, იხ. ავტორი: Ч. А. Стор и, Персидская литература, био-библиографический обзор, Перевел с английско-го, переработал и дополнил Ю. Э. Брегель, ч. 11, М., 1972, გვ. 858—859;

فهرست نسخه‌های خطی فارسی، جلد ششم نگارنده احمد منزوی، تهران، ۱۳۵۳، ص ۴۳۵۴—۴۳۵۵

(ა. მონზავი აქ ასახელებს თხზულების 8 ხელნაწერს).

⁴ თხზულების ორივე გამოცემა მოგვაწოდა ისტ. მეცნ. კანდ. გ. ბერაძემ.

⁵ I.-L., B acque-G rammont et Ch. Adle, Notez sur les Safavides et la Geographie, 1521—1524 (Etudes Turco-Safavides, VIII), Studia iranica, т. 9, fasc., 2, Leiden, 1980, გვ. 211—231.

თხზულების შესავალ ნაწილში (სადაც გაშუქებულია არღებილელ შეიხთა ისტორია) მოტანილი საინტერესო ვარიანტს ცნობილი გადმოცემისა ქართველთა მიერ სეფიანთა ერთ-ერთ წინაპარზე თავდასხმის შესახებ (ფრანგ მკვლევართან ეს გადმოცემა არ არის ნახსენები). აღნიშნული ცნობა, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, მთელი რიგი დეტალებით განსხვავდება გადმოცემის იმ ვერსიებისაგან, რომლებსაც ვხვდებით სხვა სპარსელ ისტორიკოსებთან (იბნ ალ-ბა-ზაჰის „საფვათ ას-საფა“, ხონდემირის „ჰაბიბ ას-სიჰარ“, ზეინ ალ-აბედინ ალის „თაქმილათ ალ-ახბარ“, ყაზი აჰმედ ლაფარი ყაზვინის „ნოსას-ე-ე ჯაჰანარა“, ისქანდერ მუნშის „თარიხ-ე ალამარაი-ე აბასი“, ჰოსეინ აბდულ ზაჰედის „სილსილათ ან-ნასაბ-ე სეფევიე“). ხსენებულ ავტორებთან ძირითადად ერთნაირადაა წარმოდგენილი ეს ამბავი. კერძოდ, შემდეგნაირად: ქართველებს დაუბრევიათ ქალაქი არღებილი და დაუწყიათ ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის აწიოკება. შეიხი ყოთბ ელ-დინ აჰმედი თავის ოჯახის წევრებთან და მიმდევრებთან ერთად დამალულა. მოგვიანებით იგი სამალავიდან გამოსულა, რათა ენახა ვინ გადარჩა და ვინ დაიღუპა მისი მიმდევრებიდან. სწორედ ამ დროს ქართველები თურმე თავს დაესხნენ შეიხს და მძიმე ჭრილობა მიაყენეს. მაგრამ მკურნალობის შემდეგ ყოთბ ელ-დინი გამოჯანსაღდა. მის შემდეგ შეიხი გახდა მისი ვაჟი — ამინ ელ-დინ ჯებრაილი, ხოლო ამ უკანასკნელის მემკვიდრე იყო შეიხ სეფი ელ-დინ ისჰაკი⁶. იგი პაპის სიცოცხლეშივე დაიბადა და მოგვიანებით იხსენებდა: როდესაც ყოთბ ელ-დინი მხარზე შემისვამდა, მასსოცს ოთხ თითს ჩავყოფდი ხოლმე იმ ნაიარევეში, რომელიც მას ქართველთა ხმალმა დაუტოვა კისერზე⁷.

ზოგიერთ წყაროში შეიხი სეფი ელ-დინ ისჰაკი ზემოხსენებული ყოთბ ელ-დინ აჰმადის შვილიშვილად იხსენიება, ზოგან კი მის შვილთაშვილად⁸. სწორედ ამ უკანასკნელ ვარიანტს შეესაბამება „ალამარაი-ე შაჰ ისმაილ“-ში წარმოდგენილი გენეალოგია, სადაც მოცემულია არღებილელ შეიხთა შემდეგი თანმიმდევრობა: სალაჰ ელ-დინ რაშიდი—ყოთბ ელ-დინ აჰმედი—სეიდ სალა-

⁶ სუფიურ-დერვიშული ორდენის დამაარსებელი (1252/53—1334) (დაწერ. თ. ნ. ვ. პიგულევსკაია, ა. ი. იაკუბოვსკი, ი. პ. პეტრუშევსკი, ლ. ვ. სტროევა, ა. მ. ბელნიცკი, *История Ирана с древнейших времен до конца XVIII века*, Л., 1958, გვ. 252; ი. პ. პეტრუშევსკი, *Государства Азербайджана в XV в. Сборник статей по истории Азербайджана*, 1949, გვ. 205; ო. ა. აფენდიევი, *Образование азербайджанского государства Сефевидов в начале XVI века*, Баку, 1961, გვ. 60—61.

جلد چهارم از مجلدات تاریخ حبیب السبارة فی اخبار افراد بشر تا لیف غیاث الدین بن سمام الدین السینی المدعو به خواندامیر، تهران، 1955، 411—413. 1955؛ جهان آراء، مواف قاضی احمد غفاری قزوینی، تهران، 1964، 259. 1964؛ فخرالدین موسوی اردبیلی نجفی، تاریخ اردبیل دانشمندان، جلد 1، نجف 1347، 275—276. 1964. Ghulam Sarwar. *History of Shah Ismail Safawi*, Aligarh, 1939, 18—19; ო. ა. აფენდიევი, *Образование азербайджанского государства Сефевидов*, გვ. 61. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 11; თ. ნატროშვილი, *მეზოციტ მდრბიბადე*, თბ., 1974, გვ. 130.

⁸ G. Sarwar, *History of Shah Ismail Safawi*, გვ. 17—19; ო. ა. აფენდიევი, *Образование азербайджанского государства Сефевидов*, გვ. 61.

პი — ამინ ედ-დინ ჯებრაილი — სეფი ედ-დინ ისპაყი და ა. შ. მაგრამ საყურადღებო ამ შემთხვევაში ისაა, რომ ჩვენ მიერ განხილულ წყაროში სხენებულ ამავე დაკავშირებულა არა შეიხ ყოთბ ედ-დინ აჰმედის სახელთან (როგორც ეს ყველა სხვა წყაროშია აღნიშნული), არამედ მისი ვაჟის — სეიდ სალექის პიროვნებასთან. გარდა ამისა, ანონიმის ისტორიკოსის თხზულება შეიცავს სხვა საინტერესო და განსხვავებულ დეტალებსაც. მაგალითად, ამ ვერსიის თანახმად, ქართველთა მიერ მიყენებული ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა არღებილელი შეიხისათვის და იგი გარდაიცვალა. სხვა წყაროთა მიხედვით კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაჭრილი შეიხი მალე გამოჯანსაღდა და შვილიშვილსაც მოეწრო, რომელსაც ბაბის ნაიარევი ახსოვდა.

ქვემოთ მოცემულია „ლაშარაი-ე შაჰ ისმაილ“-ში არღებობზე ქართველთა თავდასხმის შესახებ დაცული ცნობის ქართული თარგმანი, რომელიც შესრულებულია ასლარ მონთაზერ საჰების გამოცემის მიხედვით. ი. შოქრის მიერ გამოცემულ ტექსტში არღებული განსხვავებანი მითითებული გვაქვს შენიშვნებში.

„ამბობენ, რომ სალაჰ ედ-დინ პატიოსანი, დეთისმოშიში და განათლებული კაცი იყო. რაც კი ქონება და ავლა-დიდება ჰქონდა, მუსლიმანებს უწყალობა თავად კი ღერევიშის სამოსი ჩაიცვა, სოფელ ქელზურანისკენ⁹ წაყიდა და იქ დასახლდა. მას ერთი ვაჟი შეეძინა. რომელსაც ყოთბ ედ-დინ მუსა¹⁰ დაარქვა. სეიდ სალაჰ ედ-დინი წარმავალ სამყაროს გამოეხალმა, თავისი ადგილი კი სეიდ ყოთბ ედ-დინს დაუტოვა და იგი თავის მემკვიდრედ გახადა. მას (ყოთბ ედ-დინს: — **ნ. გ.**) ეყოლა (ვაჟი, სახელად) სეიდ სალექი.

სეიდ სალექი სოფელ ქელზურანიდან გაემგზავრა და არღებობში ჩავიდა. ჩასვლის მიზეზი ის იყო, რომ სეიდ სალექის ამბავმა ქართლში — ქრისტიანთა მეფემდე მიადგია. იქ (იმ დროს) სიმონ ხანის¹¹ პაპა — ბაგრატ-ხანი¹² მეფობდა. (ამბავი იმას ეხებოდა), რომ სეიდ სალექს ქრისტიანთა უმრავლესობა მისი უმაღლესობის — მუჰამედის ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე გადაჰყავდა. ამის გამო (ქართველთა) მეფე სეიდ სალექისა და მისი მიმდევრების მოკვლის მიზნით, 12 ათასი ურწმუნოს თანხლებით სოფელ ქელზურანისკენ გაემართა. ეს ამბავი სეიდ სალექმა შეიტყო. იგი 10 ათასი კაცით¹³: თავისი მიმდევრებით, ქალებითა და შვილებით არღებობისაკენ გაემშურა. თავისი მიმდევრები (მან) არღებობის მცხოვრებთა სახლებში გადააძალა. ერთი თვის შემდეგ ბაგრატ-ხანი ზემოხსენებულ სოფელში შევიდა. როდესაც ხალხს ამბავი ჰკითხა, მათ უპასუხეს: („სეიდ სალექმა) თქვენი წამოსვლის ამბავი რომ შეიტყო, არღებობის მხარეს გაიქცაო“.

⁹ ტექსტში **كلخوران** ი. შოქრის გამოცემაში კი **کی خاران** და **ده خاران** (გვ. 7—8).

¹⁰ ი. შოქრის გამოცემაში შეიხი მოხსენიება, როგორც ყოთბ ედ-დინი, სახელ „მუსა“-ს აღნიშვნის გარეშე. რაც შეეხება სხვა წყაროებს, ამ შეიხის სახელი ყველგან არის ყოთბ ედ-დინ აჰმედო.

¹¹ ი. შოქრის გამოცემაში სიმონ-ხანის ნაცვლად მოხსენიებულია **كايون خان** (გვ. 7).

¹² ბაგრატ-ხანი დასახლებულია აგრეთვე გაღმომცემის იმ ვარიანტში, რომელიც მოცემულია მეორე ანონიმი ავტორის „თარიხ-ე შაჰ ისმაილ სეფევი“-ში (იხ. ლ. სარვარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 19).

¹³ ი. შოქრის გამოცემაში: **هزار خازه** — ათასი ოჯახი (გვ. 7).

ზემოსხენებული ხანიც არღებილსაკენ გაემართა და არღებილში დიდი ზოცვა-ჟტელა გაანაღა¹⁴. მუსლიმებიდან ვინც კი ნახა, ყველა დაზოცა. (ბაგრატ-ხანი) სამ დღე-ღამეს დარჩა არღებილში, არბედა და აოხრებდა იქაურობას. მეოთხე დღეს ქალაქიდან გავიდა და ქალაქის გარეუბანში შეჩერდა. სეიდ სალექს აზრად მოუვიდა, რომ თავის ადგილსამყოფელიდან გამოსულიყო და დაეთვალიერებინა, მისი მიმღევრებიდან ვინ დაიხოცა. როგორც კი გარეთ გამოვიდა, მის უეტრად ერთი შეიარაღებული ქართველი შემოხვდა. (ქართველმა) დაინახა თუ არა იგი, მიუახლოვდა მას, შუბი დაუმიზნა და ჭრილობა მიაყენა. თვითონ კი უკან გაბრუნდა. სწორედ იმ დროს სეიდ სალექსის მიმღევართაგან ერთმა ქალმა, რომელიც სახლის სახურავზე იყო, დაინახა თუ როგორ აძკერა შუბი ქართველმა სეიდს და როგორ დაავღო იგი. ქალმა სახლის სახურავიდან აგურის ნატეხი აიღო და ქართველს ისეთი ძალით დაარტყა, რომ ტვინი გაანთხევიანა. (ამის შემდეგ) ქალი ქმართან წავიდა, უამბო (ყველაფერი) და გაგზავნა იგი, რათა სეიდი აეყვანა და სახლში შემოეყვანა. როდესაც ეს ამბავი სეიდის მიმღევრებმა გაიგეს, ყველანი მოვიდნენ; სეიდს ჭრილობა შეუხვიეს. იმ გამგებელმა სამ დღეს იცოცხლა. მანაც თავისი ადგილი ვაჟიშვილს — სეიდ ჯებრაილს გადასცა; იგი წინამძღოლობის ტახტზე დასვა, დარიგებანი ყურში ჩასწურწურულა და გარდაიცვალა¹⁵.

რაც შეეხება მომდევნო და გაცილებით უფრო მნიშვნელოვან ცნობას საქართველოს შესახებ, ესაა დივ-სულთან რუმლუს 1521 წლის ლაშქრობა. სპარსელი ისტორიკოსი აღწერს ამ შემთხვევასთან დაკავშირებულ მეტად საინტერესო დეტალებს, როგორც სხვა წყაროებში არ გვხვდება. კერძოდ, თხზულებაში ვრცელადაა მოთხრობილი ქართველ მეფე-მთავართა ბრძოლაზე საერთო მტრის წინააღმდეგ: მათ ურთიერთკავშირზე, თითოეული მათგანის პოლიტიკაზე სეფიანთა მბრძანებელთან. განსაკუთრებით საყურადღებოა თხზულების ის ნაწილი, რომელიც პირადად შაჰ ისმაილის კახეთში შემოჭრას ეხება.

ამჟამად ჩვენს ისტორიოგრაფიაში სპარსულენოვანი ისტორიკოსთა (ზონდემირი, ბუდაყ ყაზვინი, შერეფ-ხან ბითლისი, ზეინ ალ-აბედინ ალი, ჰასან რუმლუ) ცნობების საფუძველზე დამკვიდრდა შეხედულება, რომ შაჰ ისმაილი პირადად არასოდეს ყოფილა საქართველოში¹⁶. ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სპარსულ წყაროთა ავტორებს ერთმანეთში არეული უნდა ჰქონდეთ სხვადასხვა ლაშქრობანი, კერძოდ, 1516—18 და 1521—22 წლების შემოსევები, რაც ნათლად ვლინდება მათი თხრობიდან. ამ მხრივ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ჰასან რუმლუს თხზულება, რომლის საშუალებითაც ხერხდება აღნიშნულ ლაშქრობათა თანმიმდევრობისა და მიზეზების შედარებით

¹⁴ XIII საუკუნის დამდევს არღებულზე ქართველთა თავდასხმისა და ქრონოლოგიის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. რ. კიკნაძის აზრით, ეს მოხდა 601 წლის შავლის თვეში (1205 წლის 2 მაისს), ქ. არღებლის გამგებლის შიერ ანისის აოხრების საპასუხოდ (დაწერ. ამ მოვლენათა შესახებ იხ. რ. კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და ზმანი შარავანდეღიანი“, თბ., 1975, გვ. 121—129; P. K. Kiknadze, Очерки по источниковедению истории Грузии, Парсадан Горджианидзе и «Картлис Цховреба», Тб., 1980, გვ. 141—147.

¹⁵ აღამარაიე შაჰ ისმაილ, გვ. 5—7.

¹⁶ დაწერ. იხ. დ. კაციაძე, ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თსუ შრომები, ტ. 108, 1964, გვ. 385; ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 54—55, შენიშვნა 45; ქ. კობახიძე, შერეფ-ხან ბითლისის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 163; საქართველოს ისტორიის ნარკვევები IV, თბ., 1973, გვ. 101—102.

მწყობრი სურათის აღდგენა¹⁷. მისი გადმოცემით, ყიზილბაშთა 1521 წლის შემოსევა გამოწვეული იყო კახეთის მეფის ლევანის შაქზე თავდასხმითა და შაქის გამგებლის — ჰოსენ-ბეგის მიერ შაჰ ისმაილისათვის დახმარების თხოვნით. ირანის ლაშქრის საქართველოში შემოჭრის შემდეგ, ლევან მეფე მიხვდა, რომ ძლიერ მეტოქეს ვერ გაუძლავდებოდა, ამიტომ გადაწყვიტა მორჩილება გამოეცხადებინა შაჰისათვის და დივ-სულთანს პატიება სთხოვა ჩადენილი ურჩობისათვის. „ამის გამო დივ-სულთანი იქიდან გაბრუნდა და ქვეყნის საფარველის კარზე მივიდა“¹⁸. მაგრამ კახეთის მეფის მორჩილება მოჩვენებითი აღმოჩნდა; ჰასან რუმლუ ჰიჯრის 930 წლის (1523/24 წ.) ამბების თხრობისას აღნიშნავს, რომ „ლევანმა შაქზე გაილაშქრა, გამარჯვება მოიპოვა და გრემს დაბრუნდა“¹⁹.

მოკლედ შევეხებით სხვა სპარსულ წყაროთა ცნობებს დივ-სულთანის საქართველოში ლაშქრობასთან დაკავშირებით; ხონდემირის გადმოცემით, დივ-სულთანი შაჰმა საქართველოში გაგზავნა საღვთო ომისათვის. როდესაც ამის შესახებ საქართველოს მეფე-მთავრებმა გაიგეს, „ყვარყვარე, დაუდ-ბეგი, ლევან-ბეგი და მანუჩარ-ბეგი იძულებულნი გახდნენ დივ-სულთანის წინაშე სამსახურად აჩქარებულყვენ და მორჩილება და ერთგულება გამოეცხადებინათ მისთვის“²⁰. როდესაც შაჰმა ეს ამბავი შეიტყო (იგი ამ დროს ნახიქევანში იმყოფებოდა), ხსენებულ ქართველ მეფეთა მიმართ დიდი წყალობა გაიღო: საჩუქრებითა და საპატიო ხალაულებით შეამკო ისინი, მათ სამფლობელოებზე მბრძანებლობის ფირმანები უბოძა და თავიანთ სამშობლოში გაისტუმრა. მაგრამ ასეთ წყალობასთან ერთად, შაჰმა ქართველ მეფეებს, „ბაჯო ხარაჯ“-ის²¹ გადახდაც დააკისრა, რაზეც ქართველი მეფეები დაყაბულდნენ²².

ხონდემირის მსგავსად მოგვითხრობენ ხსენებულ ამბავს ბუდაყ ყაზვინი, შერეფ-ხან ბითლისი და ზეინ აღ-აბედინ ალი²³. აქვე უნდა აღინიშნოს რომ ზემოხსენებულ წყაროებში, ქართველ მეფე-მთავართა ჩამოთვლისას, რომელთაც მორჩილება აღუთქვეს შაჰ ისმაილს, მხოლოდ ხონდემირთანაა ნახსენები სამცხის ათაბაგი მანუჩარი.

ჩვენ ხელთაა კიდევ ერთი სპარსული წყარო, რომელიც აქამდე არ ყოფილა ჯეროვანი სისრულით გამოყენებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. ესაა ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ანონიმი სპარსელი ავტორის მიერ შედგენილი შაჰ ისმაილის ცხოვრების ქრონიკა, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში პირობითად ეწოდება „თარხ-ე შაჰ ისმაილ სეფევი“ (შაჰ ისმაილ სეფიანის ისტორია)²⁴. თხზულება იწყება ისმაილის წინაპართა ცხოვრების აღწერით,

¹⁷ ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, შენიშვნა 45, გვ. 55.

¹⁸ იქვე, შენიშვნა 24, გვ. 55.

¹⁹ იქვე.

²⁰ ხონდემირი, ჰაბიბ ას-სიძარ, დასახ. გამოც., ტ. IV, გვ. 571.

²¹ „ბაჯო ხარაჯ“-ის შესახებ დაწერ. იხ. ვ. გაბაშვილი, სათათრო გამოსაღებელი გვიანდელი საქართველოში, „მომთხილველი“, III, თბ., 1953, გვ. 150—160.

²² ხონდემირი, ჰაბიბ ას-სიძარ, ტ. IV, გვ. 576.

²³ დ. კაციტაძე, ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 288—289; კ. ტაბატაძე, შერეფ-ხან ბითლისის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 163; Шарафхан Ибн Шамсаддин Бидлиси, Шараф-наме, т. II. Перевод, предисловие, примечания и приложения Е. И. Васильевой, М., 1976, гв. 168; О. А. Эфендиев, Обзорование азербайджанского государства Сефевидов, гв. 163.

²⁴ Chronique anonyme de Shah Ismail, Londrez, British Lilbrary, ms. Or. 3248.

შემდეგ გაშუქებულია თვით შაჰ ისმაილ I-ის ზეობის ხანა (ამ პერიოდის მოვლენები გადმოცემულია მკაცრი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით 1524 წლის ჩათვლით) და სრულდება შაჰ თამაზ I-ის (1524—1576) ირანის სამეფო ტახტზე ასვლით²⁵. ნაშრომის ის ნაწილი, სადაც მოთხრობილია დივ-სულთანის 1521 წლის ლაშქრობა საქართველოში, გამოქვეყნებულია ე.-ლ. ბაკე-გრამონისა და შ. ადლის მიერ²⁶. „თარიხ-ე შაჰ ისმაილ სეფევი“-ს ეს მონაკვეთი ტექსტობრივად თითქმის მთლიანად ემთხვევა ხონდემირის „ჰაბიბ ას-სიჰარ“-ის შესაბამის ნაწილს იმ განსხვავებით, რომ ანონიმურ ქრონიკაში აღნიშნულია დივ-სულთანის საქართველოში შემოჭრის მიზეზი, კერძოდ ის, რომ: „ლევან-ხანმა, საქართველოს კახეთის მმართველმა, თავი გაითავისუფლა მორჩილების ყელსაბამიდან და ურწმუნოს მრავალრიცხოვანი რაზმი შაჰის ვილაიეთის ასაოხრებლად გაგზავნა“²⁷. შაჰის მმართველმა ჰასან-ბეგმა დახმარებისათვის შაჰ ისმაილს მიმართა, რასაც შედეგად მოჰყვა ყიზილბაშთა ლაშქრობა საქართველოში. მორჩილებისათვის დივ-სულთანთან გამოცხადებულ მეფემთავართა ჩამოთვლისას, ანონიმი ავტორი, ხონდემირის მსგავსად, ასახელებს: ლევანს, მანუჩარს, დავითსა და ყვარყვარეს²⁸.

ცნობილია, რომ ხონდემირმა თავისი ნაშრომი დაასრულა ჰიჯრის 930 წელს (1524 წ.), შაჰ ისმაილის სიკვდილამდე ერთი თვით ადრე. ხოლო ანონიმური თხზულება შედგენილია შაჰ თამაზის ზეობის ხანაში; ტექსტში მითითებული თარიღის — ჰიჯრის 947 წლის (1540 წ.) მიხედვით, როდესაც გარდაიცვალა თემურიანი მოჰამედ ზამან-მირზა, მიღებულია ვერსია, რომ თხზულება დასრულდა 1540 წლის შემდეგ. მეორე მხრივ, დამტკიცებულია, რომ სხენებული ანონიმური ნაშრომი გამოიყენა ხონდემირის ვაჟმა — მუჰამედმა თავის ისტორიულ ქრონიკაში, რომლის შედგენა მან დაიწყო ჰიჯრის 955 წელს (1548 წ.)²⁹. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ანონიმ ისტორიკოსს ხონდემირის თხზულებით უსარგებლია. ამასთანავე ჩ. რიო და დ. როსი, რომელთაც ანონიმური ქრონიკის ცალკეული ნაწილები შეისწავლეს, ამ ორი წყაროს ურთიერთმედარებისას, უბირატესობას ანონიმურ თხზულებას ანიჭებდნენ. მათ აღნიშნული აქვთ, რომ ტექსტობრივი დამთხვევის მიუხედავად, ანონიმ ისტორიკოსს მოცემული აქვს დამატებითი საინტერესო დეტალები ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მას სხვა ინფორმაციის წყაროც გააჩნდა³⁰.

²⁵ დაწვრილებით ამ თხზულების შესახებ იხ. Ч. А. Стори, Персидская литература, био-библиографический обзор, ч. II, М., 1972, გვ. 854—855; О. А. Эфендиев, Азербайджанское государство Сефевидов, Баку, გვ. 12; Ch. Rieu, Supplement to the catalogue of the Persian Manuscripts in the British Museum, London, 1895, გვ. 34; D. Ross, The early years of Shah Ismail, Founder of the Safawiy Dynasty, IRAS, 1896, vol., 29, გვ. 249—340.

²⁶ ე.-ლ. ბაკე-გრამონი, ბ. ადლი, დასახ. გამოც., გვ. 215.

²⁷ იქვე.

²⁸ იქვე.

²⁹ Ч. А. Стори, Персидская литература, био-библиографический обзор, ч. II, გვ. 855; О. А. Эфендиев, Сравнительный анализ анонимной хроники «Тарих-и шах Исмаил Сефевии» и «Хабиб ас-сийар» Хондемира, Бартольдские чтения, 1981, Тезисы, გვ. 93—94.

³⁰ Ch. Rieu, Supplement to the catalogue of the Persian Manuscripts, გვ. 34; D. Ross, The early years of Shah Ismail, გვ. 338—340.

ზემოთ დასახელებული სპარსული წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ დივ-სულთანის 1521 წლის ლაშქრობის დროს თვით შაჰ ისმაილი საქართველოში არ შემოსულა; იგი მხოლოდ ნახიჭევანამდე მოვიდა, აღმოსავლეთ საქართველოში კი თავისი სარდალი გამოგზავნა. ამ საკითხთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსხვავებული ვერსიია მოცემული „ალამარაი-ე შაჰ ისმაილ“-ში.

ვიდრე უშუალოდ მასში დაცულ ცნობებს განვიხილავდეთ, მოკლედ შეეხებით ქართულ წყაროთა მონაცემებს.

როგორც ცნობილია, ქართულ წყაროებში მოხსენიებულია დივ-სულთანის ორი ლაშქრობა საქართველოში: 1518 და 1522 წლებში. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მცირე განსხვავებათა მიუხედავად, ისინი ძირითადად ერთნაირად აღწერენ ამ შემოსევებს. როგორც დ. კაციტაძე აღნიშნავს, ქართულ წყაროებს (ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“, ანონიმის „ახალი ქართლის ცხოვრების“ III ტექსტი, ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“)³¹, ხსენებული ლაშქრობის აღწერისას, სპარსული ქრონიკები ხელთ არ უნდა ჰქონოდათ. რაც შეეხება მათში დაცულ ცნობათა მსგავსებას, ამის სათავე ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა კომისიის“ ნაშრომშია საძიებელი³². ვახუშტი ბაგრატიონმა მკაცრად გააკრიტიკა „სწავლულ კაცთა“ ნაშრომი. მიუხედავად ამისა, თავისი თხზულების შედგენისას, იგი უხვად სარგებლობდა მათი ცნობებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შაჰ ისმაილის თბილისში შემოჭრის აღწერისას (რასაც ერთხმად აღიარებენ ქართული წყაროები), ვახუშტი ეჭვს გამოთქვამდა ამ ფაქტის რეალობაზე; იგი აღნიშნავდა: „მე ვგონებ დევალს უმეტეს ჭეშმარიტს, ვინაიდგან შაჰ ისმაილ ხონთქრის ბრძოლის³³ უკან აღარ ლაშქრობდა“³⁴. მართლაც, 1514 წელს ჩალდირანთან მარცხის შემდეგ ისმაილი, ჩვეულებრივ, თავის სარდლებს აგზავნიდა ხოლმე შინაური თუ გარეუმი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

რაც შეეხება უშუალოდ „ალამარაი-ე შაჰ ისმაილ“-ს, უნდა აღინიშნოს, რომ მასში წარმოდგენილი მასალა ყიზილბაშთა საქართველოში ლაშქრობის შესახებ, არ იძლევა იმის საფუძველს, რომ სარწმუნოდ აღვადგინოთ სინამდვილე და ჩვენთვის საინტერესო მოვლენათა ქრონოლოგია. ამიტომ ნაადრევად მიგვაჩნია საერთო დასკვნების გამოტანა. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თხზულება საყურადღებოა, როგორც აქამდე უცნობი სპარსული წყარო, სადაც დაცულია ცნობები პირადად შაჰ ისმაილის საქართველოში შემოჭრის შესახებ.

ამჯერად ვკმაყოფილდებით ხსენებული თხზულებიდან ყიზილბაშთა საქართველოში ლაშქრობის შემცველი ნაწილის თარგმანითა და მცირეოდენი შენიშვნებით. ამ მონაკვეთის თარგმანიც ასლარ მონთეზერ სა-

³¹ ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 356; ახალი ქართლის ცხოვრება, ტექსტი III, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 495; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 395, 397.

³² დ. კაციტაძე, ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 387, 390.

³³ ივლისხმება შაჰ ისმაილის დამარცხება ოსმალეთის სულთან სელიმ I-ის მიერ 1514 წლის აგვისტოს ჩალდირანთან ბრძოლაში.

³⁴ ვახუშტი, გვ. 397.

ჰების მიერ გამოცემულ ტექსტს ეყრდნობა. ი. შოქრის გამოცემაში არსებული ტექსტობრივი განსხვავებანი მითითებულია შენიშვნებში.

„ყარაბაღის მხრიდან ამბავი მოვიდა, რომ მანუჩარ-ხანი³⁵ და ლევან-ხანი³⁶, ბაში-აჩუკის³⁷, ქართლის, ზაგემისა და კახეთის მეფეები³⁸ გავრთიანდნენ და ყარაბაღში მივიდნენ: ააოხრეს და გაძარცვეს, რითაც იმ ვილაიეთს დიდი ზიანი მიყენეს. (შემდეგ) მათ არღებლის მხარეს მოისურვეს წასვლა, მაგრამ როგორც კი გაიგეს, რომ ძღვევამოსილი დროშები ხორასნიდან დაბრუნდნენ და დედაქალაქ ყაზვინში ინებეს შეჩერება, ისინი იმ ადგილიდან გამოეშურნენ და თავიანთ ვილაიეთში დაბრუნდნენ.

როდესაც მისმა უდიდებულესობამ ალაჰის ჩრდილმა³⁹ ეს ამბავი შეიტყო, დიე-სულთანს 15 ათასი მეომრით საქართველოს ვილაიეთში გაგზავნა. თვითონ აჰყარა თავისი ბანაკი მთელი ქონებითა და ავლა-დიდებით, ადგილიდან დაძვრა ბრძანა და შირვანის მხარეს გაემართნენ.

როგორც კი დიე-სულთანმა სპა შეკრიბა და გაემგზავრა, მისი წამოსვლის ამბავმა ქართლში მანუჩარ-ხანთან⁴⁰ მიალწია. მან კაცი გაუგზავნა ლევან-ხანსა და ყვარყვარე-ხანს⁴¹ დიე-სულთანის მოსვლის შესატყობინებლად. მთაც ლაშქარი შეკრიბეს და მანუჩარ-ხანის დასახმარებლად გაემართნენ. როდესაც ერთ ადგილას შეკრებილი ეს სამი მეფე იჯდა და დიე-სულთანის მოსვლის შესახებ საუბრობდნენ, ლევან-ხანმა გაგულისებით თქვა: „დიე-სულთანს მე ბრძოლის ველზე გამოვიწყევ და ამ 20 მანთან⁴² კვერთხს, რომელიც ვერცხლი-

³⁵ მანუჩარი — ყვარყვარე II-ის VI ვაჟი და ყვარყვარე III-ის ბიძა. იგი ტახტის მამიებელი იყო და ყვარყვარეს სამცხის ათაბაგად გახლომისთანავე აუჩანყდა მას 1516 წ. (დაწერ. იხ. ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, თბ., 1961, გვ. 99—101, 134—138) ყვარყვარე II-მ დახმარებისათვის ირანის შაჰს მიმართა. ამ უკანასკნელმა არ დააყოვნა და იმავე 1516 წელს თავისი სარდალი დიე-სულთან რუმულუ გაგზავნა საათაბაგოში, სადაც იგი მანუჩარს უწინა და შებრძოლებოდა. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა თმოგვის ციხესთან; სპარსელებმა გაიმარჯვეს და ათაბაგობა ყვარყვარეს დაუმტკიცეს (პასან რუმულუს ცნობები საქართველოს შესახებ გვ. 20 — 21). მანუჩარმა ოსმალეთს მიაშურა დახმარების სათხოვნელად. 1518 წელს იგი სამცხეში დაბრუნდა ოსმალთა ჯარის თანხლებით, მაგრამ ყვარყვარემ სასტიკი მარცხი აგება მათ. ჭამრიგად მანუჩარის ცლა, ხელთ ეგდო სამცხის ათაბაგობა, მარცხით დასრულდა.

³⁶ ლევან-ხანი — ტექსტში **الوند خان** (ალვანდ-ხანი). სქოლიოში გამოცემულს აღნიშნული აქვს, რომ ეს იგივეა, რაც **لوندخان** (ლევანდ-ხანი). იფლუსისხემა კახეთის მეფე ლევან I (1518—1574) გიორგის (ავგიორგის) ძე. მის გამეფებამდე 1513—1518 წლებში ქართლ-კახეთი ერთიან სამეფოს წარმოადგენდა ქართლის მეფის დავითის მეთაურობით. ლევანის გამეფებით კი ქართლ-კახეთის პოლიტიკურ ერთიანობას ბოლო მოეღო (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 97—98).

³⁷ ბაში-აჩუკის ანუ იმერეთის მეფე იმ დროს იყო ბაგრატ III (1510—1565). როგორც ჩანს, ანონიმი ავტორი შეცდომას უშვებს, ვინაიდან არც ერთი წყაროთ არ დაასტურდება ბაგრატ III-ის მონაწილეობა დიე-სულთანის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში.

³⁸ ი. შოქრის გამოცემაში მანუჩართან და ლევანთან ერთად ამ ადგილას მოხსენიებულია აგრეთვე ყვარყვარე (ი. შოქრის გამოცემა, გვ. 582).

³⁹ იფლუსისხემა შაჰ ისმაილ I (1501—1524).

⁴⁰ ტექსტის მიხედვით გამოდის, რომ მანუჩარი იყო ქართლის მეფე. მაგრამ, როგორც ცნობილია, აღებულ ხანაში ქართლში მეფობდა დავით X (1505—1525).

⁴¹ ყვარყვარე-ხანი — სამცხე-საათაბაგოს მთავარი ათაბაგი ყვარყვარე III (1516—1535). ათაბაგობა მან მიიღო თავისი ბიძის — შუქუბუქის გარდაცვალების შემდეგ.

⁴² მანი — წონის ერთეული, თავრიზული მანი დაახლოებით 3-კგ-ს უდრდა, შაჰური-ორჯერ შეტს.

საგან დავამზადებინე, კეფაში ისე ჩავცხებ, რომ მას თავის ცხენიანად მიწას-თან გავასწორებ“. ყვარყვარე-ხანმა განაცხადა: „თქვენ ნუ შეწუხდებით, დივ-სულთანის დამარცხება ჩემზე იყოს!“ მოკლედ, ბევრი ლაპარაკისა და მასლაათის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ დივ-სულთანის ბანაკს მოულოდნელად თავს დაესხმოდნენ და მიწასთან გაასწორებდნენ. დივ-სულთანის ჯაშუშმა, რომელიც ქართველთა ბანაკში იმყოფებოდა, ეს ამბები მოიტანა და თქვა: „საქართველოს მეფეები თავდასხმას აწყობენ და სამი დღის შემდეგ შემოგესვიან“.

ის იყო დივ-სულთანი და ყიზილბაშთა ლაშქარი სამოსელგახდილი მონასვენებლად მოეწყვიტა, რომ უეცრად ქართველთა ლაშქარი გამოჩნდა და ყიზილბაშებს თავს დაესხა. მათაც, დაახლოებით 10 ათასმა კაცმა⁴³, ქართველთა რაზმს გზა გადაუღობეს და ისინი შეაჩერეს. (ამასობაში) დივ-სულთანმა და მისმა მეომრებმა იარაღი აისხეს, ქართველთა ჯარს ეძგერნენ და ნაწილი დახოცეს. შუა ბრძოლის დროს (დივ-სულთანი) მანუჩარს შეეფეთა, ისიც იძულებული გახდა შეჩერებულყო. დივ-სულთანმა ხმლის ერთი დაკვრით იგი ცხენიდან გადმოაგდო, გაკოჭა და ერთ-ერთ ყიზილბაშს ჩააბარა. ამ დროს ბრძოლა-ბრძოლით გამოჩნდა ლევან-ხანი, რომელსაც ხელში ისეთი კვერთხი ეკავა, რომ ვისაც კი დაარტყამდა, თავს უხეთქავდა. ლევან-ხანმა კვერთხი დივ-სულთნისაკენ მიმართა, მაგრამ დივ-სულთანი წინ გადმოიხარა, მკლავი დაუჭირა და კვერთხი ხელიდან ძალით გამოგლიჯა. შემდეგ (მან) დააპირა ლევან-ხანისათვის ხმალი ჩაერთყა თავში, მაგრამ ლევან-ხანი გვერდზე გადაიხარა და ხმალი ცხენს მოხვდა. ცხენი და ლევან-ხანი მიწაზე გაგორდნენ. ქართველები შეტევაზე გადავიდნენ და ლევან-ხანი დროზე გაიყვანეს ბრძოლის ველიდან. ქართველებმა მარცხი იწყვიტეს; ორი ათასი ქართველი დაიღუპა, ლევან-ხანი და ყვარყვარე-ხანი, თავიანთი გადარჩენილი ლაშქრით, რის ვაი-ვაგლაბით, გაიქცნენ.

რაც შეეხება დივ-სულთანს, იგი გამარჯვებული და ძლევაგამოსილი დაბრუნდა ბანაკში. მაშინვე დაწერა წერილი მანუჩარ-ხანის შეპყრობის, ლევან-ხანისა და ყვარყვარე-ხანის გაქცევის შესახებ და გაგზავნა იგი დახოცილ ქართველთა გასისხლიანებული თავებითურთ მეცხრე ცამდე ამაღლებულ ზღურბლზე.

დივ-სულთანმა მანუჩარ-ხანი იხმო სასახლეში. როდესაც იგი მას წარუდგინეს, დივ-სულთანი ადგილიდან წამოდგა, მიესალმა და ბრძანა, რომ მისთვის ხელები გაეხსნათ. იგი ზემოთა სკამზე დასვა და თავად მოწიწებით მის წინ ფეხმორთხმით დაჯდა. მანუჩარ-ხანი დივ-სულთანის ზრდილობითა და თავზიანი მოპყრობით კმაყოფილი დარჩა და თავისთვის თქვა: „რა საოცრად კეთილშობილი ყოფილან ყიზილბაშები!“ საუბრის შემდეგ, რომელიც დივ-სულთანსა და მანუჩარ-ხანს შორის გაიმართა, მანუჩარ-ხანმა ალაპის ჩრდილის უწყმინდესი პიროვნება მოიკითხა. დივ-სულთანმა მცირე რამ მოუთხრო მისი უდიდებულესობის სანაქებო თვისებების შესახებ, რათა მანუჩარის ბედი ცოტათი მაინც ქეშმარიტ გზაზე დაეყენებინა. (მართლაც) მანუჩარ-ხანმა ურწმუნობას ისლამი ამკობინა⁴⁴. დივ-სულთანმა მის უდიდებულესობას ალაპის ჩრდილს წერილი მისწერა, (რომელიც) ყარაბაღში (შაჰის) მწყალობელმა მზერამ იხილა. მისმა უდიდებულესობამ ბრძანა, რომ დივ-სულთანს მანუჩარ-ხანი ქვეყნიერების საფარველ კარზე ეახლებინა.

⁴³ ი. შოქრის გამოცემაში — **دو هزار** ორი ათასი (გვ. 583).

⁴⁴ მანუჩარის გამუსლიმანება სხვა წყაროთა მონაცემებით არ დასტურდება.

როდესაც დივ-სულთანი, მანუჩარ-ხანის თანხლებით, სამეფო კარის ადგილსამყოფელში მივიდა, მათ პატივი ერგოთ მისი უდიდებულესობის ალაპის ჩრდილის ფეხზე მთხვევით გაბედნიერებულციყენენ. მისმა უდიდებულესობამ მანუჩარ-ხანს ხალათი, გვირგვინი და საბუთი უბოძა, თანაც ბრძანა: „მთელი საქართველოს ვალის თანამდებობა თქვენთვის მიბოძებია“. რამდენიმე დღის შემდეგ, რაც ალაპის ჩრდილმა მანუჩარ-ხანი გაათავისუფლა, (შაჰმა) ბრძანება გასცა შირვანისაკენ დაძვრის შესახებ. მანუჩარ-ხანი მას წარუდგა და მოახსენა: „დივ-სულთანის გამოშვება ინებეთ, რათა თქვენს მონასთან ერთად იგი საქართველოში წამოვიდეს, რადგან თქვენი მონა-მორჩილი ასეთ დროში საქართველოში მარტო წასვლას ვერ შეძლებს“. მისმა უდიდებულესობამ ალაპის ჩრდილმა დივ-სულთანი ლაშქრით, მანუჩარ-ხანთან ერთად, საქართველოსაკენ გაუშვა. რადგან ზამთარი ახლოვდებოდა, მან ყარაბაღში ყიშლადის გაშლა ბრძანა, შირვანში წასვლა კი გაზაფხულის დამდეგამდე გადასდო.

როდესაც დივ-სულთანი და მანუჩარ-ხანი თბილისის ვილაიეთში შევიდნენ და შეჩერება ბრძანეს, სწორედ იმ დროს ყვარყვარე-ხანი 20 ათასი მხედრითა და 18 ათასი ქვეითით თბილისს მიადგა. როდესაც ციხეს მიუახლოვდნენ, დივ-სულთანთან ამბავმა მოაღწია. მან ლაშქარი შეკრიბა და ციხიდან გამოვიდა. მათ შორის ცხარე ბრძოლა გაჩაღდა, რომლის დროსაც 7 ათასი ქართველი იქნა მოკლული. ყვარყვარე-ხანიც დაიჭრა, სადავეები შემოაბრუნა და დარჩენილი ლაშქრით თავისი ვილაიეთისაკენ გაემართა. დივ-სულთანი ერთი თვის გაჩერებული იყო თბილისში, როდესაც ამბავი მოუვიდა: „თქვენი ოჯახი, რომელიც ბალხში იყო, მოჰამედ-ხანმა, ალი შოქრ-ხანის ვაჟმა ქაბულში წაიყვანა. ბაბურ ფადიშაჰმა თქვენი ოჯახი გამოგზავნა და ყარაბაღში არიან ჩამოყვანილნი“. რადგან დივ-სულთანს თავისი ვაჟების ნახვა სურდა, იგი მანუჩარ-ხანს დაეთხოვა. როდესაც მის უდიდებულესობას ალაპის ჩრდილს ეახლა სამსახურად, მან ჰკითხა, თუ რა იყო მისი მოსვლის მიზეზი. დივ-სულთანმა თავისი მოსვლის მიზეზი მოახსენა და მისმა უდიდებულესობამ მას სახლში წასვლის ნება დართო.

როდესაც დივ-სულთანმა თბილისი დასტოვა და ყარაბაღის გზას დაადგა, ლევან-ხანმა მოისურვა, მოათბიბრებდის საბაბით, მანუჩარ-ხანი ხელთ ეგდო. ამიტომ კაცი გაუგზავნა მანუჩარ-ხანს (და შეუთვალა): „თქვენ გონიერი კაცი იყავით. რა მიზეზი იყო, რომ შეიხ-ოღლისთან⁴⁵ შეკარით კავშირი და მუსლიმანი გახდით? რაც არ უნდა მოხდეს, მე რწმენას არასოდეს შევიცვლი. უკიდურეს შემთხვევაში, ურიგო არ იქნებოდა, თუ ჩვენს თხოვნას შეიხ-ოღლისთან სამსახურის თაობაზე, თქვენ მას მისწერდით, რათა შეგვინდოს ჩვენი შეცოდებანი და ეს ვილაიეთი ჩვენ დაგვიტოვოს“. მანუჩარ-ხანმა უპასუხა: „თუ ლევან-ხანს სურს, რომ მისი თხოვნა მის უდიდებულესობას ალაპის ჩრდილს წარუვადგინო, საჭიროა რომ იგი აქ მოვიდეს, რათა ერთმანეთს შეეხვედეთ და თხოვნა თვითონ მომახსენოს“.

როდესაც მანუჩარ-ხანის პასუხი ლევან-ხანს მოუვიდა, მან ლაშქარი შეკრიბა და გაემგზავრა. თბილისის ციხეს რომ მიუახლოვდა, მას მანუჩარ-ხანი გამოეგება, პატივი დასდო და თავის ადგილსამყოფელში შეიყვანა. საუბრის შემდეგ, როდესაც შეკრებულთ საჭმელი მიართვეს, ლევან-ხანმა თავის ხალხს ნიშანი მისცა, რომ მანუჩარ-ხანს თავს დასხმოდნენ, შეებყროთ იგი და ხელე-

⁴⁵ იფულისხმება შაჰ ისმაილ I.

ბი შეეკრათ. ლევან-ხანს უნდოდა მანუჩარ-ხანი მოეკლა, მაგრამ მღვდლებმა უთხრეს: „თუ თქვენ მანუჩარ-ხანს მოკლავთ, შეიხ-ოღლი მთელი საქართველოს ვილაიეთის ამოწყვეტას ბრძანებს. ახლა უბრძანეთ, რომ იგი ზედამხედველობის ქვეშ ჰყავდეთ შებორკილი და დაპატიმრებული მანამ, სანამ მოსახდენი მოხდებოდეს (რადგან რაც მოსახდენია, მოხდება). მაშინ ლევან-ხანმა მანუჩარ-ხანს ბორკილები დაადო, ქართლის ვილაიეთს დაეპატრონა და თბილისის ციხეში ჩადგა.

როდესაც ამ ამბავმა უზენაეს სმენამდე მიაღწია, მისმა უდიდებულესობამ დივ-სულთანს უბრძანა; „ლევან-ხანი უნდა შეიპყრო და უმალეს ზღურბლზე მოიყვანო! ამასთან იცოდე, რომ მე, უდიდებულესობის მონაცვლე, შენს თავის მართლებას არ შევიცემ, (თუ იტყვი) გაიქცა, ან დარჩა“. დივ-სულთანი ფეხზე მთხვევით გაბედნიერდა, ლაშქარი შეკრიბა და თბილისისაკენ გაემართა. როდესაც ლევან-ხანმა დივ-სულთანის მოსვლის შესახებ შეიტყო, დივ-სულთანის მხრიდან მიყენებული ზიანისგან შეშინებულმა, გაქცევით უშველა თავს⁴⁶.

როდესაც დივ-სულთანი თბილისში შევიდა და ციხე ცარიელი დახვდა, ციხის უფროსი დანიშნა, მის უდიდებულესობას წერილი დაუწერა და გაუგზავნა. თვითონ, ლაშქრის თანხლებით, ლევანის კვლადკვალ გაემართა.

როდესაც ლევან-ხანმა ზაგემის⁴⁷ ვილაიეთს მიაღწია, თავისი და მანუჩარ-ხანის ოჯახის ქალები გაგზავნა ყარაღაჩის ციხეში. თვითონ ელბრუსისაკენ გაემართა და იმ მთაში დაიღობინა. დივ-სულთანიც, რომელიც მას კვლადკვალ მიჰყვებოდა, ელბრუსის მთის ძირს მიუახლოვდა და ჩამოხდა. ის იყო იერიში უნდა მიეტანათ, რომ ლევან-ხანმა კაცი გაუგზავნა დივ-სულთანს (და შეუთვალა): „საქართველოს ვილაიეთი თქვენ დაგიტოვეთ და ჩვენ მთაში ვპოვეთ თავშესაფარი. ჩვენგან სხვა რაღა გინდათ?“. დივ-სულთანმა უპასუხა: მანუჩარ-ხანი გვინდაო. როდესაც წარგზავნილმა პასუხი მოიტანა, ლევან-ხანმა მანუჩარ-ხანი დივ-სულთანს გაუგზავნა. ამის შემდეგ დივ-სულთანმა ბრძანა: ხანის ოჯახიც მიწაო. ერთი სიტყვით, ხანის ოჯახის წევრებიც მიუყვანეს და ჩააბარეს. დივ-სულთანმა მანუჩარ-ხანს უთხრა: „წაიყვანეთ თქვენი ოჯახი და თბილისისაკენ გაემგზავრეთ, რადგან მე აქედან ფეხს არ მოვიცვლი, ვიდრე ლევან-ხანს ხელში არ ჩავიგდებ“. მანუჩარ-ხანი თავის ოჯახით თბილისის გზას დაადგა. როდესაც იგი ციხის კედელს მიუახლოვდა, დავით ქართველი⁴⁸ — ციხე-სიმაგრის უფროსი, გამოეგება და ხანი სახელეულითურთ ციხეში შეიყვანა. (მანუჩარს) ქონება და ავლა-დიდება ლევან-ხანისთვის ჰქონდა გადაცემული⁴⁹. თვითონ მორჩილების სარტყელი შემოირტყა. მანუჩარ-ხანმა თავისი

⁴⁶ ი. შოქრის გამოცემაში: ლევან-ხანმა მამინე დაცალა ციხე, შეკრიბა თავისი ლაშქარი, ოჯახი და გაიქცა (გვ. 586).

⁴⁷ ტექსტში: **ترک** შოქრის გამოცემაში კი ვკითხულობთ: ზაგემს — **گز** (იხ. გვ. 586), რაც კონტრასტის მიხედვით სიმაართლეს შეესაბამება. ასე მორჩილება ტექსტის მთელ მანიჭილზე; სადაც **შ**. საპების გამოცემაში წერია **ترک**; ი. შოქრის გამოცემაში მას შეესაბამება **گز** შემდეგში ყველგან ვთარგმნით, როგორც „ზაგემს“.

⁴⁸ ფრანგი მკვლევრები ე.ლ. ბაე-გრაჰონი და ბ. ალა აღნიშნავენ, რომ ხსენებული დავითი არ უნდა ავურიოთ ქართლას მეფე დავით X-ში (1505—1525), ჩვენი აზრით სასუბიტი დასაშვებია, რომ აქ სწორედ დავით X ვივლდისხმოდ.

⁴⁹ ი. შოქრის გამოცემაში: (დავითმა) ლევან-ხანის ქონება და ავლა-დიდება მას (მანუჩარს) გადასცა მფლობელობაში (გვ. 597).

ოჯახი იქ დატოვა, ლაშქარი შეკრიბა და დივ-სულთანის დასახმარებლად გაემართა. იგი იქ მაშინ მივიდა, როდესაც დივ-სულთანმა იერიში მიიტანა მთაზე. ორივე მხრიდან საშინელი ბრძოლა ატყდა და ხალხის უმეტესობა დაიხოცა. დივ-სულთანმა მთაზე ააღწია და ბრძოლით ლევან-ხანისაკენ მიიწვედა. ლევან-ხანიც იძულებული გახდა დივ-სულთანთან ახლოს ძი-სულიყო და ხმალი მისკენ მიემართა, მაგრამ დივ-სულთანი მასთან მიიჭრა, ლევან-ხანს მაჯა დაუჭირა, ხმალი ძალით გამოგლიჯა ხელიდან, ხელებიც შეუკრა და ყიზილბაშებს ჩააბარა, თვითონ კი ბრძოლა განაგრძო. ქართველთა ჯარი დამარცხდა და უკუიქცა. ყოველი მათგანი ერთი მიმართულებით წავიდა.

დივ-სულთანმა ლევან-ხანი წაიყვანა და მის უდიდებულესობას ალაპის ჩრდილს მიჰგვარა. ისინი ფეხზე მთხვევით გაბედნიერდნენ. როდესაც გარკვეული ხანი გავიდა, მზრუნველობისა და კეთილმოსურნეობის გამოვლენის შემდეგ, მისმა უდიდებულესობამ ალაპის ჩრდილმა ლევან-ხანის განთავისუფლება ბრძანა, მას სამეფო ხალათი უბოძა და (ლევანი) ზაგემის მხარეს გაემგზავრა. როდესაც ყვარყვარე-ხანმა ლევან-ხანის მიმართ ასეთი წყალობისა და მზრუნველობის შესახებ შეიტყო, ისიც ზეციური ტახტის ადგილსამყოფელი-სკენ გაეშურა და მისი უდიდებულესობის ალაპის ჩრდილის ფეხზე მთხვევით გაბედნიერდა. სხვადასხვა წყალობებისა და განსაკუთრებული საპატიო ხალათით შემოსვის შემდეგ, იგი გამოისტუმრეს და (ყვარყვარე) ბაში-აჩუქისკენ გაემგზავრა...

...ორი თვის შემდეგ⁵⁰ მანუჩარ-ხანმა ქეყენის დამპყრობ მბრძანებელს წერილი მისწერა, რომ ლევან ხანმა ამ მონას (ე. ი. მანუჩარს — ნ. გ.) უღალატა და მის მოკვლასაც კი აპირებს. ამიტომ (მან) აუცილებლად ჩათვალა, რომ მოეხსენებინა (შაჰისათვის). მისმა უდიდებულესობამ ბრძანა: „ვეფიქრობდი ლევან-ხანისა და ქართველთა ჯარის მთლიანად ამოუღებტვა მებრძანებინა. საბოლოოდ მისი უნამუსო საქციელის მიმართ დიდსულოვნება გამოვიჩინეთ და იგი ვავათავისუფლეთ. რადგან კვლავ უზნეობა ჩაიდინა, ის ურჯულო საკუთარ სისხლში იცურავებს. რადგან სეიდ სალეპი — ჩვენი უდიდებულესობის წინაპარი ბაგრატი-ხანმა⁵¹ მოკლა, სწორედ ახლაა საჭირო სარწმუნოებისათვის წამებული იმ სეიდის სისხლისათვის ურჯულოებზე ვიძიოთ შური“⁵². ამის შემდეგ (შაჰმა) შირვანიდან დაძვრა ბრძანა და დიდებითა და ზარ-ზეიმით ზაგემის ვილაიეთში ინება შეჩერება⁵³. ბრძანება გაიცა, რომ მთელი ქართველები

⁵⁰ ამის წინა მონაცემთაში მოთხრობილია შაჰ ისმაილის შირვანში წასვლის შესახებ, სადაც მას შეეგება შირვანის მმართველი — შეიხ შაჰი. ამ უკანასკნელის თხოვნით, შაჰმა მისი ქალიშვილი ი ცოლად შეირთო (დაწვრ. ამის შესახებ იხ. აგრეთვე О. А. Эфендиев, Азербайджанское государство Сефевидов, 1981, გვ. 65—67). გამომცემელი (მონათაურე საქები) აღნიშნავს, რომ ეს ამბავი მოხდა ჰიჯრის 929 წელს (ე. ი. 1523 წელს) და იმთავითვე ხონდემირის „შაბიბ ას-სიარ“-ს (გვ. 599). გამოდის, რომ მომდევნო მოვლენები ვითარდებოდა 1523 წლიდან მოყოლებული.

⁵¹ ი. შოქრის გამოცემასი: „ბაგრატი-ხანმა — ლევან-ხანის წინაპარმა“ (გვ. 588).

⁵² იგულისხმება ზემოთ განხილული გადმოცემის ის ვერსია, რომლის თანახმად ქართველებმა სეიდ სალეპი მოკლეს.

⁵³ შაჰ ისმაილის კახეთში შემოჭრის ფაქტის შესახებ ე.-ლ. ბაეყ-გრაფონი და შ. ადლი ექვსი გამოთქვამენ იმ საფუძველზე, რომ ანონიმი ავტორი აღნიშნულ ამბავს მოკლედ აღწერს სხვა მოვლენებისაგან განსხვავებით (ე.-ლ. ბაეყ-გრაფონი, შ. ადლი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38).

ამოეხოცათ. ლევან-ხანი გაიქცა და ბაში-აჩუკის მხარეს მიაშურა, ხოლო ალაპის ჩრდილმა, ქართველთა ლაშქრის მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურების შემდეგ, ამ საზღვრის მიმართ გული დაიმშვიდა, იქიდან წასვლა ბრძანა და სულთანის⁵⁴ მხარეს გაემართა.

Н. Г. ГЕЛАШВИЛИ

СВЕДЕНИЯ О ГРУЗИИ В ПЕРСИДСКОМ ИСТОРИЧЕСКОМ СОЧИНЕНИИ «АЛАМАРАЙ-И ШАХ ИСМАИЛ»

Резюме

Анонимное персидское сочинение «Аламарай-и шах Исмаил» (Мироукрашающий шах Исмаил) является ценным источником по истории царствования шаха Исмаила I (1501—1524) и его предков. Труд содержит также некоторые сведения о Грузии.

В настоящей статье, по данным «Аламарай-и шах Исмаил», нами освещены ирано-грузинские взаимоотношения. Сведения, почерпнутые из указанного сочинения, сличены с данными, содержащимися в других источниках.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტმა ვ. გაბაშვილმა

⁵⁴ ქალაქი შეიქმნა მონღოლთა ბატონობის ხანაში ქალაქებს აბპარსა და ზენჯანს შორის (ყაზვინიდან ზენჯანში მიმავალ გზაზე). ქალაქის მშენებლობა დაიწყო XIII -ში ილხან არღუნის დროს და დასრულდა 1313 წ. მისი უმცროსი ვაჟის ილხან ოლჯეითუს დროს. სწორედ მან უწოდა ქალაქს სულთანიე და თავის სატახტო ქალაქად გამოაცხადა. სულთანიე იქცა ირანის პოლიტიკურ და სავაჭრო ცენტრად; საქარაენო გზებზე მდებარეობის წყალობით იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა როგორც სამიზნო, ისე სავაჭრო ვაჭრობაში. მაგრამ XVI ს-ის დამდეგიდან ქალაქმა დაკემა დაიწყო და XVII ს-ის დასასრულისათვის მთლიანად დაკარგა თავისი ადრინდელი ბრწყინვალება (იხ. რ. კიკნაძე, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, I, თბ., 1982, გვ. 211—216; В. В. Бартольд, Сочинения, II, работы по исторической географии и истории Ирана, М., 1971, გვ. 201—202).

ზაზა მენთეაშავილი

ზარბერების როლი თანამედროვე ალჟირის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში

მაროკოსაგან განსხვავებით¹, ალჟირში ბერბერები ეროვნულ უმცირესობას შეადგენენ. ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან და გავლენიან ჯგუფს ბერბერულ ენაზე მოლაპარაკე ხალხებიდან კაბილები წარმოადგენენ². წარმოშობით ისინი აღმოსავლეთ ალჟირის მთიანი რაიონებიდან არიან. კაბილების დიდმა რაოდენობამ ფეხი მოიკიდა ალჟირისა და საფრანგეთის მსხვილ ქალაქებში, სადაც ისინი სამუშაოს საძებრად ჩადიოდნენ. შავიების³ სახელწოდებით ცნობილი ბერბერების მეორე მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფი დასახლებული იყო აღმოსავლეთ ალჟირის მიდამოებში. შავიებს კაბილებთან შედარებით, უფრო მცირე კონტაქტი ჰქონდათ გარე სამყაროსთან. მსხვილ ქალაქებში მიგრაციის შემთხვევები მათში შედარებით უფრო ნაკლები იყო.

ალჟირში კაბილების და შავიების, გარდა, გარკვეული გავლენით სარგებლობდნენ აგრეთვე სხვა მრავალრიცხოვანი ბერბერული ჯგუფები, მაგალითად ისეთები, როგორებიც არიან სამხრეთ ალჟირში მცხოვრები მომთაბარე თუარეგების⁴ და მოზაბიტების ტომები. უკანასკნელი ცნობებით, თანამედროვე ალჟირში ბერბერები ქვეყნის მოსახლეობის 20% შეადგენენ.

მაროკოს მსგავსად ალჟირშიც ბერბერული პარტიკულარიზმი უფრო ძლიერი იქნებოდა, რომ ბერბერების და არაბების სოციალურ-კულტურული სამყარო ერთმანეთისაგან აქაც მნიშვნელოვნად განსხვავებული ყოფილიყო.

ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში მცხოვრები არაბები და ბერბერები მალიჩიტური განშტოების მუსლიმი — სუნიტები არიან. ლაპარაკობენ რა ბერბერული ენის სხვადასხვა დიალექტზე, ალჟირელ ბერბერებს არ აქვთ თავიანთი დამწერლობა, ხოლო სალიტერატურო ენის უქონლობამ ხელი შეუწყო ბერბერების მიერ არაბული და ფრანგული კულტურის სწრაფ აღქმას. თანამედროვე ალჟირში განათლებული ბერბერები სწავლობენ როგორც არაბულს, ასევე ფრანგულ ენასაც⁵.

¹ მაროკოელ ბერბერებზე იხ. „მაცნე“ ისტორიის სერია, № 4, 1980, გვ. 30—41 და № 3, 1982.

² კაბილების რაოდენობა ალჟირში დაახლოებით 2 მილიონს აღწევს (მარტო ალჟირში ისინი მთელი მოსახლეობის საერთო რაოდენობის 10%-ს შეადგენენ).

³ შავიები კაბილებთან შედარებით უფრო მცირერიცხოვანნი არიან, ალჟირში მათი რიცხვი 1 მილიონს შეადგენს.

⁴ თუარეგები გარესამყაროსაგან იზოლირებულად ცხოვრობენ. ისინი თავგამოდებით ეწინააღმდეგებიან პრაგრესსა და მოდერნიზაციას, იმდოცხვენენ რა, იმას, რომ ამით უფრო მეტ ხანს გაიხანგრძლივებენ თავიანთ „დამოუკიდებლობას“ ცენტრალური ხელისუფლებისაგან.

⁵ William B. Quandt. The Berbers in the Algerian Political Elite, „Arabs and Berbers“ Duckworth, 1973, გვ. 286.

მაროკოელ ბერბერთა გავლენა ალყირელ თანამომეებზე უმნიშვნელოა, ბოლო წლებში მხოლოდ ალყირ-მაროკოს საზღვარზე თუ შეიმჩნევა ზოგიერთი ბერბერული ტომის მიერ ორივე მხრიდან სასაზღვრო ზაზის გადაკვეთა.

ფრანგი კოლონიზატორების ბატონობის წინააღმდეგ წარმოებული განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს ბერბერები ალყირელ მებრძოლთა შორის პირველ რიგებში იმყოფებოდნენ. ეროვნულ-პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში შემავალი ბევრი ალყირელი თავის ეთნიკურ და რეგიონალურ წარმოშობას არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა⁶.

ჯერ კიდევ რევოლუციამდელ ალყირში ბერბერები და არაბები ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფებოდნენ, როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისითაც. მათ ურთიერთკავშირს ჯერ კიდევ ადრეულ შუა საუკუნეებში ჩაეყარა საფუძველი. ალყირელი ბერბერები არაბთა დაპყრობებიდან მოყოლებული მრავალი უცხო ეთნიკური ელემენტის გავლენას განიცდიდნენ, რაც არაბებთან და აფრიკის სხვა ხალხებთან შერევის შედეგი იყო⁷. ასეთივე აზრისაა ფრანგი ავტორი პიერ ბურდიე, რომელიც აღნიშნავს, რომ ალყირში არაბები და ბერბერები ეთნიკურ-სოციალური თვალსაზრისით, თითქმის არაფრით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ვარდა სალაპარაკო ენისა, რადგანაც თვით არაბებიც იყვნენ იმ ბერბერების შთამომავალი, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში არაბიზაციას განიცდიდნენ. არაბების და ბერბერების შთამომავალნი ღიდი ხანია ასიმილირებული არიან, რის შედეგადაც თითქმის შეუძლებელი ხდება ბერბერული და არაბული ელემენტების რაოდენობის განსაზღვრა⁸.

ნაციონალიზმი ალყირში, როგორც დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ორგანიზებული მოძრაობა, გვიან გაჩნდა. ნაციონალისტთა წინამორბედნი იყვნენ განათლებულ ალყირელთა პატარა ჯგუფები, რომლებმაც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ თანასწორობის და რეფორმების გატარების მოთხოვნები წამოაყენეს. იმ წარუმატებლობის შემდეგ, რომლებიც რეფორმისტებმა განიცადეს, შედარებით უფრო რადიკალური მიმდინარეობანი აღმოცენდნენ.

50-იანი წლების დასასრულისათვის უკვე შეიქმნა რამდენიმე დაჯგუფება,

⁶ მიუხედავად ამისა, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ბერბერებს და არაბებს შორის თავი იჩინა უთანხმოებებმა, როგორც ბერბერების მიმართ პოლიტიკის გატარების საქმეში, ასევე ეკონომიკურ საკითხებშიც. ამით ისარგებლეს ფრანგმა კოლონიზატორებმა, რომელთა სტრატეგიას „დაპყვი და იბატონეს“ პოლიტიკა შეადგენდა. ფაქტიურად ფრანგებმა ალყირში „ბერბერული პოლიტიკის“ გატარება ჯერ კიდევ XIX-ში დაიწყეს, იმედოვნებდნენ რა იმას რომ კაბლეში იმ შემთხვევაშიც კი ეზიარებოდნენ ფრანგულ კულტურას, თუ მათ წინ არაბები აღუდგებოდნენ (იხ. „Actes du premier congrés d'études des cultures méditerranéennes d'influence arabo-berbere“, Alger, SNED, 1973, გვ. 173).

⁷ ამ მხრივ საინტერესოა 1931 წლის სტატისტიკური მონაცემი. 5836 ასიმილირებული ალყირელიდან 2940 არაბი, 1770 კაბილი და 124 მოზაბიტი აღმოჩნდა (იხ. Franc J. La population de l'Algérie en 1931.— „Bulletin de la société de géographie [d'Alger...“, № 130, 1932, გვ. 23).

⁸ ალყირელი არაბების სოციალურ ორგანიზაციაში ტომი ან ტომობრივი გაერთიანება სულ არ იყო რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე, რასაც ადგილი აქვს ბერბერთა საზოგადოებაში, სადაც ტომის მნიშვნელობა და მისი გავლენა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე საკმაოდ ძლიერია (იხ. Bourdieu P. Sociologie de l'Algérie, Paris, 1963, გვ. 50—51).

რომელიც დამოუკიდებლობის მოთხოვნებს აყენებდა. 1954 წლის ნოემბერში დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლა დაიწყო⁹.

უფრო ადრე 30-იანი და 40-იანი წწ. ალჟირის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდნენ შემდგომში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები მესალი ჰაჯი და ფერჰათ აბასი. ამ დროისათვის ალჟირში არსებობდა ორი ურთიერთპარალელური სოციალური ორგანიზმი: ალჟირულ-ევროპული და ალჟირულ-მუსლიმური. პირველისათვის დამახასიათებელი იყო განვითარების კაპიტალისტური ხასიათი, კერძო მონოპოლისტური წარმოება, მეორისათვის — განვითარების ტრადიციული ხასიათი — პატრიარქალური, ფეოდალური და ფეოდალურ-პატრიარქალური, რაც დიდ გავლენას ახდენდა ალჟირის საზოგადოების ევოლუციასა და მის სოციალურ სტრუქტურაზე.

ქვეყნის საზოგადოების ევოლუცია მკაფიოდ ჩანს ალჟირის სოფლის მონასხლეობის მაგალითზე¹⁰. სტატისტიკური მასალების მიხედვით 30-იანი წლებიდან დაწყებული ალჟირის სოფლის ბურჟუაზია ზრდას განიცდიდა, ხოლო ფეოდალთა რიცხვი, მიუხედავად მათი გავლენისა, თანდათანობით მცირდებოდა. 50-იანი წლებისათვის ისინი ალჟირულ მიწათმოქმედთა მხოლოდ 1% შეადგენდნენ, შედარებით ჭარბობდა ნახევრად გაბურჟუებული ფეოდალების რიცხვი. მაგალითად, 1954 წელს 25 ათასი მსხვილი ალჟირელი მიწათმფლობელი 70 ათას დაქირავებულ მიწის მუშას უწყევდა ექსპლუატაციას¹¹.

მსხვილი ეროვნული ბურჟუაზია ალჟირში, რა თქმა უნდა, არ იყო. II მსოფლიო ომის დაწყების წინ აქ მხოლოდ რამდენიმე მსხვილი საწარმო არსებობდა; ისინი ალჟირელებს ეკუთვნოდათ. 30-იან წლებში ალჟირში იწყება ბურჟუაზიის ყველა ფენის გაერთიანება ქვეყნის სხვა კლასებთან და ფენებთან ანტიიმპერიალისტურ ნიადაგზე. ამ დროისათვის ალჟირის ქალაქის ელიტის პოზიციები ჯერ კიდევ სუსტი და არამტკიცე იყო. რაც შეეხება ქალაქის წვრილ ბურჟუაზიას, რომელიც ყოველთვის ეროვნული მოძრაობის რადიკალურ მიმდინარეობას ემხრობოდა, მისი რიცხვი 150 ათასს აღწევდა. წვრილი ბურჟუაზია უმთავრესად აერთიანებდა წვრილ ვაჭრებს, ხელოსნებს, კერძო მეწარმეებს. მიუხედავად იმისა, რომ მათი უმეტესობა, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები იყვნენ, მათი მატერიალური მდგომარეობა და ცხოვრების დონე საკმაოდ დაბალი იყო¹².

აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებოდა ალჟირის მუშათა კლასი, რომელიც დაკავშირებული იყო წარმოების უდაბლეს ფორმებთან, პატრიარქალურ ექსპლუატაციასთან. ამ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა ის გარემო-

⁹ ანტიკოლონალური ბრძოლისა და რევოლუციის პერიოდში ეროვნული ელიტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა არა მისი ასიმილაცია და გათანაბრება ფრანგებთან, არამედ თავისუფლების მოპოვება. William B. Quandt, *Revolution and Political Leadership: Algeria (1954—1968)*, Cambridge mass, 1969, გვ. 156.

¹⁰ სოფლის მონასხლეობის შექმნილი ნაწილი საფრანგეთის კოლონიური რეჟიმის სამსახურში იმყოფებოდა. იგი გამოდიოდა პროგრესული აგრარულს გარდაქმნების წინააღმდეგ აღჭრელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პერიოდში (1954—1962) იხ. L. acheraf M. *Algerie: nation et Société*. Paris, 1965, გვ. 68.

¹¹ Barbé R. *Les chasses sociales en Algérie*, „Economie et Politique“, Paris № 63, 1959, გვ. 42—43.

¹² Современное освободительное движение и национальная буржуазия. Прага, 1961, გვ. 78.

ება, რომ ალყირის პროლეტარიატი გათიშული იყო ეროვნულ-ეთნიკური ნიშნის მიხედვით. გარდა ამისა, შედარებით უფრო კვალიფიციური და კლასობრივად შეგნებული ნაწილი ალყირელი მუშებისა თანამემამულეთა ძირითადი მასისაგან იზოლირებული იყო. 30-იანი—50-იანი წლები ალყირის პროლეტარიატისათვის იყო არა მარტო კოლონიური უღლის გადაგდებისათვის ბრძოლის წლები, არამედ აგრეთვე ანტიიმპერიალისტურ დემოკრატიულ საფუძველზე მათი რიგების გაერთიანების და შემჭიდროების პერიოდიც¹³.

ალყირელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ბერბერები აქტიურ როლს ასრულებდნენ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მათ არაბ თანამოაზრებთან უფრო შეთანხმებული და მჭიდრო კავშირთიერთობა ჰქონდათ, ვიდრე ერთმანეთს შორის. კაბილების თვალსაჩინო მდგომარეობა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ნაწილობრივ იმითაც აიხსნებოდა, რომ სხვა ბერბერებისაგან განსხვავებით თანამედროვე სამყაროსა და მათ შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობდა. მოსახლეობის მიგრაციას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, ხელს უწყობდა მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვე და ბუნებრივი სიმდიდრის შეზღუდული მარაგი. კაბილი მუშების დიდი ნაწილი ცხოვრობდა საფრანგეთში, სადაც ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ პოლიტიკურ მოძრაობაში, შედიოდნენ პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირების, სტუდენტური საზოგადოებების და სხვა პოლიტიკური ორიენტაციის მქონე ორგანიზაციების შემადგენლობაში.

1947 წლიდან ეროვნულ-რადიკალური პარტიის შიგნით მისი ერთ-ერთი ლიდერის მესალი ჰაჯის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ძლიერი ოპოზიცია წარმოიქმნა. 1949 წ. საფრანგეთში მყოფი კაბილი მუშები, გამოვიდნენ მის წინააღმდეგ. მათ შეადგინეს წერილი, რომელშიც აცხადებდნენ, რომ ალყირი არაბული ქვეყანა კი არა, ეთნიკური ჯგუფების კონგლომერატი არისო¹⁴. ეროვნულ-რადიკალური პარტიების უმრავლესობა ამას განიხილავდა როგორც ეთნიკურ სეპარატიზმს და არა როგორც ყველა ეთნიკურ ჯგუფთა გაერთიანებისკენ მოწოდებას. 1949 წლის აპრილში საფრანგეთში არსებული რადიკალურ-ეროვნული პარტიის ფედერალური საბჭო დათხოვნილ იქნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ. კაბილი აიტ აჰმედი გადააყენეს საგანგებო ორგანიზაციის მეთაურის თანამდებობიდან, ხოლო მისი ადგილი აჰმედ ბენ ბელამ დაიკავა¹⁵. მალე 1954 წ. „საგანგებო ორგანიზაცია“ პოლიციამ მოსპო.

50-იან წლებში კაბილიაში იქმნება ორი იატაკქვეშა ორგანიზაცია საფრანგეთის არმიის ყოფილი სერჟანტების ბელკასემ ქრიმისა და ამარ უამრანის მეთაურობით. კაბილიაში ბევრი პოლიტიკური ორგანიზაცია აღმოცენდა, ამას, თავისებურად, ალყირის ამ ბერბერული რაიონის დიდ მანძილზე დაშორებაც

¹³ კოლონიზატორთა წინააღმდეგ ალყირის პროლეტარიატის დარღვევისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1954 წ. მარტში „ერთობის და მოქმედების რევოლუციური კომიტეტის“ შექმნას. 1954 წ. იელისში შედგა რევოლუციური კომიტეტის თათბირი, რომელშიც 22 წევრი მონაწილეობდა. თათბირზე დაადგინეს, შექმნილიყო ეროვნული განთავისუფლების ფრონტი და დაჩქარებულიყო კოლონიზატორთა წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლა (იხ. **محمد زغلول**

خوادم، الجزائر في معركة التحرير، تونس، 1957.

¹⁴ William B. Quandt. The Berberes..., გვ. 289.

¹⁵ Merle R. Ahmed Ben Bella, Paris. 1965, გვ. 77.

უწყობდა ხელს¹⁶. აღნიშნულ პერიოდში ყველაზე უფრო რევოლუციურად განწყობილი ალჟირელები ეგვიპტეში, კერძოდ ქ. კაიროში იმყოფებოდნენ. მათი ლიდერები აქ ემებდნენ საერთაშორისო დახმარებას ფრანგ კოლონიზატორთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მათ შორის იყვნენ: აჰმედ ბენ ბელა, აიტ აჰმედი¹⁷ და სხვები. დამყარდა მჭიდრო კავშირთა ერთობა ეროვნულ პარტიებსა და კაბილემბს იატაკქვეშა ორგანიზაციებს შორის. კაბილია გახდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი დასაყრდენი რაიონი.

1954 წ. ზაფხულში ფრანგ ხელისუფალთა ყურამდე მიაღწია „ერთიანობისა და მოქმედების რევოლუციური კომიტეტის“ შექმნის ამბავმა, მათთვის ცნობილი გახდა ამ ორგანიზაციის მიზანიც — დაეწყო ომი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ამიტომ დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. ერთობლივი მოქმედების უზრუნველსაყოფად საჭირო იყო ზომების მიღება. კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ ბერბერები კაბილიდან და აურესიდან. რევოლუციის ექვსი ხელმძღვანელიდან სამი ბერბერი იყო¹⁸.

1954 წ. ნოემბერში ალჟირში რევოლუცია დაიწყო. კაბილია და აურესი ეს ორი მთავარიანი ბერბერული რაიონი რევოლუციის აუღებელი ციხესიმაგრე გახდა. უფრო გვიან აურესი რევოლუციის ლიდერთა შორის ფრაქციული ბრძოლის ასპარეზად გადაიქცა, რაც მუსტაფა ბენ ბულაიდის დაპატიმრებით დამთავრდა¹⁹.

კაბილიაში კი პირიქით, პარტიზანული რაზმები განმტკიცდნენ და წინ აღუდგნენ კოლონიზატორებს. მრავალი კაბილელი რევოლუციის ხელმძღვანელობის სათავეში აღმოჩნდა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ალჟირის ბერბერულ რაიონებში, სადაც კაბილებმა რევოლუციური მმართველობის შემადგენლობაში წამყვანი ადგილი დაიკავეს. საყოველთაოდ ცნობილი გახდა აბან რამადანი, როგორც ყველაზე დინამიური ლიდერი რევოლუციისა, იგი პოპულარული იყო როგორც არაბებს, ასევე კაბილებს შორის.

მთელი ხელისუფლება იმყოფებოდა საკოორდინაციო აღმასრულებელი კომიტეტის ხელში, რომელიც 5 წევრისაგან შედგებოდა. ის ექვემდებარებოდა ალჟირის რევოლუციის ეროვნულ საბჭოს. კომიტეტის ხუთი ლიდერიდან

¹⁶ კაბილის ვარდა პოლიტიკური ორგანიზაციების აღმოცენებისა და ზრდისათვის ხელსაყრელი ადგილი იყო აგრეთვე ალჟირის მეორე ბერბერული რაიონი აურესი, სადაც ცდილობდნენ ჩამოეყალიბებინათ კარი, რომელიც შემდგომში რევოლუციაში მიიღებდა მონაწილეობას. საერთოდ კი ალჟირის მაღალმთიანი რაიონების ბუნებრივი იზოლაცია მოსახლეობას კოლონიზატორთა წინააღმდეგ მრავალი შეიარაღებული გამოსვლის მოწყობის საშუალებას აძლევდა.

¹⁷ აიტ აჰმედი კაბილი იყო. კაბილიაში მეთაურად აღიარებული იქნა ბელკასემ ქრიმი, ხოლო აურესში აჯანყებულთა ხელმძღვანელი მუსტაფა ბენ ბულაიდი გახდა (იხ. Roger Le Tourneau, *Evolution politique de l'Afrique du nord musulmane (1920—1961)*, Paris, 1962, გვ. 381).

¹⁸ ესენი იყვნენ ქრიმი, უამრანი და კაიროში მყოფი აიტ აჰმედი. ამგვარად რევოლუციის ხელმძღვანელებიდან სამი ბერბერია იყო, რაც ქვეყნის მოსახლეობის საერთო რიცხვთან შედარებით მეტეც კი იყო. „მაგრამ შესაძლებელია — ამბობს ამერიკელი სოციოლოგი უილიამ კონდტი, — რომ ბერბერთა ქვეშაირტი პროპორცია ეროვნული ელიტის შიგნით გაცილებით უფრო მეტია“ (იხ. William B. Quandt, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 291).

¹⁹ იგი მალე საპატიმროში გარდაიცვალა.

ორნი, ქრიმი და რამდანი კაბილი იყო, ხოლო ეროვნულ საბჭოში 17 მუდმივი წევრიდან ხუთი ბერბერი იყო²⁰.

1957 წ. აგვი-ტოში კაიროში შედგა ალყირის რევოლუციური ეროვნული საბჭოს წევრთა შეხვედრა რომლის დროსაც განიხილეს საკოორდინაციო კომიტეტის საქმიანობა, და დასახეს მისი მომავალი ამოცანები. ამ დროისათვის საკოორდინაციო კომიტეტი შედგებოდა 9 წევრისაგან, რომელთაგან ოთხნი აბან რამდანი, ბელკასემ ქრიმი, ამარ უამრანი და ლამინ დეზაგინი წარმოშობით კაბილები იყვნენ. მალე ბელკასემ ქრემს და აბან რამდანს შორის განხეთქილება მოხდა. საკოორდინაციო კომიტეტის ორი წევრი, რომელიც აბან რამდანს უჭერდა მხარს, კომიტეტიდან გარიცხეს. ბელკასემ ქრემის ჯგუფში ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ აბან რამდანს რაც შეიძლება ნაკლები ხმები მიეღო²¹.

კაბილებს შორის არსებული უთანხმოებანი გამორიცხავდა ხელმძღვანელობის შეივნით ბერბერული ეთნიკური ბლოკის ჩამოყალიბებას. ალყირში შეიქმნა დროებითი მთავრობა, რომელიც ალყირის რევოლუციის ეროვნულ საბჭოს ემორჩილებოდა²². ალყირის დროებითი მთავრობა ორჯერ შეიცვალა და მის ორივე შემადგენლობაში კაბილებიც შედიოდნენ²³. მალე 1959 წ. დეკემბერში დროებით მთავრობაში ორგანიზაციული ხასიათის ცვლილებები მოხდა, ორი კაბილი მთავრობის შემადგენლობიდან გამოიყვანეს, ხოლო საიდ მოჰამედი მის შემადგენლობაში აირჩიეს²⁴. მიუხედავად ახალი თანამდებობისა, საიდ მოჰამედი ხალხში პოპულარული არ იყო. იგი ანტიპათიურად იყო განწყობილი ბელკასემ ქრემის მიმართ. ყველაფერმა აბან საქმე იქამდე მიიყვანა, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში ცეცხლის შეწყვეტიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, რევოლუციური ხელმძღვანელობის ბირთვში დამახული ვითარება შეიქმნა. თავი იჩინეს ახალმა წინააღმდეგობებმა, რომლებიც აღრე მიჩქმალული იყო.

დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ალყირელთა ბრძოლამ საბოლოოდ აიძულა საფრანგეთი მოლაპარაკება დაეწყო. საფრანგეთს მიუხედავად მისი სამხედრო წარმატებებისა, პოლიტიკური თეალსაზრისით, ომის ბედის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტა აღარ შეეძლო. მოლაპარაკება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე 1962 წლის მარტში გაიმართა.

ომისშემდგომ ალყირში ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ორი მსხვილი დაჯგუფება აღმოცენდა. პირველს, რომელსაც აჰმედ ბენ ბელა მეთაურობდა „ტლემსენის ჯგუფი“ ეწოდებოდა. მასში შედიოდნენ ეროვნულ-განმათავისუფ-

²⁰ ალყირის რევოლუციური საბჭო 17 მუდმივი და ამდენივე არამუდმივი წევრისაგან შედგებოდა.

²¹ William B. Quandt, *Revolution...*, დასახ. ნაშრ., გვ. 90—91.

²² Abdelmadjid Belkherroubi, *La naissance et la reconnaissance de la Republique algérienne*. Bruxelles. 1972, გვ. 54.

²³ ბელკასემ ქრიმი დროებითი მთავრობის შემადგენლობაში მონაწილეობდა. 1958 წ. სექტემბერში დროებითი მთავრობის შემადგენლობაში დასახელებული იყო სამი ბერბერი: ლამინ დეზაგინი, უმარ უსლეიკი და აიტ აჰმედი (დაწერ. იხ. Энциклопедия Северная Африка на пути к независимости, Москва, 1960, გვ. 20-9.

²⁴ საიდ მოჰამედი იყო პარტიზანული ძალების მეთაური კაბილიაში. ის აგრეთვე ხელმძღვანელობდა ტუნისში ვალავებულ ალყირის არებს (დაწერ. იხ. Ait Ahmed Hocine, *La guerre et l'après guerre*, Paris, 1964, გვ. 119).

ლებელი არმიის გენერალური შტაბი, პარტიზანულ მოძრაობათა ლიდერები აურესის, საპარია და ორანის ოლქებიდან. მეორეს, რომელიც ბელკასემ ქრემის ინიციატივით შეიქმნა, ცნობილი იყო როგორც „ტიზი უზუს ჯგუფი“²⁵.

მიუხედავად იმისა, რომ ტიზის უზუს ჯგუფისათვის კაბილების მხრიდან მხარდაჭერა სასურველი იყო, მათ მაინც არ სურდათ, რომ რეგიონალისტებს მათთვის რაიმე წინააღმდეგობა გაეწიათ. ისინი კაბილების სახელით გამოსვლასაც ვერ ბედავდნენ, რადგან „ტლესმენის ჯგუფმა“ აჰმედ ბენ ბელას მეთაურობით შეძლო ისეთი გამოჩენილი კაბილების მხარდაჭერის მოპოვება, როგორც იყენენ ამარ უამრანი, საიდ მოჰამედი და სხვები. აჰმედ ბენ ბელას არ სურდა კონფლიქტის კონფრონტაციის გზით გადაჭრა, იგი დაკავშირებული იყო „ტიზი უზუს“ ჯგუფის ლიდერებთან და ბელკასემ ქრემს თავის მთავრობაში მინისტრის პოსტიც კი შესთავაზა. მაგრამ ეს წინადადება არ მიიღეს. აჰმედ ბენ ბელამ გადაწყვიტა ნება დაერთო კაბილებისათვის, კერძოდ მოჰანდ ალ-ხაჯისათვის შეედგინა ეროვნულ ასამბლეაში შემავალი დეპუტატების სია, ამ ასამბლეის არჩევნები 1962 წ. სექტემბრისათვის იყო დანიშნული. საბოლოოდ კრიზისი ყოველგვარი გართულების გარეშე დამთავრდა და არჩევნები დადგენილ ვადაში ჩატარდა. არჩეულ დეპუტატებს შორის კაბილთა დაჯგუფება წარმოიშვა, რომელიც მტრულად იყო განწყობილი აჰმედ ბენ ბელას მიმართ²⁶.

ბენ ბელას პირველ მთავრობაში ცხრამეტი მინისტრიდან ხუთი ბერბერი იყო. ოთხი მათგანი: საიდ მოჰამედი, ბაშირ ბუმაზა, ამარ უზეგანი, აჰმედ ბუმენჯელი კაბილები იყენენ, ხოლო მეხუთე მუჰამედ ხუბუზი მოზაბიტი იყო²⁷.

1962 წელს ბევრი პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც ბენ ბელას მმართველობას სასურველად მიიჩნევდა, ახლა მის წინააღმდეგ გამოდიოდა. 1963 წ. ზომიერი ნაციონალისტები გაერთიანდნენ ფ. აბასის გარშემო და უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ბენ ბელას მთავრობის მიმართ. გარდა ამისა, ორმა კაბილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ აიტ აჰმედმა და ბელკასემ ქრემმა არსებული მთავრობის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლისაკენ მოწოდება დაიწყეს.

1963 წ. ზაფხულში კაბილმა ბაშირ ბუმაზამ დაიკავა ფინანსთა მინისტრის თანამდებობა. მისი ინიციატივით გატარდა ეროვნული ეკონომიკის სამინისტროს რეორგანიზაცია. ბუმაზას მხარდაჭერა საკმარისი არ იყო კაბილებში უკმაყოფილების აღმოსაფხვრელად. აგვისტოს ბოლოს ჩამოყალიბდა ოპოზი-

²⁵ ტიზი უზუს არის კაბილის მთავარი ქალაქი.

²⁶ კაბილები ფაქტობრივად არ იყენენ წარმოდგენილი პოლიტიკური ომი, კერძოდ მის ხუთ წევრს შორის. აიტ აჰმედმა უარი თქვა შესულიყო მის შემადგენლობაში, ხოლო საიდ მოჰამედი ბენ ბელასთან დაახლოებულ პირად ითვლებოდა, გარდა ამისა, მას მტკიცედ სჯეროდა არაბიზაციისა და ფაქტობრივად მისი ინიციატივით აღმინისტრაციისა და სკოლებში არაბული ენა შემოიღეს.

²⁷ თითოეულს ამ ოთხი კაბილთან თავისი, სხვებისაგან განსხვავებული საკუთარი მშობლ-მხედველობა და პოლიტიკური მრწამსი ჰქონდა. ბაშირ ბუმაზა 50-იან წლებში მის დაპატიმრებაზე ეროვნული განთავსულების ფრონტს ემხრობოდა. ამარ უზეგანი ალყის კომპარტიის ყოფილი გენერალური მდივანი, მისი პარტიიდან გარიცხვის შემდეგ აქტიური ნაციონალისტი გახდა. აჰმედ ბუმენჯელი იყო ზომიერი ნაციონალისტების ლიდერის ფერკატ აბასის ახლო მეგობარი, საიდ მოჰამედი კი 1960 წლიდან დროებითი მთავრობის წევრი იყო. არც ერთს ამ ოთხი პოლიტიკური მოღვაწიდან არც ბელკასემ ქრემთან, არც მოჰამედ ალ-ხაჯთან და არც აიტ აჰმედთან ახლო კავშირი არ ჰქონდათ (იხ. William B. Quandt). Revolution..., გვ. 121).

ციური ჯგუფი აიტ აჰმედის მეთაურობით. ეს ჯგუფი უპირატესად კაბილეებისაგან შედგებოდა. ამ ოპოზიციურ დაჯგუფებას სოციალისტური ძალების ფრონტს უწოდებდნენ. იგი წინააღმდეგი იყო იმ კონსტიტუციისა, რომელიც ასამბლეას აჰმედ ბენ ბელას მთავრობამ შესთავაზა, 1963 წ. 8 სექტემბერს კონსტიტუციის საკითხთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარებისას კაბილის რაიონი ქვეყნის სხვა რაიონებთან შედარებით მის მიმართ ინდფერენტულად განწყობილი იყო. აშკარა კონფლიქტი სოციალისტური ძალების ფრონტსა და ბენ ბელას შორის გარღვეული ხდებოდა. 19 სექტემბერს აჰმედ ბენ ბელამ მოახდინა მთავრობის რეორგანიზაცია. ახალ მთავრობაში ოთხი კაბილი კვლავ მინისტრის თანამდებობებზე რჩებოდა, რაც შეეხება მოზაბიტ მ. ხუზის იგი მთავრობაში არ შესულა. რამდენიმე დღის შემდეგ ბელკასემ ქრიმი და აიტ აჰმედი გაანათვისუფლეს იმ თანამდებობებიდან, რომელიც მათ ეკავათ. ერთდროულად სოციალისტური ძალების ფრონტი აკრძალეს. ამის საპასუხოდ კაბილის ქალაქ ტიზი უზუში გაიმართა რამდენიმე საპროტესტო დემონსტრაცია, მათში მონაწილეობდნენ ისეთი პოლიტიკური მოღვაწეები, როგორც იყენენ აიტ აჰმედი; მოჰანდ ალ-ხაჯი, ალი იაჰია და სხვები. მოჰანდ ალ-ხაჯი აიტ აჰმედს სამხედრო დახმარებას უწყევდა, რის შედეგადაც ის დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს მეშვიდე სამხედრო რეგიონის მეთაურის თანამდებობიდან და მის მაგივრად ახალგაზრდა ოფიცერი საიდ აბიდი დანიშნეს. იგი წარმოშობით შავია იყო აურესის რაიონიდან. შტაბის მეთაურად აგრეთვე შავია ტაჰარ ზბირი დანიშნა²⁸.

1963 წლის ოქტომბერში ხშირად ადგილი ჰქონდა სოციალისტური ძალების ფრონტისა და რეგულარულ შეიარაღებულ რაზმებს შორის შეტაკებას. მაგრამ აჰმედ ბენ ბელა ცდილობდა შეიარაღებული კონფლიქტი თავიდან აეცილებინა. მან დაარწმუნა მოჰანდ ალ-ხაჯი იმაში, რომ აიტ აჰმედი პოსტიდან გადაეყენებინა. ეს ღონისძიება, ბენ ბელას ზრით, სოციალისტური ძალების ფრონტის სამხედრო ძალას დაასუსტებდა. მიუხედავად ამისა, აიტ აჰმედი მაინც განაგრძობდა პოლიტიკურ ბრძოლას დაპატიმრებამდე, რომელიც 1964 წ. ოქტომბერში მოხდა.

1964 წ. აპრილში შედგა პარტიის ყრილობა, რომელზეც სიტყვიტ გამოვიდნენ არსებული რეჟიმის მოწინააღმდეგენი, მათ შორის ბელკასემ ქრიმი. ყრილობამ აირჩია ახალი პოლიტიბურო და ცენტრალური კომიტეტი. პოლიტიბუროში შემავალ კაბილთა რიცხვი გაიზარდა, მაგალითად, მისი წევრები გახდნენ მოჰანდ ალ-ხაჯი, აიტ ალ-ხოსინი და ტაჰარ ზბირი.

1964 წლის დასასრულს გაიმართა ეროვნული კრების ახალი არჩევნები. ახლად არჩეულ დეპუტატთა შორის კვლავ იყვნენ კაბილთა ბელადები მოჰანდ ალ-ხაჯი და აიტ ალ-ხოსინი. ამ არჩევნების შემდეგ ალყირის ხელისუფლებამ მთელი ქვეყნის მასშტაბით მომხდარ პოლიტიკურ მოვლენებზე კონტროლი კიდევ უფრო გააძლიერა. უთანხმოებანი ბუმედინმა მოსპო არმიის საშუალებ-

²⁸ მიუხედავად კაბილური სეპარატიზმის ასეთი აშკარა გამოვლენისა კაბილი დეპუტატების ნახევარი ეროვნული ასამბლეაში სოციალისტური ძალების ფრონტის წინააღმდეგ გამოვიდა. ისინი აცხადებდნენ, რომ კაბილთა პრობლემა არ არსებობდა და კაბილთა ისეთივე რაიონი იყო, როგორც ნებისმიერი სხვა. კაბილების დიდი ნაწილი ამ რეზოლუციის მომხრე იყო, რომელიც აჯანყებას ემობდა (იხ. Mohammed Arab Bessaoud. Le FFS-Espoir et trahison, Paris, 1966, გვ. 95).

ბით. აჰმედ ბენ ბელა მხედველობაში იღებდა იმ გარემოებას, რომ მთავრობის პოლიტიკის წარმატება ბევრად იყო დამოკიდებული კაბილეთან ურთიერთობის ხასიათზე. მიუხედავად იმისა, რომ მან სახელმძღვანელო პოსტებიდან ბევრი კაბილი დაითხოვა, ისეთი გავლენიანი კაბილები როგორებიც იყვნენ ააიდ მოჰამედი, ბაშირ ბუმბაზა და ამარ უშეგანი დატოვებულ იქნენ თავიანთ თანამდებობებზე. ამის შემდეგ ბევრ კაბილ ხელმძღვანელს, ადრინდელთან შედარებით, უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავათ.

1956 წლის 19 ივლისს ბუმედიენმა სრულიად მოულოდნელად მოახდინა სამხედრო გადატრიალება და გადააყენა ბენ ბელა. ბუმედიენს ჰქონდა დასაყრდენი პროფესიონალ სამხედრო პირთა შორის. მას მხარს უჭერდნენ პარტიზანთა მეთაურები და მინისტრთა კაბინეტის კომპენტენტური პირები. ბუმედიენის ხელისუფლების მიმართ უმნიშვნელო ოპოზიცია პროფკავშირები, სტუდენტები და ბენ ბელას მომხრეები წარმოადგენდნენ²⁹.

ჰუარი ბუმედიენი ფრთხილად იქცეოდა. იგი დასაყრდენს უფრო ალყირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში ეძებდა, ვიდრე ხალხს მასებში. იგი ცდილობდა ფრაქციებს შორის პოლიტიკური ბრძოლა შეენელებინა. მას ესმოდა, რომ ქვეყნის ისეთი რაიონები როგორიც კაბილია და აურესი იყო, რეგონალური უთანხმოებებისათვის პოტენციურ ძალას წარმოადგენდნენ. ახალი მმართველი ორგანოების ჩამოყალიბებისას, სახელმძღვანელო თანამდებობების რიცხვი მკაცრად იყო განსაზღვრული მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შეფარდებით. რევოლუციური საბჭო და უმაღლესი ხელისუფლება ოცდაექვსი წევრისაგან შედგებოდა, აქედან ხუთი ბერბერი იყო³⁰.

მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში რამდენიმე ახალი პირი იქნა არჩეული. მათ შორის ბერბერები იყვნენ³¹. პარტიის ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით შეიქმნა აღმასრულებელი კომიტეტი ხუთი წევრის შემადგენლობით. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ეროვნული განთავისუფლების ფრონტის შემადგენლობა საკმაოდ გაიზარდა. გაითვალისწინა რა მოსახლეობაში პარტიზანთა ლიდერების სოლიდური პრესტიჟი, პარტიამ ძინი საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დანიშნა. პარტიული ხელმძღვანელობის ბირთვში ხუთ წევრს შორის კაბილთა ცნობილი ლიდერი მოჰანდ ალ-ხაჯიცი იყო.

ბუმედიენის მთავრობა ყოველმხრივ ცდილობდა ბერბერ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის არსებული უთანხმოებანი აღმოეფხვრა, რათა ისინი კაბილიასა და აურესში მცხოვრებ ბერბერთა შორის კონფრონტაციის მიზეზი არ

²⁹ ბუმედიენის მიერ მოხდენილ სახელმწიფო გადატრიალებას ბერბერების ფართო მასებში, ისევე როგორც მათ ხელმძღვანელობაში არც ერთუხიანში გამოუწვევია და არც რაიმე მტრული მოქმედება. მას მნიშვნელოვან ყურადსაღებ მოვლენად არ მიიჩნევდნენ. ბუმედიენზე ცოტა რამ იყო ცნობილი. იმ დროს იგი ხალხის დიდი მხარდაჭერით არ სარგებლობდა. საერთოდ კი ალყირელთა უმრავლესობამ ლოდინი აშკიბინა.

³⁰ მოჰანდ ალ-ჰაჯი, ბაშირ ბუმბაზა, მუჰამედ საიდი კაბილბი იყვნენ. ტაჰარ ბზირი და საიდ აბიდი, კი შაფიები. ყველა მათგანი აჰმედ ბენ ბელას მთავრობის წევრები იყვნენ.

³¹ მათ შორის იყო: ბულაიდ აბდესსალამი, კაბილი, რომელიც ვახდა მრეწველობის და ენერჯეტიკის მინისტრი, შემდეგ კი აღიარებული იქნა როგორც არსებული რეჟიმის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ლიდერი; აბდენურ ალი იაჰია კაბილი, რომელმაც მშენებლობის საზოგადოებრივი სამუშაოების წარმოების მინისტრის პოსტი დაიკავა, აბდულაზიზ ზარდანი, შაფია, ტაჰარ ზბირის — შრომის მინისტრის უახლოესი თანამაზრე იყო.

გამხდარიყვნენ. ამიტომ ბუმედიენის მთავრობამ გადაწყვიტა მოეხდინა დიდძალი მატერიალურ-ეკონომიკური სახსრების მობილიზაცია.

ეკონომიკურად ჩამორჩენილი ბერბერული რაიონების დასახმარებლად თავის დროზე ასეთივე პოლიტიკას ატარებდა ბენ ბელას მთავრობაც, კერძოდ განათლების სფეროში. ამ დროისათვის ალყირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ბევრი განაპირა რაიონი, კულტურულ-ეკონომიკური თვალსაზრისით, არათანაბრად ვითარდებოდა, ალყირის მთავრობამ შეიმუშავა პროგრამა ქვეყნის განაპირა რაიონებში განვითარების დონის ასამაღლებლად, მაგრამ პარტიის ხელმძღვანელობის შიგნით არსებული კონფლიქტები ხელს უშლიდა ალყირის მთავრობას ჯეროვანი ყურადღება მიექცია დასახულ სოციალურ-ეკონომიკურ ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

ალყირის პოლიტიკურ ხელმძღვანელთა შორის მომხდარი უთანხმოებია შედეგად 1966 წლის დასასრულს ორი მინისტრი გადადგა, კონფლიქტი 1967 წელსაც ვაგრძელდა, რის შემდეგაც ხელმძღვანელობაში ორი მიმდინარეობა წარმოიშვა, რომელთა მომხრენიც ქვეყნის ეკონომიკის მართვის მეთოდების და ორგანიზაციის საქმეში თავიანთ პირად შეხედულებებს ეყრდნობოდნენ. პირველი ჯგუფი, რომელსაც აბდელ-აზიზ ზარდანი მეთაურობდა, ალყირის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო განვითარებაში ცენტრალიზებული თვითმართველობის დანერგვის მომხრედ გამოდიოდა. ა. ზარდანი თავის მიმდევრებს ტაპარ ზბირის და საიდ აბიდს, ეყრდნობოდა. ორივეს მნიშვნელოვანი, თანამდებობები ეკავათ ალყირის რესპუბლიკის არმიაში. მეორე ჯგუფი, რომელსაც მრეწველობის და ენერგეტიკის მინისტრი კაბილი ბაიდ აბდეს-სულამი მეთაურობდა, გამოდიოდა სახელმწიფო კაპიტალიზმის ცენტრალიზებული და ორგანიზებული ფორმის დანერგვის მომხრედ. შემდგომში აბდელ-აზიზ ზარდანი გადადგა. მალე მის მაგალითს მიბაძა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოლი იაჰიამ, რომელიც წარმოშობით კაბილი იყო. 1967 წ. დეკემბრის შუა ოცივებში სახელმწიფო გადატრიალების მოხდენის მიზნით, ტაპარ ზბირის მეთაურობით ფარული ბრძოლა დაიწყო, მაგრამ მალე ეს ბრძოლა, რომელიც ბუმედიენის წინააღმდეგ იყო მიმართული, არმიაში ლოიალურად განწყობილმა ოფიცრებმა ჩაახშეს.

1967 წ. დეკემბერში სახელმწიფო გადატრიალების წარუმატებელი ცდის შემდეგ, ბუმედიენის მთავრობის ბევრი პოტენციური მოწინააღმდეგე ჩამოშორდა, მათ შორის იყო კაბილ პარტიზანთა ყოფილი ლიდერი მოჰანდ ალ-ხაჯი. საერთოდ ბერბერთა რიცხვი პოლიტიკურ ლიდერთა ჯგუფში მნიშვნელოვნად შემცირდა. როგორც აღვნიშნეთ, რევოლუციის საბჭოში თავდაპირველად ზუთი ბერბერი შედიოდა. ბაშირ ბუმაშას, ტაპარ ზბირის ჩამოშორებისა და საიდ აბიდის გარდაცვალების შემდეგ, მასში დარჩა მხოლოდ ერთი კაბილი საიდ მოჰამედი, რომელსაც უმნიშვნელო ფიგურად მიიჩნევდნენ.

1967 წ. დეკემბრის ხანმოკლე პოლიტიკური კრიზისის შემდეგ, ბუმედიენის მმართველობა უფრო დინამიური გახდა. მას შემდეგ, რაც გაქრა ოპოზიციის საშისრობება, ალყირის მთავრობამ ხელი მოჰკიდა მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას. ამასთან დაკავშირებით, აურესა და კაბილიაში შედგა მინისტრთა საბჭოს სხდომები, რაც ხაზს უსვამდა ჩამორჩენილი რაიონებისადმი მთავრობის ინტერესის ზრდას.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩატარებული არჩევნების მონაცემები მოწმობენ, რომ 1963 წელს კაბილიაში მთავრობას მხარს უჭერდა რეგისტრირებული ამომრჩევლების 54 %, 1964—57 %, ხოლო 1969—70 %³². აურესის რაიონში ამომრჩეველთა ნაკლები რიცხვი იყო რეგისტრირებული, მაგრამ ამ რეგისტრირებულთა 79 % მთავრობის მიერ წამოყენებულ კანდიდატურების მომხრე იყო,

კაბილიაში 1969 წ. ჩატარებული არჩევნების შედეგები მეტყველებენ იმაზე, რომ ალჟირის მთავრობამ ნაწილობრივ შეძლო პარტიული თანამდებობის მქონე პირთა გავანა საოლქო მმართველობაში. კაბილიაში ჩატარებული არჩევნების შედეგად ადგილების 19 % პარტიის ოფიციალურმა პირებმა დაიკავეს, ხოლო ქვეყნის სხვა რაიონებში ადგილების 4 %, გარდა ამისა, სათემო არჩევნების დროს მოქმედ წევრთა უმეტესი რაოდენობა არჩეულ იქნა, ეს კი კაბილიის ახალ საოლქო ორგანოში შემავალი ყველა წევრის 23 % შეადგენდა. ალჟირის სხვა რაიონებში ჩატარებული არჩევნების წევრთა რიცხვი არც თუ ისე დიდი იყო³³.

კაბილიაში უკვე 60-იანი წლების დასასრულს ბუმედიენის მთავრობა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, ამაზე მეტყველებს 1968 წლის დასასრულს კაბილიაში პრეზიდენტის გულთბილი მიღება და 1969 წ. მაისში ჩატარებული არჩევნების შედეგები. ასე თანდათანობით ვრცელდებოდა ხელისუფლება კაბილიის ყველა კუთხეში, ერთდროულად ხორციელდებოდა მთავრობის მიერ დაფინანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამები. წარმატების შემთხვევაში ასეთი პოლიტიკა ქვეყნის ყველაზე მსხვილ ბერბერულ რაიონში უთანხმოებათა თავიდან აცილების სრულ გარანტიას იძლეოდა.

ალჟირში 70-იანი წლებიდან იწყება მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები, სოფლად იქმნებოდა ახალი კოოპერატივები. 1971 წლის 8 ნოემბერს მიიღეს კანონი აგრარული რეფორმის გატარების შესახებ. რის საფუძველზე დაიწყო მიწების გადანაწილება, კოოპერატიულ დასახლებათა მშენებლობა, მათ სოციალისტურ სოფლებს უწოდებდნენ³⁴.

ახორციელებდა რა აგრარულ პოლიტიკას, ალჟირის მთავრობა ზოგიერთ სიძნელეს აწყდებოდა. კაბილიისა და აურესის რაიონებში შეძლებული გლეხობა და ეროვნული ბურჟუაზია წინ აღუდგა სოფლად კოოპერატივების შექმნას.

1976 წ. 27 ივნისს ჩატარებული რეფერენდუმის დროს მოიწონეს ეროვნული ქარტიის პროექტი — ალჟირის რევოლუციის ახალი საპროგრამო დოკუმენტი³⁵. იმავე წლის ნოემბერში საყოველთაო განხილვის შემდეგ მიიღეს ალჟირის რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია, რომელიც ეროვნულ ქარტიაზე იყო დაფუძნებული. 1979 წლის თებერვალში შედგა ეროვნული განათვისუფ-

³² William B. Quandt, *The Berbers...*, გვ. 301.

³³ იქვე, გვ. 293.

³⁴ Алжир. Москва, 1977, გვ. 77.

³⁵ მისი პროექტი ბუმედიენის ხელმძღვანელობით სპეციალურმა კომისიამ შეადგინა. იგი შედგებოდა შესავლისა და შვიდი განყოფილებისაგან. როგორც ალჟირის ოფიციალური პრესა აღნიშნავდა, ეროვნული ქარტია იქნებოდა ახალი წვლილი ალჟირელი ხალხის განათვისუფლების საქმეში (იხ. „Revolution africaine“, № 644, 1976).

ლების ფრონტის ყრილობა. ყრილობის დროს აირჩიეს ეროვნული სამდივნო და ეროვნული საბჭო. ოთხი დღის განმავლობაში ყრილობა იხილავდა გენერალური მდივნის არჩევის საკითხს³⁶. ბევრი დელეგატი მხარს უჭერდა ალყირის საგარეო პილიტიკის წინამძღოლის აბდელაზიზ ბუთეფლიკს, მაგრამ ეს კანდიდატურა უარყოფილ იქნა მისი პროდასავლური შეხედულებების გამო. საბოლოოდ მხოლოდ ორი კანდიდატურა დარჩა. ესენი იყვნენ რევოლუციური საბჭოს წევრები მუჰამედ სალაჰ იაპიაუი, ქ. შერშელში სამხედრო აკადემიის ყოფილი ხელმძღვანელი და 1977 წლიდან პარტია „ეროვნული განთავისუფლების ფრონტის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ორანის სამხედრო ოლქის მეთაური ალყირის ეროვნული არმიის პოლკოვნიკი შადლი ბენყედლი. ხმების უპირატესობით გაიმარჯვა პოლკოვნიკმა ბენყედლიმ, რომელიც 1979 წ. 31 იანვარს არჩეულ იქნა ეროვნული განთავისუფლების ფრონტის გენერალურ მდივნად. არჩევის შემდეგ შადლი ბენყედლიმა განაცხადა, რომ ალყირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებოდა ახალი პოლიტიკური, სოციალისტური და ეკონომიკური გარდაქმნები, რევოლუციურ მონაპოვართა განმტკიცებობა და სოციალიზმის აშენების მიზნით. ალყირის რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი გახდა მუჰამედ ბენ აჰმედ აბდელდანი, ყოფილი ოფიცერი, რომელსაც ადრე შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა. მთავრობის შემადგენლობაში კიდევ ორი სამხედრო პირი შეიყვანეს. მათ სოფლის და სატყეო მეურნეობების მდივნების თანამდებობები დაიკავეს.

გახდა რა ალყირის რესპუბლიკის პრეზიდენტი შ. ბენყედლიმა დაიწყო ბრძოლა ქვეყნის წინაშე წამოჭრილ პრობლემათა ვადსაჭრელად. ბუმედიენის მმართველობის 13 წლის მანძილზე ჩამოყალიბებული პოლიტიკური ხელმძღვანელობიდან შ. ბენყედლიმა ბევრი მისი წევრი დაითხოვა და მასში ტექნიკური ინტელიგენციის დიდი რაოდენობა მიიზიდა. პრეზიდენტმა პირადად იზრუნა იმისათვის, რომ ბუმედიენის მმართველობის მოწინააღმდეგენი პატიმრობიდან გაეთავისუფლებინა. მათ შორის იყო ალყირის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი აჰმედ ბენ ბელა, რომელიც 15 წლის მანძილზე პატიმრობაში იმყოფებოდა. გარდა ამისა, ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელიც წინააღმდეგობათა შედეგად იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა და საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში არ მისდევდა აქტიურ ოპოზიციურ საქმიანობას, ნება დართეს ალყირში დაბრუნებულიყო. მაგალითად, ასეთი იყო ყოფილი მინისტრი ბაშირ ბუმაზა.

მიუხედავად ამისა, ახალი პრეზიდენტის პოლიტიკისათვის არ იყო დამახასიათებელი აბსოლუტური შემწყნარებლობა. ბევრი მასობრივი მოძრაობა აიძულეს შეერთებოდნენ ეროვნული განთავისუფლების ფრონტს. არაბიზაციის პროგრამის განხორციელებამ რესპუბლიკის არაარაბი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. 1979 წ. შემოდგომაზე „ტრაიბალიზმის“ გადმონაშთების ლიკვიდაციის მიზნით გატარდა ეროვნული განთავისუფლების ფრონტის „ჩქედა ინსტანციების“ რეორგანიზაცია, ხოლო დეკემბერში ჩატარდა აღმასრულებელი საბჭოების და სახალხო კომუნალური კრებების ახალი არჩევნები, მათი მუშაობის რეორგანიზაციისა და გააქტიურების მიზნით.

³⁶ 3. ბუმედიენი გარდაიცვალა 1979 წ.

მიუხედავად იმისა, რომ არაბებს და ბერბერებს ალჟირში ერთმანეთთან ხშირად კონფლიქტი ჰქონდათ, სახალხო ეროვნული ფრონტის შიგნით მომხდარ კონფლიქტებს ეთნიკური ან ეროვნული საარჩული არასდროს არ ჰქონიათ. გაზრდილი სოციალური კომუნიკაციის პირობებში ლინგვისტური, რელიგიური და რასობრივი ჯგუფები გაერკვნენ ურთიერთგანმსხვავებელ ნიშნებში.

მაროკოაგან განსხვავებით, ალჟირში არ არის ბერბერების ისეთი ძლიერი ხელმძღვანელობა, რომელსაც მასებთან მჭიდრო კავშირი ექნებოდა. ასეთი მოძრაობა შეიძლება განვითარებულყო ახალი პოლიტიკური სისტემის შიგნით, ანდა მას შეეძლო მოეთხოვა ცენტრალური ხელისუფლებისაგან ავტონომია იმ შემთხვევაში, თუ ალჟირში არსებული მთავრობა ბერბერული უმცირესობის მიმართ მტრულ პოლიტიკას გაატარებდა, თუ იგი ბერბერული რაიონებისადმი ეკონომიკურ დახმარებას უგულუბელყოფდა, თუ ბერბერ ხელმძღვანელებს პარტიული და ადმინისტრაციული თანამდებობიდან დაითხოვდა, მაგრამ ასეთი რამ ალჟირში არ ხდება.

თავის მხრივ, არც ბერბერთა ლიდერები ცდილობენ ქვეყნის შიგნით პოლიტიკური სისტემის ლიბერალიზაცია არაარაბული წარმოშობის მოსახლეობაში პოლიტიკური მუშაობის გასააქტიურებლად გამოიყენონ. ისინი არც იმას ცდილობენ, რომ კაბილების და შავების მეშვეობით მსხვილი ბერბერული პარტია ჩამოაყალიბონ. შესაძლებელია ამას ხელს ის გარემოებაც უწყობს, რომ ალჟირში არ არსებობა მრავალპარტიული სისტემა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ რამდენიმე ათეული წელიწადი ალჟირელები არ გახდებიან არაბებსა და ბერბერებს შორის ეთნიკურ ნიადაგზე მომხდარი კონფლიქტის მოწმე, ვინაიდან ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ახლანდელი მთავრობის პოლიტიკა არ არის დისკრიმინაციული ბერბერული უმცირესობის მიმართ. ამჟამად ალჟირში ბერბერთა უმცირესობის არაბულ ეროვნებასთან შერწყმისა და შათი ერთ ალჟირულ ეროვნებად ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობს. ყოველივე ეს ხელს უწყობს ბერბერთა პარტიკულარიზმის გამოვლენის შემთხვევების საგრძნობლად შემცირებას ქვეყანაში.

3. А. МЕНТЕШАШВИЛИ

БЕРБЕРЫ В ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКОЙ ЖИЗНИ СОВРЕМЕННОГО АЛЖИРА

Резюме

Берберы в Алжире, в отличие от Марокко, составляют меньшинство. Тем не менее, в национально-освободительном движении алжирского народа районы, населенные берберскими племенами — кабилами, шавия, туарегами и мозабитами, сыграли важную роль. В 50-х годах в Кабилии были созданы две подпольные организации, которые превратили эту горную местность в одну из опорных пунктов антиколониального движения.

Многие из берберских политических деятелей входили в руководство революции, а после завоевания независимости — в состав правительства АНДР.

В настоящее время политика, проводимая правительством АНДР по отношению берберского меньшинства, исключает случаи возникновения берберского партикуляризма в стране, оно оказывает экономическую помощь слабо развитым берберским районам, выдвигает берберов на административные должности и т. д.

На нынешнем этапе политического развития страны идет процесс слияния берберского меньшинства с арабами и образования единой алжирской нации.

წარმოადგინა შრომის წითელი დროშის ორდენისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრამ

**ნათესაური ურთიერთობის ზოგადი საკითხი აჭარაში
ალათობრივი ნორმების შუქვა**

XIX ს-ის მეორე ნახევრისათვის აჭარაში მოქმედმა ზოგადქართული ხალხთა წყობებისათვის საშინაო საზოგადოებრივი ნორმების მთელი რიგი ფორმები შეინარჩუნა. ჩვეულებითი სამართლის ფუნქციონირება თავის მხრივ განპირობებული იყო სამართლებრივ-საზოგადოებრივი ნორმების გარკვეული კატეგორიების, კერძოდ, სისხლის აღების წესისა და კომპოზიციის სისტემის არსებობითაც. სისხლის აღებასა და კომპოზიციის სისტემაში მოქმედი სამართლებრივი ნორმები აღაყრდნობდა შეესატყვისებოდა და, ამდენად, ძველი სოციალური ურთიერთობის საყრდენობა მხარეებსაც შეიცავდა.

სისხლის აღების წესი, რომელიც გვაროვნული წყობილებიდან მოყოლებული კლასობრივ საზოგადოებაშიც განაგრძობდა არსებობას, ქართულ სამართლებრივ ძეგლებშიც¹ აისახა. ქართული სახელმწიფოებრიობისა და კლასობრივი საზოგადოების პირობებში სისხლის აღების წესის ადგილი დაიჭირა სისხლის აღების ნორმამ აშკარად გამოხატული კლასობრივი ხასიათით². ქართულ ფეოდალურ სამართალში გათვალისწინებულია წოდებრივი მდგომარეობა და სისხლის საფასურიც ამის მიხედვით განისაზღვრებოდა³. საქართველოსა და კავკასიის⁴ მთიელების გარდა, სისხლის აღების წესი გავრცელებული იყო მხო-

¹ Л. Г. Морган, Древнее общество, Л., 1934, გვ. 46; ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1953, გვ. 118; Ю. В. Бромлей, Современные проблемы этнографии (очерки теории и истории), М., 1981, გვ. 206; რ. ხარაძე, დღი ოჯახის გადმონათვისებები სვანეთში, ტფ., 1939, გვ. 25; ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიბაია, ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხევისურული, თბ., 1939, გვ. 3.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, შიგნით I, ტფ., 1928; ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1952; მისივე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბ., 1965; იოანე ბაგრატიონი, სჯულდება, თბ., 1957; მ. კეკელია, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, შიგნით I, თბ., 1970; ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957; ი. ფუტყარაძე, ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1964; ნ. ხიზანიშვილი, რჩეული იურიდიული ნაწერები, თბ., 1982.

³ ვ. შამილაძე, გვაროვნული წყობილების ერთი გადმონათვისების შესახებ, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, № 5, ბათუმი, 1961, გვ. 83.

⁴ ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 1953, გვ. 5.

⁵ რ. ხარაძე, ხევისურული რწული (სისხლ-მსისხლეობა), „ნალები“, I, თბ., 1947; მისივე, ხევისურული ანდრეზი ხალხური სამართლის წყარო, „მომზადებული“, II, თბ., 1951; მისივე, თემური მმართველობის გადმონათვისებები საქართველოში, საქ. სსრ მეცნ. აკად. ფ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკ. 2, თბ., 1959; А. И. Робакидзе, Кавказоведческие проблемы грузинской этнографии, Кавказский этнографический сборник, IV, Тб., 1972, გვ. 11; ი. ფუტყარაძე, მთიელთა ჩვეულებითი სასისხლო სამართალწარმოების საკითხები, კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, III, თბ., 1971. მ. კეკელია ზემო სვანეთის საზოგადოებრივი წყობილება და სამართლის საკითხები, —თსუ შრომები, 1971,

⁶ М. М. Ковалевский, Современные обычай и древний закон, т. I, М., 1886; В. К. Гарданов, Система композиции в обычном праве адыгов (черкесов) XVIII —

ფლიოს სხვადასხვა ხალხში — ძველ გერმანელებში, ბერძნებში⁷ და სხვ. ქართველ მთიელებში, კერძოდ მთიულელებში სისხლის ალების ჩვეულების არსებობა „განჩინების“ საბუთიდანაც თვალნათლივ დასტურდება⁸.

ქართველ მთიელთა შორის, კერძოდ, სამხრეთ საქართველოში ცნობილი ჩვეულების სამართლისა და კომპოზიციის შესასწავლად განსაკუთრებით ძვირფას ცნობებს შეიცავს ბექა-ალბუღას სამართალი, რომელშიც ასახულია XIII—XIV საუკუნეების საქართველოს სოციალური და იურიდიული წყობილება⁹. ბექა-ალბუღას კანონმდებლობის ძირითად წყაროს ადათობრივი სამართალი შეადგენს¹⁰ და იგი საყურადღებოა ჩვეულებითი სამართლისა და კანონმდებლობის ურთიერთშეღარების თვალსაზრისით.

სისხლ-მესისხლეობის საკითხი გადმონაშთების ანალიზის საფუძველზე აჭარაში მონოგრაფიულად არის შესწავლილი ლ. ბოჭორიშვილის მიერ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ნაშრომი ჯერ გამოქვეყნებული არ არის. ამ საკითხს ჩვენ ვეხებით მხოლოდ ნათესაურ ურთიერთობათა ძველი ფორმების თავისებურებათა გამოვლენის მიზნით, რომლებიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა ნათესაობის სისტემაში ნათესავთა სტრუქტურული სიშორე-სიახლოვის დასადგენად. ამ მხრივ საყურადღებოა პასუხისმგებლობის ფორმა, რომელიც დაკისრებული ჰქონდა უახლოეს ადამიანს.

სისხლით ნათესაურ ერთეულს აჭარაში ნო გ რ ო - ს ტიპის ნათესაობა წარმოადგენდა. იგი თავისი შინაარსით განსხვავდებოდა გვარისაგან gens-ის მნიშვნელობით და დიდი ოჯახის სეგმენტაციის საფუძველზე იქმნებოდა. ნოგროს შემადგენელი ოჯახები ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ იდეოლოგიური, სოციალური, ტერიტორიული და ნაწილობრივ სამეურნეო ერთობის ნიშნებით. სისხლის ალების წესი სისხლით ახლობლის მკვლელობისათვის ნოგროს თითოეულ წევრს აკისრებდა პასუხისმგებლობას, რაც დაზარალებული მხარის მკვლელის მიმართ საპასუხო აქციაში გამოიხატებოდა. ნოგროს საზოგადოებრივი ერთობა სისხლ-მესისხლეობის სფეროშიც მოქმედებდა და ამ სახით იგი ერთთან სოციალურ ორგანიზმს წარმოადგენდა. ნოგროს თითოეულ წევრზე ოჯახთან ერთად, პასუხს მთელი კოლექტივი აგებდა. მამაკაცის სავაჟაკო ან სამარცხენო საქციელი ამფლავებდა ნათესაური წრის დანებებით და უარყოფით მხარეებს. ამიტომ ანგარიში ეწეოდა საზოგადოებრივ აზრს და მიღებულ ადათობრივ ნორმებს. საგვარეულოს შემარცხენელი¹¹ ან უ გ ვ ა რ ი მ ა ძ ა გ ი შესაძლოა სოფლიდან გაეძეებინათ. გვარიმძაცს იმ შემთხვევაში აძეებდნენ, როცა იგი არასრულწლოვან თუ სრულწლოვან ან სისხლით ნათესავ ქალს უ ე ე ხ ე ო დ ა ანუ სქესობრივ უნებართვო კავშირს დაიჭერდა. ამას მკვლელობაც მოსდევდა, მაგრამ დანაშაულის ნოგრო დანაშაულის სიმძიმის გამო თავს იკავებდა შურისმაძიებლებსათვის პასუხის გასაცემად. მეტიც, თუ

первой половины XIX в., М., 1964; 3. Д. Гаглойти, Очерки по этнографии осетин, Тбилиси, 1974, გვ. 9; Е. М. Карапетян, Родственная группа «Азг» у армян (вторая половина XIX — начало XX в.), Ереван, 1966, გვ. 69; Ш. Д. Инал-ипа, Абхазы, 1965, გვ. 431.

⁷ Е. Кагаров, Пережитки первобытного коммунизма в общественном строе древних греков и германцев, М.-Л., 1937.

⁸ რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, გვ. 44.

⁹ ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, გვ. 5.

¹⁰ იქვე, გვ. 85.

¹¹ გვაროვნულობის დროინდელი პატრიარქალური გვარის ქართულ შესატყვისად ჩვენ ვიყენებთ ტერმინ „გვარს“, ხოლო ფამილიას აღსანიშნავად „საგვარეულოს“.

დამნაშავე გადაურჩებოდა ქალის ძმებისა და ბიძა-ბიძაშვილების დევნას, გვარი-მაძაგის კ ე დ ა რ ო (მხარე) მინც მომხრე იყო, რათა სისხლით ნათესავს დაე-ტოვებინა სოფელი და წასულიყო. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, მთიულეთ-გუდამაყარში, ხანდოს თემსა და ჭართალში, მსგავსად აჭარისა, იცოდნენ დამნაშავეს მ ო კ ვ ე თ ა. ამ დროს სოფლის თ ა ვ კ ა ც ე ბ ი ხატთან ან სოფლის განაპირას ს ა მ ა ნ ს ჩ ა ს ვ ა მ დ ნ ე¹¹ და დამნაშავეს დ ა ა რ ი ს ხ ე ბ ნ ე¹²; . მოკვეთის ჩვეულება ორი ფორმით დასტურდება: 1. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ვთქვათ, თავისი მ ა მ ი შ ვ ი ლ ო ბ ი ს ქალის დასაჯებას, საერთოდ მ ო გ ვ ა რ ე ს თ ა ნ შემთხვევითი სქესობრივი კავშირის დაჭერისათვის თუ ცოლად მოყვანისათვის სოფელი სრულიად იკვეთდა თემის ადათების მტეხელს; 2. შედარებით მსუბუქი დანაშაულისათვის, მაგალითად, ქურდობისათვის სოფელი იკვეთდა ადამიანს, მაგრამ მას უტოვებდა სოფელში ცხოვრების უფლებას. ამ შემთხვევაში პიროვნების გარიყვა იმაში გამოიხატებოდა, რომ სოფლის საგვარეულოთა და მამიშვილობათა წევრები მასთან და მის ოჯახთან წყვეტდნენ ყოველგვარი ხასიათის კავშირურთიერთობას: შეხვედრისას პირს არიღებდნენ, ქორწილსა და ტირილში არ იწვევდნენ და ა. შ. დამნაშავეს არ შეეძლო მისვლა საკულტო დანიშნულების საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებშიც: ხატობაზე, საგვარეულოს სალოცავებზე და სხვა. ანალოგიური ჩვეულება გურიამიც დასტურდება ე. წ. „ბოიკოტის“ გამოცხადების სახით.

სოფლის თემის პირობებში კავკასიის მთიელთა ჩვეულებითი სამართლის შესწავლა გვიჩვენებს, რომ საზოგადოებრივი იზოლაცია წარმოადგენდა სასჯელის უმაღლეს ფორმას, რომელიც ფიზიკური მოსპობის თანაბარი იყო¹³. იზოლაციის ეს ფორმა გენეტურად უკავშირდება გვაროვნულ წყობილებას. პირველყოფილი გვარიდან პიროვნების მოკვეთის ჩვეულება სიკვდილით დასჯას უტოლდებოდა, რადგან გვარისაგან დამოუკიდებლად წევრს არ გააჩნდა თავისი ინდივიდუალობის შეგნება და ცხადია, არ შეეძლო არსებობაც¹⁴. მოკვეთის ჩვეულება შემდგომში სოფლის თემმა შეინარჩუნა, როგორც ჩვეულებითი სამართლის ნორმა. გვარიდან პიროვნების განდევნა მსოფლიოს სხვა ხალხებისთვისაც (ძველი ბერძნები, სემიტები და ა. შ.) იყო დამახასიათებელი¹⁵.

აჭარაში ნათესაობის სისტემის გათვალისწინებით პასუხისმგებლობა დიფერენცირებული ჩანს, შურისმაძიებლად გვევლინება არა მთლიანად ნოვრო, არამედ გარდაცვლილის უახლოესი ნათესავი, მისი არყოლის შემთხვევაში სიახლოვით მომდევნო საფეხურის ნათესავი და ა. შ. სისხლის აღებისადმი ნათესავთა დიფერენცირებული მიდგომა ნოვროს სოციალური ერთობის დაშლის მაჩვენებელია. თუ ერთ თაობაში სისხლება არ მოხერხდებოდა, მტრობა შთა-

¹¹ სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, სამანი სომხურია და საზღვარს ნიშნავს (იხ. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949). სამანი მოწის ნაკვეთის გამყოფი საზღვრის მნიშვნელობით აჭარაშიც დასტურდება.

¹² ნ. მგელაძე, 1983 წლის მთიულეთ-გუდამაყარის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, რვ. 1.

¹³ Р. Л. Харадзе, Характер сельской общины грузин-горцев по этнографическим материалам, М., 1964, გვ. 7.

¹⁴ Поль Лафарг, Собственность и ее происхождения, М., 1950, გვ. 50.

¹⁵ იქვე.

მომავლებზეც გადადიოდა და პ ა პ უ ა ს ა ნ უ დ ე დ ე ს (ბაბუა) საძიებელი სისხლი ბ ა დ ი შ ს ე კ ის რ ე ბ ო დ ა.

აღრეულ პერიოდში შურისმაძიებლად მთელი გვარი გამოდიოდა. ფ. ენ-გელსი წერდა: „თანამოგვარენი ვალდებული იყვნენ ერთმანეთისათვის დახმარება გაეწიათ. დაეცვათ ერთიმეორე და განსაკუთრებით ერთმანეთს დახმარებოდნენ უცხოელის მიერ მიყენებული შეურაცყოფისათვის შურისძიებაში. ცალკეული ინდივიდი თავისი პირადი უშიშროების დაცვის საქმეს გვარს ანდობდა და შეეძლო კიდევ მას დანდობოდა; ვინც მას შეურაცყოფდა, ის მთელ გვარს აყენებდა შეურაცყოფას. აქედან, გვარის სისხლიერი ნათესაობიდან, წარმოიშვა სისხლის ალების ვალდებულება“¹⁶. ავტორის დასკვნით, გვაროვნული წყობილებიდან გამომდინარეობდა იმის ვალდებულება, რომ ადამიანს მემკვიდრეობით მიეღო მამის ან ნათესავის მეგობრული და მტრული დამოკიდებულება სხვებთან¹⁷.

XIX ს-ის აჭარაში სისხლ-მესისხლეობის ინსტიტუტის ხანგრძლივი კონსერვაცია სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით იყო განპირობებული. მესისხლეობასთან დაკავშირებული ჩვეულების შესახებ, XIX საუკუნის ლიტერატურაში ჩვენი თუ უცხოელი მოგზაურების არაერთი ჩანაწერი და დაკვირვებები გვხვდება. მ-იან წლებში თ. სახოკია ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ აჭარელისათვის შეურაცხყოფა მარტო სისხლით მოიბანება. ავტორის ცნობით, „აჭარელი მეტად თავაზიანია, ზრდილი და პირად მთქმელი“. იგი ერიდება კაცის შეურაცხყოფას, მაგრამ ერიდება იმასაც, რომ სხვებზეც არ შეურაცხყონ. „შურისძიება და სისხლის ალება ძველთაგანვე დარჩენილა. თუ კაცი შემოაკვდა, მძოლის, რომ მოკლულის ნათესავებისაგან აღრე თუ გვიან იმავე საწყაოთი მიეზღვის“¹⁸. მუჰაჯირობის დროს მაშინდელი ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს, გენერალ-მაიორ კომაროვს მცხოვრებთათვის განუცხადებია: „ოჯახს და მის ჩვეულებას ვერაფერს ვერ შეეხება, მაგრამ „ყანი“ — სისხლის გადახდა კი უნდა მოიწალოთ. კაცის მოკვლა დიდი ცოდვაა და არავის არა აქვს ნება მტრობით კაცი მოჰკლას. „ვისაც დუშმანი ჰყავს, იმან სასამართლოში უნდა იჩივლოს“¹⁹. გ. ყაზბეგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სისხლის ალება ამ მხარეში ჩვეულებრივი ამბავია. ქალის თხოვა ოჯახის ნებართვის გარეშე უსისხლოდ არ ჩაივლიდა, თუნდაც იგი ქალის სურვილითაც ყოფილიყო გამოწვეული²⁰. საინტერესო დაკვირვებები მოეპოვება პ. უმიკაშვილს. იგი ადასტურებს აჭარაში სისხლის ალების ჩვეულების არსებობას, მაგრამ ხაზს უსვამს და უარყოფს მსგავსი შემთხვევების სიხშირეს. ავტორი ჩამოთვლის აჭარელთა ისეთ თვისებრივ მხარეებს, როგორცაა გვარიშვილების, ნათესავებისა და მეზობლების ურთიერთდამოკიდებულება. „ძველი ქართული პატივისცემა და სიყვარული გვარეული სისხლისა და ნათესავებისა აქ უფრო ძირეულადაა შემორჩენილი. აქაური გვარეულობის ოჯახნი ერთმანეთის პატივისმცემელნი არი-

¹⁶ ფ. ენგელსი. დასახ. ნაშრომი, გვ. 117—118.

¹⁷ იქვე, გვ. 191.

¹⁸ თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 131, 159.

¹⁹ ვახ. „დროება“, 6 აგვისტო, № 165, 1880.

²⁰ გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, წიგნი: გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ, 1960, გვ. 99.

ან. ამ გვარეულობის პატივისცემასა და ერთობას აძლიერებს სისხლის აღება. აჭარლებში სისხლის ჩამოვარდნა ხშირი არ არის²¹. ერთი კორესპონდენტის ცნობითაც, აჭარის მკვიდრთ „თავმოყვარეობა უყიდურესობამდე აქვთ განვითარებული და სისხლის აღება იციან. შეურაცხყოფას არავის შეარჩენენ და შთამომავლებზეც იძიებენ შურს“²². აღნიშნული საკითხებით დაინტერესდა ფრანგი მოგზაური და ორიენტალისტი ჟან მურეიე. მან საცხებით სწორად მიუთითა, რომ „შურისძიება ამ მხარეში შემონახულია, როგორც ბუნებრივი სამართალი“²³. სისხლის აღების წესებზე გარკვეული ცნობები მოგვრევა ა. ფრენკელს²⁴, ვ. ლისოვსკის²⁵ და სხვ., მსგავსი მონაცემები წარმოდგენილია XIX ს-ის ქართულ პერიოდულ პრესაშიც²⁶; აჭარის ეთნოგრაფიული მასალების გაანალიზების საფუძველზე ჩვეულებითი სამართლის ზოგიერთი საკითხი განხილულია ჯ. ნოლაიდელის²⁷, ვ. შამილაძის²⁸, ლ. ბოჭორიშვილის²⁹, მ. ბეჭაიას³⁰, ლ. კალანდარიშვილის³¹ ნაშრომებში.

შურისძიების გამომწვევი მიზეზები ქონების დაცვის, ნიშნობის დარღვევის, ქალის მოტაცების³² ან, საერთოდ, ქალზე „შენებისა“ და სხვა ფაქტორებითაც იყო განპირობებული. თ. სახოკიას ცნობითაც, აჭარაში „კაცის კვლას და სისხლის ღვრას ადგილი ჰქონდა მეორე შემთხვევაშიც. ამ მეორე შემთხვევას იწვევს ხოლმე ძველი ჩვეულება საცოლის მოტაცებისა, როცა მშობლები ქალის წინააღმდეგი არიან ხოლმე, მაგრამ მოხდება ისიც, რომ სასიძოსა და ქალის ნათესავების მხრივ სისხლიც დაიღვრება, თუ განსაკუთრებით, საცოლვეც წინააღმდეგია თავისი მომტაცებლის სურვილისა“³³. თუ ოჯახს მოყვრობის მსურველი ორი სხვადასხვა ნოგროსა და საგვარეულოს წარმომადგენელი პირი დაუდიოდა, ოჯახის მეთაური—მამა ცდილობდა ორივესათვის შეგნებული და მოზომილი პასუხი გაეცა, რათა რომელიმეს თავი შეურაცხყოფილად არ ჩაეთვალა და სისხლი არ დაღვრილიყო. ასევე, თუ დაირღვეოდა საქორწინო ურთიერთობის შემადგენელი ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი ნიშნობის საფეხურის სახით, ეს დიდ შეურაცხყოფელ ფაქტად ითვლებოდა და სამოყვროდ გამოადგებულ საგვარეულოთა შორის შესაძლოა მტრობაც ჩამოვარდნილიყო. თუ მომტაცებელს არ გაუმართლებდა და მოტაცებისას საპატარძლოს დაატოვებინებდნენ, მიუხედავად ამისა იგი კვლავ ეცდებოდა ქალის გატაცებას და პირიქით,

²¹ ვაზ. „ივერია“, № 44, 1877.

²² ს. საგინაძე, სამი თვე სამაჰმადიანო საქართველოში, ვაზ. „სახალხო ფურცელი“, № 755, 1916.

²³ ჟან მურეიე, ბათუმი და ქოროხის აუზი, ბათუმი, 1962, გვ. 33.

²⁴ А. Френкел, Очерки Чурук-су и Батума, Тифлис, 1879, გვ. 19, 74.

²⁵ В. Я. Лисовский, Чорохский край, вып. I, Тифлис, 1887, გვ. 55.

²⁶ ვაზ. „ღროება“, 1879, № 12, 17 იანვარი; ვაზ. „ბათუმის ვახუთი“, № 39, 1911 და სხვ.

²⁷ ჯ. ნოლაიდელი, მასალები აჭარული ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიისათვის, ბათუმი, 1964, ობ. ხელნაწერი, პირადი არქივი, აღწ. № 1, საქ. № 8.

²⁸ ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრომი.

²⁹ ლ. ბოჭორიშვილი, აჭარაში 1974 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, IV, თბ., 1976, გვ. 151.

³⁰ მ. ბეჭაია, ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი, 1974.

³¹ ლ. კალანდარიშვილი, აჭარის კოლმეურნეთა ყოფა და კულტურა, ბათუმი, 1970, გვ. 64—65.

³² მ. ბეჭაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

³³ თ. სახოკია, დასახ. ნაშრომი.

თუ მოტაცებისას ქალის ნოვროს წევრთა დევნა მარცხით დამთავრდებოდა, სასიამაო მომტაცებელს შესარიგებელ თანხას — დასარიგებელს თხოვდა³⁴. როცა დანიშნული ქალის ოჯახს სხვა მიზანმიმართული შეუჩინებლობა სხვადასხვა დაპირებით და საჩუქრით, ან ქალს მოიტაცებდა, ეს პირველ რიგში საქმროსა და მისი მამის, ძმების, ბიძაშვილების განწყობებას იწვევდა და ისინი „სირცხვილის ჩამოწმენდას“ შურისძიებით ცდილობდნენ. ეთნოგრაფიული მასალებით, დაბადებამდე დაბეჭეული თუ აკვანში დანიშნული სარძლოს ან სასიძოს მშობლების ღალატის დროსაც. საქმე „მტრობაზე გადიოდა“. ტბეთსა და შუბანში ფიქსირებული მასალებით „ტოლ ბღვებს“ დანიშნავდნენ და სასიამაო-სამამათილო ერთმანეთს საჩუქრებით მოიკითხავდნენ. თუ შემდეგში დანიშნულნი ერთმანეთის არ გახდებოდნენ, მაშინ ქალ-ვაყის მშობლები ურთიერთს ხმას არ გასცემდნენ. ზოგ შემთხვევაში საქმე მკვლელობამდე მიდიოდა³⁵. სასიძოს, მის მშობლებსა და ნოვროს, შეიძლება ესა თუ ის გოგო არ მოსწონდათ და არ სურდათ სარძლოდ, მაგრამ გოგო მისი სურვილით დუჯდებოდა ბიჭს“. იტყვოდნენ, ის ქალი „მოვიდა და დუჯდა მისთვისა“. ოჯახში ამგვარად მისულ ქალს ხშირად მიიღებდნენ რძლად, ზოგჯერ კი არა. თუ გასათხოვარი ქალიშვილის ხელის თხოვას დააპირებდა ისეთი პიროვნება, ვინც გოგოს ოჯახს სასიძოდ არ მოსწონდა ამ ამ შემთხვევაში გოგოს მშობლები ქალიშვილის თანხმობით საბატარძლოს, „ვინც მათ უნდოდათ იმას დუჯდებდნენ“. ვლ. მგელაძის მასალების მიხედვით, ამით „ოჯახებს ქალის თაობაზე წარმოქმნილი მოსალოდნელი მტრობაც თავიდან ასცილდებოდათ, რადგანაც მათ უკვე მოსამიზნებელი საბაბი ეძლეოდათ: — „რა ვქნათ ჩვენ, გომბიო მისით გეიქცა და დუჯდა იმას, ვინც მას უნდოდა“³⁶.

თ. სახოკია აჭარაში შეხვედრია მოტაცების ფაქტს და თავმოყვარეობაშეღალახული ქალის მიზანმიმართული, მომტაცებლის შესახებ საინტერესო მაგალითი დაუფიქსირებია. სოფ. რიყეთში გორგაძის ლამაზ ქალზე ერთ ახალგაზრდას ედგა თვალთ. გოგოს მშობლებს ბიჭისთვის უარი უთქვამთ, რითაც დიდად გაუნაწყენებიათ. ვაჟს თავი დამციბებულად უგრძნვია და თხოვნილობით ყმაწვილის დახმარებით გოგო გაუტაცნია³⁷. გ. ყაზბეგს ბიძადად უნახავს ოჯახიდან თავისი სურვილით გაპარული ქალიშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა ქალ-ვაყს ერთმანეთი ყვარებიათ, ამ ვითარებას ქალის ძმისა და თანასოფლელების აღელვება მაინც გამოუწვევია და მკვლელობაც შეიძლებოდა მომხდარიყო, ბეგის ჩარევის წყალობით ყველაფერს მშვიდად რომ არ ჩაეგლო³⁸. ქალის ძალად მოტაცების დროს მკვლელობისას, მოტაცებული იშვიათად ზღებოდა მისი მსურველი პირის ცოლი. სოფ. დანისპარულში, „კ-თა“ საგვარეულოს ერთ წინაპარს, მთავში ქალის მოტაცება უცდია. ქალიშვილის ნოვროს წევრებთან შეტაკებისას, რომლებიც მოულოდნელად დახვედრიან მთაში, ერთ-ერთს თოფი უსვრია და მომტაცებლის ბიძაშვილი მოუკლავს. ამის გამო მომტაცებელ ვაყს თვითონვე უარი უთქვამს ამ ქალის ცოლად შერთვაზე — „ეს არ მოხდება, რადგან ჩვენ შორის სისხლი დევსო“.

³⁴ მ. ბეჭია, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

³⁵ ვლ. მგელაძე, ქორწინება და საქორწინო წეს-ჩვეულებები აჭარაში, ხელნაწერი, გვ. 67, იხ. მისი პირადი არქივი.

³⁶ იქვე, გვ. 79.

³⁷ თ. სახოკია, დასახ. ნაშრომი.

³⁸ გ. ყაზბეგ, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

აჭარის მთიანეთში, მოტაცებასთან თუ ქორწინებასთან დაკავშირებული შურისძიების გარდა, მკვლელობა ხდებოდა ქალისათვის მანდილის მოხდისა თუ სპეციალური მიზნით ოდნავ შეხების გამოც. მსგავსი შეურაცხყოფის შემთხვევაში ქალის ვაჟიშვილი, ქმარი, მამა, ძმები და ბიძაშვილები დაახლოებით მეშვიდე-მერვე თაობამდე მას უპასუხოდ არ დატოვებდნენ და ავგილობრივი საზოგადოება შურისძიებას სრულიად ბუნებრივ მოვლენად თვლიდა. სოფელი მკვლელობას იმ შემთხვევაში ამართლებდა, როცა პიროვნება უშუალოდ შეესწრებოდა თავის „ცოლზე ან ქალიშვილზე მისულს“. არსებული ადათობრივი ნორმების თანახმად, ასეთ შემთხვევაში მკვლელს „სისხლი არ ღევედება“. მკვლელობას იწვევდა, აგრეთვე, ცოლის უმიზეზოდ მიტოვება. ამის შემდეგ ქალ-ვაჟის ოჯახებს შორის შუღლი იწყებოდა. მტრობა იცოდნენ მაშინაც, თუ ქალს უმიზეზოდ უწყსობასა და ღალატს დააბრალებდნენ და ოჯახიდან გამოაძევებდნენ, მაგრამ თუ ეჭვი რეალურ საფუძველს ემყარებოდა, ქალის ქმარი და ქმრის ახლობლები, „ქალზე მისულ კაცსა“ და თავად ქალს, სასჯელის უმაღლესი ფორმით სჯიდნენ. დასჯის ეს სახე ზემო აჭარაში ამოკირვისის სახელწოდებით დადასტურდა. ამოკირვისს მომსწრე დღეს ფაქტიურად არაივნი ვგვხვდება. მას აღრე მიმართავდნენ უკიდურეს შემთხვევაში, როცა საკითხი ნამუსს ეხებოდა. ინტიმურ კავშირში მყოფ ქალსა და მამაკაცს ოფიციალური მეუღლე და მისი ნოგრო მიწაში ყელამდე მარახავდნენ და ქოლავდნენ. ჩაქოლვისას ქმრის ნოგროსთან ერთად ქვების სროლის უფლება ჰქონდა მთელ სოფელს. ნიშანდობლივია, რომ სისხლ-მესისხლეობის დროს, მკვლელის დასასჯელად ანალოგიურ ხერხებს არ მიმართავდნენ. მკვლელი სისხლით ე. ი. სისხლის ალებით უნდა მომკვდარიყო. სხვათაშორის, „ნოლორღვა-ჩაქოლვის“ საშუალებით სჯიდნენ მოხვევები იმ დამნაშავეს, ეინც ნათესავთან იქორწინებდა³⁹. ფშველებში დამნაშავისათვის სასჯელს მთელი თემი, სოფელი ადგენდა. სცოდნიათ ჩაქოლვა, საზოგადოებიდან მოკვეთა. ჩაქოლვას იწვევდა ქალისა და მამაკაცის უნებართვო სიყვარული, როდესაც ამ სიყვარულის ნაყოფი გამოჩნდებოდა. ამგვარ დამნაშავეს ჩაქოლავდნენ ხიდის თათთან, „გზის შესაყარში“ ან გზაჯვარედინთან, რათა ისინი გამვლელ-გამომვლელს დაენახა⁴⁰. ბეჭა სჯულმდებლის მიხედვით, თუ ცოლშვილიანი კაცი ქმარშვილიან ქალთან იმრუშებდა, მაშინ დამნაშავე მამაკაცი „ნიფხვით ოდენ შიშველი და ყელსაბლიანი უბანთა ზედა განჭირებული მოავლონო“⁴¹. ქალისა და მამაკაცის ამოკირვის ჩვეულება ძველ საქართველოშიც საკმაოდ ცნობილი წესია კათალიკოზთა სამართალში, ჩაკირვისთან დაკავშირებით ერთი მეტად საინტერესო ცნობაა დაცული. სამართლის დასასრულს გვითხულობთ: „ეინცა ანუ დიდმან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან მან, ანუ გლეხმან რძალი შერიოთს შეჩუენებულმცა არის ღთისაგან და მისთა წმინდათაგან. კაცი-ცა და დედაკაცი-ცა ვაღმა-გამოღმა დაკირონ. დამკირაენი ჩემგან დალოცვილ და კურთხეულ იყვენო“⁴².

როგორც დავინახეთ, სხვის ცოლსა და მამაკაცს შორის აკრძალული და მალული სქესობრივი კავშირი აჭარაშიც ისეთი ფორმით ისჯებოდა, როგორა-

³⁹ გ. ითონიშვილი, ქართულ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ, 1960, გვ. 73—74.

⁴⁰ ვაზ. „დროება“, 1888, № 243; ა. რაზიკაშვილი. არ დავიწყება ძველისა, თბ., 1984.

⁴¹ ი. დოლიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

⁴² ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, გვ. 55.

დაც ძველ საქართველოში. აჭარის ეთნოგრაფიული მასალებისა და საეკლესიო სამართლის ამ ძეგლის ანალიზი თვალნათლივ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ძველ ქართულ ოფიციალურ და ჩვეულებით სამართალში დასჯის ფორმები იდენტური იყო და იგი ოფიციალურ კანონმდებლობას მოგვიანებით უნდა შეეძინა ადათიდან. დამკირავებელ, როგორც ეთნოგრაფიული მონაცემები ადასტურებს, თემის და სოფლის წევრებთან ერთად მამაკაცთან საქმის დამკვირ ქალის ქმრის სისხლით ნათესავეები გამოდიან და სამართალშიც სწორედ დაკირვის უფლების მქონე ახლო ნათესავეებია კურთხეული კათალიკოზების მიერ.

აჭარაში მკვლელობის ფაქტებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული დავის დროს. მაგალითად, სოფ. ცივაძეებში (შუახნევის რ-ნი) კამუზიენთებისა და იხტიარიენთების წინაპრებს ადგილ ნაბოსტნევის გამო ჩხუბი მოსვლიათ, რის შედეგადაც იხტიარიენთებიდან ერთი მოკლულა. ამის გამო კამუზიენთების მთელი ჩამომავლობა სოფლიდან გაქცეულა, ხოლო მათი მიწები ჯავახიენთების წარმომადგენლებს შეუქენიათ⁴³. სოფ. მანაკეთში, ისმელიენთებისა და ელხემიენთების წინაპრებს მიწები ერთმანეთის გვერდით ჰქონიათ. ისმელიენთების წინაპარს ყანის საზღვრების დადგენაში შეუთანხმებლობის გამო ელხემიენთების ერთ-ერთი წევრი მოუკლავს. ამის შემდეგ ისმელიენთები სოფ. იაკობაძეებში გახიზმულან და გვარეულობად იაკობაძედ დაწერილიან. მიუხედავად გვარეულობის შეცვლისა, მათ თავიანთი ბუდე ნათესაობისნოგროს სახელწოდება არ შეუცვლიათ, მაგრამ დასტურდება, რომ სხვადასხვა ვითარების გამო სოფლიდან გაქცეულები ზოგჯერ გვარეულობასთან ერთად ნოგროს სახელწოდებასაც იცვლიდნენ. აჭარაში სისხლ-მესისხლეობასთან დაკავშირებით გვარეულობისა და ნოგროს გამოცვლის არა ერთი ფაქტია დადასტურებული. მტრისაგან თავის დაცვის მიზნით გადასახლებული ოჯახი სხვა საგვარეულოსა და ნოგროს მფარველობის ქვეშ შედიოდა და მათ გვარეულობაზე იწერებოდა, ხოლო, რადგან მფარველობის მიხოვნელი ოჯახი გვარეულობასთან ერთად ზოგჯერ იცვლიდა ნოგროს პატრონიმულ სახელწოდებასაც, ამიტომ ამის საფუძველზე იგი თავისი მფარველის მიწით მოძმე ან მიწით ბიძაშვილი იწოდებოდა. ხელოვნური შენათესაების ანალოგიური ფორმა ჩანს „ჯარ-ქებათ შემოყრა“, რომელიც სისხლ-მესისხლეობის მომენტებს უკავშირდებოდა და უცხო საგვარეულოთა შეყრას გულისხმობდა⁴⁴. მსგავსია მოხეური „შაყრა-შაკედლებაც“⁴⁵, ფშაური „ჯარით გაფიცვა“. ასეთ დროს „მოსული, უმრავლეს შემთხვევაში, დამხვდურის ანუ უნჯი/მკვიდრის გვარს იღებდა“⁴⁶. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში კარგად ცნობილი ამ ანათობა, იგივე მიბარებული, შემოხიზნებული, შემოკედლებული, გადაგანძული, შემონართვებული დაკავშირებული იყო სისხლ-მესისხლეობის ჩვეულებასთან⁴⁷.

⁴³ მთხრობელი ა. ქარცივაძე, 73 წლის, სოფ. ცივაძეები, იხ., ვლ. მგელაძე. 1958 წლის, აჭარის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, გვ. 12, ნ. ბერძენიშვილის სახ. ბათუმის საეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდი.

⁴⁴ რ. ხარაძე, ხევისტური „ძირი“ და „გვარი“, „მიომხილველი“, I, თბ., 1949, გვ. 195.

⁴⁵ ვ. თოთიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

⁴⁶ ქ. ერიასვილი, უძველესი სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები საქართველოს მთიანეთში, თბ., 1982, გვ. 21.

⁴⁷ М. Б. Канделаки, Общественный быт горцев грузии — институт «Аманатства», автореферат, канд. дис. Тб., 1983, გვ. 10, 19.

აჭარაში ქონებრივი შურისძიებისას იცოდნენ სახლის დაწვა, საქონლის მოკვლა, მოსავლის გაჩანაგება და ა. შ., რომელიც საპასუხო შურისძიებით უნდა ანაზღაურებულიყო. დამზარალბელი ზოგჯერ იძულებული ხდებოდა დანაკლისი აენაზღაურებინა, მაგალითად, დაღუპულ ხარში ერთი ხარი მიეცა და სხვა. ქონებრივი შურისძიების დროს, როცა შურისმაძიებელს სახლის დაწვა სურდა, რამდენიმე ხნით აღრე ოჯახის წევრებს ან მოწინააღმდეგის ნოგროს რომელიმე წევრს რაიმე საშუალებებით შეატყობინებდა უბედურების მოახლოებას. შესაძლოა ქვაც შეეგდო სახლის ბანზე და „ამბავი მიეცა“. ამისათვის არჩევდნენ ისეთ დროს, როცა სახლში არავინ იქნებოდა. თუ სახლის დაწვას ვერ მოახერხებდა, შურისმაძიებელი თავის მეტოქეს ბაღჩაში სიმინდს გაუჭრიდა, ძროხას მოუკლავდა ან ტყეში დადგმულ ფუტკრის სკას გადმოუგდებდა და ა. შ. ცხადია, შურისძიების ეს სახე გამოირიცხავს სისხლის აღებას, მიუხედავად იმისა, რომ ამისათვის ნიადაგი შემზადებულად ითვლებოდა.

საგვარეულოებსა და ნოგროთა შორის სისხლით ჩამოვარდნილ მტრობას აჭარაში ტრობას, სისხლის დადებას, სისხლის დანაცვას ეძახდნენ. იტყოდნენ: ჩვენ შორის სისხლი ძევეს სისხლია შუაზეო, ხოლო სისხლის აღებას სისხლის გამოტანა, სისხლება ერქვა. სისხლი რომ გათანაბრდებოდა და „ორივე მხარე დაძლევა“ ანუ ორივე მხარეზე კაცი მოიკვლებოდა, ამბობდნენ „ბარდაბარ ვართო“. შვილის, მამის, ძმის ან ბიძაშვილის მკვლელობისას შურისმაძიებელი მოსისხლეს „სისხლს არ შეაჭმევდა“ და აუცილებლად გუმაგოროებდა.

სოფ. ხუცუბანში (ქობულეთის რ-ნი) ჩაწერილი მასალებით, თუ ორ საგვარეულოს ურთიერთშორის უთანხმოება ჰქონდა, მათი წარმომადგენლები ერთდებოდნენ ერთმანეთის პირისპირ შეხვედრას. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ერთად უწევდათ ყოფნა ერთ-ერთი მოწინააღმდეგე მეორეს ქვას გაუქნევდა, რაც უდიდეს შეურაცხყოფად ითვლებოდა. ქვის გამქნევს შეეძლო დაეძახა — „ეს ქვა ამა და ამ პირს ეკუთვნისო“. ყველაფერი ეს ხელის შეჩებასა და ფიზიკურ შეურაცხყოფას უთანაბრდებოდა და უთუოდ მტრობის ჩამოვარდნას გულისხმობდა⁴⁸. მტრები ერთდებოდნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, განსაკუთრებით ქორწილში მისვლას, თუ იქ თავისი მოწინააღმდეგე ნოგროს წევრები ეგულებოდა. ამას განსაკუთრებით ითვისებდნენ მოსისხლეები და ქორწილის მოწყობი ოჯახი, რათა თავიდან აეცილებინათ მტრულად ვანწყობილი პირებისა და ნოგროთა ურთიერთდაპირისპირება. მაგრამ თუ ასეთ ადგილზე, მაგალითად, ქორწილში მაინც შეხვედებოდნენ მკვლელი და მოკლულის ახლო ნათესავები, ისინი ერთდებოდნენ სისხლის დაღვრას ოჯახისადმი პატივისცემის გამო.

სისხლების დროს დიდი ყოფილა ნოგროს წევრთა ურთიერთდამხარება, მაგრამ სისხლის აღების სისტემაში დადასტურებული სისხლით ნათესავის დაცვა და მატერიალური და მორალური მხარდაჭერა, გარკვეულ ფარგლებში მაინც ფარულად მიმდინარეობდა. ის ოჯახი, რომელიც მკვლელს შეიფარებდა, მხარში ამოუდგებოდა და მატერიალურად ეხმარებოდა, თავად ხდებოდა მსხვერპლის ობიექტი. წესით, მკვლელს მთელი თავისი ნოგრო უნდა დანებებოდა. ასე ვადაიზრდებოდა ინდივიდებს შორის მტრობა სისხლით ნათესაურ კოლექტივებს შორის მტრობად.

⁴⁸ მთხრობელი — ბუფაქე სკენდერ ხუსეინის ძე, 13/5, სოფ. ხუცუბანი, იბ., ნ. მკვლ ა-ძე, 1981 წლის აპრის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, რე. № 4.

მამის მოკვლის შემთხვევაში სისხლის აღების პასუხისმგებლობა შეიღწეოდა. სისხლ-მესისხლეობაში წარმოდგენილი მამა-შვილობის ვალდებულება ნათესაობის სისტემაში სიახლოვით პირველი საფეხურის დამადასტურებელი ერთ-ერთი ფაქტია. ნათესაობის სისტემაში სტრუქტურული სიახლოვით მეორეა ძმობა. იგი აქტიური სახით სისხლის აღების ვალდებულებებშიც გამოიხატება. გარდაცვლილის შვილის მცირეწლოვნობის შემთხვევაში ან მამის დაუძლურების გამო, ძმის პირდაპირ მოვალეობაა მკვლელის დასჯა. ამის შემდეგ, აგნატურ ნათესაობაში, ცხადია ნათესაური საფეხურების თანმიმდევრობითი პრინციპების დაცვით ყველა ახლო და ძველით განაყოფს განაჩენის სისრულეში მოყვანა თანაბრად ეკისრებოდა. დიშვილებიც დიდი გულსყურით აღეგნებდნენ თვალყურს ბიძის (დედის ძმის) ან დედის სხვა ახლო ნათესავის მოკვლის შემთხვევაში სისხლების საკითხს. თავის მხრივ, დედის ძმაც დანტერესებული იყო დისშვილების ბედით. თუ დედის მამიესული ოჯახი და ნათესაობა ვერ მოახერხებდა მკვლელის დასჯას, მაშინ დისშვილები იწყებდნენ მოქმედებას და სამაგიეროს გადახდის მიზნით მკვლელის დევნას.

მტრულად განწყობილი ოჯახებისა და ნოგროთა შერიგებას აჭარაში დარიგებას უწოდებენ. სისხლითნათესაური ერთეულის შიგნით, კერძოდ, ნოგროს ტიპის ნათესაობაში ჰყავდათ ასაკით უფროსი, გამორჩეული და ავტორიტეტული პირები. სადავო საკითხების გარჩევისას ისინი მატერიალურ სარგებელს არ იღებდნენ, მაგრამ თვალყურს აღეგნებდნენ და თავად იყვნენ დანტერესებული ნოგროს წევრთა ყოველდღიური ცხოვრებით. ისინი ნოგროს დამცველებად გამოდიოდნენ და ცდილობდნენ არ მომხდარიყო სისხლიერი ნათესავის უმიზეზოდ დაჩაგვრა უცხო საგვარეულოს წარმომადგენლის მიერ. ასეთი პირები შემრიგებლის როლშიც გამოდიოდნენ და სოფლისა და სხვა საგვარეულოთა თავიკაცებთან ე. წ. წინააღმდეგობას აწუხებდნენ. წინააღმდეგობა ეერთად წამოსადევნიან ადამიანებად ითვლებოდნენ.

სამართლის ძეგლების მიხედვით, ძველ სამცხე-საათაბაგოში მოდავე მხართა მომრიგებლად შუაკაცები გვევლინება. შუაკაცთა სასამართლო იგივე მედიატორთა სასამართლო იყო⁴⁹. ხევსურეთში არსებობდა უხუცესთა სასამართლო, რომელსაც „ხევსურული რჯული“ ეწოდებოდა, ხოლო რჯულის კაცებს მეტყვენი ანუ ბჭეები ერქვათ⁵⁰. ნოგროთა შორის მტრობის ჩამოვარდნისას, მომრიგებლად აჭარის ზოგიერთ ხეობაში საქმის კაცებს აირჩევდნენ. ესენი, მოსისხლე ნოგროებიდან ორივე კედაროს თავიკაცები იქნებოდნენ. ვ. შამილაძის შენიშვნით, „სისხლის აღების გამოსყიდვა-კომპოზიციას საქმოდ ჩამოყალიბებული სახე ჰქონდა მიღებული. მოსისხლეთა შემსარიგებლად გამოყოფდნენ გვარისა ან სოფლის რამდენიმე უხუცესს (სამხუთ კაცს), რომელთა შორის ყველაზე გავლენიან პირს ეკისრებოდა შერიგების პროცესში წამოჭრილი ყველა საქმის მოგვარება“⁵¹. თუ საქმე ეხებოდა მოსისხლეთა შერიგებას, მკვლელს ყელზე ბაწარს შემოაბამდნენ და მოკლულის საცხოვრებელს სამჯერ შემოატარებდნენ. ყელზე თოქწაბმული მკვლელის მოკლულის საცხოვრებელზე სამჯერ შემოატარება გარდაცვლილის სახელზე მსხვერ-

⁴⁹ ი. დოლიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

⁵⁰ რ. ხარაძე, ხევსურული რჯული (სისხლ-მესისხლეობა), გვ. 164, 169.

⁵¹ ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 83.

პლად შეწირვის ინსცენირებას წარმოადგენდა. ამ დროს იცოდნენ თქმა: დამნაშავე „ყურბნათ შემოგარეს“ ოჯახსო. შერიგების ერთი ვარიანტი, გავლენიან უხუცესს მოკლულის ოჯახში მოჰყავდა კისერში თოქაბმული მკვლელო, რომელიც მოკლულის მოძმეთა წინაშე თავდახრილი მუხლზე ეცემოდა. მას მოკლულის ჭირისუფალი ფეხს წაჰკრავდა და ამით პირად ღირსებას უღახავდა⁵². მეორე ანალოგიური ვარიანტი, შერიგების მიზნით მკვლელს „კისერზე ბაწარს შემოაბამდნენ და მოკლულის საფლავზე სამჯერ შემოატარებდნენ, ან მოკლულის სახლამდე ჩაქვით მიიყვანდნენ და სახლზე შემოატარებდნენ. თუ მოსისხლე არ იყო თანახმა შერიგებაზე, ამ დროს შემრიგებლები თვითონ შეაბამდნენ მკვლელს ან მის ახლობლებს (მამას, ძმას) კისერში ბაწარს და დაზარალებულის ძმა-ბიძაშვილებთან ან მამა-ბიძებთან შეთანხმების გარეშე მიიყვანდნენ მოკლულის სახლში“⁵³. სენათში, როცა მედიატორები შერიგების თაობაზე შეთანხმებას მიაღწევდნენ, დაზარალებული შედიოდა დამნაშავეს სახლში შესარიგებლად და კერაზე წყლის დასხმით ცეცხლს ჩაუქრობდა. იყო შემთხვევები, როცა დამნაშავე კერასთან შეეგდრებოდა პატიებას დაზარალებულს. სახლში ხეყენა მედიატორების გადაწყვეტილებითა და დაზარალებულის მოთხოვნითაც სრულდებოდა. მ. ჩართოლანის თქმით, „კერასთან შეეგდრება სხვადასხვა სახის შეიძლება ყოფილიყო: ყელზე მიბმული ღვლეჭით კერასთან მისვლა, კერასთან მიწოლა, კერის წინ დაჩოქება ან კარიდან კერამდე ჩაქვით მისვლა, ნეკი-ნეკზე გადაქდობილი ვედრება დაჩოქებით ან კერასთან მიწოლით, კერის სამჯერ შემოვლა ჩოქვით“⁵⁴.

აჭარაში და დებულ სისხლის გათანასწოებისათვის აუცილებელი ყოფილა მოსაკლენოში გარკვეული მატერიალური საზღაურის გადახდა. მოსისხლეების შერიგება ხდებოდა ფულის მიწის გაცემით, პირუტყვის ჩუქებით და სხვ. სისხლის აღებისას დაზარალებული მხარის ოჯახისათვის გარკვეული სისხლის დასაურვებელი მატერიალური სახის გადასახადის შემოღება სისხლიანთესაური კავშირისა და ნოვროს სოციალური მთლიანობის შესუსტებაზე მიუთითებს. სისხლის აღების საფასურის ანაზღაურება ხდებოდა მატერიალური და ფულადი სახით და გადასახადის ერთი დადგენილი ნორმა არ არსებობდა. დაზარალებულის სისხლით ნათესავეებს ნატურის სახით უხდიდნენ პირუტყვს, ძვირფას საოჯახო ჭურჭელს. დამოწმებულია მიწის გადაცემის შემთხვევები⁵⁵. ბეჭა-აღბულას სამართალში დაზარალებულ მხარეს დაურვების სისტემა მკვლელის მატერიალური დოვლათის ნახევრით აკმაყოფილებს შესაბამისი პირობების გათვალისწინებით⁵⁶. სამართლის ძველში კომპოზიციის სისტემა, როგორც ი. დოლიძე მიუთითებს, შეიცვალა „მატერიალური საზღაურით, რომელიც დამნაშავეს უნდა მიეცა დაზარალებულის ნათესავეებისათვის მოკლული პირის, საბატო გვარის, მამულისა და პატივის მიხედვით“⁵⁷. ხე-

⁵² ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

⁵³ ლ. ბოჭორიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

⁵⁴ მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961, გვ. 134, 139, 143—144.

⁵⁵ ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

⁵⁶ ი. დოლიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 287.

⁵⁷ იქვე, გვ. 83.

სურეთში დასაურვებელ თანხას მოხუცთა საბჭო საზღვრავდა⁵⁸. ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით დგინდება კომპოზიციის ორგვარი სახე: „ერთი, როდესაც ის განკუთვნილია დაზარალებული გვარის სასარგებლოდ, ხოლო მეორე — საზოგადოებრივი დარღვევის კომპენსაციის სახის სოფლის თემის სასარგებლოდ“. მაგალითად, სვანური ხალხური სამართლის წესების მიხედვით, ის ოჯახი, რომელიც საზოგადოების მიერ დადგენილ წესებს არღვევდა და ამით საზოგადოების წევრებს ზიანს აყენებდა, სოფლისა და თემის სასარგებლოდ საურავის სახით ჰიზარის იხდიდა⁵⁹. „განჩინების“ ანალიზის საფუძველზე დადგენილია სისხლის რიგის სახელით ცნობილი კომპოზიცია, რომელსაც თემის კაცები ანუ ბჭეები განსჯიდნენ და დაწესებდნენ მის გადახდას ნათესაური კატეგორიების მიხედვით „სახლის რიგისა“, „სამო რიგისა“ და „სადედო რიგის“ სახით, რაც მკვლელს და მის ნათესავეებს საქონლის გარკვეული რაოდენობის გადახდით უნდა აენაზღაურებინა⁶⁰.

აჭარაში ყოფილა შემთხვევა, როცა ცმები მოსისხლეს შურისსაძიებლად დასდევდნენ. მტერს მოუხერხებია ძმების სახლში შეღწევა. მას აუძულებია ოჯახის დედა მისთვის ძუძუ ჩაედო პირში. შემოსწრებულ ძმებს დაუნახავთ ეს, თოფები დაუწვევიათ და თავი დაუხრიათ⁶¹. ძუძუზე კბილის დადგმა ანუ ძუძუს წოვების სიმულაცია, როგორც დარიგების ერთ-ერთი ხერხი აჭარაში მხოლოდ გადმოცემებშია შემორჩენილი. ამ წესის ანალოგიური ვარიანტები აფხაზეთშიცაა დამოწმებული⁶². კომპოზიციის სისტემაში ასევე დასტურდება მოსისხლის შევილად აყვანის ფაქტებიც, როცა შურისსაძიებელი მამა გარდაცვლილი შვილის ადგილს უთმობდა მკვლელს, მაგრამ ამას განაპირობებდა განსაკუთრებული ვითარება და ისიც შუაკაცთა საგულდაგულო ჩარევა. ზემო აჭარაში ჩაწერილი ერთი გადმოცემით, შუაკაცებს მკვლელს გარდაცვლილის მამასთან მიუყვანიათ სახლში, მაგრამ იგი შემთხვევით შინ არ ყოფილა, მკვლელი საწოლის ქვემოთ დაუმაღავთ. შინ მობრუნებულ მამას შუაკაცების დანახვისას უგვრძნია, რომ დამნაშავეც მათთან იყო. მიუგნია მისთვის და საწოლის ქვემოდან გამოუთრევა. გარდაცვლილის მამას და შუაკაცების მიერ გამართული მოლაპარაკების მთელ მანძილზე მკვლელი საწოლთან იყო ჩაჩოქილი. საბოლოოდ საქმე ისე მობრუნებულა, რომ მამას უშვილებია მკვლელი და მისი გარდაცვლილი შვილის სისხლიანი საგანგებოდ შენახული ტანსაცმელიც კი ჩაუტყვევია⁶⁴. ქვანის ხეობაში მამის მკვლელობისათვის შვილს მოსისხლე შურისსაძიებლად მოუხელთებია, მამის საფლავზე მიუთრეგია და ხელფეხი შეუკრავს და იქვე მიუგნია დასასჯელად. დაზარალებულის დედას შეუტყვია ეს ამბავი, მიუტრბენია სასაფლაოზე, ძუძუ ამოუღია და შვილისათვის მიუმართავს: „შვილო თუ არ გაუშვი მაგი კაცი, ჩემი ძუძუ არამი მიქნიაო“. შვილი დედის

⁵⁸ P. Л. Харадзе, Хевсурское Алгуми — древняя форма общественно-экономического объединения, კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, I, თბ., 1964.

⁵⁹ რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, გვ. 71.

⁶⁰ იქვე, გვ. 45.

⁶¹ ჯ. ნოლაიძე, დასახლებული მასალები.

⁶² Ш. Д. Инал-ипа, დასახ. ნაშრომი, გვ. 442.

⁶³ 6. მ გ ე ლ ა ძ ე, 1983 წლის ღორჯოხის ხეობაში ეთნოგრაფიული მივლინების დღიურები, რე. № 1.

⁶⁴ 6. მ გ ე ლ ა ძ ე, 1983 წლის ქვანის ხეობაში ეთნოგრაფიული მივლინების დღიურები, რე. № 1.

ბრძანებას ვერ აღუდგა და მის ნებას დაჰყვა. მან მკვლეელი მოძმედ გაიხილა, ხოლო დედამ იშვილა⁶⁵. შერიგების ჩვეულებასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო მასალა მოებოვნება ჯ. ნოღაიდელს, რომელიც მკვლევარის პირად არქივშია დაცული. ამ მასალებით, საგვარეულოთა წევრების შერიგების, მტრების დაზავების მიმე ტვირთში დედა ზოგჯერ განსაკუთრებულ როლს ასრულებდა⁶⁶. ჯ. ნოღაიდელს სოფ. გვარაში „თეთროსნის მიდამოებში მცხოვრებ გედევანიძეთა საგვარეულოს ოთხი ძმის ისტორია აქვს ჩაწერილი. გედევანიძეებს მტრობა ჰქონიათ მეზობელთან, ჭვანიდან ჩამოსახლებულ ერთ ახალგაზრდა კაცთან. ძმებს მასთან ჩხუბი მოსვლიათ, რის გამოც ჩამოსულ ჭვანელს ერთ-ერთი ძმა შემოკვდენია. მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ ძმები გედევანიძეები მკვლელებს დასდევნიან. მკვლელს კვალს არ უცივებდნენ და ფეხდაფეხ მისდევდნენ, მაგრამ მისი სისხლება ვერ მოახერხეს. რამდენიმე თვის შემდეგ ჭვანელს სოფ. გვარაში ხმა დაურხევია, რომ თითქოს ამა და ამ დროს ხინოს გზით ზემო აჭარაში გადავიდვარო. ძმები გედევანიძეები დილიდანვე ჩაუსაფრდნენ დამნაშავეს, მაგრამ ჭვანელი ამ დროს თურმე სოფ. გვარაში იმყოფებოდა. სანამ ძმები დაბრუნდებოდნენ თავისი კეთილისმსურველის რჩევით ჭვანელი მისულა გედევანიძეების ოჯახში და მათი დედისათვის შეილობა უთხოვია. გედევანიძეების დედას შებრალებია იგი და დაუმალავს თავის ოჯახში, საღამოთი მობრუნებული ვაჟებისათვის კი განუცხადებია, რომ „იმ კაცმა, რომელსაც თქვენ დღეს სასიკვდილოდ დასდევდით, დედობა მოხოვა. მან მოწოვა ის ძუძუ, რომელიც თქვენ გიწოვიათ“-ო. ძმები იძულებული გამხდარან ეპატებინათ მოსისხლესათვის დანაშაული და იგი ძმად მიუჩნევიათ⁶⁶. შვილად აყვანის შემდეგ აჭარაში შევილობისა და მაშვილებლის ნოგროთა შორის არა მარტო მშვიდობიანი ურთიერთობა მყარდებოდა, არამედ საფუძველი ეყრებოდა სისხლით ნათესაობასთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებსაც. ხელოვნურად დანაფესავებულ ნოგროთა შორის გარკვეულ თაობებში დაცული იყო ეგ-ზოგამია და ფუნქციონირებდა სოლიდარობა ქორწინების, ბავშვის დაბადების მიცვალებულის დაკრძალვისა და სხვა ურთიერთობათა სფეროში, ისევე, როგორც ეს ხდებოდა ბუნებრივად აღმოცენებული სისხლით ნათესაური ჯგუფის წევრებს შორის.

აჭარაში სისხლ-მეისხლეობის ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი იყო მოფიცრობის ჩვეულება, რომელსაც უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდნენ. თუ მკვლეელი მაღავდა თავის ვინაობას, მოსისხლე იძულებული ხდებოდა მორწმუნეთა პირისათვის მიემართა. დაზარალებულის ნოგროს თანდასწრებით, ექვ-მიტანილ პირს ჭირისუფლები სიმართლის გასაგებად აფიცებდნენ: „თუ არ ხარ მქნელი, ჭითავს დაადვიან ხელიო“. დაფიცების ყველას ეშინოდა და თუ მოფიცარმა მკვლელის ვინაობა იცოდა, ვერ დამალავდა მას. თუ ჭირისუფლები მოფიცარს შეატყობინებდნენ, რომ მან იცოდა მკვლელის ვინაობა და ცდილობდა დაეფარა იგი, მასაც უმტრობდნენ. ლ. ბოჭორიშვილს დაუმოწმებია დაფიცების წესი პურზე და მჭადზე⁶⁷, რაც თავისთავად საყურადღებო მხარეა ადამიანობისა და სიმართლის უძველესი ნორმების შესწავლის თვალსაზრისით. უტყუარი სიმართლის გამოჩნატველი ჭადზე დაფიცების ჩვეულება, რომელიც გამოითქმებოდა

⁶⁵ ჯ. ნოღაიდელი, დასახლებული მასალები.

⁶⁶ იქვე.

⁶⁷ ლ. ბოჭორიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 155.

„დაიკავე მჰადი ხელში“-ს ფორმით ლიტერატურიდან ადრეც იყო ცნობილი⁶⁸. დაფიციების ჩვეულება არაა მხოლოდ აჭარისათვის დამახასიათებელი ლოკალური თავისებურება. იგი ქართული სამართლებრივი ძეგლებიდანაც კარგადაა ცნობილი. საქართველოში მოფიცრის როლში ჩვეულებრივ ნათესავეები ან სახლის კაცები გამოიღობდნენ⁶⁹. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, ხანდოს თემში დამოწმებულია სათემო შეკრების ადგილი ე. წ. საფიცარი, სადაც ექვემდებარის აფიცებდნენ. საფიცართან მდებარეობდა სოფ. წინამხრის კუთვნილი სალოცავი, რომელსაც „ადგილ დედას“ ეძახდნენ. ხანდოში საგვარეულოთა კუთვნილი სხვა სალოცავებიც არსებობდა. ასეთია: „წმ. გიორგი“, „კვირია“, „ლომისის ნიში“, „მთავარ-ანგელოზი“ და სხვ. სალოცავების შიშით საფიცართან სიცრუეს ერიდებოდნენ, მაგრამ ექვემდებარებილი თუ შინაგან ტყუილს იტყოდა და დაზარალებულები შეამჩნევდნენ, მაშინ მას ხარს დაუკლავდნენ. სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გარდა, დაფიცების რიტუალი დასავლეთ საქართველოშიც დასტურდება. შუა სურებში (სურების ხეობა. გურია.) ლომისკარგლის ეკლესიაში დასვენებულ ხატზე ე. წ. პაპაჯვარიზე გამოსატეხ და მანაშავეს დააფიცებდნენ. დაფიცებას მდებარე აწყობდა⁷⁰. ხატზე გააეცემა სოფ. ნოლაშიც (სამტრედიის რ-ნი) სცოდნიათ. პიროვნებას დანაშაულს თუ მიუხვდებოდნენ, მაშინ დაზარალებულების უახლოესი ნათესავეები ეკლესიაში ხატთან ახლოს ხეზე ლურსმანს მიაჭედებდნენ. გადმოცემით, ამის შედეგად დამნაშავე ქავერი თ მოკვდებოდა⁷¹.

მკვლელბაში ექვემდებარის გამოსატეხად აჭარაში სცოდნიათ ე. წ. ბედვა-ც ანუ საჯაროდ წყევლა. თუ დამნაშავეს ფიცი დაზარალებული ნოგროს წინაშე ვერ გაუკრიდა, შემდგომ ბედვა იწყებოდა. აჭარელთა რწმენით, ნაბედვარი კაცი ვერ გაიხარებდა. ხინოში ბედვას ამოყინვას უწოდებენ. დამნაშავეს გააეცემა სოფლის ცენტრში, საზოგადოებრივი თავყრილობის მოედანზე პარასკევი დღეს იწყებოდა. მას სოფლის თავაკეები ხელმძღვანელობდნენ. საჯაროდ გამოაცხადებდნენ, რომ „ვიც მკვლელის ვინაობა იცოდეს და არ გამოაცხადოს, დაწყველილი იქნესო“. ამის საპასუხოდ უდანაშაულონი ერთხმად იტყობდნენ: „ამინ, ვაიგონოს ღმერთმაო“. ბედვა და დაფიცების მეთოდი გამოიყენებოდა ქურდობის აღსაკვეთად და მომპარავის გამოსატეხადც. ეთნოგრაფიული მასალებით, „კაცს, რომ დიეკარგებოდა რამე, ბედვას გწუცხადებდა“.

ამრიგად, გვარისათვის დამახასიათებელი სისხლის აღების სავალდებულო ნორმების რეგულირება ტერიტორიულ-სამეზობლო თემის პირობებში განაყარი ოჯახების გაერთიანების საფუძველზე წარმოქმნილი სოციალურ-ეკონომიკური ერთეულის ფუნქციებში გადადის. მსგავსი გაერთიანება აჭარაში ნოგროს სახელს ატარებს და შესესატყვისება სამეცნიერო ლიტერატურაში პატრონიმის სახელწოდებით ცნობილ სოციალურ ორგანიზაციას⁷². ამდენად,

⁶⁸ ნ. ნოლაიდელი, ხატვან სიტყვა-თქმათა ზოგერთი ნიმუში აჭარულ დიალექტში, ჟურნ. „ჭოროხი“, ბათუმი, 1976, გვ. 75.

⁶⁹ ი. დოლიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 94, 33, 37 65, 85, 140, 328 და სხვ.

⁷⁰ 6. მგელაძე, 1983 წლის სურების ხეობაში (გურია) ეთნოგრაფიული მივლინების დღურები, რვ. № 1.

⁷¹ მთხრობელი — მექი სიმონის ძე გოგიტაძე, 75 წლის, სოფ. ნოლა, 1/6, 1983 წ.

⁷² М. О. Косвен, Семейная община и патронимия, М., 1969; А. И. Робакидзе, Особенности патронимической организации у народов горного Кавказа, С. Э., 1968, № 5.

აჭარაში სისხლის აღებისათვის ვალდებულ ერთეულად გვევლინება არა გვარი, არამედ ნოგრო, რომელიც გვართან შედარებით გვიანდელი წარმოშობის ნათესაურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. ნოგროს შიგნით პასუხისმგებლობის გრძნობა ნათესაური კატეგორიებისა და საფეხურების მიხედვით დიფერენცირებული ჩანს: სისხლის აღებისას ითვისისწინებდნენ ნათესავთა სიშორე-სიახლოვეს. ამ სისტემის სტრუქტურის თანახმად, სისხლის აღება პირველ რიგში ევალებოდა მოკლულის ყველაზე უახლოეს ნათესავს. ამასთან ერთად, რამდენადაც დიდი ჩანს ნოგროს წევრის პასუხისმგებლობა სისხლით ნათესავის მიმართ, მით უფრო ძლიერი იყო მასზე კონტროლი იმ თვალსაზრისით, რომ იგი ნოგროს ღირსეული წევრი ყოფილიყო. ისეთი დანაშაულის შემთხვევაში, რომელიც მთელ ნათესაურ ჯგუფს არცხვენდა (მაგალითად, სისხლით ნათესავთან სქესობრივი კავშირის დაჭერა და სხვ.), დამნაშავეს უპირველესად ქოლავდა თვით იმ ნათესაური ორგანიზაციის წევრები, რომელსაც იგი ეკუთვნოდა. ანალოგიური მონაცემები საქართველოს სხვა კუთხეებშიც დასტურდება: მაგალითად, ხანდოს თემში გამოვლენილი მასალებით, ჩაქოლვას, ჩაქვავებასაც ეძახიან. ჩაქვავება ხდებოდა ახლო ნათესავის, ნათლიდელის, რძით დანათესავებულის შეცდენისას და სხვ. ქალს ქალები ჩაქოლავდნენ, ხოლო კაცს მამაკაცები. ჩაქოლვა-ჩაქვავებისას მონაწილეობას ღებულობდა, როგორც დამნაშავეის სისხლით ნათესავთა ახლო წრე, ასევე, სოფლისა და თემის დანარჩენი საგვარეულოსა და მამიშვილობის (პატრონიმია) წევრებიც. აჭარაში განსაკუთრებით გამოკვეთილ ხასიათს ატარებს ნოგროს წევრთა უფლება-მოვალეობები კომპოზიციის სისტემაში და ხშირად დამნაშავეობის ტვირთს თავზე მამა, ძმა ან ბიძაშვილები იღებდნენ. ამის დასტურია შუაკაცების მიერ მკვლელის მამის ან ძმისა და ბიძაშვილის მოკლულის საცხოვრებელში ან საფლავზე თოქწამბული მიყვანა და სხვ. სისხლით ნათესავთა მორალური და მატერიალური მხარდაჭერა ახლო განაყოფებში უფრო ძლიერი იყო ვიდრე შედარებით მოცილებულ განაყოფ ოჯახებს შორის, მაგრამ თუ ოჯახს არ გააჩნდა შესაძლებლობა შესარიგებელი საქონლის, მიწის ან ფულის გაღებისა და მას ახლო განაყოფების ძალებითაც ვერ ანაზღაურებდნენ, მაშინ მიუხედავად სისხლით ნათესავთა სიშორე-სიახლოვის მიხედვით დიფერენციაციისა, მკვლელის ოჯახის დამცველად და მხარდამჭერად მთელი ნოგრო გამოდიოდა. ისინი შერიგების პროცესში უთანხმდებოდნენ შუაკაცებს და დაზარალებული ოჯახისა და ნოგროს მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ, რის შემდეგაც მათ სასარგებლოდ იხდინენ დაწესებულ დასარიგებელ საზღაურს. ამ შეხედულებების ერთ-ერთი დამადასტურებელია საქართველოს სხვა კუთხეებიდან მომდინარე ერთგვარი მონაცემებიც. მითუღეთში დაჭრის შემთხვევაში შამრიგებლები ანუ შუაკაცები ორივე მხარეთა პატრონიმული ორგანიზაციის — მამიშვილობათა წევრებს დაეთათბირებოდნენ და ამის შემდეგ დაზარალებულის ნახმლევეზე რამდენ ხორბლის მარცვალსაც დაადებდნენ, დამჭრელის ოჯახსაც იმდენი ძროხა უნდა გადაეცა დაჭრილის ოჯახისათვის. აქ საინტერესოა ის გარემოება, რომ ოჯახის მატერიალური სიღარიბის შემთხვევაში, მის მხარეში მდგომად გვევლი-

79 გვარისაგან (Dens) განსხვავებით საგვარეულო ნოგროს ზრდით წარმოიქმნებოდა და მისი განვითარების ვარკვეულ საფეხურზე იგი უკვე თავად აერთიანებდა გვიანპატრონიმული წარმოშობის ურთიერთმონათესავე და ხელოვნურად შემონათესავებულ ნოგროებს, რითაც დაინდინაობით ტერიტორიული გაერთიანების ფუნქციას იძენდა.

ნება ჯერ მამიშვილობის განაყოფი ოჯახები, ხოლო შემდეგ მოგვარებები. ამ სახის ნათესაობის სისტემაში ნათესავთა დიფერენციაცია გამოხატულია ახლო და გარე ანუ შორიელი ბიძაშვილობის სახით.

Н. В. МГЕЛАДЗЕ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ РОДСТВЕННЫХ ОТНОШЕНИЙ В СВЕТЕ ОБЫЧНОГО ПРАВА В АДЖАРИИ

Резюме

Во второй половине XIX в. обычное право в Аджарии сохранило нормы адата, носящего формы общегрузинского характера. Функционирование обычного права было обусловлено определенными общественно-правовыми категориями, такими, как кровная месть и система компенсации.

В Аджарии регулирование характерных для рода (gens) обязательных норм кровной мести в условиях территориально-соседской общины переходит в функции социально-экономических единиц, образовавшихся на основе объединения разделившихся семей. Сходные объединения в Аджарии носят название ногро. Этому названию социальной организации в научной литературе соответствует патронимия. Таким образом, при кровной мести обязательной социальной единицей является не род, а ногро, который по сравнению с первым является более узкой организацией. Внутри ногро чувство ответственности дифференцировано родственными категориями, при кровной мести предусматривалась близость и отдаленность родственников. Согласно этой системе мстить в первую очередь обязан был близкий родственник, а при отсутствии такового — следующий по степени близости родственник.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქ.
ბათუმის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა

ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ერთი ტერმინისათვის

სიტყვა „ისტორია“ ბერძნულ ენაში, თავდაპირველად, გამოკვლევასა და შესწავლას აღნიშნავდა.¹ ჰეროდოტემდე მწერლები უბრალოდ თანდროულთა ამბების ლოგოგრაფები და რეგისტრატორები იყვნენ. ისტორიკოსი კი მუშაობას იწყებს, რომ კვლევისა და შესწავლის გზით აღმოაჩინოს ჭეშმარიტება². ჰეროდოტე ისტორიის მამად სწორედ იმიტომ ითვლება, რომ მისი თხზულება არის არა უბრალო ჩანაწერი, არამედ კვლევისა და შესწავლის შედეგი. თავისი ნაშრომის ერთ-ერთ წყაროდ იგი ასახელებს გამოკვლევას გამოკითხვის საშუალებით (*ἱστορίη*)³, შესავალში კი აცხადებს:

„ჰეროდოტე ჰალიკარნასელის ისტორიის ეს გამომცემა მიზნად ისახავს იმას, რომ დროთა ვითარებაში არ იქნეს დავიწყებული ადამიანთა საქებარი საქმიანობა, არც ის დიდი და საოცარი საქმეები უნდა დარჩეს განუდიდებელი, რომლებიც აღასრულეს როგორც ელინებმა, ისე ბარბაროსებმა...“⁴. ჰეროდოტეს ნაშრომი ალბათ ერთ-ერთი პირველი ბერძნული თხზულებაა, სადაც გვხვდება სიტყვა „ისტორია“.

ბერძნული ლიტერატურით დაინტერესებას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ X ს-მდე თხზულებები ბერძნულიდან ითარგმნებოდა არა სიტყვა-სიტყვით, არამედ მნიშვნელოვანი ცვლილებებით, თავისუფლად. როგორც ცნობილია, X—XI სს-ში ქართველები საბერძნეთში, ათონის მთაზე ქმნიან ძლიერ ლიტერატურულ ცენტრს და მიზნად ისახავენ გადმოითარგმნონ ბერძნულიდან ქართული ლიტერატურისთვის მნიშვნელოვანი თხზულებები. მაგრამ, თავის წინამორბედთაგან განსხვავებით, მათ მოღვაწეობაში მარტივ მთარგმნელობით მუშაობას აღემატება სხვა მიმართება — ეროვნულ-საზოგადოებრივი და მეცნიერულ-ლიტერატურული. რამდენადაც თარგმნისას მისაბამ მაგალითად ბერძნული ტიპი იქცა, არც არის გასაკვირი, რომ ამ დროის ქართული ლიტერატურა ბერძნული ტერმინოლოგიით საგრძნობლად მდიდრდება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ეფრემ მცირის მოღვაწეობა, რომელსაც არა მარტო შემოაქვს უცხო სიტყვები, არამედ მათი ახსნა-განმარტება აუცილებლადც მიაჩნია:

„ყოველსა თარგმანსა უკმს შემატებაჲ სიტყვისაჲ რეცა განმაცხადებელად ძალისა“⁵.

Греческо-русский словарь, составленный А. Д. Вейсманом, Петербург, 1879, გვ. 638; Greek-English Lexicon, compiled by Henry George Liddell D.D. and Robert Scott D.D., Vol. I, Oxford, 1940, გვ. 842.

² P. Д. Ж. Коллингвуд, Идея истории, автобиография. М., 1980, გვ. 20.

³ ჰეროდოტე, ისტორია, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, ტ. I, თბ., 1975, გვ. 15.

⁴ იქვე, გვ. 37.

⁵ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წ. I, ტფილისი, 1892, გვ. 217.

სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე დიონისე არეოპაგელის თხზულებათა ეფრემ მცირისეულ თარგმანში, სადაც სიტყვა „ისტორია“ შესაძლოა პირველად ჩნდება ქართულ ლიტერატურაში:

„ამას წიგნსა ეწოდების ფილოთეონ ისტორია, რომელ არს ღმრთის— მოყუარებით თხრობაჲ“⁶.

და შემდეგ დასძენს:

„რამეთუ ვითარ-იგი კლემაქსსა და დიალოღონსა იგივე ბერძული სახელი უწოდიან ქართულადცა. ეგრეთვე ამისთვის უსაკუთრეს არს წოდება ფილოთეონ ისტორიაჲ“⁷.

როგორც ვხედავთ, ეფრემ მცირეს „ფილოთეონ (φιλότης) „ღვთის-მოყუარებად“ უთარგმნია, „ისტორია“ კი „თხრობად“ აუხსნია. რა თქმა უნდა, აქ ჯერ ადრეა „ისტორიაზე“, როგორც საისტორიო თხზულების აღმნიშვნელ ტერმინზე ლაპარაკი.

„ისტორია“, როგორც საისტორიო თხზულების აღმნიშვნელი ტერმინი, პირველად XIII ს-ის დამდეგს გვხვდება. კერძოდ, თამარ მეფის უცნობი მემკვიდრის თხზულების შესავალშივე:

„აწცა განმარტე ენა-ბრვენილი ისტორიათა და აზმათა მეტყუელებასა შინა შარავანდედასა“⁸ და შემდეგ ტექსტიც არაერთხელ:

„ილიდსიტყუა ალექსანდრესადმი პლუტარხოს ზემომაღლეი ისტორიათა მწერლობასა შინა კელმწიფეთა შემსხმელობისასა“⁹;
„ვითარ იტყვის ისტორია ისკანდერ მაკედონელისა“¹⁰;

„თუ-იგი ვინმე მაშინ იყენეს მძებარნი სახელთანი და აღმდებნი თავისანი ისტორიათა ის ქებისანი შესხმათასა, აწ ჩუენცა უსწროთ“¹¹;

„მოშიშმან ისტორიის სიგრძისაგან ვმა-ვიყო თქმად“¹².

„ისტორიათა და აზმათა“ ავტორი, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ისტორიისა და ლიტერატურის კარგი მცოდნეა. ჩვენ, ამ შემთხვევაში, გვიანტერესებს მისი დამოკიდებულება ბერძნული ლიტერატურისადმი. ვისაც კი ეს თხზულება შეუსწავლია (ივ. ჯავახიშვილი¹³, კ. კეკელიძე¹⁴, ს. ყაუხჩიშვილი¹⁵, თ. ყაუხჩიშვილი¹⁶, ივ. ლოლაშვილი¹⁷ და სხვ.), ყველა აღნიშნავს უც-

⁶ ქრონიკები და სხვა მასალა..., წ. II, 1897, გვ. 40.

⁷ იქვე.

⁸ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 1

⁹ იქვე, გვ. 2.

¹⁰ იქვე, გვ. 7.

¹¹ იქვე, გვ. 69.

¹² იქვე, გვ. 83.

¹³ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 231, 234, 238.

¹⁴ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1981, გვ. 267—268; მისივე, რამდენიმე, ჯერ კიდევ გაურკვეველი ტერმინი ჩვენი საისტორიო მწერლობისა, ტფ., უნტ-ის „მოამბე“, V, 1925.

¹⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 014; მისივე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი და იონე პეტრაშვილი, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 1, 1942, გვ. 96.

¹⁶ თ. ყაუხჩიშვილი, ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში, „მაცნე“, 1974, № 3, გვ. 109—111.

¹⁷ ივ. ლოლაშვილი, რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა, რუსთაველოლოგიური ძიებანი, 3, თბ., 1961, გვ. 69—70.

ნობი მემბტიანის ბერძნულ ლიტერატურაში განსწავლულობასა და ბერძენი ავტორებით გატაცებას. იგი იცნობს და არაერთგზის იმოწმებს კიდევ ჰომეროსს, პლუტარქეს, იოსებ ფლავიოსს, პლატონს, გიორგი ამარტოლს, ალექსანდრე მაკედონელის ისტორიკოსს. ამდენად, აღარც არის გასაკვირი, რომ საყოველთაო, ადრევე დამკვიდრებულ ბერძნულ სიტყვათა გვერდით მის თხზულებაში გვხვდება მთელი რიგი ისეთი ბერძნული სიტყვებისა, რომელთა ქართული შესატყვისი ცნობილი იყო: აზმა-ქება; ასფოდელა — მცენარე (აქ — „სამოთხე“); ბისონი — წმინდა ქსოვილი; დასო—ხშირი ტყე; ირო—გმირი; ისტორია — მატინე, ცხოვრება; ასტროლაბი, ისტროლაბი — ასტრონომიული ხელსაწყო; კატაპელტი — ისარტასტყორცნელი მანქანა; მარმენიო — ბედისწერა; ხრიზმოსი — წინასწარმოსწავება, მისნობა; ვასილოღრაფი — მეფეთა ცხოვრების აღწერა; სუმპერაზმა — დასკვნა (აქ — დასასრული, კიდე); სფერო — ცის სივრცე, ცის მნათობი და სხვა¹⁶.

საინტერესოა, რომ „ისტორიათა და აზმათა“ ავტორთან არა გვაქვს სიტყვა „ისტორიკოსი“, მაშინ როდესაც ანალოგიურად ნაწარმოები სიტყვები „ფილოსოფოსი“, „ფილოლოგოსი“ ბევრად უფრო ადრეც არაერთ თხზულებაშია დამოწმებული. აღნიშნული გარემოების გასარკვევად მივმართეთ ლექსიკონებს და გაირკვა, რომ „ისტორიკოსი“ იმ პერიოდის ბერძნულ ენაშიც აღნიშნავდა არა მემბტიანეს¹⁷, არამედ ისტორიულს, ზუსტს, გარკვეულს, ზუსტად მოყოლილსა და ჩამოთვლილს, მეცნიერულს, უშეცდომოს¹⁸. ისტორიკოსის მნიშვნელობით კი გვაქვს ιστορικος , რომელიც ჩვენს ავტორს მსგავსად ιστορικος და ιστοριος -დან ნათარგმნი „ისტორიათა მწერლობისა“, „ისტორიათ-აღმწერელად“ გადმოუქართულებია:

„ვინცა მცნა მე ისტორიათ — აღმწერელმან ქმნა ღმრთის-მოყუარესა თამარს წინაშე სასწაული განსაკრთომელი“²⁰.

უფრო ხშირად კი ისტორიკოსის მნიშვნელობით ამ თხზულებაში გვხვდება „მთხრობელი“¹⁹, „შემსხმელი“ და „მაქებელი“:

„ამისთვისცა უდიდესთა ველ-ყო საქმეთა, რომელთა მთხრობელად მოწვეწული მყის თავსა შორის ჩემსა, უკმოსა და უგუნებოსა, მსგავსი იპობოლი უმეცრებით ლექსთა მეტყუელებად“²¹.

„...აჲ ჩუენცა უსწროთ და გარდავსტაცოთ ქება მაქებელთა და შემსხმელთა“²².

როგორც ცნობილია, XII—XIII საუკუნეთა მიჯნაზე ფეოდალური საქართველო თავისი ძლიერების ზენიტს აღწევს. „XI—XII საუკუნეების ისტორიოგრაფიის, ისევე, როგორც ქართული კულტურის სხვა დარგების წარმატებან განვითარებას ნიადაგი მოუმზადა გაერთიანებული საქართველოს, წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფოს, განვითარებულმა პოლიტიკურმა და ეკონომიურმა პირობებმა“²³, ხოლო შემდგომში საქართველოს პოლიტიკურმა დაშლილობამ

¹⁸ თ. ყაუხჩიშვილი, ანტიკური სამყარო... გვ. 111.

¹⁹ Греческо-русский словарь..., გვ. 638; Greek-English Lexicon..., გვ. 842; E. A. Sophocles, Greek Lexicon of the Roman and Byzantine Periods from B. C. 146 to A. D. 1100, Vol. I, New York, 1887, გვ. 607.

²⁰ ქ, II, გვ. 81.

²¹ იქვე, გვ. 78.

²² იქვე, გვ. 70.

²³ ვ. გაბაშვილი, ვახუშტი მე-17—18 სს ევროპული ისტორიოგრაფიის სინათლეზე; ანალები, I, 1947, გვ. 61.

ქართული ისტორიოგრაფიის დაქვეითებაც გამოიწვია²⁴. როგორც ნ. ბერძენი-შვილი აღნიშნავდა, ქართული ისტორიოგრაფია „მონღოლ-თათართა საუკუნო-ვანი ბატონობის მძიმე ხანაში ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების შეფერხების შესაფერისია“²⁵. თემურ ლენგის შემოსევების შედეგად კი, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური თუ ეკონომიური მდგომარეობის გამოსარკვეველ „უცხო, თანაც სწორედ მტრისაგან დაწერილი წყაროს გამოყენების გარდა, თითქმის აღარაფერი სხვა საშუალება“ აღარ იყო²⁶. ასეთ ვითარებაში, რაღა თქმა უნდა, სრულებით ბუნებრივია, რომ ბერძენულიდან შემოსული სიტყვები ქართულ ენაში ვერ დამკვიდრდნენ და მათი უმრავლესობა შემდგომში აღარსად გვხვდება.

XVII ს-ის II ნახევარში, როდესაც ქართული საისტორიო მწერლობა ხელახლა აღორძინდა, აღარსად გვხვდება საისტორიო თხზულებათა აღმნიშვნელი ბერძნული ენიდან შემოსული ისეთი ტერმინები, როგორიცაა „ე ა ს ი ლ ო ლ რ ა ფ ი“, რომელ არს მითხრობა მეფეთა“²⁷, „ა ზ მ ა“, რომელიც „მეორე სახელი არს გალობისა“²⁸.

სრულიად განსხვავებული ბედი ეწია ტერმინს „ისტორია“: ის კვლავ შემოდის ქართულ საისტორიო მწერლობაში, მაგრამ ამჯერად არა ბერძნული ენიდან, არამედ, რუსეთ-საქართველოს ინტენსიური ურთიერთობის დამყარების შედეგად, რუსულიდან. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ „ისტორია“ არა გვაქვს არც ფარსადან გორგიჯანიძესთან, რომელიც თავის თხზულებას ირანში წერდა, და არც სწავლულ კაცთა ნაშრომში, რომელიც საქართველოში იქმნებოდა.

მეტად საინტერესოა ამ ტერმინის მიმართ ვახუშტი ბატონიშვილის დამოკიდებულების გარკვევა, რომლის ვრცელ ნაშრომშიც არსად არ გვხვდება სიტყვა „ისტორია“ (გარდა 1808 წელს სხვა პირის მიერ დამატებული შენიშვნისა: „არამედ სომეხთა მე ისტორიე ზაქარია მთავარი წ-ის იოანე მემონასტრე ჰსწერს ისტორიასა შინა სომეხთასა, ამ ლუარსაბისა ძეობისა... რომელიცა ისტორია ესე არს ეჩმიაძინსა შ-ა“²⁹). გვაქვს მხოლოდ „ც ხ ო რ ე ბ ა“ და „მ ა ტ ი ა ნ ე“, აგრეთვე „ა ლ წ ე რ ა“ ისტორიის მნიშვნელობით და „მ ე მ ა ტ ი ა ნ ე“, „მ წ ე რ ა ლ ი“, ა ლ მ წ ე რ ე ლ ი“ ისტორიკოსის გაგებით. საფიქრებელია, რომ ვახუშტი განგებ არიდებს თავს ტერმინს „ისტორია“. რომ აღარაფერი ვთქვათ „ისტორიანი და აზმანზე“, რომლის გამოყენებაც „ისტორიათა და აზმათა“ და ვახუშტის თხზულებათა შედარებით მტკიცდება³⁰, ძნელი წარმოსადგენია მას არ სცოდნოდა, რომ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში „ისტორია“ ქვეყნის ამბად არის ახსნილი³¹. ჩვენი აზრით, ვახუშტიმ უბრალოდ ენის სიწმინდის დაცვის მიზნით „ისტორიის“ ნაცვლად „ცხოვრება“ და „მატიანე“ არჩია. „ც ხ ო რ ე ბ ა“ საისტორიო თხზულებათა ყველაზე მეტად

²⁴ ვ. გაბაშვილი, დასახ. იაშრომი, გვ. 61.

²⁵ ნ. ბერძენიშვილი, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ძირითადი ხაზი (თეზისები), თბ., 1964, გვ. 6.

²⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 278.

²⁷ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 2.

²⁸ ვ. კეკელიძე, რამდენიმე, ჭერ კიდევ გაურკვეველი ტერმინი..., გვ. 310.

²⁹ ქართლის ცხოვრება, IV, 1973, 144, 146.

³⁰ იქვე, IV, 023—029.

³¹ ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან, თბ., 1884, გვ. 134.

გავრცელებული ტერმინია. დადასტურებულია XI ს-დან და გვხვდება თითქმის ყველა ქართულ ისტორიულ ნაწარმოებში, ხოლო „მატიანე“ XI—XII სს-დან ჩნდება. ამ სახელით, თავდაპირველად სიის მსგავსად შედგენილი საისტორიო ცნობების მარტივად აღწერილი ნაწარმოები აღინიშნებოდა, შემდგომში კი ეს ტერმინი უფრო ფართო მნიშვნელობას იძენს და ისტორიული თხზულების აღმნიშვნელია. ამ მნიშვნელობით ვახუშტიმდე გვხვდება 1) დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან:

„ვითარცა მოგვთხრობს მ ა ტ ი ა ნ ე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი“³².

და 2) თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებაში:

„განიგემნე ყოველნი მ ა ტ ი ა ნ ე ნ ი, ძუელთა გინა ახალთა მეფეთა მაქებელნი“³³.

რადგან ამ ორ ტერმინს არსებობის უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს და სიხშირითაც უფრო მეტად გვხვდება ვიდრე „ისტორია“, ამდენად ქართულ ენასთანაც მჭიდროდ შესისხლხორცებულია და ვახუშტიმაც, შესაძლოა, მათი უპირატესობა „ისტორიასთან“ სწორედ ამით განსაზღვრა. მის მიერ გადმოთარგმნილ სტრატემანის „თეატრონიც“ უცხო სიტყვათა ახსნისას „ისტორიოგრაფი“ განმარტებულია როგორც „მატიანის მხაზველი“ ან „მწერალი“³⁴, თუმცა „მატიანე“ ქართულ ენაში დამკვიდრებული სპარსული წარმომავლობის სიტყვაა³⁵.

მიუხედავად ამ ტერმინის ვახუშტის მიერ იგნორირებისა XVIII ს-ის შუა წლებისათვის „ისტორია“ ქართულ მწერლობაში იმდენად დამკვიდრებული ჩანს, რომ ანტონ კათალიკოსი მას ზმნადაც კი იყენებს:

„ამან (ეფრემმან) სარწმუნოდ ისტორიკოსა ჩუენდა“³⁶ ან კიდევ: „...ისტორიკოსა ქეთევან დიდისთვის“³⁷ და სხვა.

ხოლო XIX ს-ში მღვდელი ივანე გვარამაძის მიერ შედგენილ ე. წ. „ქართლის ცხოვრებაში“ დამოწმებულია სიტყვა „ისტორიკნი“, რაც რუსულიდან აშკარა კალკს წარმოადგენს:

„ამბობენ ძველნი ისტორიკნი“³⁸;

„შეგკრიბე საქრო წყარონი და შევაწამნე საღმთო ნაწილის მოწმობებაე-ბითა, გარეშე ისტორიკთა“³⁹.

³² ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 359.

³³ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 149.

³⁴ საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S ფონდი, № 420, 9რ.

³⁵ მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართულში ენობრივი ურთიერთობიდან, I, 1966, გვ. 343.

³⁶ ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1980, გვ. 270.

³⁷ იქვე, გვ. 278.

³⁸ ივ. გვარამაძე, ქართლის ცხოვრება, 1881, გვ. 9.

³⁹ იქვე, გვ. V.

M. V. MARSAGIŠVILI

К ИЗУЧЕНИЮ ОДНОГО ТЕРМИНА ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ ИСТОРИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

Резюме

В статье рассматривается вопрос появления в древнегрузинской исторической литературе термина «история». Аргументируется, что этот термин заимствован в грузинском языке дважды: сперва — с греческого языка, а второй раз — с русского.

В X—XI веках, в связи с усилившимися контактами между греческой (византийской) и грузинской культурой, чему способствовало создание мощного грузинского литературного центра в Греции (Афон), греческая литература переводится более тщательно (дословно), и грузинский литературный язык значительно обогащается греческими словами. К их числу принадлежит слово «история», впервые засвидетельствованное в переводах Ефрема Мцире. Как термин чисто исторической литературы он впервые встречается в «Истории и восхвалении венценосцев» т. н. первого историка царицы Тамар (начало XIII в.). Однако затем, в связи с тяжёлым политическим состоянием Грузии, наступает культурный застой, а со второй половины XVII в., когда возрождается грузинская историческая литература, греческие термины почти исчезают. Термин «история» вновь появляется в XVIII в., но на этот раз в связи с интенсивным ростом русско-грузинских культурных отношений — как заимствованный через русский язык.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში

ანზორ პალაანი

პიროვნების სოციალურ აღზევანებასთან დაკავშირებული ჯოგინერტი საკითხისათვის

(ხევსურული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით)

დასმულ საკითხზე პასუხის გასაცემად ტრადიციული საზოგადოებრივი ყოფის ცალკეული მხარეები უნდა გაირკვეს, რადგანაც სწორედ ისინი ქმნიან ობიექტურ პირობებს, რომლებიც განსაზღვრავენ ამა თუ იმ ხალხის მატერიალური თუ სულიერი კულტურის განვითარების გზებსა და ხასიათს. ეს უკანასკნელი კი არა მარტო გამოხატავენ სოციალურ ურთიერთობათა ნორმებს, კულტურისა და ყოფის თავისებურებებს, არამედ როგორც მათი მატერიალიზებული განსახებანი, განამტკიცებენ კიდევ მათ.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ პიროვნების აღზევანებასთან დაკავშირებული მასალის მოპოვება დღეს დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ეს პროცესი ყოფის ისეთი სფეროებისათვის იყო დამახასიათებელი, რომლის არსებობისათვის საჭირო პირობები დიდი ხნის წინ მოიშალა, ხოლო ფუნქციამოშლილი მოვლენები კი სწრაფად მიეცა დავიწყებას. ამის გამო საკითხთან დაკავშირებული მასალისათვის მეტწილად ფოლკლორის მივმართავთ, რომელსაც თითქმის უცვლელად შემოუნახავს ჩვენთვის საჭირო ინფორმაცია. სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვთ გადმოცემებს, რომელთა ფუნქცია შეპირობებული იყო იმით, რომ იგი სინამდვილეში მომხდარი ამბის რეალურ ასახვას წარმოადგენდა¹. ამ მხრივ განსაკუთრებით ფასეულია ხევსურული საგმირო პოეზია და ჩვენც ვცდილობთ მის შეძლებისდაგვარად სრულად გამოყენებას.

გასული საუკუნის დამლევს ხევსურეთში ნამყოფ კ. განს კარგად შეუმჩნევია ხევსურთა შემტევი ხასიათი, რომლებიც არც თუ იშვიათად ესხმოდნენ თავს მეზობლებს და ძლიერთა უფლებებით სარგებლობდნენ². მისივე ცნობით, ხევსურები ბავშვებს ხის ხმლებით ფარკაობას აჩვენებდნენ, საცერტულებით — ჩხუბს და წმინდა სპარტანული სულისკვეთებით ზრდიდნენ³.

გ. რადდეს მიხედვით, ხევსურები პატარაობიდან ეჩვევიან იარაღის ხმარებას და 8—10 წლის ასაკში უკვე მოზრდილი მამაკაცის ყველა საქმიანობას იცნობენ⁴.

¹ თ. ო. ჩი ა უ რ ი, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967.

² К. О. Г а н, Путешествие в страну пшавов, хевсур, кистин и ингушей (летом 1897 г.), Кавказский вестник, №6—5, Тиф. 1900, გვ. 108.

³ იქვე, გვ. 109.

⁴ Г. Р а д д е, Хевсурия и хевсури, ЗКОИРГО, кн. XI, в. II, Тиф., 1880, გვ. 78—

ს. მაკალათიას მასალით ხევისურები ვაჟებს კარგად კვებავდნენ და ყურადღებით ზრდიდნენ, რათა მაგარი და გულადი ვაჟაკები გამოსულიყვნენ. პატარაობიდანვე ავარჯიშებდნენ ფარიკაობასა და სროლაში. 10—12 წლის ყმაწვილი თავისუფლად ხმარობდა იარაღს.

ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში ხევისურეთში ნამყოფი ვ. შკლოვსკი აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ მამაკაცის ლოგინის თავთან ეკიდა ფარი, ხმალი, ჯაჭვის პერანგი, შაშხანა და იქვე იღო პურის ნატეხი. მამაკაცი მუდამ მზად უნდა ყოფილიყო სალაშქროდ⁶.

ხევისურის ყოველდღიური სამოსიც კი საომარი საქმიანობისათვის იყო მისადაგებელი. აქ კოსტუმის ისეთი თარგი იყო შერჩეული, რომელსაც ნაკლებად უნდა შეეზღუდა მოძრაობა. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ პერანგის შესწინოდ გვერდებს ხევისური სამხედრონს უწოდებდა.

ცნობილია ის გარემოება, რომ ხევისური მამაკაცი იშვიათად თუ დადგებოდა მწყემსად, რადგანაც ამ საქმიანობას სათაქილოდ თვლიდა⁷. მწყემსებად ქისტები, მოხევეები, ფშაველები ან გუდამაყრელები აჰყავდათ ან უკიდურეს შემთხვევაში საქონელს ქალი მწყემსავდა⁸.

მაშინ, როდესაც სვანეთში შრომითი საქმიანობის ყველა სფერო მკვეთრად იყო დიფერენცირებული სქესობრივ-საკობრივი ნიშნის მიხედვით, ხევისურეთში გამონაკლის შემთხვევებთანა გვაქვს საქმე. მაგალითისათვის თიბვის პროცესი მოგვყავს. ის ერთ-ერთ ძნელ და მძიმე საქმიანობას მიეკუთვნება. სვანეთში მას მხოლოდ მამაკაცი ასრულებს. ცელი ქალისათვის ტაბუირებულია. ხევისურეთში ქალი კაცთან ერთად თიბავს. ბუნებრივია ისმის კითხვა: ხომ არ არის ეს იმ პერიოდის გადმონაშთი, როდესაც სამეურნეო საქმიანობა ძირითადად ქალს აწვა მხრებზე და მამაკაცი სულ სხვა სფეროში მოღვაწიებდა? თუ ეს ასე იყო მაშინ საკითხავია, რა საქმიანობას მისდევდა მამაკაცი. დასმულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად მივმართავთ ხევისურულ საგმირო პოეზიას:

ბევრა სახელობს ქევისური, ბევრმა გაბანდა ჭღანო;
ვიორგიმ უთურგათაჲ ბევრკან ვაწირა მკვდარიო;
ლიქოკელთ დაუღევაჲ ბუნთ მამდინარ მგზავრიო,
საშოვარ დაყრევიეს, მავას შურობენ სხვანიო;
გუდანელ-ქორმეშონთა კაც ვერ ჯობ მეომარიო;
წლით კოცვენ კაჭმატელები, მტერს მაგით შასდევს ზარიო;
ჩაფერნეს ბაკალიგველთა ბუყარაჩოში ქმანო.
ბევრჯერ ჩაყარნეს კადუელთ უხანოდ მითხოს ქმანიო,
საქსა ქუშანათასა ირემს დაღნაყეს რქანიო;
მარეშათ ჯამბოლათასა არ მისცეს ომის ხანიო⁹.

ციტირებული ლექსით ხევისურს „სახელობდა“ მიაჩნია „მკვდრის გაწირვა“, „ბუნთ მამდინარ მგზავრთა საშოვრის დაყრევიება“, „მითხოს (ჩაჩნეთ-შია — ა. ქ.) უხანოდ ხმის ჩაყრა“ და სხვ. ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია. ლექსში ლაკონურადაა გადმოცემული ხალხის დამოკიდებულება ვაჟაკის საქმიანობაზე, რომელიც საუკუნეების მანძილზე ტრადიციულად ქცეულა.

⁶ ს. მაკალათია, ხევისურეთი, ტფ., 1935, გვ. 194.

⁷ В. Шкловский, Горная Грузия, М., 1930, გვ. 33.

⁸ ექ. გიორგი თევდორაძე, ხუთი წელი ფშა-ხევისურეთში, ტფ., 1930, გვ. 38; 74; ს. მაკალათია, ხევისურეთი, გვ. 65.

⁹ ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევისურული, ტფ., 1931, გვ. 29.

⁹ იქვე, გვ. 38.

მოგვყავს საგმირო პოეზიის კიდევ ერთი ნიმუში

მითხოს აღდი ჯობ მამაცად, მშავლებს ჯობ კუკუმური,
თუშებსა ლუის ლუხუმი, გულამაყრელთ ბუბუნაური,
მოკვეთ ლელუშაური, სეესტრებს ხორამაული.

ქმლის ქნევად, ფარის ფარებად მარტია მისურაული.

ამგის გვერდის სადგომლად იმედა მინანაური.

ცხვარს ვინ მოზვერავს მითხოსა? — ახალა შუქიაური.

ვინ ჩავას მოზვერულზედა? — გამახელთ თემროზაული.

კაცსა ვინ მოხკლავს მითხოსა? — ჩააცვთეს ბაბურაული.

ხუთ-ხუთს ვინ ჩახვოცს მარტოი? — ძაღლია ხიმიკაური.

ვინ გაღმეტდების ლაშქართა? — ლუღელი არიშაული.¹⁰

მამაკაცი ზედმიწევნით კარგად უნდა ფლობდეს იარაღს, უნდა შეეძლოს მტრის მიწა-წყალზე საქონლის მოზვერვა, თავდასხმა, მტრის მოკვლა, ვაჟაკობით ლაშქარში „გაღმეტება“ და სხვ. მოყვანილი ლექსი ვაჟაკობის აპოლოგიაა და ყურადსაღებია იმიტაც, რომ შექმბულია არა მარტო ხევსური, არამედ ქისტი, ფშაველი, მოხევე, გულამაყრელი, თუში. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს უკანასკნელნი ხშირად ესხმოდნენ ხევსურეთს საქონლის გატაცების მიზნით ან დასაბეგრავად და, ამდენად, ლექსს ერთგვარი ინტერნაციონალური ჟღერადობა აქვს. ხევსურში მოსისხლე მტერიც აღტაცებას იწვევს თუ მისი ნამოქმედარი და პირადი თვისებები თანხედება ხევსურისათვის მისაღებ იდეალურ მოდელს.

ხევსურული საგმირო პოეზია და გადმოცემათა მეტი ნაწილი მომხდურებთან ბრძოლასა და მეზობელი კუთხეების დალაშქერის ეპიზოდებს ეხება. ჩვენთვის საინტერესოა ამ ლაშქრობათა არეალი, მიზეზები და მიზნები.

საგმირო პოეზიაში გამოიყოფა ციკლი, რომელიც ეძღვნება ხევსურების მიერ მეზობელ კუთხეებზე თავდასხმებს. ხევსურები თავს ესხმიან ჩაჩნეთს¹¹, ინგუშეთს¹², ლეკებს¹³, ხეცს¹⁴, ფშავს¹⁵ და სხვ. ლაშქრობის ძირითადი მიზანი საქონლის გატაცებაა.

არც თუ იშვიათად ხევსურეთის ცალკეული კუთხეებიც ესხმოდნენ ერთმანეთს. ერთი გადმოცემით პირაქეთ ხევსურებს არხოტის დაბეგვრა მოუწოდოდათ და მათ შორის დიდი ბრძოლა მომხდარა. საგმირო პოეზიის ერთი ნიმუშით პირაქეთელი მთქმელი ჩივის არდოტლები ბეგარას აღარ გვაძლევენო და გულანის ჯვარს სალაშქროდ მოუწოდებს¹⁶.

თავის მხრივ ხევსურებს ხშირად ესხმოდნენ ლეკები¹⁷, ინგუშები¹⁸, ჩაჩნები¹⁹, მოხევეები²⁰, თუშები²¹, ფშაველები²². ლაშქრობის მოტივთა შორის ძირითადია საქონლის გატაცება.

¹⁰ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

¹¹ იქვე, გვ. 10—11; 12; 37; 44; 48; 59; 67.

¹² იქვე, გვ. 31.

¹³ იქვე, გვ. 32—33 გვ. 35.

¹⁴ იქვე, გვ. 20—21; გვ. 69.

¹⁵ იქვე, გვ. 77.

¹⁶ იქვე, გვ. 115—116.

¹⁷ იქვე, გვ. 32, 38—39, 62, 63; 68.

¹⁸ იქვე, გვ. 31; 41.

¹⁹ იქვე, გვ. 38, 40; 49; 55; 86.

²⁰ იქვე, გვ. 29.

²¹ იქვე, გვ. 11, 342.

²² იქვე, გვ. 61; 74.

ურიცხვი ურთიერთავადსხმების დროს დიდი რაოდენობით იხოცებოდნენ ვაჟკაცები. მთაში ფართოდ გავრცელებული სისხლის აღების ტრადიცია მოითხოვდა სისხლს სისხლის წილ და აქედან გამომდინარე არსებობდა ლაშქრობისა თუ მზირად ჩაჯდომის ისეთი სახე, რომელიც მიზნად შურისძიებას ისახავდა. ამის დამადასტურებელი მაგალითებიც ბევრია ხევსურულ ფოლკლორში²³.

ვეფქრობთ, მოყვანილი მასალა საკმაოა ხევსურთა საზოგადოებრივი ყოფის ჩვენთვის საინტერესო პერიოდის სტრუქტურის რეკონსტრუქციისათვის. წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, რომ ხევსური მამაკაცია ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა მეკობრობა, სალაშქროდ წასვლა, მზირად ჩაჯდომა და მისთანანი. როგორც ა. ზისერმანი გვამცნობს მეკობრობის ინსტიტუტი XIX ს-ის დასასრულსთვისაც ფართოდ ყოფილა გავრცელებული²⁴, ხოლო გ. თედორაძის მიხედვით მსგავს აქციებს მეზობელი კუთხეების მიმართ ჩვენი საუკუნის დასაწყისშიაც პქონია ადგილი²⁵. როგორც კი საშუალება მიეცემოდა ხევსური თავს ესხმოდა მეზობელ კუთხეებს — ფშავს, ხევს, გულამაყარს, თუშეთს, ინგუშეთს, ჩაჩნეთს, დაღესტანს და არა მარტო მეზობელ კუთხეებს, არამედ ვ. ფშაველას სიტყვები რომ გავიმეოროთ „იმის მიზეზი რომ ხევსური მშვიდობიანობის დროსაც კი არ იშორებს ტანიდან იარაღს, არის არა გარეშე მტერი, არამედ ისევ ხევსური, პირიქითელი ან პირაქეთელი...“²⁶ ასევე ხევსურეთის ცალკეული ხევები თუ სოფლები ერთმანეთს ლაშქრავდნენ. თავის მხრივ ფშავის, ხევის, თუშეთის, მთიულეთის, ინგუშეთის, ჩაჩნეთისა და დაღესტნის მოსახლეობა არც ერთ ხელსაყრელ შემთხვევას არ ჰკარგავდა ხევსურეთის დასალაშქრავად. ლაშქრობის მიზანი საქონლის გატაცება, დაბეგვრა, ტყვის მოპოვება და მესისხლეობა იყო.

ასეთ ვითარებაში გასაგებია აღზრდის ხევსურული სისტემა, როდესაც მოზარდს პატარობიდანვე აჩვენებენ ცხენოსნობას, იარაღის ხმარებას, ამტანობას და ამასთან ზიზღს უნერგავენ სხვა სახის საქმიანობისადმი.

მამაკაცის საქმიანობის ეს ტრადიციული სფერო კიდევ უფრო პოპულარული რომ გახადოს, ხალხი გამოყოფს განსაკუთრებულ საგმირო საქმეთა ჩამდენთ, რათა ისინი სანიმუშო, მისაბამ მაგალითებად იქცნენ. ხევსურულ ლექსიკურ ფონდში ისინი სახელ ფუძიდან ნაწარმოები ტერმინებით სახეიანი, ნასახელარე, ნასახელობა არიან ცნობილი.

სახელიანი შეიძლება ყოფილიყო სოფელი²⁷, რამდენიმე ადამიანისაგან შემდგარი ჯგუფი²⁸ და ცალკე პიროვნება²⁹. სახელობად მიჩნეულია იარაღის კარგად ხმარება, შურისძიება და სხვ. სახელიანობის დამამტკიცებელ საბუთად ითვლებოდა გატაცებული საქონელი, ტყვე, მტრის მოჭრილი მარჯვენა. მათ შორის ყველაზე ძნელად ჩანს მარტია მისურაულის ნამოქმედარი:

„ჭორმეშავ ქალებ ტიროდა: „ქმოსტში წვიმს აქაც მოგვივა.
გაზაფხულ რაზან მოვიდას, მარტია ველად ვაგვივა“³¹

²³ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 37, 71; 80—81; 82.

²⁴ А. Зиссерман, Двадцать пять лет на Кавказе, ч. I, СПб, 1874, გვ. 214.

²⁵ ე. გორგი თედორაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

²⁶ ვ. ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964, გვ. 45.

²⁷ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 44; 71.

²⁸ იქვე, გვ. 80—81; 82.

²⁹ იქვე, გვ. 10—11; 39; 40.

სახელის მოყვარული ას, შინ რაით აღარ მოგვივა;
 მითხოს საკიდელს ჩამაქნის, სანეს საკარგ-ყმოდ მოგვივა“.³⁰

ციტირებული ფრაგმენტით სახელის მოყვარული ვაჟკაცი გაზაფხულის დაღვრამასთან ერთად „ველად გადის“ მითხოში. აქ მტრის სოფელში, მტრისავე ციხე-სახლში კერის საკიდელსა ხსნის და ხევესურეთში მიაქვს. თუ გავითვალისწინებთ როგორ ცოდვად ითვლებოდა საკიდლის უბრალო შეურაცხყოფაც კი ნათელი უნდა იყოს რა დიდ ვაჟკაცობასა და საზრიანობას მოითხოვდა მსგავსი აქციის ჩადენა მტრის მიწა-წყალზე. მსგავსი ანალოგები კავკასიონზე იშვიათია. ცხადია, ასეთი პიროვნება გამორჩეული უნდა ყოფილიყო თვით სახელი — ანთა მასისაგან და მას ამ გამირობისათვის სანეს ხატში საკარგ-ყმოდ მოუდიოდა.

ამ ეტაპზე სახელი — ანობა პიროვნების თვითმიზანს არ წარმოადგენდა. სახელიანობისაკენ მას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია უბიძგებდა, ავალდებულებდა ის ცხოვრების ნორმად გეხება და თავისი ნამოქმედარისაგან არავითარ გამორჩენას არ ელოდა. თავის მხრივ თემი პიროვნების ნამოქმედარის აბსტრაგირებას ახდენდა სახელიანობის კონცეფციით, რათა ამ უკანასკნელის რეალიზაციით ტრადიციის საფუძვლები კიდევ უფრო განმტკიცებინა.

სახელიან ვაჟკაცთა მასისაგან გამორჩეული პიროვნების აღსანიშნავ ტერმინად ხევსურულში მეტ-ისგან ნაწარმოები მემეტე გვხვდება. მემეტეს თემი სამეტოს, სანამეტნაოს აკუთვნებდა.

ვფიქრობთ, სამეტოს, სანამეტნაოს ტრადიციის დანერგვით თემი ძირს უთხრის თავის საფუძველს. სამეტოს ეს უკვე საზღაურია იმ საქმიანობისათვის, რაშიც წინა ეტაპზე ვაჟკაცი სახელიანობით კმაყოფილდებოდა. სამეტო გარკვეულ ცვლილებებს იწვევს პიროვნების ტსიქიკაში და დგება მომენტი როდესაც სახელისათვის კი არ გადმეტედება, არამედ სანამეტნაოსათვის. სხვანაირად რომ ვთქვათ პიროვნება თემის მიერ განზოგადებული სახელიანობის რეალიზაციას ახდენს საკუთარი ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად. ასეთი გადმეტება თვისობრივად ახალი მოვლენაა. ფაქტიურად თემი, რომლის ტრადიციები მიმართულია ყოველგვარი ინდივიდუალიზმის გამოვლენის წინააღმდეგ ამ შემთხვევაში ხელს უწყობს ინდივიდის ხასიათში ცვლილებებს.

ეს ცვლილებები ხევსურულ პოეზიაში დიდ-დან ნაწარმოები გადიდება, დიდობა, თავდიდობა-თი არის გადმოცემული.

მითხოს ნუ წახვალ ვირჩლო, სახლ გიდვა საქონიანი“,
 არ დაიჯერის ვირჩლამა — გლეხი გადიდდა ცხვრიანი“³¹.

როგორც ვხედავთ, გადიდებისათვის გარკვეული წინამძღვრებია საჭირო. მოყვანილ ფრაგმენტში ასეთად ეკონომიკური შესაძლებლობანი გვესახება.

ხევსურულ გადმოცემებში ნათლად ჩანს მომენტი, როდესაც ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება პიროვნებისათუ ოჯახის ხასიათში ცვლილებებს იწვევს, რაც შემდგომ მისი აღზევებისაკენ სწრაფვაში ვლინდება.

გადიდებისათუ აღზევების მექანიზმის გასახსნელად რამდენიმე მაგალითი მოგვყავს.

³⁰ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 10—11.

³¹ იქვე, გვ. 13.

არხოტის წყლის დასავლეთ ნაპირას ნასახლარია, რომელსაც თათხელი ეწოდება. აქ მცხოვრები ხევსურები თათხელიონთ ეძახდნენ. ამჟამად ნასახლარი ქვის გროვასლა წარმოადგენს. საძირკვლის ნაშთების მიხედვით სოფელი ციხე-სახლებისაგან შედგებოდა და თავგასული ყოფილა გამაგრებული. გადმოცემით თათხელიონნი ძალზე ამაცი და თავგასული ხალხი ყოფილა. „იმათ შიშით იქ ვერავის უვლავ: უნდა ეძახ: — თათხელიონნო გამადითავე! ერთ კაც ყოფილ იმათა, ცისკარა ქვივებულ. ის ძალიან ამაც ყოფილ“³². მოსახლეობა იმდენად შეუწყუხებიათ, რომ ამდღელებს უთურგათ კაცისთვის საკარგყმოდ ყანები მიუციათ და ამ უკანასკნელს ცისკარა მოუკლავს, ამდღელებს კი თათხელიონნი გაუწყვეტიათ.

გადმოცემის მეორე ვარიანტით მგზავრები იძულებული გამხდარან შორიდან მოველოთ გზის იმ მონაკვეთისათვის, რომელიც თათხელზე გადიოდა. შემოსასვლელი გზა შორი იყო და სახიფათო. თქმულებაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ თუ რად ერიდებოდნენ მგზავრები თათხელიონებთან გავლას. საფიქრებელია, რომ მათ თათხელიონებისათვის გარკვეული საზღალური უნდა გაელოთ. ანალოგები კავკასიის მთიანეთში მრავლადაა (სვანეთი, ინგუშეთი, ჩანეთი...).

მოყვანილი გადმოცემა საინტერესოა იმით, რომ გვიჩვენებს თემის ერთიანობის რღვევის პროცესს და იმათაც რომ უთურგათ აბა ს ა ხ ე ლ ი ს-ათვის კი არ ჩადის საგმირო ქმედებას, არამედ გარკვეული საფასურისათვის (მისთვის ხომ ექვსი დღიური სახნავი მიწა მიუციათ).

გ ა დ ი დ ე ბ უ ლ ი პიროვნება აღზევების გზაზეა შემდგარი და ამ გზაზე ნებისმიერ საშუალებებს იყენებს. მაგალითისათვის საგინა გიორწმინდლისა და შატილიონ ჯალაბაურთა ურთიერთობის ამბავი მოგვყავს: „გიორწმინდას წინავე მშავლებს უტხოვრებავ. მემრ ლეკის ლაშქარს ამოუწყვეტავ მშავლები“ მარტო საგინა დამრჩალ“³³. მოყვანილი ფრაგმენტით გიორწმინდის მოსახლეობა ლეკებს ამოუწყვეტია, მხოლოდ საგინა გადარჩენილა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამოწყვეტილთა საკმაოდ დიდ ტერიტორიას ის დაესაკუთრა. გამდიდრებული ცხადია ქავ-ციხეს აიშენებდა.

„ჯალაბაურთ მაუნდომებავ საგინას გავდება გიორწმინდით, ანაბრივ ხუთთ ძმათ აღვილ არ ხქონდის საკმაო შატილ...“³⁴ კონტექსტით შატილიონი ჯალაბაურები (ხუთი ძმა) მიწის ნაკლებობას განიცდიდნენ. მათ საგინას გავდება და მისი მიწა-წყლის დასაკუთრება მოუნდომებიათ. ყოველგვარ მიზანს სათანადო მიზეზით უნდა შემავრება და ჯალაბაურებმა ის გამოახსეს კიდევ. ეს მიზეზი ნათლად ჩანს გადმოცემის დეშურ ვარიანტში: „საგინას ჯალაბაურთ ქალი ჰყვანდა, ვარდანა ჯალაბაურის და. საგვარმეტოსა სთხოვდნენ ჯალაბაურები. იმაზე სთხოვდნენ რომ, ჩვენ მეტი გვარი ვართ და ქალი მოგვეცითო. ის საგინა მარტოკა იყო, მისცა სამი ფური. ართმევენ ყველაფერს. კიდევ სთხოვენ და ართმევენ. წავალის და ნადირს მოჰკლავს. სანადიროდ ჩამომავალს შატილში წართმევენ ნადირს“³⁵. მოყვანილი ფრაგმენტით მიზეზად სახეზე „საგვარმე-

³² თ. ოჩიაური. დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

³³ ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფური, ივ. ქავთარაძე, ქართული დიპლომატიკა, I, თბ., 1961, გვ. 13.

³⁴ იქვე, გვ. 13.

³⁵ თ. ოჩიაური. დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

ტაა“. რასვანაც უფრო დიდი გვარისაგან წაუყვანია ქალი, საგნა ვალდებუ-
 ლია გარკვეული საზღაური გაიღოს. გადმოცემით ქალაბურებს იმდენად შეუ-
 წუხებოდათ საგინა, რომ ამ უკანასკნელმა ღალატით დაახოცინა ისინი ფშავლებს.

საგინასა და ქალაბურთა მტრობას ხევსურული პოეზიაც მოიხსენიებს:

აღუღა ლუღი საგინამ
 დამწარებული სვინი,
 იწვიენა ქალაბურნი
 მამით-შვილამდე მტრინანი³⁶.

ფრაგმენტი იმითაა საინტერესო, რომ გვაწვდის ახალ ტერმინს მტრი ა-
 ნი. ქალაბურები თანამეფემთა მიერ დახასიათებული არიან როგორც „მტრი-
 ანანი“. სავარაუდოა, რომ მიწის ნაკლებობით შეწუხებული ქალაბურნი არა
 მარტო საგინას ავიწროებდნენ, არამედ თანასოფლელებთანაც მუდმივი შულ-
 ლი ჰქონდათ, რისთვისაც ხალმა მტერ ფუძისაგან ნაწარმოები ტერმინი
 მტრიანი იხმარა მათ მიმართ.

ტერმინი მტრიანი შეიძლება მივუსადაგოთ თათხელიონთ არხოტში და
 შეთეკურებს სოფ. ხონეში. ვარდნა შეთეკურს თანასოფლელებთან უთანხმო-
 ება მოსვლია და მათ გაუძევებით კიდევ. ვარდნა თუშეთში გაქცეულა, შემ-
 დეგ დაბრუნებულა ვაყებით, შესაძლოა თუშთა დახმარებითაც და სოფლის
 განაპირას მისიღამი სტრატეგიულად გაბატონებულ ადგილას გლაგიანი სა-
 ცხოვრებელი კომპლექსი აუგია, რომლისგანც მხოლოდ ქვების გროვასდა მოუ-
 ლწვევია. სავარაუდოა, რომ სოფლელებმა მიწასთან გაასწორეს გაბატონების
 მოსურნე ოჯახის საცხოვრებელი.

განსაკუთრებით რელიეფურად შეიძლება თვალის გადავინება რიგითი მე-
 თემის გამოყოფის პროცესზე სახელიანი ვაჟაკიდან აღზევებულ,
 მტრიანი პიროვნებად თორღვას მაგალითზე. ფოლკლორის მიხედვით თორ-
 ღვა მამით ხევსური არაა, ამასთან დაბადებითვე გამოჩნეულია ჩვეულებრივი
 მოკვდავისაგან³⁷. საქმე ის არის, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარე-
 ბის ამ ეტაპზე რიგითი მეთემისათვის გაუგებარია და ბნელით მოცული ახალი
 სოციალური ელემენტების გაჩენა, არ შეუძლია მისი ახსნა, რადგანაც ის დაკა-
 ნონებული ტრადიციის სავალდებულო ნორმებს სცილდება და არ სურს ეს
 მოვლენა თანამეფემს მიაწეროს.

თორღვას მოღვაწეობის საწყის პერიოდთან დაკავშირებული გადმოცემები
 მას ხევსურეთის დამცველი გმირის ამპლუაში წარმოგვიდგინეს. თორღვას მოუ-
 კლავს ქისტებისა თუ თუშების ბელადი ვაზუში თუ ვაჟუსძე, რომელიც მო-
 სახლეობას შიშის ზარს სცემდა. თანამემამულენი მას სახელს ულოცავენ:

სახელს ულოცვენ ხევსურნი: „მოხველა სახელიანი“³⁸.

მოცემულ ეტაპზე თორღვა თემის ინტერესების დამცველად გვევლინება,
 მაგრამ მალე მის ხასიათში ცვლილებები ხდება.

³⁶ ქართული ხალხური პოეზია. ტ. II, ნაკვ. II, თბ., 1974, გვ. 188.

³⁷ იქვე, გვ. 406; ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი გვ. 342; 16; 344—345; ქართული ხალ-
 ხური პოეზია, II ნაკვ., II, გვ. 398—402; ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 350; 349; 351;
 ექ. გიორგი თედორაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

³⁸ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 342—345; 349—350.

„ფშავლებს მოსთხოვის თორღვაჲ კვამლად შიშავი ცხვარიო.
სამეტოდ შემეკრიაჲადით ლალის არწივის მკარიო“³⁹.

აქ თემი კი არ უნიშნავს თორღვას საძეგლოს, არამედ თითონ მოითხოვს მას. თორღვას აღზევების ეს პერიოდი უკვე აფრთხობს ხალხს. ცხადია, აღზევებული თორღვას ურთიერთობა მეთემესთან ტრადიციული ველარ დარჩებოდა, რაზედაც ის ფაქტიც მიგვანიშნებს, რომ რიგითი მეთემის ქალს მასზე გათხოვება წარმოუდგენლად მიაჩნია⁴⁰.

ინტერესმოკლებული არაა თორღვას სახელთან დაკავშირებით მოხსენიებული ბეგარის კატეგორიები. ერთი ვარიანტით თორღვა ფშავლებსაგან სამეტოდ არწივის მხარს მოითხოვს, მეორით იმავეს მოითხოვს საკარგყმოდ და საბოლოოდ ბეგარის სახით ცხვარს თხოულობს.

როგორც ჩანს, თორღვას სასარგებლოდ გასაღები ჯერ კიდევ დიფერენცირებულადაა წარმოდგენილი საკარგყმოდ, სამეტოდ და ბეგთად, რაც ვფიქრობთ, თორღვას აღზევების სხვადასხვა საფეხურზე მიგვანიშნებს — ჯერ კარგი ყმაა და საკარგყმო სურს, მერე მემეტეა და სამეტოს ითხოვს, ბოლოს კი ბეგრავს მოსახლეობას, თუმცა უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ ქმედების სურვილს უფრო იჩენს, რადგანაც საგმირო პოეზიის რამდენიმე ნიმუშით მოსახლეობა ბეგარის მიცემაზე უარს ეუბნება⁴¹. სხვა ვარიანტებში აღნიშნულია რაღაც დროებითი ვალდებულების სახე, როდესაც სამჯერ უკლავენ მას ცხვარს, მეოთხედ ხარს ახვეწებენ და შემდეგ ბეგარის მიცემაზე უარს უცხადებენ⁴². ამრიგად, ბეგარის აღნიშნულ კატეგორიებს მუდმივად დაწესებული სავალდებულო ფორმა არ გააჩნიათ და თორღვა ძალით ცდილობდა მათ ასეთად გადაქცევას. მოსახლეობა იბრძოდა პიროვნების განდიდების წინააღმდეგ და თორღვა შეეწირა კიდევ მას⁴³.

ამრიგად, ვაჟკაცი, რომელიც თავისი საქმიანობის გარიყრაჲზე მოსახლეობის სათაყვანებელ გმირად გვევლინება, სავალალოდ ასრულებს სიცოცხლეს და ხალხი ხობტასაც კი ასხამს მის მკვლელს⁴⁴.

ვფიქრობთ, მოყვანილი და გაანალიზებული მასალა შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა.

1. ხევსურეთში აღზევების გზაზე წინაპირობად თვითონ თემის მიერ მეთემეთა მასისაგან სახელიანი კარგი ყმის გამოყოფა გვესახება. როგორც აღინიშნა თემს ეს სჭირდებოდა ტრადიციული საზოგადოებრივი ყოფის კიდევ უფრო განსამტკიცებლად; 2. სახელიანი ვაჟკაცისათვის თემის მიერ დაწესებული საკარგყმო, სამეტოდ, სანამეტნაო გარკვეული პერიოდთან პიროვნების ეკონომიკური შესაძლებლობის ზრდის საშუალებას იძლევა; 3. ეკონომიურად გაღმეტებული პიროვნება თუ ოჯახი უკვე დიდობას იწყებს და მტრიანი ხდება.

ამრიგად, პიროვნების განდიდებასთან დაკავშირებული ტერმინები სახელიანი—მემეტე—დიდობა—მტრიანი ისტორიულ ჭრილში ერთი უწყვეტი ჯაჭვის სახით წარმოშობილად ჩანს, რომელიც დაწყებულია თემი-

³⁹ ა. შანიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 347.

⁴⁰ იქვე, გვ. 345—347.

⁴¹ იქვე, გვ. 17; 348.

⁴² იქვე, 16; 353.

⁴³ იქვე, გვ. 16.

⁴⁴ ქართული ხალხური პოეზია. II, ნაკვ. II, 174; ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 353.

სათვის საჭირო იდეალური პიროვნების მოდელირებით (მისი ექვივალენტია ტერმინი სახელიანი) და თავდება ტერმინებით, რომელთაც სოციალური შინაარსი მიუღიათ.

დასასრულს ის ფაქტიც უნდა აღინიშნოს, რომ ხევსურული მასალით მოსახლეობის სოციალური დიფერენციაცია მაინცა და მაინც ღრმად წასული არა ჩანს, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები განაპირობებდნენ. ჯერ ერთი ხევსურეთში ლიმიტირებული იყო როგორც სახნავ-სათესი სავარგულები ისე საძოვრებიც. საქართველოს ხელისუფალთ არ შეეძლოთ მიუვალ მთებში მოსახლე მთიელთა „მორჯულება“ და მათი დაცვა ბარის ფეოდალთა ექსპანსიისაგან და ჩრდილო კავკასიის ტომთა მუდმივი თავდასხმებისაგან (გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ კავკასიონის ცენტრალურ ქედზე გამავალი ბილიკები ზამთრობით იკეტებოდნენ 7—8 თვის მანძილზე და პირიქითი ხევსურეთი პირისპირ რჩებოდა მოსიხსნე მტერთან). მსგავს ვითარებაში საუკუნეების მანძილზე დაკანონებული ტრადიციებიდან ყოველგვარი გადახრა, ინდივიდუალიზმის გამოვლენა თემისათვის მომაკვდინებელი იყო და ეს უკანასკნელი სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა მას.

А. М. КАЛДАНИ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ БОРЬБЫ ЛИЧНОСТИ ЗА СОЦИАЛЬНЫЕ ПРЕРОГАТИВЫ

(По данным этнографии Хевсурети)

Резюме

Предпосылкой возвышения личности в Хевсурети являлось выделение общиной прославленного личными качествами общинника. Он становился примером для подражания и способствовал укреплению устоев традиционного общественного быта.

Установленные общиной льготы способствовали экономическому усилению таких избранников и приобретению ими определенных социальных прерогатив. Однако они не достигали статуса полноправного дворянина в том смысле этого термина, в котором он употреблялся на равнине.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის განყოფილების ეთნოგრაფიის განყოფილებამ

**ერთი ფოლკლორული მოტივი ფარსადან გორგიჯანიძის
„საქართველოს ცხოვრებაში“**

XVII ს-ის ქართველი ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის (1626 — 1696) „საქართველოს ცხოვრებაში“¹ მოთხრობილია ქართველი ხალხის თავგადასავალი გაქრისტიანების დროიდან XVII ს-ის მიწურულამდე (1694 წლამდე). ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრებას“ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ისტორიის არა ერთი საკითხის გასარკვევად. ჩვენ ეს ძველი ფოლკლორული თვალსაზრისით გვიანტერესებს. ამ მხრივ ინტერესს აღძრავს თხზულებაში ჩართული ერთი ეპიზოდი, რომელიც ვახტანგ გორგასალის ღალატით სიკვდილის ამბავს გადმოგვცემს. გავეცნოთ მას.

მერთელ ნადირობიდან მომავალი ვახტანგის მეგობრე თურქებს შეუბუყრიათ და მეფის უძლეველობის მიზეზი გამოუკითხავთ. მეგობრეს მტრებისთვის გაუნდვია მეფის სასწაულებრივი ჯაჭვის შეუფალობის საიდუმლოება: „თავად ნამეტნავად კეღძლიერი არისო და ფიცხელი და ჩაუქი ცხვიტი არისო და გუნება აქვს გაბედულიო. მამაცობაში მეომართაგან გაუღრეკელი არისო, ქვეითად და გინდა ცხენს ზედა მოლაღვა არ იცისო. მერმე ჯაჭვის იმედიცა აქვსო. ამით უფრო შეპბედავსო“ „...ქართველნიც გაკვირებულნაო იმ ჯაჭვის სიმაგრესაო, მაგრამ ვერა გაუგიათ რაო. გინდა ის ჯაჭვი წყალში იღვას, გინდა ტალახშიგანო სამუდამოდ ეგდოსო, არც უანგი მოეკიდებისო და არცა ფერს იცვლისო და არცა სუნი აქვს რკინასაო, მაგრამეო მეფის მრავალჯერ ჩაცმისაგან ორგნით ილღიებით ოფს წაუხდენიაო, მეფესაც იქიდამენ ერიდებისო“. თურქებს დაუმახსოვრებიათ მეგობრის თქმული და ნადირობისას თავს დასხმიან მეფეს. ბევრი მათგანი მოუკლავს მეფეს, ბევრიც გაუქცევია, მაგრამ გამარჯვებულს ზურგიდან მოპარვია მტრები. „მეფემან მარტომან მრავალნი თურქნი ცხენისაგან გარდმოჰყარა, ზოგნი დახოცა, ზოგნი გაიქცნეს. მეფეს აღარ ეგონა, თუ აქ სადმე კიდევ თურქნი დარჩომილა თუ არა. მეფის გამარჯვებული დაბრუნებაშიგან უკანიდამ კიდევ თურქნი წამოეწივნეს. მეფე დაუბრუნდა. შეიქნა ომი და მეფემ სამნი თურქნი მოაკვდინა. მიწევაში მეფეს ილღიას ორი ისარი ჰკრეს და ჯაჭვი გაუტუნეს, ძალზედ დაჰკოდეს და ისრის მკვრელნი თურქნი მეფის ყმებმა დახოცეს. და მეფე დაჭრილი უჯარმას მივიდა და მრავალი წამლიცა უყვეს, მაგრამ ურგები იყო წაბალი და ამ დაკოდლობით მიიცვალა და ხელმწიფურის წესითა ცხეთას თავის აგებულს მონასტერში საფლავს მიიღეს კარგის წესითა“².

¹ ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების ქართული ტექსტი არც ერთ ხელნაწერში დასათაურებული არ არის. ჩვენ ვიზიარებთ რ. კიკნაძის მოსაზრებას, რომ ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო თხზულებას ეწოდოს არა „ისტორია“, არამედ „საქართველოს ცხოვრება“ (იხ. რ. კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდდთანი“, თბ., 1975, გვ. 17—18).

² ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, თბ., 1926, ს. კაკაბაძის გამოცემა, გვ. 5—7.

ზემოთ მოტანილი ცნობის მიხედვით, ვახტანგ გორგასალი მისივე მეაბჯრის ღალატით თურქებთან ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა. ცნობაში მოხსენიებული თურქები იგივე ხაზარები არიან. ამის გამო არ არის სწორი ქ. სიხარულიძის თვალსაზრისი — თითქოს გორგიჯანიძის მოთხრობაში სპარსელების ნაცვლად თურქების მოხსენიება გორგასალის შემდგომდროინდელი, თურქთა დაპყრობითი პოლიტიკის შედეგი იყოს³.

ვახტანგ გორგასალის ღალატით სიკვდილის ცნობა შიომღვიმის ხელნაწერს შემოუნახავს. იქ პირდაპირაა ნათქვამი: „ხოლო მოიკლა იგი სპარსთა ბრძოლასა შინა მონა-ყოფილისაგან მისისა, რამეთუ იცოდა განახევი ჯაჭვისაჲ ღლიასა ქუჭმუჲ; და აღიპყრა რა გრძალი თვისი, რათა სცეს კაცსა სპარსთაგანსა, მონამან მან ბოროტმან ჰყრა ისარი ღლიასა ქუჭმუჲ და მით მოიკლა და ქრისტესთვის იწამა ქრისტეს მოყუარე იგი მეფე და არს საფლავი მისი წინაშე სუტის ცხოველისა“⁴.

შიომღვიმის ხელნაწერში დაცული ცნობა განიხილა ივ. ჯავახიშვილმა. მეცნიერის აზრით, ამ ცნობის მიხედვით, „ვახტანგი შინათგამცემლობისა და ღალატის მსხვერპლი შექმნილა; ეს ისეთი ცნობაა, რომ თავისი ნიშანდობლობის გამო შეუძლებელია მერმინდელი მოგონილი იყოს. პირიქით, ჯუანშერის ცნობა, რომ მეფე მტრისაგან დაიჭრა, იმდენად ჩვეულებრივია, რომ შესაძლებელია ძველი უსიამოვნო ცნობის მერმინდელ შესწორებასაც კი წარმოადგენდესო“⁵. ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, „ჯერ კიდევ XI საუკუნეში ვახტანგ გორგასალის მეფობის შესახებ ძველი და კარგი საისტორიო წყაროები ყოფილა, მაგრამ ამ წყაროთა ცნობები ტენდენციურად შეუცვლიათ და დუმახინჯებიათ, მისი მოქმედება მხოლოდ და მხოლოდ სარწმუნოებრივ ბრძოლად დაუსახავთ“⁶.

ასე რომ, შიომღვიმის ხელნაწერში დაცული ცნობა ვახტანგ გორგასალის ღალატით სიკვდილის შესახებ თ. ჟორდანიას და ი. ჯავახიშვილს ისტორიულ დოკუმენტად მიაჩნდათ. კ. კეკელიძემ გაარკვია, რომ ეს ცნობა არ არის ისტორიული დოკუმენტი და მომდინარეობს არსენ ბერის მიერ გადამეტაფრასებულ წმ. ნინოს ცხოვრებიდან (გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა, № 10, ტფილისი, 1902, გვ. 46—51). ამ „ცხოვრებას“ ბოლოში დართული აქვს „უწყებაჲ, თუ მეფე მირანი ანუ სსუანი მეფენი ქართველნი რომლის ტომისანი ვართ“, სადაც ვახტანგ ზედაცაა საკმაოდ ვრცელი ლაპარაკი, კერძოდ მისი სიკვდილის შესახებ ნათქვამია: „მოიკლა სპარსთა ბრძოლასა შინა მონაყოფილისა ვისგანვე მისისა ზაკუთა“ (გვ. 48). არსენ ბერის დასახელებული შრომა შემდგომში ვილაცას გადაუკეთებია: ზოგ ადგილას შეუმოკლებია, ზოგან განუყრცია და მოუცია ახალი რედაქცია, რომლის სამი ნუსხაა დღესდღეობით ცნობილი. კ. კეკელიძის აზრით, ეს გადაკეთებული რედაქცია XIII საუკუნეზე ადრინდელი არ უნდა იყოს⁶.

ს. კაკაბაძეს გადამეტაფრასებული წმინდა ნინოს ცხოვრებიდან მომდინარე ცნობა ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიის ერთ-ერთ წყაროდ მიაჩნია. მკვლევარი წერს: „როგორც ამ თხრობიდან ჩანს, ფარსადანი იცნობს უსახელო შრო-

³ ქ. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949, გვ. 119.

⁴ თ. ჟორდანიას, ქრონიკები, წიგნი 1, თბ., 1892, გვ. 50.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 291.

⁶ კ. კეკელიძე, კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, X, გვ. 325—326.

მას ქართლის გაქრისტიანებისა და ვახტანგ გორგასალის მეფობის შესახებ, რომელიც შედგენილი უნდა იყოს მე-8—9 საუკუნის მიჯნაზე (საისტორიო ძეგლებანი, 170—175. შდრ. თ. ჟორდანი, ქრონიკები, I), რადგანაც მხოლოდ ამ შრომაშია ვახტანგის ჯაჭვის განხვევის შესახებ მოთხრობილი, როგორც ეს რამდენადმე უფრო განვრცელებით გადმოცემული აქვს ფარსადანს. საზოგადოდ ძველი ხანის შესახებ ქართული წყარო, გარდა ამ ცნობისა, ფარსადანს ხელთ არ უნდა ჰქონოდა, ქართლის ცხოვრებას ის, ყოველ შემთხვევაში, არ იცნობდა და ამის გამო საქართველოს ისტორია მას ფანტასტიკურად აქვს წარმოდგენილი⁴⁷.

ჩვენი აზრით, წმინდა ნინოს ცხოვრებიდან მომდინარე ცნობა არ უნდა იყოს ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების წყარო.

ნაშრომში „ვახტანგ გორგასალი“ ს. კაკაბაძე კვლავ ეხება ფარსადანის თხზულებაში დაცული ცნობას ვახტანგ გორგასალის ღალატით სიკვდილის შესახებ. მეცნიერი ფიქრობს, რომ „ეს თხრობა ფარსადანმა გადმოიღო პატარა თხრობათა შემცველ ერთ-ერთ სპარსულ ქრესტომატიიდან, სადაც საქართველოს ისტორიისათვის ეს მეტად საყურადღებო ამბავი შემთხვევით ყოფილა შემონახული“. იგი იქვე დასძენს: „ეს თხრობა თავისთავად უფრო დამაჯერებელია, ვიდრე ის, რომელიც მოცემულია ქართულ წყაროებში. ვერსია ვახტანგ გორგასალის დაღუპვის შესახებ სპარსელებთან ომის შედეგად შეიძლება წარმომდგარიყოს IX საუკუნის ახლოს, როდესაც ქართველობა თავის მოწინააღმდეგედ ზედავდა არაბების სახით იმავე სპარსელებს. ცნობილია, რომ ქართველები ძლიერ ხშირად სპარსელების სახელს არქმევდნენ არაბებს, თურქებს და საერთოდ მაჰმადიანებს. ასე იქცეოდნენ ბერძნებიც თვით XIII საუკუნეში. ამიტომაც თუმცა ვახტანგი დაიღუპა ხაზარებთან (თურქებთან) შებრძოლების დროს, მაგრამ განსაკუთრებით იმ როლის გამო, რომელიც მის სიკვდილში შეასრულა ცეცხლთაყვანისმცენელი მონის გამცემლობამ, ქართულ მწერლობაში შეიძლება წარმომდგარიყო თხრობა სპარსელების ქართლზე შემოსევისა და ამ შემოსევის დროს ვახტანგის დაღუპვის შესახებ“⁴⁸.

ზემოთ მოტანილ წერილობით ძეგლებში დაცული ცნობა ვახტანგ გორგასალის ღალატით სიკვდილის შესახებ ზეპირსიტყვიერებიდან უნდა მომდინარეობდეს. ვფიქრობთ, მართებულია ქ. სიხარულიძის თვალსაზრისი, რომ „გორგიჯანიძე და დასახელებული ძეგლების ავტორები თუ მეტაფრასები იცნობდნენ ერთი და იმავე თქმულების სხვადასხვა ვარიანტებს“⁴⁹. მაგრამ ამ წერილობითი ცნობების მთლად უარყოფა შეუძლებელია, მათში ისტორიული მინამდვილეც არის დაცული. ვახტანგის სიკვდილი სპარსელი მონის ხელისშეწყობით იმდენად თავისებური დეტალია, რომ ამის მთლად მოგონება შემდგომდროინდელ ავტორებს თავისით არ შეეძლოთ და უნდა ნამდვილ ამბავს წარმოადგენდეს.

მირიან მეფისა და ვახტანგ გორგასალის ამბების თხრობის წინ ფარსადანი გვამცნობს: „წიგნი არ მინახავს“-ო და იქვე მოუწოდებს მკითხველს: „თუ ამა-

ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 1926, შესავალი წერილი, გვ. 5—(ამონაბეჭდი საისტორიო მოამბიდან).

⁴⁸ ს. კაკაბაძე, ვახტანგ გორგასალი, თბ., 1959, გვ. 62.

⁴⁹ ქ. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 17—18.

თი ანბავი ვინმე წიგნათ ნახოთ, ჩაუმატეთ“-¹⁰. მოტანილი სიტყვები იმის საბუთია, რომ ფარსადან გორგიჯანიძე ვახტანგის ღალატით სიკვდილის გადმოცემისას ზეპირი ცნობებით სარგებლობს. მაგრამ ეს ეპიზოდი არ არის მთლად გამონაგონი. იგი ისტორიულად მომხდარი ფაქტისა და სხვადასხვა დროის გადმოცემების შერწყმის ნიადაგზეა ჩამოყალიბებული.

ვახტანგ გორგასალის შინაური ღალატით სიკვდილის თაობაზე ბევრი გადმოცემა — თქმულებაა შემონახული. ისინი ერთგვარად ხალხის მატიანის როლს ასრულებენ და ისტორიულ წყაროებში პოულობენ დადასტურებას. მათ, კრიტიკული განხილვის შემდეგ, დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ ძველი ისტორიის ბურუსით მოცული საკითხების გარკვევაში.

ღალატის მოტივის შემცველი თქმულებებიდან ყურადღებას იპყრობს XIX საუკუნის 80-იან წლებში ჩაწერილი თქმულება, რომელიც მოღალატე დედოფლისა და გუთნისდედის ამბავს გადმოგვცემს. მოგვყავს თქმულების მეორე ნაწილი.

„დიდძალი ურჯულო დაეცა ჩვენს ქვეყანას. სანგორის მინდორი სუ დაბნელებს და მოადგნენ უჯარმას. გორგასლანი კი მაგრა დაუხვდა იმათ: დღისით მუსრს აღენდა და ღამე ამ გორაზედ ციხე-დარბაზში ბრუნდებოდა. დედოფალმა პირობა შეკრა ურჯულო მეფესთან: ოღონდ შემირთე ცოლადღო და ჩემ ქმარს მოგაკვლევინებთო. ღამე იმის რაშს ბევრ მარილს ვაჭმევო და დილით იორში რომ შემოვა, წყალს ძაან დაუწყებს სმასა, მეფე ლაგამს ზევით მოზიდავს, გაღმიდან ჩასაფრებულებმა იღლიაში სტყორცნეთ ისარი და მოკვდებო. ეს შეთქმულება დედოფალმა შეასრულა და მეორე დღეს ისრით იღლიაში დაჭრილი მეფე მოასვენეს ციხე-დარბაზში. უიმისოდ ვერ მოჰკლავდნენ, რადგან თავით ფეხთამდის აბჯარში იჯდა. ორი დღის უკან მოკვდა ეს განთქმული მეფე ქვეყნის სატირლად. დედოფალიც — კი ზედ მიაყოლა ურჯულო მეფემ: „ისეთი გმირი და სახელოვანი ქმარი არ შეიფერე და მე შემიფერებო!“ უთხრა იმან და მოაბმევინა რა გორგასლანის რაშის კუღზევე, სუ ლუკმა-ლუკმა აქცევინა... ასე დაამთავრა ჭიშიამ ხალხური თქმულება გორგასლან მეფეზედ...“¹¹. მეორე კახელი მოქმელიც დედოფლის ღალატით ხსნის უძვეველი გმირის დაღუპვას გარეშე მტერთან ბრძოლაში. მტერი უჯარმის ციხე-სიმაგრეში მყოფ გორგასალს დღემუდამ უთვალთვალედა, მაგრამ ვერაფერი ავნო. რაკი ძალით ვერა გააწყო, ხერხს მიმართა: უსაზღვრო ტრფიალის წერილი მისწერა ახალგაზრდობაში ნაცნობ დედოფალს. „დაკეცა ეს წერილი, შეაბა ისარს და გაისროლა ქალის ოთახის ფანჯრისაკენ. ისარი შეიჭრა ვახტანგის ცოლის ოთახში. ქალმა ისარს ქალადი შეხსნა, წაიკითხა. ჯერ შეეყოყმანდა, ქმრის გაცემა და ღალატი არ უნდოდა, მაგრამ ბოლოს სიყვარულმა დასძლია და პასუხად მისწერა: ამე-ღამ მე ვახტანგის ცხენს მარილის ნატეხს დაუღებ სალოკავად, წყალი ძლიერ მოსწყურდება. ხვალ რომ ვახტანგი ცხენს წყალზედ გამოიყვანს, შენ იქვე ახლოს წყლის პირას ჩაუსადრდი და როდესაც ხელს აუქნევს ცხენსა, ბევრ წყალს არ ასმევს ხოლმე, მაშინ ესროლე ისარი იღლიაში. იქ თუ დასჭრი და ისე მოკლავ, თორემ სხვაგან არსად იარაღის მისადგომი არა აქვსო. ეცადე,

¹⁰ ფ. გორგიჯანიძე, ხელნაწ. H-2492, ფ. 11 ბ. ამ ადგილის შესახებ მართებულად შენიშნავს რ. კიკნაძე: „ეს იმასუნდა ნიშნავდეს, რომ ყველა სხვა შემთხვევაში ფარსადანს წერილობითი წყაროები ჰქონია ხელთ“ (რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 20—21).

¹¹ ხალხური გადმოცემა ვახტანგ გორგასალზე და ბერეკაცის ნაამბობი ალექსანდრე ბატონიშვილზე (ნაამბობი ბოჭორმის მთაზე), გაზ. „დროება“, 1885, №25.

ისარგებლო ამ შემთხვევით და მერე მეც შენი ვარო“. ამ თქმულებით, სხვაგვარად მისი ძლევა შეუძლებელი იყო, „რადგან ის მუდამ შეიარაღებული იყო და ჯაჭვ-ჯავშანში გამოწყობილი. ასე რომ, ერთი ბეწო ადგილიც არა ჰქონდა ტანზედ, რომელიც რკინით დაფარული არ ჰქონიყო, გარდა ილიებისა. ეს ერთადერთი ადგილი იყო, სადაც შეიძლებოდა მისი დაჭრა“¹².

გ. ლეონიძე ქართული თქმულებების საფუძველზე ვარაუდობს, რომ ვახტანგ გორგასალის მკვლეელი ჯავახი იყო. მაშასადამე ქართველი. ხოლო თუ ის წერილობით წყაროებში სპარსად იხსენიება, ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ხსენებული ჯავახი ცეცხლთაყვანისმცემელი უნდა ყოფილიყო. ს. კაკაბაძე იზიარებს გ. ლეონიძის მოსაზრებას და ასკვნის, რომ „ვახტანგი მოუკლავს მისსავე მონას ცეცხლთაყვანისმცემელს... ხოლო ის გარემოება, რომ მკვლეელი ცეცხლთაყვანისმცემელი და არაქრისტიანი იყო შეიქმნა შემდეგ მიზეზად ისეთი ვერსიის წარმოშობისა, რომლის მიხედვით ვახტანგი სასიკვდილოდ დაჭრილი იქნა სპარსელებთან ომში“¹³.

მკვლევართა ზემომოტიანილი მოსაზრება, ჩემი აზრით, არ უნდა იყოს მართებული. თქმულება ვახტანგ გორგასალის სიკვდილის შესახებ ძველია, იგი შემდეგ დაუკავშირდა ვახტანგ გორგასალის სახელს. ამის გამო, ბუნებრივია, მასში ფანტაზია ჭარბობს რეალობას, უფრო მეტიც, იგი წმინდა ფანტაზიის ნაყოფია და რეალობისაგან ძალიან დაცილებული.

ჩვენ მიერ მოხმობილი თქმულებები ვახტანგ გორგასალზე გენეტიკურ კავშირში არიან ფარსადან გორგიჯანიძის ზემოთ მოტიანილ ეპიზოდთან და აგრეთვე XII—XIII საუკუნეების წერილობით ძეგლებთან. იმ განსხვავებით, რომ წერილობითი ძეგლების მიხედვით მოლაღატე მეფის მეაბჯრეა, ხოლო თქმულება-გადმოცემების მიხედვით — მეფის დედოფალი.

თქმულება-გადმოცემებში დალატის მოტივის ისეთი ვერსიებიც გვხვდება, რომლებშიც ვახტანგ გორგასალის მიერ ოს-ბაყათარის დალატით სიკვდილის ცნობაა დატული¹⁴. ასეთივე ცნობა შემონახულია აგრეთვე ეპისკოპოს კირიონის ინიციატივით 1904 წელს ჩაწერილ ერთ გადმოცემაში¹⁵.

გმირის შინაური დალატით მოკვლის მოტივი სარგის თმოგველის სახელთან დაკავშირებულ თქმულებაშიც გვხვდება. იგი დამპყრობ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაზე მოგვითხრობს. „ურთიცივი მტერი ესეოდა საქართველოს ყველა კუთხეს. ერთი ასეთი კუთხე იყო ასპინძა, რომელსაც ოსმალები ესეოდენ ხოლმე. იქა, თურქეთის საზღვართან ახლო, არის თმოგვის ციხე, რომელსაც ძველად ეწოდებოდა სარგის თმოგველის ციხე. წინათ თურმე ამ ციხეში ცხოვრობდა ვაჟაკობითა და სილამაზით განთქმული სარგის თმოგველი. ერთ-ერთი შემოსევის დროს ოსმალებმა ალყა შემოარტყეს თმოგვის ციხეს, მაგრამ ვერაფრით გატეხეს იგი. დიდხანს მიჰქონდათ ოსმალებს იეროში ციხეზე, მაგრამ მათი ყოველი იერიში უშედეგო ჩანდა. ოსმალებს იმედი ჰქონდათ, სურსათი გამოეღევი და დაგვენებდებინათ, მაგრამ ციხე არავითარ სურსათის ნაკლებობას არ განიცდიდა. ცოცხალ თევზებს აყრიდნენ ოსმალებს თავზე და რძეს აღვრიდნენ

¹² „გორგასალის ციხე“, ეურნ. „მოგზაური“, 1901 წ. № 3, გვ. 221—224.

¹³ ს. კაკაბაძე, ვახტანგ გორგასალი, თბ., 1959, გვ. 60.

¹⁴ „კლდე-მალას ციხე“, ვახ. „დროება“, № 39, 1875. იხ. აგრეთვე ეურნ. „მოგზაური“, თბ., 1902, გვ. 683—685.

¹⁵ ს. კაკაბაძე, ვახტანგ გორგასალი, გვ. 18.

მალდიდან. ოსმალებმა ვერ გაიგეს, თუ საიდან იღებდნენ ამ სურსათს ქართველები. ციხეს ჰქონდა საიდუმლო სასვლელები, რომლებიც დღემდეა შემონახული. ასე ვაეკატურად უმკლავდებოდნენ ქართველები ოსმალებს, მანამ იმ მოღალატე სარგის თმოგველის ცოლმა არ გასცა საიდუმლო შესავალი.

ოსმალების ჯარს ხელმძღვანელობდა განთქმული მეომარი ხონთქარ-ფაშა. ის ხშირად დააგეგვებდა თავის თეთრ ცხენს ციხის გარშემო და იპყრობდა ციხეში მყოფთა ყურადღებას. ამ ვაეკაცს ხშირად უტყუროდა სარგის თმოგველის ცოლი და თანდათან შეუყვარდა ოსმალთა ბელადი. ველარ გაუძლო ცდუნებას და ერთ დღეს წინადადება მისცა ხონთქარ-ფაშას: თუ ის ცოლად წაიყვანდა, მაშინ ციხის საიდუმლო შესასვლელის გასაღებს ჩააბარებდა. ხონთქარ-ფაშა დაეთანხმა სიხარულით, რადგანაც უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ალყის მოხსნა. იმ ღამეს სარგის თმოგველს მეუღლემ ციხის გასაღები მოჰპარა და ხონთქარ-ფაშას გადაუგდო. ოსმალებმა ციხე აიღეს, რადგანაც ერთ კაცზე ათი მოდიოდა. გასწყდნენ ქართველები, ხოლო სარგის თმოგველმა მტრის ხელში ჩაგარდნას სიკვდილი ამჯობინა, თავის ცხენს თვალები აუხვია, დეზი ჰკრა და უფსკრულში ჩაიჩეხა. გადარჩენილი ქართველები შეიპყრეს და ტყვედ წაიყვანეს. ხონთქარ-ფაშამ, შებრების თანახმად, სარგის თმოგველის ცოლი წაიყვანა ცოლად. იმავე დღეს ოსმალთა ჯარმა პირი იბრუნა თურქეთისაკენ. გავიდნენ ერთ ტრიალ მინდორზე და ოსმალთა ჯარი დაბანაკდა. ხონთქარ-ფაშა მწარე ფიქრებს მიეცა. ფიქრობდა ის სარგის თმოგველის ვაეკატურ სიკვდილზე და მის გამყიდველ ცოლზე. ხონთქარ-ფაშამ თავის ჯარი და ქართველი ტყვეები ჩამწკრივა, სარგის თმოგველის ცოლი გვერდზე მოისვა და ჯარსა და ტყვეებს შეეკითხა: ვინც სიმართლეს მეტყვის, თუ იქნება ჩემი მეომარი, მას სიმდიდრე მოეღოს, ხოლო თუ ტყვე იქნება, თავისუფლებათ. აბა, ვინ მეტყვის, მე ვჯობდი სარგის თმოგველს სილამაზით და ვაეკატობით, თუ ის მჯობდათ?

თათრებში ჩოჩქოლი შეიქმნა. მათ ვერ გაბედეს თავიანთი სარდლის შეურაცხყოფა. ერთმა ქართველმა ტყვემ წამოიწია წინ და მოახსენა: სარგის თმოგველი იყო ისეთი ვაეკაცი და ისეთი მეომარი, რომლის ბადალი არამცთუ ოსმალებში, საქართველოშიც კი აღარ მოიძებნებოდა. სილამაზით კი ათ შენისათანას სჯობდათ. ხონთქარმა არ დააყოვნა და თავის ჯარს შეეკითხა: თუ ამ ქალმა ასეთი მეომარი და ასეთი სილამაზის კაცი გაყიდა, დრო რომ იხელთოს, მე რაღას მიზამსო?

ჯარმა უპასუხა: „მაგ ქალისათვის უფრო იოლი იქნება შენი გაყიდვა, რაკი მაგან თავისი კანონიერი მეუღლეც არ დაინდოო“. ამის თქმა და ხონთქარ-ფაშას გადაწყვეტილება ერთი იყო: ქალი ცხენის კუდზე გამოამბევიანა და მანამდე ათრევიანა, სანამ ქალმა არ შეჰყვირა: „მაკმარეთ წამება, დამკალით! დღესაც ამ მინდორს და მასზე გაშენებულ სოფელს ეწოდება „დამკალი“¹⁶.

1972 წელს, ქვემო ქართლის ფოლკლორულ ექსპედიციაში ყოფნისას ჩვენ ჩავიწერეთ გადმოცემა მოღალატე დის შესახებ. „დმანისის ციხეში ერთი ლამაზი ქალი ყოფილა. ამ ქალს ლეკების მთავარი შეჰყვარებია, ლეკიანობის დროს ძმისთვის უღალატნია. მისი დახმარებით ლეკებს დმანისის ციხე აუღიათ. ძმის მოღალატე ლეკეთში გაქცეულა, რომ ლეკების მთავარს ცოლად გაჰყოლო-

¹⁶ კახეთის ფოლკლორული ექსპედიციის მასალები, ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, ფ. არქ. ინვენტ. № კ 31.

და. მას უთქვამს ამ ქალისათვის: ძმას უღალატეო, სამშობლოს უღალატეო და ჩვენ დაგვინდობო. ძმის მოღალატე მოაბეს ცხენის კულზე და ასე მოკლესო¹⁷.

როგორც ვხედავთ, გვაქვს ისეთი თქმულება-გადმოცემებიც, სადაც გმირის ღალატით სიკვდილის მოტივი სხვა პიროვნებებთან არის დაკავშირებული. ამ თქმულება-გადმოცემებსა და ვახტანგ გორგასალის სახელთან დაკავშირებულ თქმულება-გადმოცემებს შორის სხვა განსხვავებაც შეინიშნება. ვახტანგის სახელთან დაკავშირებულ გადმოცემებში ვახტანგი მოკლულ იქნა სხეულის გარკვეულ ადგილას ჭრილობის მიყენებით.

ვახტანგ გორგასალის ფოლკლორული ისტორია ძლიერ ჰგავს გრაფი ფერნანდესის ამბავს, „მოღალატე ვრაფის ცოლის ლეგენდას“, რომელიც ესპანური იბერიულ სამყაროშია შექმნილი.

მ. ჩიქოვანმა ერთმანეთს შეუდარა ქართული და ესპანური გადმოცემები. შედარებამ გამოავლინა მათ შორის სიუჟეტური თანხვედნილობა. მეცნიერის აზრით, ეს მსგავსება ერთმანეთის დამოუკიდებლადაა შექმნილი. მართებულად წერს მ. ჩიქოვანი: „პორენის იბერიაცა და კავკასიის იბერიაც დამოუკიდებლად მოქმედებდნენ მსგავსი სახეების შექმნის დროს სტალია-ლურად ერთნაირ პირობებში მოქცეულნი. მაშასადამე, ვრაფის მოღალატე ცოლი და მეფის მოღალატე მეუღლე რეალიზმის საფუძველზე აღმოცენებული მხატვრული ორეულგებია მხოლოდ“¹⁸.

გმირის დაღუპვა სხეულის გარკვეულ ადგილას ჭრილობის მიყენებით შეიძლება დაედასტუროთ როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო მითოლოგიასა და ფოლკლორში. საგმირო ეპოსის, მითოლოგიისა და ხალხური ნოველა-მოთხრობების გმირები ხასიათდებიან „მაგიური უძლეველობით“. მაგრამ მათაც აქვთ სუსტი მხარეები, რომლებიც დიდი საიდუმლოებით არიან მოცული. ან სხეულზე აქვთ ერთი რომელიმე ადგილი, რომელსაც მაგიური ძალა აქვს და მხოლოდ იქიდან შეიძლება სასიკვდილო ჭრილობის მიყენება. მაგალითად, ქართული ეპოსის მიხედვით, ამირანი ისე არ მოკვდებოდა, თუ ნეკა თითს არ მოიჭრიდა. ხევსურთა წარმართული რწმენით, ზოგიერთი ადამიანი მთავარ ღვთაებათა, მზისა თუ მთვარის ბედის იბადება, ასეთ ადამიანებს ბეჭებზე ან მკერდზე მზისა თუ მთვარის სახე „აწერია“. მარადიული მნათობი (ღვთაება) მას თავის უკვდავებას უნაწილებს. ასეთი ადამიანები „ნაწილიანები“ არიან და მათი დამარცხება მტერს არ შეუძლია, ვიდრე ეს ნაწილი უცხოთათვის დაფარული და შეუმჩინეველია¹⁹. ბერძნული მითოლოგიით, აქილესის სხეულზე ჰქონდა ერთადერთი ადგილი — ქუსლი, სადაც შეიძლებოდა მისი დაჭრა. პარისმა ღმერთ აპოლონის დახმარებით იგი სწორედ ქუსლში დაჭრა სასიკვდილოდ. გერმანული ეპოსით, ნიდერლანდელი გმირის, ზიგფრიდის მოკვლა მხოლოდ მხარზე ჭრილობის მიყენებით შეიძლებოდა. წყლის სასმელად დახრილმა ჰაგენმა ჯვრით აღნიშნულ ადგილს ჩასცა

¹⁷ საკუთარი კოლექციიდან. მთქმელი ლაღო ვასილის ძე ურუმაშვილი, ბოლნისის რაიონი, სოფ. ქვეშე.

¹⁸ მ. ჩიქოვანი, „შორეული იბერიის ხმები. წიგნში: ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თბ., 1971, გვ. 282.

¹⁹ ა. შან იძე, ხალხური პოეზია (ხევსურული) თბ., 1931, გვ. 320; დ. გოგოჭური, ხევსურული საგმირო პოეზია და გმირები, თბ., 1977, გვ. 99—100.

ლახვარი²⁰. ერთი სუსტი მხარე ჰქონდა უძლეველ ანთოსსაც: ეს იყო საფრთხე დედამიწისაგან მოწყვეტისა, მოცილებისა²¹.

ილიაში იარაღის დარტყმით მტრის დამარცხება ზღაპრებშიც გვხვდება. მაგალითად, „ზღაპარი უხეიროს“ ერთი პერსონაჟი ამბობს: „ჩემ შარღში დასველებული იარაღის მეტი ვერაფერი მომკლავსო. ისიც თუ ილიის ძირში დამკრესო“²².

ფარსადან გორგჯანიძის „საქართველოს ცხოვრებაში“ და ზემოთ მოტანილ XII—XIII საუკუნეების წერილობით ძეგლებში დაცული ცნობა ვახტანგ გორგასალის ლალატით სიკვდილის შესახებ, ჩვენი აზრით, ზეპირსიტყვიერებიდან მომდინარეობს, თუმცა გადმოცემებით დედოფლის მზაკვრობამ შეასრულა საბედისწერო როლი, ხოლო ფარსადანის „საქართველოს ცხოვრებით“ და XII—XIII საუკუნეების ძეგლებით საომარი ჯაჭვის საიდუმლოების გამჟღავნებელი მეფის მეაბჯრე თუ მონაყოფილია. როგორც ჩანს, საუკუნეთა მანძილზე ხალხს დავიწყება მოლალატის ვინაობა და ამიტომ საომარი ჯაჭვის საიდუმლოების გაძხევა მეფესთან ყველაზე დაახლოებული პირისათვის — მოლალატე დედოფლისათვის მიუწერია.

როგორც ცნობილია, „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, ვახტანგ გორგასალი ირანელებთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობით გარდაიცვალა. ისტორიკოს ჯუნშერის სიტყვით, სპარსელებთან ბრძოლის დროს, „სპარსმან ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახტანგისასა... დამძიმა წყლულემა ვახტანგისი, რამეთუ შეწეულ იყო ისარი ფირტუად“, ამიტომ რამოდენიმე ხნის შემდეგ ახოვანი მეფე გარდაიცვალა კიდევ²³. ვახტანგ გორგასალის სიკვდილს ზუსტად ასე გადმოგვცემს ვახუშტი ბაგრატიონიც. „სპარსმან ვინმე სცა ისარი ვახტანგ მკერდსა... და დამძიმა ვახტანგ წყლულეებითა, რამეთუ შეწეულ იყო ისარი ფილტვამდე... შემდეგა გარდაიცვალა მკენ და მოწამეობისა ღირსი გორგასალ...“²⁴. ამ ცნობაში სწორია ის, რომ გორგასალი სპარსელებთან ომში დაიღუბა, მაგრამ აქ არაფერია თქმული ლალატის შესახებ მაშინ, როცა ლალატის ფაქტი ექვევარეშეა.

საბჭოთა ისტორიოგრაფია აღიარებს, რომ ვახტანგ გორგასალი ლალატის მსხვერპლი გახდა. ივ. ჯავახიშვილი წერს: „ბრძოლა, რომელშიც ვახტანგ გორგასალი მოკლულ იქნა, მართლაც პოლიტიკურ ნიდაგზე ყოფილა აღმოცენებული და თვით მეფეც იმდენად ბრძოლას არ შესწირვია მსხვერპლად, რამდენადაც ლალატს. გამოურკვეველი რჩება მხოლოდ, — დასძენს მეცნიერი, — ერთპიროვნული იყო ეს ბოროტმოქმედება, თუ შეთქმულების შედეგს წარმოადგენდაო“²⁵. ამ მხრივ კიდევ უფრო მკვეთრ დასკვნებს გვთავაზობს ს. ჯანაშია. მეცნიერი მიუთითებს: „თვით ირანელებთან ომის პროცესის ადგილი ჰქონდა აშკარა ლალატს. სომხური წყაროების ცნობით, როგორც კი ირანელი სარდალი ჰაზარაუხატი, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა, ვახტანგ ქართლის მეფე ან შეი-

²⁰ თქმულება ნიბელუნგებზე, თარგმანი კ. ჭიქიაძისა, თბ., 1935, გვ. 239.

²¹ ა. უ რ შ ა ძ ე, ანთოსი, ოგონში: ქართული ფოლკლორი, III, პროფესორ მიხეილ ჩიქოვანისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1969, გვ. 104—112.

²² ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1938, გვ. 162.

²³ ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1955, გვ. 202—203.

²⁴ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973,

გვ. 114—115.

²⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1960, გვ. 291.

პყარ, ან მოკალ, ან გააძვევო, ქართლში შევიდა, მაშინვე მისკენ გადასულან როგორც ისინი, ვინც ირანის შაჰინშაჰთან ერთგულების კავშირში იმყოფებოდნენ, აგრეთვე ისინიც, ვინც თავდაპირველად ვახტანგს ემხრობოდნენ, მაგრამ ეხლა მეფესა და სახარების ფიცს უღალატესო, სწორედ ამ ლალატმა აიძულა ვახტანგი თავისი სამეფო დაეტოვებინა და ეგრისში გახიზნულიყო!²⁶.

ს. ჯანაშია მიმართავს შიომღვიმის ხელნაწერში დაცულ ცნობას („მოიკლა იგი სპარსთა ბრძოლასა შინა მონაყოფილისა მისისა...“) და მასზე დაყრდნობით სპეციალურ ყურადღებას ამახვილებს მონაყოფილსა და მის მოქმედებაზე. მეცნიერის მეტად საგულისხმო მოსაზრებით, „ვახტანგის ძირითადი პოლიტიკური მოწინააღმდეგე წარჩინებულთა წრე მწვავე ბრძოლაში იყენებდა მონათა მოძრაობას, რასაც ადგილი უნდა ჰქონოდა მაშინდელ ქართლში“. წარჩინებულები იყენებენ მონათა სტიქიურ სულისკვეთებას და, ამდენად, ძველ ქართლს ანგრევს არა მარტო ფეოდალიზაციის პროცესი, არამედ მონათა მოძრაობაც²⁷.

უეჭველად გასაზიარებელია საბჭოთა ისტორიკოსის დასკვნა: „მეფესა და წვირლ ერს ისიც აკავშირებს, რომ იმდროინდელი მონური შრომის ექსპლუატატორთა უმრავლესობა სოციალურად სწორედ წვირლ ერში უნდა ვეძიოთ. ამ ურთიერთობით ვსწნით ჩვენ, რომ ქართულს ხალხურ გადმოცემებსა და პოეზიაში ვახტანგი განსაკუთრებული გმირობის შერავანდედითაა შემოსილი“²⁸.

ზემონათქვაში საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ ხელნაწერის თავში ჩართული ეპიზოდი ვახტანგ გორგასალის ღალატით სიკვდილის შესახებ ზეპირსიტყვიერებიდან მომდინარეობს და ამავე დროს ისტორიული სინამდვილის შემცველიცაა. მასში ზოგიერთი ისეთი მოტივია შესული, რაც ისტორიულ ცნობებში პოულობს დადასტურებას. თხზულებაში გადმოცემული ვახტანგ გორგასალის სიკვდილის ამბავი ისტორიულად მომხდარი ფაქტისა და თქმულება-გადმოცემების შერწყმის ნიადაგზეა ჩამოყალიბებული.

Г. Н. АХВЛЕДИАНИ

ОДИН ФОЛЬКЛОРНЫЙ МОТИВ В «ИСТОРИИ ГРУЗИИ» ПАРСАДАНА ГОРГИДЖАНИДЗЕ

Резюме

В работе рассмотрен один сказочный эпизод, в котором сохранились сведения о предательском убийстве Вахтанга Горгасали.

Этот эпизод сопоставлен со сведениями, содержащимися в письменных источниках, сказаниях и преданиях.

Сопоставление этих материалов и их критический анализ дал возможность установить, что достоверное сведение Парсадана Горгиджанидзе о вероломном убийстве Вахтанга Горгасала исходит из устного народного творчества, но в нем отражается историческая действительность.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებაში

²⁶ ს. ჯანაშია, შრომები, I, 1949, გვ. 290.

²⁷ იქვე, გვ. 294.

²⁸ იქვე.

განსარიონ მანუშაძე, ვივი ინანიშვილი

ბრინჯაოს წარმოების ძეგლები კახეთის სპილენძის გამადნობის წოდებით

რამდენიმე ათეული წელია, ტექნიკის ისტორიის კვლევის სფეროში განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს უძველესი ბრინჯაოს მეტალურგიის შესწავლის პრობლემას¹. უკანასკნელ წლებამდე მისი ძიების წყაროს წარმოადგენდა არქეოლოგიური მასალა მოპოვებული სამაროვნებიდან², ნამოსახლარებიდან³ და განძები⁴, რომელთა კვლევის შედეგებმა ცხადყვეს მეტალურგიის განსაკუთრებული როლი ბრინჯაოს ხანის⁵ კულტურის დაწინაურებისა და აღმავლობის საქმეში⁶. მეტალოგრაფიული და სპექტრული ანალიზების გამოყენებით შესწავლილია არქეოლოგიური ბრინჯაოს ქიმიურ-ტექნოლოგიური თვისებები.

სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის კვლევა-ძიების თანამედროვე საფეხურზე მასთან დაკავშირებული ყველა საკითხი ისწავლება კომპლექსურად, რაც გულისხმობს ისტორიულ-ტექნოლოგიური მიმართულებების ერთობლივ განხილვას, კვლევის შედეგად მიღებული მრავალმხრივი ინფორმაციის ერთმანეთთან შეჯერებას. ამდენად, მეტალურგიის განვითარების ყოველი საფეხური მოიცავს უძველესი წარმოების მთლიან ციკლს, მისთვის დამახასიათებელი ტექნოლოგიური კომპონენტებითა და ნივთიერი ძეგლებით (მაღარო-გამონამუშევრები, წილები, ქურები, სახელოსნოები, მზა ნაწარმი).

საქართველოს უძველესი სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის მკვლევართათვის, განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს იმ სამთო-მეტალურგიული კომპლექსების გამოვლენა-შესწავლა, რომლებიც ცენტრალური კავკასიონისა და აჭარა-თრიალეთის გამადნობათა ზოლშია მოქცეული. მათ შორის დიდი მნიშვნელობისაა ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთებზე განლაგებული სპილენძის, ანტიმონისა⁷ და დარიშხნის საბადოთა სისტემა⁸. ეს საკმაოდ მსხვილი

¹ А. А. Иессен. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, ИГАИМК 110, М.,—Л., 1935.

² გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, გვ. 48—49, 54—55.

³ ც. აბესაძე, რ. ბახტაძე, თ. დვალაი, ო. ჯაფარიძე, სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1958.

⁴ ც. აბესაძე, ლითონის წარმოება ამიერკავკასიაში ძვ. წ. III ათასწლეულში, თბ., 1969.

⁵ ო. ჯაფარიძე, შუა ბრინჯაოს ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 206, 224—225, 230.

⁶ გ. გობეჯიშვილი, გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 244, 252, 278—281.

⁷ ა. აფაქიძე, ქართული საბჭოთა არქეოლოგიის განვითარების ნახევარსაუკუნოვანი გზა, თბ., 1972, გვ. 67—70, 81.

⁸ Ф. Н. Тавадзе и Т. Н. Сакварелидзе, Бронзы древней Грузии, Тб., 1959,

მეტალოგენური რეგიონი, გეოლოგიურ-გეოგრაფიული მონაცემებით დაყოფილია ცალკეულ რაიონულ ჯგუფებად და პროვინციებად. ყველა მათგანი ხასიათდება ერთგვაროვანი მადანგამოსავლებით, ძირითადად ჭარბობს პიროტინჯალკობირიტული გამადნება⁹.

ცენტრალური კავკასიონის სპილენძ-პიროტინიან გამადნებათა სისტემა მკიდროდ უკავშირდება ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ ძეგლებს. ამ ზოლში შესწავლილია მთელი რიგი სამთო-მეტალოგენული კომპლექსებისა, რომლებიც გეოგრაფიულად განეკუთვნება მაღალმთიანი რაჰის, აფხაზეთისა და სვანეთის რეგიონებს. ამ მხრივ გამოჩნაკის წარმოადგენს ცენტრალური კავკასიონის გამადნების ზოლის უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც მოიცავს მდ. ალაზნისა და მისი მარცხენა შენაკადების ხეობებში არსებულ სპილენძის გამადნების სისტემას. აღნიშნული რეგიონის ისტორიულ-ტექნოლოგიური კვლევის ინტერესს კიდევ უფრო აცხოველებს ის მდიდარი არქეოლოგიური მასალა, რომელიც უკანასკნელ წლებში მოიპოვა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კახეთის ექსპედიციამ. დღემდე არ ყოფილა ცდა, მოპოვებული ლითონის (ბრინჯაოს) ნაკეთობათა მათი საწარმოო ცენტრებთან ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საკითხების გასარკვევად.

კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის რაზმმა დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა მდინარეების: სტორის, დიდხევის, ფათალოს წყლის, ლაბოტისა და მათი შენაკადების ხეობებსა და წყალგამყოფ ტერიტორიებზე, მოიხილა ამ რეგიონის გეოლოგიურად ცნობილი სპილენძის გამადნებათა დიდი ნაწილი; საველე სამუშაოების ძირითად მიზანს შეადგენდა უკვე ცნობილ გამადნებათა და თანამედროვე საძიებო მაღაროთა სისტემებში და მათი გავრცელების რაიონში ძველი მაღარო-გამონამუშევრებისა და მეტალოგენული წარმოების ნაშთების მიგნება-შესწავლა;

საინტერესო აღმოჩნდა მდ. დიდხევის უბანი, სადაც შენაკად მდ. ფათალოს წყლის მარცხენა და მარჯვენა ნაპირზე აღმოჩნდა დიდი რაოდენობის სპილენძის მადნის გამოსავლები და მათ შორის ნაშლი ქანის ფენებით დაფარული მცირე ზომის მაღარო-გამონამუშევარი. ნაშალი ქანის გაწმენდის შემდეგ გაირკვა, რომ მაღაროს ზომებია $2,0 \times 1,8$ მ. იგი ჰორიზონტალურად ვრცელდება და მიყვება გამადნების ძარღვს, მდებარეობს მდინარის დონიდან 50 მ-ის სიმაღლეზე. მაღაროსა და მახლობელი ტერიტორიიდან აკრეფილ იქნა წილისა და გადაამუშავებული მადნის ნიმუშები.

მდ. დიდხევისა და ფათალოს წყლის შესართავიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, ბუნებრივი საფარადან ყველაზე ცუდად დაცულ შვეულ ფერდობზე, ჰორიზონტალური მიმართულებით ვრცელდება 4—6 მ-ის სიმაღავრის სპილენძის მადნის გამოსავალი. უკიდურეს ქვედა ნაწილში გაყვანილია ღია კამერა, ოღნავ დაქანებული, ზომებით $4,5 \text{ მ} \times 1,8 \text{ მ}$. კლდოვანი თაღის სიღრმეში შეიმჩნევა ხალკობირიტის შემცველი ფიქალისა და კვარცის ფენების უხეშად დამუშავების ნაკვალევი. ღია კამერა სიღრმეში ვრცელდება 5,5—6,0 მ-ზე.

მნიშვნელოვანი მასალა იქნა მოძიებული მდ. არეშის ხეობაში. სოფ. აფენიდან 25 კმ. ის დაშორებით მდინარის კალაპოტის მაღალმთიან ნაწილში, სპილენძის მადნის სხვადასხვა სიმაღავრის გამოსავლებთან ერთად მიკვლეულ იქნა

⁹ Природные ресурсы Грузинской ССР, I, М., 1958, გვ. 96.

მალარო, რომელიც ნაწილობრივ ჩამონგრეულია და შესასვლელი ბაქანი დაფარულია ნაშალი ქანით. მალაროს შესასვლელის ზომებია 0,9×1,3 მ.

მდინარეების დიდხევისა და არეშის რაიონში მიკვლეული წარმოებული ნარჩენთა ზედაპირული ფორმა, მალაროთა ზომები და გაყვანილობათა კონსტრუქცია ტიპურია ძველი სამთო-მეტალურგიული კომპლექსებისათვის.

აღსანიშნავია, მდ. ოხოტის ხეობაში, ცნობილი ართანის სპალენძის საბადოსთან ვანლაგებულ მალაროთა სისტემა, რომელიც მუშავდებოდა თავდაპირველად გასული საუკუნის მიწურულში, შემდეგ კი XX ს-ის 30-იან წლებში. ამასთან საყურადღებოა ცნობები იმის შესახებ, რომ სპილენძის გამადნების თანამედროვე გეოლოგიური დამუშავებისას ზოგიერთი საძიებო გვირაბი მოხვდა ადრე არსებულ მიწისქვეშა გაყვანილობების არეში; როგორც ცნობილია, ანალოგიური შემთხვევებია ცნობილი მაღალმთიანი რაჰის¹⁰ სპილენძის გამადნების სისტემის სამთო-გეოლოგიური დამუშავების ისტორიიდან, როდესაც მსგავსი ობიექტები უშუალოდ დაუკავშირდა ადგილობრივ უძველეს სამთამადნო ძეგლებს¹¹.

დაზვერვების მონაცემებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მდინარეების: დიდხევის, ჩელთის, ლოპოტისა და მათი შენაკადების ხეეებსა და წყალგამყოფ ტერიტორიაზე მიკვლეული სპილენძის მადნის გამოსავლები, მალარო-გამონამუშევართა სისტემები, ერთ-ერთი ძირითადი პირობაა აღნიშნულ რეგიონში ძველი ბრინჯაოს წარმოების კერების არსებობისათვის. ამ მონაცემებს მეორე მხრივ კარგად უბამს მხარს ალაზნის ველზე, საწარმოო კერებიდან სამი ათეული კმ-ით დაშორებული, ცნობილი შილდის სამლოცველოს აღმოჩენის ფაქტი. აღნიშნული ძველი გვიანბრინჯაოს ხანისა და დიდი რაოდენობით აღმოჩნდა აქ ამ პერიოდის მიწურულისათვის დამახასიათებელი ლითონის ინვენტარი, მხატვრული ნაკეთობანი; მიკვლეულია ბრინჯაოს წარმოებასთან დაკავშირებული მეორადი დამუშავების წიდეები და ზოდების ფრაგმენტები. რიგი სარიტუალო ნივთებისა აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ მლოცველთა უმეტესობა ლითონ-დამმუშავებელი ხელოსნები უნდა ყოფილიყვნენ.

რაზმის მიერ მიკვლეული მადნის ნიმუშების და საწარმოო ნაშთების ქიმიური ანალიზის შედეგები (ცხრილი 1) იდენტურია ამ რეგიონის სპილენძის საბადოთა გეოლოგიური მონაცემებისა (გეოქიმიური ნაწილი).

ცხრილი 1

№	აღმოჩენის ადგილი, ნიმუში	ქიმიური შედგენილობა							
		SiO ₂	Fe ₂ O ₃	Al ₂ O ₃	PbO	ZnO	CuO	MnO	SO ₃
1	მდ. დიდხევის ხეობა, სპილენძის მად.	29,7	24,3	2,8	1,7	0,8	2,9	0,1	11,5
2	მდ. დიდხევის ხეობა, გამოქმე. მადანი	31,7	17,5	4,3	0,9	0,3	3,2	0,15	10,3
3	მდ. დიდხევის ხეობა, წილა	33,5	20,7	5,2	1,8	0,2	2,7	0,18	8,4
4	მდ. არეშის ხეობა, გამოქმე. მადანი	30,1	25,4	3,7	1,5	0,2	2,2	0,1	3,3
5	მდ. არეშის ხეობა, გამოქმე. მადანი	29,3	22,6	3,1	1,9	0,3	3,4	0,1	4,2
6	მდ. არეშის ხეობა, ფხვიერი წილა	27,4	21,2	4,1	1,7	0,1	3,1	0,1	5,9
7	მდ. ოხოტის ხეობა, სპილენძის მადანი	31,4	25,3	6,3	1,1	0,2	2,8	0,15	7,3
8	მდ. ოხოტის ხეობა, წილა	25,8	14,9	3,8	0,8	0,3	4,4	0,1	4,1

¹⁰ გ. გობეჯიშვილი, ძველი ქართული სამთამადნო და მეტალურგიული წარმოების ნაშთები სოფ. ღებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, VII, 3, 1952.

¹¹ გ. გობეჯიშვილი, თ. მუჯირი, გ. ინანიშვილი, ბ. მაისურაძე, მთიანი რაჰის უძველესი ბრინჯაოს წარმოების ისტორიისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, III, № 2, 1933.

კახეთის სპილენძის გამადნების ზონაში არსებულ საბადოთა გეოქიმიური მონაცემების, მიკვლევული ბრინჯაოს წარმოების ნაშთებისა და შილდის სამლოცველოს ლითონის ინვენტარის ქიმიურ-ტექნოლოგიური შესწავლის შედეგების ვათვალისწინებით, შესაძლებელია მათი ბრინჯაოს წარმოების ერთ მთლიან ციკლთან დაკავშირება.

მიკვლევული ძეგლების დამატარიღებელი მასალის სიმცირის გამო არ მხერხდა მათი კონკრეტული უბნების ექსპლუატაციის ზუსტი პერიოდების გამოყოფა, შესაძლებელია მათი ზოგადი დახასიათება.

წარმოების ნარჩენებისა და შილდის სამლოცველოს ბრინჯაოს ინვენტარის ერთი ნაწილის ქიმიური შედეგნილობის ერთგვაროვნება უტყუარს ხდის მათ საერთო წარმომავლობას. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ცენტრალური კავკასიონის სპილენძის სულფიდური მადნების ათვისება საერთოდ გვიანი ბრინჯაოს ხანას უკავშირდება, ხოლო შილდის სამლოცველო ძვ. წ. XIV—XII სს. თარიღდება, ადვილი წარმოსადგენია მათი საერთო ქრონოლოგიური საზღვრები. კახეთის სპილენძის გამადნების ზონაში არსებული ბრინჯაოს წარმოების კერები ზოგადად გვიანბრინჯაოს ხანას უნდა განეკუთვნოს.

სრულიად ცხადია, მიკვლევული ძეგლების მომავალი ფართო კომპლექსური გამოკვლევა ბევრ საინტერესო ინფორმაციას მოგვაწვდის ამ რეგიონის უძველესი ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიის შესწავლისათვის.

В. Г. МАЙСУРАДЗЕ, Г. В. ИНАНИШВИЛИ

ПАМЯТНИКИ ПРОИЗВОДСТВА БРОНЗЫ В ЗОНЕ КАХЕТСКОЙ МЕДНОРУДНОЙ ОБЛАСТИ

Резюме

Исследование истории древнего горнометаллургического производства Грузии является весьма актуальным. Новый этап в изучении историко-технологических вопросов охватывает горнорудные области Юго-восточного склона Главного Кавказского хребта.

Отрядом Кахетской археологической экспедиции проведены первые разведочные полевые работы в районе в верховьях левых притоков р. Алазани. Выявлены остатки металлургического производства (выработки, отвалы, шлаки), связывающие древние очаги цветной металлургии с местной материальной культурой эпохи бронзы.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. აფაქიძემ

С. С. КАКАБАДЗЕ

СТРОИТЕЛЬНАЯ НАДПИСЬ БОЛНИССКОГО СИОНА*

Одним из важнейших памятников для периодизации грузинской раннехристианской архитектуры является базилика Болнисского Сиона, которая считается твердо датированной 478—493 гг. Между тем, такая датировка вызывает возражения.

Базилика сохранила несколько надписей, палеографически одинаковых. Одна из них расположена на восточном фасаде. В ней упоминается епископ Давид, и поскольку болнисский епископ Давид, согласно армянской «Книге посланий», подписал решения Двинского поместного собора армянской, албанской и грузинской церквей 506 г., этим временем датировали самую большую базилику¹. Однако И. А. Джавахишвили эту надпись не считал строительной: по его мнению, дата первоначального строительства Болнисского Сиона примерно устанавливается началом V в., и поэтому почти должно быть несомненным, что надпись епископа Давида не является памятником, повествующим о первоначальном строительстве². Отметим также, что восстановление слова [მშობ]იმელოა «[трудив]шимся»³ (именно это слово дает возможность понимать эту надпись как строительную), не бесспорно и возможны и другие чтения.

Особенное значение для датировки памятника имеет другая надпись, которая помещалась на каменной перемычке над восточным проходом из северной галереи в базилику. Надпись состоит из четырех строк, выполненных крупными рельефными буквами асomtаврули (как и названная надпись епископа Давида). Буквы высечены заглаблением полей на камне. Средняя часть перемычки обвалилась давно, была заложена в кладке этого же проема, и поэтому эта часть надписи сохранилась сравнительно хорошо. Но левая и правая части камня остались в кладке стены базилики и надпись здесь смыта; сохранились лишь поля заглабления, предназначенного для надписи. Это дает возможность определить первоначальные размеры всей надписи и высказать некоторые соображения.

* Статья безвременно ушедшего из жизни С. С. Какабадзе является частью большой, оставшейся незавершенной работы о периодизации памятников грузинской архитектуры раннего средневековья. Доклад на эту тему был прочитан автором на сессии Государственного Эрмитажа, посвященной 90-летию академика И. А. Орбели, 24 апреля 1977 г. Настоящий материал, взятый из архива ученого, прислан из Ленинграда Е. С. Какабадзе (Ред.)

¹ Впервые отмечено Г. Н. Чубинашвили в его «Указателе выставки древнегрузинской архитектуры, устроенной Грузинским обществом истории и этнографии». Тифлис, 1920, с. 17 (далее неоднократно).

² И. А. Джавахишвили, Грузинская палеография. Тифлис, 1926, с. 158 — 161; второе изд. 1949, с. 280 (на груз. яз.).

³ Г. Н. Чубинашвили Болнисский Сион. Тбилиси, 1940 (Известия ИЯИМК Груз. ФАН, т. IX), с. 65.

Эта надпись в восстановлении А. Г. Шанидзе читается так⁴:

1. [შეწყენთა წმიდისა სამებისათა ოც წლისა პეროზ მეფისა ზე] [ხო-
ქნისა დაწყებაჲ]
2. ამის ეკლესიაჲსაჲ და ათხოვთმეტ წლისა შემდგომად განხეშორა. ვი
3. ნ აქა შინა თავყანის ხცეს ლ^ნ შეიწყალენ და ვინ ამის ეკლესიაჲსა და(ვი)
ო ე]

Перевод:

1. [Помощью свят]ой Троицы (в) двадцатый го[д]⁵ Пероза
ц[ар]я было начато (строительство)
2. этой церкви и [через] пятнадцать лет (окончено. Кт)
3. о здесь в (церкви) поклонится, (того) да помилует бог; и кто
(за) э[той церкви Д(ави)да⁶ е]
4. пископа помолится, того (так) же да поми[л]ует Бог. [Аминь].
Чтение не вполне соответствует сохранности текста и поэтому вызы-
вает возражения.

Средняя, отсутствующая *in situ* часть перемычки должна была иметь в длину 162—179 см, и на ней должна была помещаться надпись длиной каждой строки 162—166 см—таково расстояние между оставшимися в кладке стены боковыми частями камня в том месте, где была надпись. Следовательно, здесь помещалось около 655 см текста. Сохранился же блок длиной в 151—154 см с текстом около 610 см, т. е. не хватает части перемычки около 12 см с текстом около 45 см. Кроме того, на сохранившихся *in situ* левой и правой частях камня размеры были следующими: углубление для текста на левой части имеет в длину 69 см, но вначале первой строки было оставлено без текста около 20 см (это видно по следам букв; см. ниже), так что длина всех четырех строк текста здесь была: [(69—20) = 49+69×3] около 255 см. На правой стороне строчки были разной длины: 74, 71, 63,5 и 15 см, а всего 223,5 см.

Таким образом, общая длина всей надписи первоначально была около 1135 см (655+255+223,5), из которых сохранилось лишь 610, т. е. немногим больше половины⁷. Сохранившаяся средняя часть надписи состоит из 123 букв и, следовательно, утрачено около 110 букв. Между тем, на утраченных частях камня А. Г. Шанидзе восстанавливает 73 или 76 букв (в зависимости от того, имя епископа Давида было написано полностью или под титлом).

Но особенно важно то, что фактическая сохранность текста не полностью подтверждает предложенное А. Г. Шанидзе и общепринятое теперь чтение.

а) В первой строке неверно восстановление ოც წლისა—*оц цлиса*, «двадцати лет» (переводят: «в двадцатый год»); после буквы ო «о» хорошо сох-

⁴ Надпись и перевод привожу по строкам сохранившегося на перемычке текста; восстановленное должно быть распределено на левой и правой частях камня, ныне почти полностью смытых. А. Г. Шанидзе этого распределения текста не дает. Перевод Г. Н. Чубинашвили (Болнисский Сион, с. 69) не вполне точен. Там же приведен грузинский текст в восстановлении А. Г. Шанидзе.

⁵ букв.: двадцати лет.

⁶ Имя восстановлено по надписи епископа Давида на восточном фасаде базилики.

⁷ Размеры текста у Г. Н. Чубинашвили приведены неточно: будто бы не хватает «почти одной четверти общей длины надписи» (Болнисский Сион, с. 68), а у Л. В. Мухелишвили — приблизительно, хотя и с указанием, что сохранилось немногим больше половины текста (Л. В. Мухелишвили, Болниси. Известия ИЯИМК, т. III, Тбилиси, 1938, с. 325—326, на груз. яз.).

ранилась нижняя часть буквы, а также следы ее верхней части, и эти очертания указывают, что здесь не может быть *ს* «ц». (см. рисунок 1; ср. формы букв *ს* «ц» и *ც* «а» из этой же надписи—рис. 2). Эта буква определению не поддается, так как буква аналогичной формы встречается еще только один раз в небольшой, всего из 29 букв, надписи на Урбинской базилике. Урбинская надпись очень архаична и своеобразна. Интересующая нас буква в урбинской надписи обычно читается как «а»⁸. Однако тут же встречается «а» обычной формы. Причем вызывают некоторые сомнения первые два слова третьей строки: *ძობს სობს* «этого сиона» (см. рис. 3). необычны формы букв *ბ* вместо *ლ*, если это «с» (ср. «з»), и оба сокращения под титлом. Ср. из приведенных букв форму первой, сходной с интересующей нас буквой болнисской надписи и прочитанной в урбинской надписи как «а», и последней буквы *ც*, обычного написания «а», той же урбинской надписи. В этой же строке на месте *წ* «*н*» может быть также *წ* «в», *წ* «э», *წ* «и», *წ* «ви», а вместо *ლ* «л» возможно также *ლ* «з»; сохранились только нижние части этих двух букв. В целом же форма *აღწლობს* неправильна. Таким образом, здесь нет предполагаемой А. Г. Шанидзе даты⁹, а сохранившиеся остатки букв не дают основания для уверенного восстановления¹⁰.



Рис. 1



Рис. 2




Рис. 3

б) В той же строке неверно восстановление *მეფ [ობს] მეფ [ისა]* «царя» (род. падеж ед. ч.). Сохранившаяся часть четвертой буквы указывает, что здесь должно быть *წ* «э», а не *წ* «и»: сохранилась верхняя часть буквы. Следовательно, здесь может быть *მეფეძობს მექემან*—эргативный падеж ед. ч. (падеж субъекта действия, следовательно, в этом случае заказчиком надписи должен являться царь Пероз); или *მეფეობს მექეცა*—дат. падеж ед. ч. (в таком случае текст означал бы: «Перозу царю» или «Пероз, царю такому-то»); или же *მეფეობს მექეტა*—один из косвенных падежей мн. ч. (в таком случае это означало бы: «Пероз, царей (т. е. царский)» и далее какой-то титул). Как видим, в любом случае, если даже перед этим стоит дата, ее невозможно согласовать с царем Перозом.

в) На правой части камня *in situ* Л. В. Мухелишвили фиксировал остатки следующих букв:

⁸ Н. Шошиашвили, Древнегрузинские надписи из Урбиси. «Палеографические разыскания», т. I, Тбилиси, 1965, с. 138 (рисунок и чтение; ср. там же фото этой надписи, табл. III, на груз. яз.).

⁹ По мнению Л. В. Мухелишвили, здесь скорее должен стоять эпитет, возможно, неизвестный, что для V века вполне возможно (Болнис, с. 326, прим. 1). Такого же мнения был С. Н. Какабадзе.

¹⁰ Ср. высказывание Л. В. Мухелишвили, что «попытка прочтения надписи», предложенная А. Г. Шанидзе, «не может быть достаточно обоснована ни палеографически, ни в отношении языка и ни по содержанию» (Болнис, с. 326, прим. 1). К. С. Кекелидзе также высказал сомнение в возможности предлагаемой А. Г. Шанидзе грамматической конструкции (Этюды по истории древнегрузинской литературы, т. VI, Тбилиси, 1960, с. 419, на груз. яз.). Впрочем, Л. В. Мухелишвили позднее принял чтение А. Г. Шанидзе (см. Археологические экскурсии в ущелье Машавери. Тбилиси, 1941, с. 12, прим. 4, на груз. яз.).

1. ----- აო? ა? ბბ? («აო? ა? ხპ?»)

2. - ა («ა»)----- ო («ი»)-- ა («ა»)--ჟ («ე»?)

3. -- ჯღ («კლ»)-----

4. ბ («ნ»)¹¹

Весной 1951 г. мною были отмечены следы букв¹²:

1. 60 30 230 45 50 70 55 25 85

- ზ «ვ» ---- ს «с» ტ «а» - ტ «а» ე «х» უღ «პე?»

2. 70 40 230 50 55 50 40 170

- ტ«ა»----- ჴ/ღ («э/и») ს «с»- ტ ?«ა?» ტ «а» --

3. 20 25 45 25 45 30 165 240

- ს«с?» - ჳ«к» ჴ «л» ჴ «э» ----- ა ? ს ? ტ ?«ი?с?ა?»

4. 70 65

-- ჴბ«эй н»¹³.

Летом 1957 г. уже были сбиты последние две буквы в первой строке и последние три в третьей.

На левой части только в первой строке читались буквы:

250 120 230

-ღ«э»-ღზღ «эвн» -----

Наконец, в сентябре 1976 г. я посетил Болнисский Сион совместно с М. А. Чхиквадзе. В это посещение мы сняли эстампаж на бумаге обеих частей камня. Вот результаты:

1. 410 25 45 60 25 115

----- ტ «а» ბ «д» ტ «а» ე «х» -----

2. 120 50 245 40 .95 40 165

----- ტ «а» ----- უ «п» ----- ტ «а»-----

3. 225 90 275 35 150

----- ჳზღ «клэ» ----- ჳ? «მ?» -----

В четвертой строке отмечены те же две буквы.

На левой стороне следы букв видны только в первой строке¹⁴:

1. 200 240 70 270

----- ჴღღზღ « [მ] эцэвნი » ჳ? «ტ» -----

Начало и конец надписи не вызывают сомнений: в начале это- [ღ]ღ- ჳღზბო [თა ჳბოღღ]ბა «Помощь [ью свят]ой». Перед этим могло быть ჴ «К»—

¹¹ Л. В. Мухелишвили, Болниси, с. 236.

¹² Ширина букв в каждой из болнисских надписей различна — от 25—30 до 55 мм. В таблице я указываю ширину следов букв (лакун) и расстояние между буквами в мм.

¹³ Ни одной буквы, фиксированной Л. В. Мухелишвили, а позднее мной совместно с С. Н. Какабадзе, а затем совместно с М. А. Чхиквадзе, в восстановленном А. Г. Шанидзе тексте вет. Безусловно, следует признать, что восстановить текст с полной уверенностью невозможно.

¹⁴ О некотором несовпадении результатов восстановления остатков текста на блоке in situ надо сказать следующее. В чтении по эстампажу сомнительна буква «д» в первой строке и «п» во второй. Однако окончательное суждение можно вынести только после снятия хорошего эстампажа. В этой связи надо отметить паразитическое упущение, что это не было сделано сразу же после обнаружения основной части надписи в закладке проема: из вышесказанного ясно, что состояние надписи тогда должно было быть лучше.

первая буква имени «Христа», которая обычно ставилась в начале текста. А в конце- [ჲ] ႠႢ « [Ам] Инь».

Группа букв აბჰ «ахп» может означать только титул ხახუტა «нахпет». Такое понимание тем более вероятно, что на третьем столбе северного ряда помещен резной равнобедренный крест в медальоне, охваченный стеблем с листьями на концах, а над крестом короткая надпись, палеографически идентичная разбираемым двум надписям: ვსე ჯო ვნბნჲა «Это крест Вн[а] нпа», т. е., очевидно, Вардана /Вахана/ Варскена нахпета¹⁵.

В этой же строке слово «царь», возможно, стоит в одном из косвенных падежей множественного числа. В таком случае, упомянутый в надписи Пероз является не известным царем Ирана, а каким-то другим лицом, «нахпетом царей», «царским нахпетом», деятелем Картли времени строительства базилики. Само по себе такое предположение не должно вызывать удивления, поскольку по грузинским источникам, например, известен Пероз (имя дано в форме ვსეპოზ Пероз), зять царя Мириана (первая половина IV в.)¹⁶.

В этой связи отметим, что, если принять предложенное А. Г. Шанидзе чтение, следует указать на то маловероятное в историческом отношении обстоятельство, чтобы христианская церковь, епископская кафедра, построенная в конце V в. при сильном картлийском царе Вахтанге Горгасале, во время обострения борьбы против маздеизма и вообще Ирана, строителем датировалась царствованием иранского шаха Пероза, организовавшего жесткие гонения на христиан, и тем более после его смерти¹⁷.

В КЦ о церковной деятельности Вахтанга Горгасала сказано следующее: В Мцхета же царь Вахтанг построил церковь Апостолов Свети-Цховели... И посадили (!) в ней католикосом Петра, а Самоела—епископом в Мцхета же в епископской (церкви)¹⁸. И посадил (Вахтанг) одного епископом в Кларджети, в церкви Ахизской; одного—в Артани, в Эршети; одного—в Джавахети, в Цунде; одного—в Манглиси, одного—в Болниси, одного—в Рустави; одного—в Ниноцминда, у Уджармы (ჟჯარმის ვარსა), которую (церковь) Вахтанг Горгасал построил; одного—в Череми, в построенной им же (церкви), и там создал город один между обеими церквами, которые он же построил; одного—в Челети, которую построил в селении; одного—в Хорнабуджи, и одного в Агараки... После этого построил церковь Никозскую, при алтаре огня, и посадил епископа» (КЦ, I, с. 198—199)¹⁹.

¹⁵ Г. Н. Чубинашвили, Болнисский Сион, с. 185, рис. 113, без разбора самой надписи.

¹⁶ Картлис цховреба. Текст по всем основным рукописям установил С. Г. Каухчишвили, т. I, Тбилиси, 1955, с. 68, 71, 117 и др. (на груз. яз. Далее — КЦ).

¹⁷ Это сомнение высказал еще Л. В. Мусхелишвили (Болниси, в. 327, прим.). Пероз правил в 459—484 гг., а болниская надпись высечена, согласно А. Г. Шанидзе, в 493 г.

¹⁸ Т. е. в церкви Самтавро.

¹⁹ В списках КЦ имеются небольшие редакционные разночтения, но к обсуждаемому вопросу они отношения не имеют, поскольку сведения о Болниси в списках одинаковы.

Из этого текста видно, что здесь перечислены все церкви, о которых имелись сведения, что они построены Вахтангом Горгасалом, и при этом таковые четко разграничены от тех, где им только были посажены епископы. И важно, что среди этих церквей не названа Болнисская: там была лишь создана епископская кафедра. Вместе с тем, согласно грузинским источникам, церковь в Болниси была построена в конце IV—начале V в., но согласно КЦ строителем ее являлся царь Парсман (КЦ, I, с. 138), а по «Обращению Картли» («Мокцевай Картлиса», IX в.) — его предшественник Бакур²⁰.

Надо вместе с тем подчеркнуть, что все конструктивные и архитектурные особенности памятника, в том числе и декор, приводимый для его датировки концом V или началом VI в.²¹, могут относиться и к более раннему времени.

В Болнисском Сионе имеются следующие три конструкции соединения столбов: южный вход из портика в базилику перекрыт архитравом со сквозной разгрузочной щелью над ним, ввиду чего верхние массы базилики распределены на два архитравных камня; два северных входа из портика в базилику оформлены архитравами, над которыми оставлены открытые сквозные люнеты подковообразной формы. Декоративное назначение горизонтальных балок подчеркивается размещением на них надписей; наружные входы — два в южный портик и единственный сохранившийся в северную галерею — являются арочными, без архитравов.

Архитравная система соединения столбов характерна для архитектуры до IV в. и встречается также в древнейших христианских базиликах. В течение IV в. наблюдается постепенный переход на соединение столбов арками. Конструктивно переходной ступенью между архитравной и арочной системами являются открытые сквозные люнеты над архитравами, при которой конструктивную нагрузку несет уже арка, но пережиточно сохраняется и архитрав, фактически имеющий уже только декоративную функцию. Такие открытые люнеты встречаются в архитектуре на протяжении II—VII вв., но в основном они выражали конструктивные идеи IV в.

Аналогичные разгрузочные щели в Грузии засвидетельствованы в базиликах Квемо Болниси (совр. Болнис-Капанакчи), в трех км от Болнисского Сиона²², в базилике Акаурта, которую считают современной Болнисскому²³, и в одном сооружении III—IV вв. в Нокалакеви в Западной Грузии²⁴. Таким образом, разгрузочная щель в Грузии встречается в тесно связанных друг с другом памятниках, а наличие самого раннего примера в Археополисе-Нокалакеви, архитектура которого тес-

²⁰ Памятники древнегрузинской агнографической литературы, под ред. И. В. Абуладзе, т. I, Тбилиси, 1963, с. 92 (на груз. яз. Далее — ПДГАЛ); Е. С. Такашвили, Источники грузинских рукописей. Три хроники. СМОНПК, вып. 28, Тифлис, 1900, с. 32.

Вышеприведенное мнение И. А. Джавахишвили о датировке базилики опирается на эти сведения источников. Так же — концом IV — началом V в. датировал базилику С. Н. Какабадзе.

²¹ Началом VI в. датировали базилику до обнаружения рассмотренной надписи.

²² Г. Н. Чубинашвили, История грузинского искусства, I, Тбилиси, 1936, с. 66—68 (на груз. яз.).

²³ Л. Д. Рчеулишвили, Три неизвестных памятника грузинской архитектуры. *Arg Georgia*, № 2, Тбилиси, 1948, с. 31, 176—177, рис. 4 (на груз. яз.).

²⁴ В. А. Леквинадзе, О древних оборонительных сооружениях Археополиса-Нокалакеви. — «Советская археология», 1959, № 3, с. 151, рис. 6.

но связана с византийским миром, возможно, указывает на проникновение этого приема из Византии через Западную Грузию.

В Армении разгрузочные щели засвидетельствованы в Еревуйской базилике V в.²⁵ и в купольном храме в Аване 80—90-х гг. VI в.²⁶, причем интересно, что в Аване имеются по две щели друг над другом, нижняя длиннее верхней (сохранились над внутренними входами в юго-восточное и северо-западное угловые помещения²⁷).

Открытые сквозные люнеты в Грузии встречаются сравнительно чаще: в Анчисхатской базилике конца V в. в Тбилиси, малой церкви в Згудери²⁸, кирпичной купольной церкви в Озаани²⁹, в небольшой церкви в Джавахети³⁰. Из них самый поздний пример, по-видимому, Озаани, а остальные должны быть отнесены ко времени не позднее V—VI вв.

В Армении такой же открытый сквозной люнет имеет храм в Аване³¹, но здесь он носит еще более декоративный характер благодаря помещению его под декоративным фронтоном.

Открытые люнеты над горизонтальной перемычкой хорошо известны в архитектуре: они распространены в архитектуре прилегающего к Грузии или связанного с ней ареала. В дохристианское время они встречаются в Сирии, на Балканах (например, дворец Диоклетиана в Сплите), а в христианское время — также в Сирии, в Малой Азии, в Месопотамии до VII в.

Таким образом, в Болнисском Сионе засвидетельствованы все формы эволюции этой конструкции. Поэтому надо думать, что во время строительства этой базилики арочная система соединения столбов еще не была господствующей, точнее, все три системы пользовались одинаковым приблизительно распространением и, следовательно, архитектура базилики отражает период перехода от архитектурной системы к арочной.

Базилики обычно возводились по продольной оси, и поэтому главные входы у них были с запада. Это естественно, поскольку входящий в храм должен был сразу же оказаться обращенным к алтарю³², воспри-

²⁵ Н. Я. Марр, Еревуйская базилика, Ереван, 1968, с. 16, табл. VI, VII.

²⁶ Т. А. Марутян, Храм Аван. Ереван, 1976 (на арм. яз., краткое содержание на русском яз.).

²⁷ Такой «запас прочности» — распределение верхних масс на три архитектурных камня — как будто непонятен: несущая конструкция купола никак не затрагивает эти архитектурные системы, над которыми помещались только небольшие массы стен. Однако эта система становится понятной, если над архитравами возвышался купол, как реконструирует Т. А. Марутян; причем этот купол должен был быть сравнительно высоким (средневысокий) вариант реконструкции угловых куполов там же рис. 14, по-видимому, более правильный, а более низкий вариант на рис. 12—13).

²⁸ Л. Д. Рчеулишвили, Три неизветных памятника грузинской архитектуры, с. 38, 178, рис. 16.

²⁹ Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, с. 358, табл. 272.

³⁰ В. В. Беридзе, Грузинская архитектура «раннехристианского» времени (IV—VII вв.), Тбилиси, 1974, с. 23.

³¹ Т. А. Марутян, Храм Аван, с. 19—21, 175, рис. 12—14, табл. 2—6.

³² Ср. требование Витрувия к античным храмам, которые должны были быть обращены к востоку с тем, чтобы, войдя в храм, одновременно оказывались лицом к алтарю и востоку, к восходу солнца. Если же это по характеру местности было невозможно, храм надо было ориентировать в сторону открытого пространства, преимущественно водного — к озеру, реке и т. д. (II, 27).

нимая одновременно удлиненность базиличного храма и выстроенные в ряд устои. Отклонением от этого являются несколько базилик, преимущественно конца IV—первой трети V в. из Северной Сирии³³. В Грузии также известны несколько базилик с единственным или главным входом с продольной оси, обычно с юга. Таковы трехнефная базилика в Самшвилде и трехцерковная в Квемо Болниси с единственными входами с юга, базилики в Некреси, Зегани и др. с главным входом также с юга. Однако эта особенность вызвана, по-видимому, какими-то требованиями литургии, поскольку встречается также в купольных сооружениях (например, Самцевриси с единственным входом с юга)³⁴.

В Болнисском Сионе входы организованы с юга и с севера (вход с западной стороны прорублен, как установил Г. Н. Чубинашвили, очевидно, в XVII в., когда была построена колокольня и, возможно, были проведены некоторые работы и в самой базилике³⁵). Но главным является, в отличие от перечисленных памятников, северный вход, который оформлен разнообразней, интереснее. Над входами из северной галереи в базилику были расположены основные первоначальные надписи.

В южной части базилики расположено помещение с двумя апсидами— на восток и на запад, и с единственным входом из базилики. Такие помещения в Грузии встречаются лишь в восьмиапсидном храме в Ниоцминда, однако с входами также и с внешней стороны. Кроме того, в Кола (ныне в пределах Турции) сохранились развалины небольшой церкви Дорт-килиса (перевод грузинского *Отхта эклесиа*, букв. «церковь четырех»). Насколько можно судить по единственному чертежу плана, она построена, возможно, одновременно с небольшой зальной церковью, с которой соединена единственной (?) дверью: на чертеже не отмечен наружный вход ни в одно из этих помещений³⁶. Наконец, возможно, такое же помещение было в цкароставской базилике, но здесь в северной части храма и с входом также с внешней стороны. Это помещение имеет единственную апсиду, но только на запад. Такая форма, видимо, является результатом переделки, но, возможно, лишь частичной, можно предполагать, что переделана только восточная часть помещения, в результате чего была уничтожена апсида.

Такие помещения и целые сооружения встречаются в различных странах еще в дохристианский период, а из христианских памятников они имеются в Лютеранском баптистерии IV в., в здании между капел-

³³ Сводку см.: Г. Н. Чубинашвили, Болнисский Сион, с. 143. По мнению Г. Н. Чубинашвили, такая же особенность Болнисского Сиона вызвана «какими-то коренным образом расходящимися с восприятием базилик психологическими установками грузина-архитектора»; надо «естественно, видеть в этом приеме определенную художественную тенденцию», возможно, даже непонимание художественной установки (там же, с. 143—144), а то обстоятельство, что северный фасад наиболее художественно украшен, автор объясняет тем, что «это и был главный фасад здания» и, что «заказчик Болнисского Сиона, его епископ Давид, жил именно с северной стороны Сиона, любовался ими мог непосредственно и просто ходить и совершать небольшие требы в приделе» (там же, с. 151). Такое объяснение, думаю, совершенно не учитывает реального положения вещей, и все эти особенности архитектуры Болнисского Сиона были вызваны функциональными особенностями, а не только художественно-психологическими установками заказчика и строителя.

³⁴ Речь здесь, конечно, только о церквях, где природные условия не мешали устройству входа с запада.

³⁵ Г. Н. Чубинашвили, Болнисский Сион, с. 22.

³⁶ *Album d'architecture de la Géorgie*, табл. 27.

лой св. Аквилينو и церковью св. Констанции в Милане (вторая половина IV в. или V в.), в Гюль-Бахче близ Смирны (V в.) и др.³⁷

Назначение этих помещений не вполне ясно. Я. И. Смирнов высказывал мнение, что двухапсидное помещение Болнисского Сиона, возможно, являлось крещальней³⁸, а организация крещальни в самом храме относится ко времени, когда крещение совершалось епископами. С получением права крещения также и простыми священниками специальные помещения для баптистериев перестали устраивать.

Такое объяснение этого помещения, возможно, подтверждается также наличием ниш с каменной купелью в южной галерее Ереверуской базилики и наружной ниши в малой Талинской церкви в Армении³⁹, а также в церкви Иси в Южной Грузии (ныне в пределах Турции).

С северной стороны Болнисский Сион имеет открытую галерею с апсидой на восточном конце. Как уже отмечалось, назначение таких галерей, встречающихся лишь в памятниках раннего христианства, не вполне ясно, но есть основания предполагать, что они предназначались для оглашенных.

В декоре базилики обращает внимание равнобедренный крест, высеченный из сегментов круга, с древком рукоятки вниз, и помещенный в круг одного диаметра с сегментами круга самого креста. Этот крест является изображением победного креста императора Константина — легендарного креста, явленного Константину, в медальоне⁴⁰. Таких крестов в базилике 12 — три на фасадах и девять внутри церкви. Все они, несомненно, современны постройке самой базилики или же высечены вскоре после этого. Об этом, с одной стороны, свидетельствуют палеографические данные надписи к кресту Вахана (или Вардана/Варскена) на северном столбе, а с другой, то обстоятельство, что болнисские кресты относятся ко времени ранее установленного во время Юстиниана креста на Голгофе, поскольку известные в Грузии воспроизведения этого последнего совершенно другой формы: удлинненные, с двумя шариками в конце каждого тябла креста, изображающие драгоценные камни креста на Голгофе.

Наконец, на восточном фасаде пристроенного жертвенника имеется единственная художественно оформленная плита, аналогичная плите на Казахской базилике в Армении. Поскольку эту последнюю Г. Н. Чубинашвили датирует VIII—IX вв., то и болнисский придел он относит к этому времени, хотя с некоторыми оговорками и склоняясь скорее в пользу IX в.⁴¹ Между тем, Казахская базилика, как убедительно показал

³⁷ См. Н. И. Брунов, *Очерки по истории архитектуры*, II, М.—Л., 1935, с. 416; *Всеобщая история архитектуры*, М., 1958, с. 258—259; Г. Н. Чубинашвили, *Болнисский Сион*, с. 138—130; В. В. Беридзе, *Грузинская архитектура «раннехристианского» периода*, с. 23 и др.

³⁸ Н. М. Токарский, *Архитектура Армении IV—XIV вв.* Ереван, 1961, с. III, рис. 42. И. Стржиговский отмечал, что эти ниши северомесопотамского происхождения (*Baukunst der Armenier*, Wien, I, 1918, с. 378).

³⁹ Г. Н. Чубинашвили, *Болнисский Сион*, с. 129.

⁴⁰ Там же, с. 182—184.

⁴¹ На перемычке входа в базилику с юга помещена надпись письмом асомтаврули, датируемая по палеографическим данным IX в. Составитель надписи «убогий Илья» упоминает, что он «удостоился стать протоиреем церкви святого Григория». Из этого Г. Н. Чубинашвили делает вывод, что надпись должна относиться к пристроенному с северовостока приделу и что, следовательно, он был освящен во имя святого Григория (Болнисский Сион, с. 74—75, 110). Такое объяснение представляется маловероятным, поскольку непонятно в таком случае, почему надпись, относящаяся к приделу, не помещена на

А. А. Саинян, представляет собой реконструкцию V в. с использованием основных частей базилики IV в.⁴² Следовательно, эта декорированная плита датирует болнисскую пристройку временем не позднее V в., отодвигая постройку самого Сиона в более раннее время. В пользу этого говорит также организация алтаря, который, как было сказано, первоначально был одночастным, а затем, в V в., был переделан в двухчастный.

Таким образом, все основные элементы и декор композиции Болнисского Сиона не противоречат, а некоторые данные подтверждают возможность датировки памятника началом V в. или концом IV.

Основное здание базилики построено из зеленовато-голубого камня; крещальня, южная галерея и фасад апсиды — желтовато-серого, причем крещальня построена из каменных квадров сравнительно малых размеров⁴³. Из этого же серого камня сложен пристроенный жертвенник. Можно предположить, что базилику начали строить из зеленовато-го камня, а завершили из серого. В этой связи уместно вспомнить, что согласно источникам, как уже говорилось, Болнисский храм построили два царя: согласно «Картлис цховреба», его построил царь Парсман⁴⁴, а согласно «Обращению Картли» — его предшественник Бакур⁴⁵. Возможно, здесь нет противоречия, и Бакур начал строительство, а Парсман завершил, и тогда же были выполнены надписи.

этом же приделе. Л. В. Мухелишвили предлагал такое объяснение: поскольку Сионом назывались церкви, освященные во имя Богоматери, а строительная надпись дана от имени святой Троицы, следовательно, церковь первоначально была освящена в честь Троицы, затем, в IX—X вв., — в честь святого Григория, а позднее была известна как храм Богоматери (Болниси, с. 327, 342). Такое объяснение также маловероятно, и приходится констатировать, что смысл данных надписей не вполне ясен.

⁴² А. А. Саинян, Архитектура Касахской базилики, Ереван, 1955, (на арм. яз., резюме на русском).

⁴³ Верхняя, позднее, видимо, в XVII в., восстановленная часть базилики сложена из камня обоих этих цветов: по-видимому, использован камень обрушившихся частей этого же храма вперемежку. По сведению Л. В. Мухелишвили, зеленоватый камень добывается в этом районе в сел. Акаурта, в 15 км от Болнисского Сиона, а желтовато-серый вблизи сел. Хатис-Сопели, в 10 км от Сиона (Болниси, с. 323—324).

⁴⁴ Картлис цховреба, I, с. 138.

⁴⁵ ПДГАЛ, I, стр. 92; СМОМПК, вып. 28, с. 32.

ბოლნისის სიონის დათარიღებისათვის

ქართულმა ისტორიულმა წყაროებმა შემოგვინახეს უძვირფასესი ცნობები აღრეპრისტიანული ხანის მშენებლობის შესახებ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებენ მეფეთა და აზნაურთა მიერ აგებული მნიშვნელოვანი ტაძრების შესახებ. ახლად გაქრისტიანებულმა ქართლის მეფემ მირიანმა ბიზანტიიდან გამოითხოვა ეკლესიის მსახურნი და ტაძართა მშენებლები. ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინემ სიხარულით დააკმაყოფილა ქართლის მეფის სურვილი და ქართლისაკენ დაძრულან „ვირით ხურონი და ქვის მთლელი ფრიაღ მრავალნი“¹. კონსტანტინეს ამასთან გამოუგზავნია მრავალი მღვდელი და „ნიჭი დიდი“, რაც მშენებლობის დაფინანსებას გულისხმობს. ქართლის გაქრისტიანება, ბიზანტიის მხარდაჭერა და IV საუკუნეში საქართველოში ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა ჩვენს ისტორიოგრაფიაში აღიარებული ფაქტია.

რასაკვირველია, გაქრისტიანებულ სახელმწიფოში, სადაც ახალ რელიგიას მკვეთრი წინააღმდეგობა არ წასწყდომია, ააშენებდნენ ეკლესიებს ქრისტიანობის პროცესის დასაჩქარებლად და განმტკიცებლისათვის. ამისათვის ყველა პუნქტში, სადაც ქალაქური მოსახლეობა, ან დაბები იყო, უკვე IV ს-ის დასაწყისში აღმართავდნენ ეკლესიებს. თავიანთი მასშტაბებისა და მნიშვნელობის გამო ყველა ეკლესია ვერ აისახებოდა ისტორიულ წყაროებში. აქ თავი იჩინა განსაკუთრებულმა შემთხვევებმა. წყაროებში აისახა მეფეთა და დიდგვაროვანთა დეაწლი.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით, IV ს-ის მიწურულს „მეფობდა ბაკურ ...და მთავარეპისკოპოსი იყო ელია. და ამან აღაშენა ეკლესია ბოლნისისა“. მეორე ვარიანტი, „და (მეხუთედ) მეფობდა ბაკური, ქართლში გამეფებულა ფარსმანი, ძე ვარაზ-ბაქარისი: „და დაჯდა მეფედ ძე ვარაზ-ბაქარისა, ძმისწულისწული ფეროზისი სახელით ფარსმან“,... მან „განამრავლნა ჯუარნი, და განაახლნა ეკლესიანი ყოველსა ქართლსა შინა, და აღაშენა ეკლესია ბოლნისისა, და მცირედ ჟამ მეფობდა და მოკულა“².

ქართლის ცხოვრების“ თანახმად, დაახლოებით იმავე პერიოდში, როდესაც „მოქცევაჲ“-ს მიხედვით, მეფობდა ბაკური, ქართლში გამეფებულა ფარსმანი, ძე ვარაზ-ბაქარისი: „და დაჯდა მეფედ ძე ვარაზ-ბაქარისა, ძმისწულისწული ფეროზისი სახელით ფარსმან“,... მან „განამრავლნა ჯუარნი, და განაახლნა ეკლესიანი ყოველსა ქართლსა შინა, და აღაშენა ეკლესია ბოლნისისა, და მცირედ ჟამ მეფობდა და მოკულა“³.

შეუძლებელია, ვახუშტი ბატონიშვილისათვის უცნობი ყოფილიყო „მოქცევაჲ“-ს ვერსია, მაგრამ ბოლნისის სიონის მშენებლობას ისიც ფარსმან მეფეს

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 117.

² ძველი ავთოგრაფიული ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 92.

³ ქ. ც. ბ., გვ. 137-38.

მაწერს... „დასუეს ძე ვარაზ-ბაქარისა ფარსმან მეფედ, აღზრდილი სამშვილდის ერისთვის: გან, რომელი იყო ძის-წულის-წული ფეროზისა“⁴.

| ხვა აღგილას ვახუშტი უბრუნდება ბოლნისს „მას ზემორ ეკლესია დიდი, უფუნბათო, ბოლნისისა, რომელი აღაშენა კთ (29) მეფემან ფარსმან, და გორგასალ დასუა ეპისკოპოზი. შემდგომად შემმუსვრილი აღაშენა დედოფალმან მარიამ“⁵.

ცნობა ბოლნისის სიონში ეპისკოპოსის დასმის შესახებ, როგორც ჩანს, ვახუშტის ჯუანშერისაგან აქვს ნასესხები, რომელიც ჩამოთვლის ვახტანგ გორგასალის მიერ დასმულ ეპისკოპოსებს და აღნიშნავს კიდევაც საგანგებოდ ვახტანგის მიერ აშენებულ ეკლესიებს.

1. კლარჯეთს, ეკლესიასა ახიზისასა (ააშენა ვახტანგის ძუძუმტემ—ბ. მ.); 2. არტანს, ერუშეთს (ააშენეს კონსტანტინეს გამოგზავნილმა ხუროებმა—ბ. მ.); 3. მანგლისს (ააშენეს კონსტანტინეს გამოგზავნილმა ხუროებმა — ბ. მ.); 4. ბოლნისს (ქ; ც-ბის თანახმად ააშენა ფარსმანმა—ბ. მ.); 5. რუსთავს („მოქც“ და ქ. ც/ბის თანახმად ააშენა თრდატმა — ბ. მ.); 6. წუნდას (კონსტანტინეს გამოგზავნილმა ხუროებმა — ბ. მ.); 7. ნინოწმინდას, „უჯარმის კარსა, რომელი გორგასალსა აღუშენა“; 8. ჭერემს, „მისავე (ვახტანგისა — ბ. მ.) აღუშენებულსა, და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელი იგი მანვე აღაშენა; 9. ხორნაბუჯს (არაფერი ვიცით); 10. ავარაკს (არაფერი ვიცით); 11. „შემდგომად ამისა აღაშენა ეკლესია ნიჭოზისა და დასუა ეპისკოპოსი“⁶.

გარდა ამისა, ჯუანშერი მიუთითებს, რომ ვახტანგმა უჯარმა „აღაშენა ნაშენებითა უზომოთა“. ხოლო ქართლის ცხოვრების ერთ ადგილას ვახტანგი ამბობს „...ეკლესია რაუდენ წმიდისა, რომელი რაბატსა შინა უჯარმოსასა აღმიშენებებს“⁷.

ჯუანშერი ვახტანგ გორგასალის მეზობტეა და ძნელი დასაჯერებელია, ვახტანგის ღვაწლი მიეჩქმალა, ხოლო ჩვენ მიერ მოყვანილი ცნობები მშენებლობის შესახებ მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ ვახტანგ გორგასალმა მის დროს უკვე არსებულ ბოლნისის სიონის ეკლესიაში ეპისკოპოსი დასვა. მაშასადამე, ყველა ქართული ისტორიული წყაროს მიხედვით, ბოლნისის სიონი IV ს-ის დასასრულს ან V ს-ის დასაწყისს განეკუთვნება.

ივ. ჯავახიშვილი, ბოლნისის სიონის მშენებლად ბაკურ და ფარსმან მეფეების თანამედროვე ელია ეპისკოპოსს მიიჩნევდა, და, აქედან გამომდინარე, ბოლნისის სიონის თარიღად IV ს-ის დასასრული ან V ს-ის დასაწყისი ივარაუდება⁸.

1936—37 წლების არქეოლოგიური გათხრების შედეგად ბოლნისის სიონის ჩრდილოეთი მხარის აღმოსავლეთის კარის ძირზე აღმოჩნდა წარწერიანი ქვა, რომელიც თავის დროზე კარის თავზე ყოფილა გადებული. მასზე ამოკვეთილია რელიეფური ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. წარწერის თავზე მედალიონში მოთავსებულია ტომშკლავა ჯვარი. პუბლიკაციების თანახმად, წარწერა ასე იკითხება:

„/შეწევნითა წმიდ/ისა სამებისათა ოც წლისა პეროზ მეფ/ისა ზე ხიქმნა/

⁴ ქ. ც²ბა IV, გვ. 96.

⁵ ქ. ც²ბა IV, გვ. 311.

⁶ ქ. ც²ბა I, გვ. 198—9.

⁷ ქ. ც²ბა, გვ. 201.

⁸ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1959, გვ. 164.

/დაწყებად/ ამის ეკლესიასა და ათხუთმეტ წლისა შემდგომად//განკვეთრა ვინ აქა შინა თავყანისხეცს ღნ შემწყალენ და ვინ ა/მის ეკლ/ესიასა ღთ/ ეპისკოპოსსა ხულოცოს იგიცა ღნ შეიწყალენ“.

წარწერის ამგვარი წაითხვა პირველად გამოქვეყნდა გ. ჩუბინაშვილის მონოგრაფიაში ბოლნისის შესახებ⁹. იგი ეკუთვნის აკად. აკ. შანიძეს.

ამიერიდან, აღმოჩენილი წარწერის საფუძველზე ბოლნისის სიონი დათარიღდა 478—493 წლებით. თარიღის დაზუსტებაში დიდი როლი შეასრულა ტექსტში მოხსენიებულმა პეროზმა, რომელიც იმთავითვე გაიგივებულია V ს-ის სასაუნური ირანის შაპთან (457—484 წწ.).

ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება. „ოც წლისა“-ში ნაგულისხმებია ირანის შაპის მეფობის მეოცე წელი. თუ გავიზიარებთ წარწერისეული პეროზის გაიგივებას ირანის შაპის სახელთან, გამოდის, რომ ბოლნისის სიონის დამთავრებისას, პეროზი ათი წლის გარდაცვლილი იქნებოდა.

რამდენად გამართლებულია, ქრისტიანული ტაძრის საპარადო წარწერაში ამოეკვეთათ ირანის შაპის სახელი? თუ ეს მხოლოდ თარიღისათვის იყო საჭირო, განა არ შეიძლება ბიზანტიის იმპერატორების სახელების ამოკვეთა? ტაძარს ხომ ქრისტიანებისათვის აშენებდნენ, ხოლო დიდი ხნის წინ გარდაცვლილი ირანის შაპი ვერ დასჯიდა ტაძრის მშენებლებს მისი სახელის უგულვებლყოფისათვის. პეროზის შემკვიდრესაც კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ პეროზის დამოკიდებულებამ სომეხ ქრისტიანებისადმი გამოიწვია სასომხეთში აჯანყებები. გარდა ამისა, ჩვენთვის უცნობია, 10 წლის გარდაცვლილი, უცხო ქვეყნის და არა ქრისტიანი მეფის სახელის ამოკვეთის შემთხვევები ქრისტიანული ტაძრების საპარადო წარწერებში წმინდა ფორმულის შემდეგ რაც იმის ტოლფასია, რომ წმინდა სამების შეწვევით, ათი წლის გარდაცვლილმა პეროზმა ქართველებს ქრისტიანული ეკლესია აუშენა.

ძალზე მნიშვნელოვანია შემდეგიც. „ოც“-ში „ც“ არ იკითხება. ამას თავის დროზე წარწერის აღმომჩენმა ლ. მუსხელიშვილმა მიაქცია ყურადღება. მისი დაკვირვებით „ოც წლისა პეროზ მეფისაზე“ ვერც პალეოგრაფიულად, ვერც ენობრივად, ვერც აზრობრივად ვერ დასაბუთდება¹⁰.

ქ. კეკელიძემ წარწერის შემოთავაზებული ინტერპრეტაცია ქართული ენისათვის „არაჩვეულებრივ კონსტრუქციად“ მიიჩნია¹¹.

არასწორი გამოდგა აგრეთვე აღდგენა „მეფისა ზე“-ც, რადგან „მეფ“-ის შემდეგ შემორჩენილი ასონიშანი არის „ე“ და არა „ი“, როგორც აქამდე იყო მიჩნეული. მაშასადამე, წაითხვა „ოც წლისა პეროზ მეფისა ზე“ მართლაც არ შეესაბამება სინამდვილეს, რაც კიდევ უფრო საეჭვოს ხდის წარწერაში ირანის შაპის მოხსენიებას. მაშინ ვინ უნდა იყოს წარწერაში მოხსენიებული პეროზი?

ჩვენი კვლევის დასაწყისშივე ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ქვემო ქართლის მფლობელი IV ს-ში არის ვინმე ფეროზი, რომელიც ჯერ რანის ერისთავად გვევლინება, შემდგომ კი სამშვილდის ერისთავად. ფეროზი მეფეთა ნათესავია, „თსისი“.

ქართული ისტორიულ წყაროებში იგი როგორც წესი, მოიხსენიება ქართველ მეფეებთან მისი ნათესაური კავშირის აღნიშვნით. სომეხი ისტორიკოსის

⁹ გ. Чубинашвили, Болниси, Тб., 1940, გვ. 69.

¹⁰ ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისის სიონი, ენმკ-ის მოამბე, III, 1938, 326.

¹¹ ქ. კეკელიძე, ეტუდები, VI, გვ. 418—420.

მოგესხ ხორენაცისათვის ცნობილია გარდმანის ერისთავი პეროზი სწორედ განსახილველ პერიოდში.

ქვემო ქართლის მფლობელი ფეროზი იმდენად საინტერესო პიროვნება ჩანს და ამასთან ბოლნისის სიონთან კავშირში, რომ სიტყვა-სიტყვით მოვიტანთ ფეროზის შესახებ არსებულ ცნობებს:

1. „მაშინ მირიან... მოიყვანა სპარსეთით „თვისი მისი“, ნათესავი მეფეთა, სახელით ფეროზ; და მოიტანა თანა სპა დიდი და ამას ფეროზს მისცა ასული თვისი ცოლად და მისცა ქუეყანა ხუნანითგან ბარდავამდე, მტკვრის ორივე კერძი. და დაადგინა იგი ერისთავად მუნ“¹².

II. „ხოლო ფეროზს, სიძესა მირიანისსა, აქუნდა ქუეყანა, რომელი თავსა ვაკსენეთ მიცემულად“¹³.

III. „და ესრეთ სახედ ნათელ-ილეს ყოველმან ერმან და სიმრავლემან ქართლისამან, თვნიერ ხოლო არა ნათელ-ილეს მთეულთა კავკასიანთა... არა ნათელ ილო ფეროზ, სიძემან მირიან მეფისამან, რომელსა ჰქონდა რანი ბარდავამდინ მიცემულად მირიან მეფისაგან, არცა ერმან მისმან ნათელ-ილო, არამედ ვორციელ ოდენ მსახურებდა მირიან მეფესა“¹⁴.

IV. „მაშინ რქუა მეფემან (მირიანმა — ბ. მ.) წმიდასა ნინოს და ეპისკოპოსსა: მნებავეს ესრეთ, რათა იძულებითი მაკვილითა მოვაქცივნეთ მთეულნი და სიძე ჩემი ფეროზ“¹⁵.

V. ქართლის მოქცევის შემდეგ, თიანეთიდან წმინდა ნინო „წარემართა რანს მოქცევად“ და აქ იგულისხმება ფეროზისა და მისი კუთვნილი ქვეყნის მოქცევა, რაც IV პუნქტში მირიანის მცდელობიდან ჩანს¹⁶.

VI. მირიან მეფის სიკვდილის შემდეგ, მისი შვილი ბაქარი პოლიტიკური მიზნების გამო „ეზრახა სპარსთა მეფესა, მამის ძმისწულსა მისსა, დემოყვრა და გაუცვალა ქუეყანა დისძიესა მისსა ფეროზს, რომელსა აქუნდა რანი... და მისცა მის წილ სამშვილდითგან მიღმართ ქუეყანანი ვიდრე თავადმდე აბოცისა“. ანუ ფეროზის წილი ქვეყანა ამიერიდან ქვემო ქართლია, რომელშიაც შედის ბოლნისი. „მაშინდა ნათელ-ილო ფეროზ და ერმან მისმან“¹⁷.

VII. „ესე ვარზა-ბაქარ დაშთა უძეოდ, ...და შეირთო სხუაცა ცოლი, ძისწული ფეროზისი, მირიანის ასულისა, და უშვა ფეროზის ძისწულმან ძე, რომელსა ერქუა ფარსმან“¹⁸.

VIII. IV ს-ის მეორე ნახევარში ქართლში შემოიჭრა სპარსთა ლაშქარი და წაიყვანეს „ტყვედ შვილნი ფეროზისნი, ასულის წული მირიანისი, და ქუეყანისა მათისა საზღვარი ქართლისა მოსცა ვარზა-ბაქარსვე“¹⁹.

IX. „და დაჯდა მეჭედ ძე ვარზა-ბაქარისი, ძისწულისწული ფეროზისი, სახელით ფარსმან. ესე ფარსმან იყო კაცი მორწმუნე, მკვდარი შემართებელი, ეზრახა მეფესა ბერძენთასა ითხოვა მისგან შეწენა; და აღასრულა თხოვნა მისი კეთისრმან. მაშინ განდგა და არღარა მისცა სპარსთა ხარკი; და განაახლნა ეკლე-

¹² ქ. ც^ბა, გვ. 68.

¹³ ქ. ც^ბა, გვ. 71.

¹⁴ ქ. ც^ბა, გვ. 116—7.

¹⁵ ქ. ც^ბა, გვ. 125.

¹⁶ ქ. ც^ბა, გვ. 126.

¹⁷ ქ. ც^ბა, გვ. 130—131.

¹⁸ ქ. ც^ბა, გვ. 132, 135.

¹⁹ ქ. ც^ბა, გვ. 137.




სიანი ყოველსა ქართლსა შინა, და აღაშენა ეკლესია ბოლნისისა, და მცირედ ჟამ მეფობდა და მოკულდა²⁰.

X. მოგვიანოდ, რამდენიმე საუკუნის შემდეგაც ახსოვთ ფეროზი და მისი ნათესაობა²¹.

XI. შემონახულია კიდევ ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც ფეროზს აუშენებია ციხე, პეროჟ-კაფა.

ქართულ ისტორიულ წყაროებში მხოლოდ ერთხელაც რომ ყოფილიყო ფეროზი დასახელებული, როგორც იმ ქვეყნის გამგებელი, რომელშიც ბოლნისიც შედიოდა, საკმარისი იქნებოდა რომ ბოლნისის სიონის წარწერაში მისი სახელი ამოგვეკითხა. წყაროების მოტანილი ცნობები კი, ჩვენი შეხედულებით, უეჭველს ხდის წარწერაში წყაროების სამშვილდის ერისთავი დავინახოთ.

ფეროზი ძლიერი პიროვნებაა, მეფის ტოლი, მეფეთა ნათესავი, მირიანის სიძე, „დიდი სპის“ მფლობელი, ნახევარი (ქვემო) ქართლის პატრონი. იგი თითქმის არ ემორჩილებოდა მირიან მეფეს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქვემო ქართლის ანუ გუგარეთის (ბერძენების — გოგარენე, სომხების-გუგარქი), მფლობელი გახდა, სცნო ქრისტიანობა. ფეროზის წილი ქვეყანა 370-იან წლებში მისი სიძის—ვარაზ-ბაქარის ხელში გადადის. ფარსმან მეფე, რომელიც შვილია ვარაზ-ბაქარისი და შვილიშვილის შვილი ფეროზისი, და რომელიც სწორედ ფეროზთან იზრდებოდა მის ქვეყანაში, მემკვიდრეობით იღებს IV ს-ის დასასრულს თუ V ს-ის დასაწყისში ქართლის ქვეყანას.



ამდენად, IV ს-ის ქვემო ქართლის მფლობელი ფეროზი გვევლინება, როგორც მნიშვნელოვანი ისტორიული ფიგურა, რომელსაც ძალა შესწევს წინააღმდეგობა გაუწიოს მეფეს IV ს-ის 40-იან წლებში ფეროზმა ქრისტიანობა აღიარა და ქვემო ქართლის მფლობელი გახდა. მის საგამგებლო ქვეყანაში ბოლნისიც შედიოდა. მას, როგორც ქრისტიანს და ქვეყნის ბატონს, შეეძლო და მართებდა კიდევ ეკლესიების აშენება. ფეროზი რეალური პირია, მას არა ერთი ისტორიკოსი ასახელებს, მაგარამ, გარდა საურმაგ კაპაბაძისა არავის უცდია ეს სახელი ბოლნისის სიონის წარწერის პეროზთან დაეკავშირებინა. სამწუხაროდ, მკვლევრის ის შრომა, რომელშიც განხილულია თითქმის ყველა საკითხი, რაც ჩვენს მიერ საჯაროდ იქნა გამოტანილი 1982 წლის—მაისის ისტორიის ინსტიტუ-

²⁰ ქ. ც^ა, გვ. 137—138.

²¹ ქ. ც^ა, გვ. 240—241.

²² ქ. ც^ა, გვ. 170.

ტის „საისტორიო საუბრებზე“, მხოლოდ ამ მოხსენების შემდეგ გახდა ცნობილი. ორი ავტორის მიერ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ერთი და იმავე დასკვნის მიღება თავისთავად ნაშანდობლივია.

თავის დროზე ლ. მუსხელიშვილმა იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ წარწერის პირველი სტრიქონის ბოლოს, „ხ“-ის წინ შემორჩენილია „ა“, ხოლო „ხ“-ის შემდეგ კითხულობდა „პ“-ს. ა, ხ, პ-ის კომბინაციიდან გამომდინარე ამ ადგილს აღვადგენთ „ნახპეტ“-ად. ნახპეტი ბოლნისის სიონში კიდევ ორჯერ გვხვდება; ერთხელ უშუალოდ ტაძრის ინტერიერში კედელზე, სადაც იკითხება; „ესე ჟღარი ვნ ნპა“, მეორე წარწერა ამოკვეთილია სტელაზე და იკითხება: „ესე ჟღარი წმიდა ბოლნისისა ნახპეტისა“.

ამ ადგილს საურმაგ კაკაბაძეც ასე აღადგენს. წარწერის საერთო სიგრძე 304 სმ-ს უდრის (და არა დაახლოებით 200-ს, როგორც ეს დღეს ცნობილია), მისი მარცხენა და მარჯვენა ნაპირები ისეა დაზიანებული, რომ ტექსტის გამართულად აღდგენის საშუალებას არ იძლევა. სხვა საბუთების უქონლობის გამო, დღეს წარწერის აღდგენა მხოლოდ აზრობრივად, ისტორიული ცნობების გამოყენებით შეიძლება, ისიც, რასაკვირველია, პირობითად. აღდგენის დაზუსტებაში მოგვეხმარებოდნ ასონიშნების შემორჩენილი ფრაგმენტები (სწორედ მათი დახმარებით შესაძლებელი გახდა ადრინდელი წაკითხვების ყველა ვარიანტის უარყოფა).

როგორც წყაროების განხილვამ გვიჩვენა, IV ს-ის ქვემო ქართლის ისტორიული ვითარება მხარს უჭერს ჩვენს მოსაზრებას, ბოლნისის სიონის წარწერაში ადგილობრივი მმართველის, ფეროზის პიროვნება დავინახეთ, ხოლო ძველის აგების თარიღი განისაზღვროს IV ს-ის შუალედიდან, როდესაც ფეროზი გაქრისტიანდა, IV ს-ის მიწურულამდე, როდესაც მოღვაწეობდა ფარსმან მეფე.

ფარსმან მეფის მონაწილეობა ბოლნისის სიონის მშენებლობაში, შეიძლება ბოლნისის სიონის ჩრდილოეთ კარის წარწერით აიხსნას, რომელშიც ფიგურირებს ვინმე ფარს ევ მნ, რასაც ჩვენ ვკითხულობთ „ფარსმან ერისთავმან“. ეს წარწერა ძლიერ დაზიანებულია. მიჩნეულია, რომ წარწერა ერთსტრიქონიანია, მაგრამ როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, კარგად ცნობილი სტრიქონი ქვის ქვედა კედელზეა შესრულებული, ხოლო მის ზემოთ კიდევ ერთი სტრიქონის ნაშთი შეინიშნება. წარწერიანი ქვის ზომა, პეროზის წარწერიან ქვასთან მსგავსება გეოფიქრებინებს, რომ ფარსმანის წარწერაც საკმაოდ ვრცელი იქნებოდა. სამწუხაროდ, ქვის ზედა ნაწილი მთლიანად ჩამორეცხილია. ჩვენ მაინც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ წარწერაში მოცემულმა ინფორმაციამ ამცნო წყაროების შემდგენლებს ძველის ისტორია. გაკვირვებას იწვევს აგრეთვე ისიც, რომ 1936 წლიდან დღემდე ეს წარწერა მკვლევრების ყურადღების მიღმა დარჩა.


ფარსმანის წარწერაში ვკითხულობთ: „...მე ფარს ეემნ და აზარუხტ შეხუბთ ესე კარი სალოცველად სულთა ჩოვნთათჳს“.

ვინაიდან, წყაროების თანახმად ფარსმან მეფე „მცირე ჟამ მეფობდა და მოკლდა“ მას არ შეეძლო თავის მეფობის მოკლე დროში (ვახუშტის მიხედვით ფარსმანი მეფობდა 405—408 წწ.) გაეყეთებინა ყველაფერი ის, რაც წყაროშია ჩამოთვლილი. უნდა ვიფიქროთ, რომ ფარსმანის ღვაწლის გარკვეული წილი მოდიოდეს იმ პერიოდზე, სანამ ფარსმანი გამეფდებოდა, ანუ იმ დროზე, როდესაც ის სამშვილდის საერისთაოს ერისთავი იყო. ასეთ პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ 370 წლიდან V ს-ის დასაწყისამდე.

ამიანე მარცელინის თანახმად, 368 წელს აღმ. საქართველო ირან-ბიზან-

ტიის ცილობის საგანი გახდა. ირანელებმა ქართლიდან გააძევეს რომაელთა ორიენტაციის საერომაკი (საურმაგი), და მის ნაცვლად გაამეფეს ასპარუკი, რომელიც კარგა ხანია ჩვენს ისტორიოგრაფიაში გაიგივებულია ვარაზ-ბაქართან, ანუ ფარსმან მეფის მამასთან.

ლეონტი მროველი ამავე პერიოდის ამბების გადმოცემისას, გვაუწყებს, რომ სპარსელებმა ფეროზის შვილები ტყვედ წაიყვანეს, ხოლო ფეროზის წილი ქვეყანა ვარაზ-ჰაქარის მისცესო. როგორც ვხედავთ, ამიანე მარცელინისა და ლეონტი მროველის ცნობების შეჯერება სარწმუნოს ხდის IV ს-ის 70-იან წლებში მომხდარი ამბების რეალობას. ასეთ შემთხვევაში ფეროზი შეიძლება გარკვეულ პერიოდებში დამოუკიდებელ ქვეყნის მმართველადც წარმოვიდგინოთ, რომლის სტატუსი პროვინციის მეფის ტოლფასოვანი იქნებოდა. საქართველოში საამისო ტრადიციები უძველესი დროიდან არსებობდა: (ბარტამ და ქართამ, კაოს და ფარსმან, აზორკ და არმაზელ, ამაზასპ და დეროკ). იგივე სურათი შეინიშნება ვახტანგ გორგასალის დროსაც: „და მოუწოდა მეფემან ვახტანგ დედის ძმასას თუსსა და ყოველთა მეფეთა“²². მოგვიანოდ, IX—XI სს-შიც ვხედავთ კახთა და აფხაზეთის მეფეებს, ხოლო კარის გარიგებაში ჩამოთვლილია „ორნი ოსთა მეფენი და კახთა მეფე, და ალვანთა მეფე, წანართა მეფე, სამნი ტაოელთა მეფენი და სომეხთა მეფე და ტრაპიზონელნი და შარვან-შაპენნი“²³. (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1967 წ., გვ. 453).



1. ბოლნისის სიონის გეგმა

ქრისტიანულ სამყაროში ბაზილიკური თემა ტაძრებისა IV ს-ზე ადრე ჩამოყალიბდა, ხოლო IV-ს.-ის დასასრულს ბაზილიკურ ნაგებობებში საკურთხევის გვერდით სადიაკვნესა და სამკვეთლოს მოწყობა ჩვეულებრივი ამბავია. ამასთან უპირატესობა ეძლეოდა სწორკუთხედში ჩასმულ აფსიდს. ამდენად,

²³ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1967, გვ. 453.

უპასტოფორიო ბოლნისის სიონი უკვე IV ს-ის მიწურულისათვის არქაულ შთაბეჭდილებას ტოვებს.

როდესაც ბოლნისის ტაძარს განვიხილავთ მხედველობიდან არ უნდა გამოგვჩნდეს, რომ იგი აგებულია მეფის, ან მეფის ტოლი კაცის მიერ, როგორც კათედრალური ეკლესია და მისი სამონასტრო ეკლესიების გვერდით დაყენება სასურველ შედეგს არ გამოიღებს.

ბოლნისის სიონის არქიტექტურაში გვხვდება ისეთი ელემენტები, რომლებიც V ს-ში იშვიათობას წარმოადგენს, ან საერთოდ არაა. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ბოლნისის სიონი ააშენეს მაშინ, როდესაც ჭერ კიდევ გარკვეულად არ იყო ჩამოყალიბებული საეკლესიო არქიტექტურა არა მარტო საქართველოში, არამედ ახლო აღმოსავლეთშიც. ამ მხრივ ბოლნისის სიონი ძალზე საინტერესო ძეგლია საეკლესიო არქიტექტურის განვითარების თვალსაზრისით.

ჩვენი აზრით, ბოლნისის სიონი აგებულია IV ს-ში. ამას მიუთითებენ ისტორიული წყაროები, ეპიგრაფიკული ძეგლები, ტაძრის ხასიათი, ტრადიცია. ტაძარს არ გააჩნია არც ერთი ისეთი დეტალი, არქიტექტურული თუ მხატვრული, რომლის დათარიღება IV ს-ით არ შეიძლებოდეს. ამის საილუსტრაციოდ ქვემოთ განვიხილავთ გ. ჩუბინაშვილის სპეციალურ შრომას მიძღვნილ ბოლნისის სიონისადმი, რომელშიც ავტორი ცდილობს ძეგლი V ს-ის მიწურულით დაათარილოს.

არქიტექტურულ-მხატვრულ ანალიზს გ. ჩუბინაშვილის წიგნში დათმობილი აქვს IV თავის, 122—192 გვერდები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამა თუ იმ ელემენტის შესახებ მსჯელობისას ავტორი კმაყოფილება აღწერით. ე. ი. არ იძლევა ანალიზს და დათარიღებაზე არაფერს ამბობს.

IV თავის დასაწყისშივე ყურადღებას იქცევს ბოლნისის სიონის მკვლევრისეული შეფასება. «... В Болнисском Сионе... все-таки проявляются скромные зачатки также постановки проблемы наружной обработки здания».

ეს წინადადება ისეთ შთაბეჭდილებას გვიქმნის, თითქმის V ს-ის დასასრულისათვის ქართველებს წარმოადგენა არა აქვთ ქრისტიანულ საეკლესიო არქიტექტურაზე და დამოუკიდებლად იწყებენ საეკლესიო ფორმების, ბაზილიკური თემის დამუშავებას და ძიებას, რომელსაც საბოლოოდ ისინი უნდა მიეყვანა სხვა ქვეყნების მიერ 2 საუკუნის წინათ მიღწეულ შედეგამდე.

გვ. 124—126: ბოლნისის სიონის პასტოფორიის გარეშე შემოთავაზებული I II—IV ს-ის პარალელები მხარს უმაგრებენ წყაროების მონაცემებს ბოლნისის სიონის აშენების შესახებ IV ს-ის II ნახევარში, ხოლო ქვემო ქართლის მფლობელის სახელის მოხსენიება წარწერაში უფრო აკონკრეტებს თარიღს.

ამ ტიპის ეკლესიების განხილვისას ავტორი ასკვნის: «совершенно несомненно, что в этих зданиях мы должны учитывать явления невыясненности, невыработанности своего типа и в связи с этим, конечно, притягательную силу чужих образцов».

გვ. 128: ნართექსის უქონლობა ეკლესიის დასავლეთ ნაწილში. გ. ჩუბინაშვილის შიხედვით, ნართექსების უქონლობა ძალზე დამახასიათებელია ელინისტური ტიპის ბაზილიკებისათვის და უძველეს ქართულსა და სომხურ ბაზილიკებში ნართექსები არ გვხვდება. ამდენად, ამ მომენტის გათვალისწინებითაც ბოლნისის სიონი უძველეს ეკლესიად შეიძლება მივიჩნიოთ, ხოლო საქართველოსათვის „უძველესი“ IV საუკუნე იქნება.

გვ. 128—130: ბაპტისტერიუმი (სანათლავი). ბოლნისის სიონის სამხრეთ დასავლეთ კუთხეში მოწყობილია წაგრძელებული სათავის საპირისპირო მხარეს გამართული ორი აფსიდით. მსგავსი ელემენტი საქართველოს ბაზილიკურ ნაგებობებში არ გვხვდება. არც სომხურ ეკლესიებში ჩანს. ავტორი ამ იშვიათობას ვერ ხსნის, ვარაუდის სახით, დამოწმებულ პარალელებს ბაპტისტერიუმებად მიიჩნევს, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ამ სათავების დანიშნულება ჯერ გაურკვეველია.

სომხეთის ერერუიქისა და თალინის ეკლესიების ანალოგებში ავტორი მთლად დარწმუნებული არ არის და იშველებს გამოთქმებს «сколько можно утверждать», «возможно».

აღსანიშნავია, რომ პუბლიკაციებში სომხეთის არქიტექტურაზე, ერერუიქისა და თალინის ეკლესიების გეგმარებაში მსგავსი რამ არ შეინიშნება. ამდენად, უკვე ეს გარემოებაც ერთგვარად უნდობლობას ბადებს სხვა დამოწმებული პარალელების მიმართ, რომლებიც ბიბლიოგრაფიული იშვიათობის გამო, შესაძლოა, ყველასათვის ხელმისაწვდომი არ იყოს და შეცდომაში შეიყვანოს ბევრი მკვლევარი.

ზემოთქმულის შემდეგ, არ ჩანს ის აუცილებელი პირობა, რომლითაც ბაპტისტერიუმის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მოწყობა ბოლნისის სიონს მაინც-დამაინც V ს-ის მიწურულით დაათარიღებდა.

გვ. 130—131 **ჩრდილოეთის გალერეა**. ავტორი ტაძრის ამ ნაწილს ნართექსად მიიჩნევს: «В Болнисском же Сионе такого нартекса с запада не было и это является, несомненно, особенностью его, характерной также и для местного типа базилик в Малой Азии и в Сирии IV и V веков».

რაც შეეხება გალერეების გამოყენებას ტაძრებში, სამისო წინაპირობა გაცილებით ადრე არსებობდა, ვიდრე IV საუკუნეა. აქემენიდური ხანიდან მოყოლებული (პერსეპოლი), რასაც გ. ჩუბინაშვილიც აღნიშნავს, ძალისაში II—III, ეზოს გასწვრივ.

ამდენად, ამ ელემენტით ბოლნისის სიონის დათარიღება IV ს-ით სავსებით კანონზომიერია.

გვ. 132—134: **შიდა სივრცის გაფორმება**. (სვეტები). გ. ჩუბინაშვილი ბოლნისის სიონის სვეტების პარალელებს არ ასახელებს და ფაქტობრივად არ იძლევა მათ ანალიზს.

გვ. 134—136: **ნალისებური თაღები**. თუ დავუჯერებთ ავტორის მსჯელობას, ნალისებური თაღი ქართული არქიტექტურის პროდუქტია. საკითხის გაურკვეველობის გამო ძნელია დაბეჯითებით რაიმეს მტკიცება, თუმცა თვით ავტორისეული მსჯელობიდან გამომდინარე ეს ელემენტიც არ გამორიცხავს IV ს-ეს (გვ. 136).

გვ. 136—138: **გადახურვის თაღები**. რამდენადაც ცნობილია, ბოლნისის სიონის ზედა ნაწილი აღდგენილია XVII ს-ში მარიამ დედოფლის მიერ და ამიტომ გადახურვაზე ავტორისეული მსჯელობა არადამაჯერებელია, რაზედაც ქვემოთ კიდევ ვილაპარაკებთ.

გვ. 139: **განათება**. რადგან გ. ჩუბინაშვილის მიხედვით ბოლნისის სიონის სამივე ნაეს თავდაპირველადაც ორფერდა გადახურვა ჰქონდა და ამიტომ გამორიცხავს გვერდით კედლებიდან ცენტრალური ნაეის განათებას, ეკლესიის განა-

თების საშუალებებს მეტად უცნაური ახსნა მოუწია. ავტორის შეხედულებით, თითოეულ ნავს თითო სარკმელი უნდა ჰქონოდა აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ დღეს შემორჩენილი სარკმლებიდან არც ერთი თავდაპირველი არ არის.

იმ შემთხვევაში, თუ ნაგებ მართლაც ამგვარი განათება ჰქონდა და რაღაც მიზეზების გამო მათი ლიობები გააუქმეს, მაშინ კვალი მათი არსებობისა მაინც უნდა გადარჩენილიყო, რომლებიც ლიობით კონტურებზე მიანიშნებდა. ვინაიდან მსგავსი ნიშნები არც ერთ მკვლევარს არ აქვს შემჩნეული, მათ შორის გ. ჩუბინაშვილსაც, უნდა დავუშვათ, რომ ეკლესიამ განიცადა უფრო სერიოზული რეკონსტრუქცია, რომელმაც მნიშვნელოვნად უცვალა სახე ტაძრის ზედა ნაწილს. ამ შემთხვევაში ავტორისეული მსჯელობა განათების შესახებ სრულიად უსაფუძვლოა.

გრძივი ნაგებობისათვის კანონზომიერია განათების მოწყობა გრძივ კედლებში. ბუნებრივი განათების სხვაგვარი გადაწყვეტა საინჟინრო თვალსაზრისით მიუღებელია. ვინაიდან ბოლნისის სიონის არქიტექტორისათვის, როგორც გ. ჩუბინაშვილიც აღნიშნავს, უცხო არ იყო იმდროინდელი მშენებლობისა თუ მხატვრული ხერხების მიღწევები, უსამართლობა იქნება ჩვენი მხრიდან დავაბრალოთ მას ელემენტარული საინჟინრო უცოდინარობა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის სარკმლებიდან ტაძრის განათება დროის მხოლოდ შეზღუდულ პერიოდში (მზის ამოსვლისას, ისიც კარგ ამინდში) შეიძლება და ამიტომ უფრო ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ XVII საუკუნეში ტაძრის ზედა ნაწილის რეკონსტრუქცია არ ისახავდა მხატვრულ ესთეტიკურ ამოცანებს და შემოიფარგლა მხოლოდ ქტიტორის ეკონომიკური შესაძლებლობით და ეკლესიის გადარჩენის აუცილებლობით.

გვ. 140—141: **კარის ლიობებიდან განათება.** ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მიზეზების გამო, ბოლნისის სიონის კარის ლიობებიდან განათება უმართებულო გვეგონია. თვით ავტორიც, ეკლესიების კარიდან განათების პარალელებს არ ასახელებს.

საგულისხმოა ავტორის მოსაზრება: «Таким образом, увеличено количество света, поступающего из находившейся перед этими дверьми галереи, прорезанной пятью большими наружными арочными проемами. Но мы уже выяснили, что северный неф базилики был местом стояния знати, а, следовательно, эта большая освещенность стоявших внутри подчеркивалась»

არადამაჯერებელი გვეჩვენება ჩრდილოეთ გალერეიდან ცენტრალური და ჩრდილოეთის ნაგების განსაკუთრებული განათება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მზე სამხრეთიდან აწვდის შუქს ეკლესიას, რომელსაც ამ მხრიდან მხოლოდ ერთი საკმაოდ ვიწრო ლიობი აქვს და კარიდან შესული მზის სხივი, ისიც სამხრეთის მხრიდან, სამხრეთის ნავის მხოლოდ იატაკს გაანათებს სუსტად, რადგან ამ ნავს სამხრეთიდან მცირე ფარდული აქვს.

გვ. გვ. 1416: **კარის ლიობის ფორმები.** ავტორი ბოლნისის სიონის კარის ლიობის ზემოთ მოწყობილ ლუნეტების პარალელებს II-VII სს-ის ძეგლებში ხედავს «Такая форма дверей вообще является, конечно редкой. Примеры ее мы имеем, однако, во II веке нашей эры в дохристианских памятниках

Сирии, при Диоклетиане они применены в его дворце в Сплитте (Спалато) в Дамации и на Константинопольских золотых Воротах».

როგორც ვხედავთ ამ ელემენტს არ შეუძლია ბოლნისის სიონის თარიღის უცვილობლად V ს-ის დასასრულისაკენ ვადმოწევა იმის მიუხედავად, რომ სხვა ქვეყნებში VI—VII ს-შიც ჩანს გამოყენებული.

გვ. 143: **დასავლეთის ყრუ კედელი.** საქართველოში ბოლნისის სიონის რანგის სხვა ეკლესიებში დასავლეთიდან ყრუ კედელი არც ერთ ეკლესიას არ გააჩნია. ავტორის მიერ ჩამოთვლილი უცხოური პარალელებიდან შემდეგი თარიღებია მიღებული: ბაბისკის აღმ. ეკლესია — 401 წ., ქსეჯბებს ეკლესია 414—415 წ., წმ. პავლესა და მოსეს დარკიტას ეკლესია — 418 წ. ამათ გარდა IV ს-ის ბაზილიკები: ბაუდაში — 392 წ., დალოზაში, ბანკუზაში, კასრ იბლისუ.

დასახელებულია აგრეთვე V ს-ის დასასრულის VI ს-ის ბაზილიკები.

სასომხეთის ძეგლებიდან ავტორი ამტარაჲს ეკლესიას უთითებს, მაგრამ ამ ეკლესიას დასავლეთიდან აქვს შესასვლელი. შესამოწმებელია აგრეთვე ზემოთ დასახელებული პარალელებიც.

გვ. 144—145: **ჩრდ. გალერეის აღმ ნაწილში კონქის სარტყელი.** გ. ჩუბინაშვილის მიერ მოტანილი IV—VI სს-ის მცირე აზიისა და სირიის პარალელები თავისთავად ხელს არ უშლის ამ ელემენტის IV საუკუნითაც დათარიღებას, თუმცა უნდა დავძინოთ, რომ კონქებ ქვეშ სარტყელი II საუკუნეშიც გვხვდება, მაგალითად რომის პანთეონში (125 წ.), დიოკლეტიანეს სასახლეში.

გვ. 145: **ჩრდ. გალერეის ნახევარსვეტები.** ავტორი პარალელს ვერ ასახელებს, თარიღს არ იძლევა.

გვ. 146: **ჩრდ. გალერეის ნახევარსვეტების კაპიტელები.** ავტორისეული დახასიათება: «Нечто близкое известно и из южной церкви в Муаллаке (VI-VII в) в Сирии. Интересно отметить, что эта являющаяся, очевидно, продуктом искания, форма со срезанными описанным образом и украшенными листиками углами встречается в VIII веке в Италии».

ავტორის მსჯელობიდან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბოლნისის სიონის არქიტექტორის მიერ დაწყებული ძიება კაპიტელების ფორმებისა ვერ სირიელ ოსტატს აუტაცია VI ს-ში, ხოლო იტალიელებს VIII ს-ში, ჩვენთვის კი მთავარია, რომ ბოლნისის სიონის მშენებელი ვერ გამოიყენებდა მულაქისა და იტალიის VI—VIII სს-ის არქიტექტურულ მიღწევებს.

როგორც ვხედავთ, არც ამ ელემენტით შეიძლება ბოლნისის სიონის მაინცდამაინც V ს-ის დასასრულით დათარიღება.

გვ. 147: **ბაპტიტერიუმის კაპიტელები.** ავტორის მიერ მოშველიებული ზოგადი მსგავსება სასაწური და სომხური ძეგლების კაპიტელებთან თარიღის დაკონკრეტების საშუალებას არ იძლევა.

გვ. 148—154. **ნაგებობის გარე ფორმები.** გამოვრებულია 123—137—138 გვ. მოცემული მსჯელობები. ისევე როგორც ზემოთ მსჯელობის აქცენტი ვადატანილია ტაძრის ორფერდა გადახურვაზე.

1961 წელს არქიტექტორმა მ. ჩხიკვაძემ ხელოვნების მუზეუმში გააკეთა მოხსენება ბოლნისის სიონის პროპორციების შესახებ. ამავე მკვლევარმა იგივე მოხსენება გამოიტანა 1976 წელს სამხატვრო აკადემიის სამეცნიერო წრის სხდომაზე. მ. ჩხიკვაძის ანალიზის მიხედვით ბოლნისის სიონის ცენტრალური ნაგი ვაცილებით მაღალი უნდა ყოფილიყო.

ასეთივე შედეგი გამოიღო არქიტექტორ რ. გვერდწითელის კვლევამ, რომელიც წლების განმავლობაში ბოლნისის სიონის რესტავრაციაზე მუშაობს (იხ. რ. გვერდწითელი, о первоначальной форме свода перекрытия среднего нефа и кровли Болнисского Сиона. II Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1977.)

იგივე საკითხი რ. გვერდწითელმა გამოიტანა საქართველოს ხელოვნებისადმი მიძღვნილ IV საერთაშორისო სიმპოზიუმზე 1983 წელს.

გ. ჩუბინაშვილი ისევე, როგორც ბოლნისის სიონს ორფერდა გადახურვას უქვემდებარებს: ურბნისის ეკლესიას, კაწარეთის სამებას, ანჩისხატის ეკლესიას (გვ. 148—149). ცოტა ზევით კი ერერუიქის ეკლესიასაც ორფერდა სახურავით წარმოიდგენდა. როგორც დღეს ცნობილია, არც ერთი მათგანი არ შეეესაბამება ასეთ შეფასებას და თუ სპეციალისტებმა დანარჩენი ეკლესიების პოზიციები უმტკივნეულოდ დათმეს წამოყენებული მოსაზრების სრული უსაფუძვლობის გამო, ბოლნისის სიონის შესახებ კვლავაც გაბატონებულია გ. ჩუბინაშვილის მცდარი შეხედულება.

ამასთან ისიც იწვევს გაკვირვებას, რომ პეროზის წარწერის აღმოჩენამდე გ. ჩუბინაშვილი ბოლნისის სიონს ანჩისხატთან, ურბნისთან და კაწარეთის სამებასთან ერთად განიხილავდა და ამასთან არ გამორიცხავდა იმას, რომ ამ ვგუფიდან შეიძლება ბოლნისის სიონი ყველაზე გვიანდელიც იყოს (ქართული ხელოვნების ისტორია). ამ ეტაპზე გ. ჩუბინაშვილი ტაძარს 502—522 წწ-თ ათარიღებდა, რადგან მაიანდა, რომ ეკლესიის მშენებელი დავით ეპისკოპოსი იყო, თუმცა საამისო არაფითარი საბუთიანობა არ არსებობდა. დავით ეპისკოპოსის წარწერის „მშრომელთა“ არქიტექტორად და მის თანაშემწეებად თარგმნა.

პეროზის წარწერის აღმოჩენის შემდეგ, ბოლნისის სიონმა V ს-ის დასასრულს გადმოიწია, ხოლო დანარჩენი ძეგლები კვლავაც VI ს-ში დარჩნენ, თუმცა გ. ჩუბინაშვილის ანალიზიდან გამომდინარე ისინიც ავტომატურად სულ ცოტა V ს-ის მიწურულით უნდა დათარიღებულიყო.

ამის შემდეგ მოცემულია გარე მასების აღწერა, მაგრამ თარიღისათვის, თუ არ ჩავთვლით ჩრდილოეთ ვალერეის თაღებს, რომელიც ავტორის მიხედვით IV—VI ს-ის სირიის არქიტექტურაში გვხვდება, არაფერია არსებითი.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ ღია ვალერეების არქიტექტურული მოტივი, როგორც თვით ავტორისათვისაც ცნობილია, გაცილებით ძველია: «...подобный мотив открытого портика на устоях со времен древних культур Переднего Востока является в разных видах постоянно присущим жилому дому от бит-хилани хеттских дворцов начиная и ахеменидскими в Пепрсеполе замыкая»

ამასთან, განაგრძობს ავტორი, რომ უძველესი დროიდან გავრცელებული, ეს მოტივი უახლოეს დრომდე განაგრძობს არსებობას ირანის ტერიტორიაზე და კავკასიის ხალხებში. მაშასადამე თარიღებზე მსჯელობა რაიმე კონკრეტული ნიშნების გამოვლენის გარეშე სასურველ შედეგს არ გამოიღებს.

გვ. 153: აჯამებს რა არქიტექტურული ფორმების მხატვრულ-სტილისტიკურ ანალოზს ავტორი ასკვნის: «Нравне с элементами, совершенно оформленными в художественном смысле и прогрессивными в разрезе эволюции грузинской архитектуры, как точная кладка проходящими рядами из хорошо тесанных крупных камней, как четкая форма столбов, по-

დკოვობრანხ აროკ, კამენახ სვოდავ, მუ აოთკაემ ვ ზდანნი ელემენაჲს ისკანნიჲს, იდუიხე აოუპუჲ, ნე დაიხე რეიხენი ადოვლეთორიელოგო, კაკ აოვეიხენოთხ ბაზილიკი, კაკ სოედიენი ბაპთისტერია ს ბაზილიკი, კაკ პრობლემა ვხოდოვ, კაკ ფორმი კაპიტელიჲს ი ბეზ, ნაკონეც, კაკ ვსე ვოპროსი მასს ზდანნი ი ხუდოჲესენიჲსი ფასადოვ, ვიხე პრობრიო აოხარაქტერიზოვანნიჲს. ნო მალე აოთგო. ვ ბოლნისკომ სიონე იმეეთსე აიხე რად ჟერტ, კოთორე პრიხოდის რასმარირივარ, კაკ პერიჲვიანიჲსი პრედუდუიჲსი ეპოხი, კაკ აოსარევიხე, აოთგუივაროიხე ნაკად, ჲადერჲვიაროიხე რავიჲთე გრუზინსკი არქიტექტურე მონენაჲსი. თაკოვინი პრეჲდე ვსეგო ივლეთსე ისკანნიჲსი პოვიხენიჲსი სრედნეგო ნეფა ს აოკნანი, ... პერიენე ს ბრუზინსკუჲსი პლანი ი ფორმ რავიჲთიჲსი თრეხნეფნიჲსი ბაზილიკი, ჲაიშტოვანნიჲსი იზ ჟუჲიჲსი კრავენ...»

ამ შემაჯამებელ ფრაზაში ძიების და ჩამორჩენილობის გამოვლენად მიჩნეულია სწორედ ის ელემენტები, რომლებიც არასწორად არის გააზრებული და უკავშირდება არა ბოლნისის სიონის თავდაპირველ ფორმებს, არამედ XVII ს-ში ჩატარებულ შეკეთებას.

ბოლნისის სიონის ორნამენტაციის მხატვრული ანალიზი

გვ. 155—158: ცენტრალური საკურთხევლი მარჯვენა პილასტრის კაპიტელზე გამოსახული ლომები. ვადმოგეცემთ ავტორისეულ დახასიათებას: «Несомненно, это изображение крылатых львов, т. е. каких-то мифических созданий». ამის შემდეგ მოცემულია მსჯელობა ფრთოსან ლომებზე ზოგადად და ბოლნისის სიონის ლომების „ფრთების“ სტილიზაციის შესახებ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლნისის სიონის ლომებს არავითარი ფრთები არ გააჩნიათ, ხოლო სტილიზირებული ხეულები კისრის ქვემოთ გამოსახაფაფარს.

ამდენად, გ. ჩუბინაშვილის ანალიზი არაზუსტია. ეს მცდარი მოსაზრება ამ ბოლო ხანებში გამოსწორებულია (ნ. ალადაშვილი).



2. ლომის გამოსახულება კაპიტელზე

ამგვარი მეთოდოლოგიური უზუსტობა სტილისტიკური ანალიზისას უნდობლობას იწვევს ავტორის მიერ დამოწმებულ ანალოგების მიმართ.

გვ. 176: რამდენიმე კაპიტელის ორნამენტს, რომელსაც გ. ჩუბინაშვილი „კოვჩისებურს“ (ложчатый) უწოდებს, ასეთი დახასიათება აქვს: «Ложчатый



ორნამენტ восходит к мотивам, украшающим входы ахеменидских дворцов в Персеполе и повторенных в Сасанидском дворце в Сарвистане, в перистиле Диоклетианова дворца в Спалатто начала IV в., но наибольшее распространение получает по-видимому...» და ჩამოთვლის ქვეყნებს, მაგრამ არ უთითებს ძეგლებს და თარიღებზე არაფერს ამბობს.

გვ. 177—181: გეომეტრიული ორნამენტი, ერთმანეთში გადაჭოდობილი რგოლებით ავტორის მიაჩნია, რომ გავრცელებულია სხვადასხვა ეპოქაში და სირიის, ეგვიპტე-რომის უძველეს ქრისტიანულ ტაძრებში გვხვდება. ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით იმ ეპოქაში, როდესაც სიონი ააშენეს, (ანუ — V ს.) ეს დეკორატიული მოტივი „ტრიუმფალურ აღმავლობას“ განიცდის. ამ ზოგადი დახასიათების გარდა არ უთითებს კონკრეტულ მაგალითებს.

აღნიშნული მოტივი ცნობილი იყო ჯერ კიდევ პართიის ხელოვნებაში, II—III სს-ის ძალისას მოზაიკურ იატაკებშიც გვხვდება. ხოლო იმ ძეგლებში, რომლებსაც გ. ჩუბინაშვილი ბოლნისის სიონთან ერთად განიხილავდა (ანჩისხატი, ურბნისი, კაწარეთის სამება) მსგავსი ორნამენტი არ გვხვდება, რაც მათ საგრძნობილად აშორებთ ბოლნისის სიონისაგან.

გვ. 182—184: განხილულია ე. წ. „ბოლნური ჯვრები“. გ. ჩუბინაშვილი შესაძლებლად მიიჩნევს ისინი IV ს-ის დასაწყისიდან VIII ს-მდე დათარიღებს.

როგორც დავრწმუნდით, გ. ჩუბინაშვილის მიერ ჩატარებული მხატვრულ-სტილისტიკური ანალიზი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ სიონი V ს-ის დასასრულით დათარიღდეს. პირიქით, ხშირ შემთხვევებში ეს ცდა სადავო ჩანს, და გარკვევით შეინიშნება მცდელობა მოძიებული პარალელური მასალები დაუქვემდებაროს წინასწარ დასახულ ამოცანას, ბოლნისის სიონი წარმოაჩინოს V ს-ის მიწურულის ძეგლად.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ გვაქვს უფლება დავასკვნათ, რომ წყაროების მონაცემები და ძეგლის მხატვრულ-არქიტექტურული სახე საცხებით შეესაბამება ერთმანეთს ხოლო, თუ გავითვალისწინებთ თითქმის 15 საუკუნის ტრადიციას, რომლის მიხედვითაც ბოლნისის სიონი IV ს-ის ეკლესიად ითვლებოდა, ვერ ვხედავთ სათანადო საბუთიანობას ვერც ისტორიულს, ვერც პალეოგრაფიულს, ვერც არქიტექტურულს, ვერც მხატვრულს, რომ IV ს-ში აშენებული ტაძარი V ს-ის მიწურულით დაეათარიღოთ.

დასასრულ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ძეგლის შესწავლაში დაშვებულია კიდევ სხვა უზუსტობანი. მაგალითად, დავით ეპისკოპოსის სახელის ჩასმა პეროზის წარწერაში, დავით ეპისკოპოსის წარწერის (აღმ. ფსა-დაზე) სამშენებლო წარწერად მიჩნევა და სხვა, რაზედაც უფრო ვრცლად სხვაგან გვექნება საუბარი.

ამრიგად, გ. ჩუბინაშვილის მიერ დათარიღებისათვის გამოყენებულ არგუმენტებს თუ შევაფასებთ, დავრწმუნდებით, რომ არც ერთი მათგანი არ გამოირიცხავს ბოლნისის სიონის IV ს-ით დათარიღებას, ხოლო მთელი რიგი არსებითი ხასიათის ელემენტებისა ძეგლის IV ს-ის დათარიღების სასარგებლოდ უფრო მეტყველებს და მათი უმრავლესობა თავისი წარმომავლით აღიარებულ ეპოქებს უკავშირდება. ეს ელემენტებია: შეერილი აფსიდა წახნავიანი ფასადით, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ბაპტისტერიუმის არასიმეტრიულად მოთავსება, საკურთხეველი პასტოფორიის გარეშე, ჩრდილოეთ გალერეაში კონქის ქვეშ რელიეფური ჩუქურთმიანი სარტყელი, ამავე გალერეაში კბი-

ლებიანი ლავვარდანი გალერეის გადახურვის გასწვრივ, ორნამენტის ხასიათი და სხვა.

აძლენად, არა გვაქვს არავითარი საფუძველი უნდობლობა გამოვუცხადოთ წყაროებს, რადგანაც მათი პირდაპირი მონაცემები დასტურდება ისტორიულადაც, მატერიალურადაც და, რაც მთავარია, ლოგიკურადაც.

ბოლნისის სიონის ისტორია ასე ისახება: სამშვილდის ერისთავი ფეროზი იწყებს (ან მის დროს იწყებენ) ბოლნისის სიონის მშენებლობას და მის საქმეს განასრულებს მისი ძისწულისწული და აღზრდილი ფარსმანი, რომელიც უკვე ღრმა მოხუცებული IV ს-ის დასასრულს თუ V ს-ის დასაწყისში გამეფდა და მალევე გარდაიცვალა. მისი გამეფების შესახებ საგანგებოდ არის აღნიშნული: „დაჯდა მეფედ ძე ვარაზ-ბაქარისი, ძისწულისწული ფეროზისი სახელით ფარსმან“.

ძემატიანეს ალბათ შემთხვევით არ მოუხსენებია ფარსმანის დიდი წინაპარი. მემატიანე ამ შემთხვევაში უთუოდ მიგვანიშნებს ფეროზისა და ფარსმანის ურთიერთლამოკიდებულებას და სულიერ კავშირს, ფეროზის მნიშვნელობას.

ოატომდაც ეს გარეშობა გამორჩათ ძეგლის ისტორიაზე მომუშავე მკვლევრებს.

ბ. ნ. მჩედლიშვილი

К ВОПРОСУ ДАТИРОВКИ БОЛНИССКОГО СИОНА

Резюме

По «Мокшевай Картлисай» строителем Болнисского Сиона является царь Бакур, царствовавший в конце IV или в начале V в.

«Картлис Цховреба» строителем считает Фарсмана, царя того же периода, а Бакур в списке царей вообще не упоминается.

Для Вахуштия строителем является Фарсан. Приписки на полях рукописей «Картлис Цховреба» опять-таки указывают на Фарсмана.

Г. Н. Чубинашвили с недоверием отнесся к сообщениям источников, и строителем Болнисского Сиона считал епископа Давида, поминательная надпись которого сохранилась в восточной стене храма. Кроме того, здания, подобные Болнисскому Сиону, отнес к эпохе Вахтанга Горгасала, считая, что ранее этого периода в Грузии не было необходимости в стройках с масштабами Болнисского Сиона.

Предположения ученого окрепли, когда во время раскопок 1936—38 гг. была обнаружена надпись с именем Пероза. Отгныне памятник датируется 478—493 гг., так как Пероз отождествлен с сасанидским шахом.

Однако, учитывая, что строительная надпись плохой сохранности и вызывает разночтения, надпись с именем Пероз, можно отождествить с владельцем IV в. Южной Грузии, куда входил также и Болнисский Сион.

Источники неоднократно упоминают Самшвилдского эристава (т. е. владетеля ю. Грузии) Пероза, как родственника иранских царей, зятя царя Мириана, крупного военачальника, воспитателя своего внука и будущего царя Фарсмана, которого источники и называют строителем Болнисского Сиона.

Архитектурно-художественный анализ, данный в труде Г. Н. Чубинашвили, еще более подкрепляет наше мнение, что памятник скорее всего продукт второй середины IV или конца IV века.

ბოლნისის სიონის საპითხისათვის

(ბ. მჭედლიშვილისა და ს. კაკაბაძის წერილების გამო)

როგორც ცნობილია, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ბოლნისის სიონს, რომელიც ითვლება საქართველოში ნამდვილი ბაზილიკური ტიპის პირველ ნიმუშად, ქართული არქიტექტურის განვითარებაში ერთ-ერთი ეტაპის მომასწავებლად. ამასთან ბოლნისის სიონი განსაკუთრებით სახელმძღვანელო იმიტომაცაა, რომ სწორედ აქ შემოინახა საქართველოში შემორჩენილი უძველესი ქართული წარწერები. ძეგლის ხუროთმოძღვრულმა, ხელოვნებათმცოდნეობითმა ანალიზმა თავის დროს აკად. გ. ჩუბინაშვილი მიიყვანა დასკვნამდე, რომ ეს ტაძარი აშენებული უნდა იყოს V საუკუნის დასასრულს¹. იგივე დაასკვნა, ბოლნისის სამშენებლო წარწერების წაკითხვის შედეგად, მიიღო აკად. ა. შანიძემ². მას შემდეგ ყველა სპეციალისტისათვის ბოლნისის სიონის ეს დათარიღება სავეებით დამაჯერებლად იქნა მიჩნეული და ამ ძეგლმა მტკიცე ადგილი დაიკავა ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების განვითარების ისტორიაში.

მაგრამ უკანასკნელი ორიოდე წლის მანძილზე გაჩნდა ტენდენცია ბოლნისის სიონთან დაკავშირებული კონცეფციის რევიზიისა და, პირველ რიგში, მისი აგების თარიღის გადასინჯვისა, კერძოდ ამ ტაძრის IV ს-ის დასასრულით ან V ს-ის დასაწყისით დათარიღებისა.

ჩვენი განხილვის საგანი ამჯერად არის სრულიად კონკრეტული სტატიები განსვენებული ისტორიკოსის საურმაგ კაკაბაძისა („ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა“, რუსულ ენაზე) და არქიტექტორ ბ.მჭედლიშვილისა („ბოლნისის სიონის საკითხისათვის“).

ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი, რომელსაც ბ. მჭედლიშვილი და ს. კაკაბაძე აყენებენ ბოლნისის სიონის V საუკუნის დასასრულით დათარიღების წინააღმდეგ, არის ის გარემოება, რომ ქართულ მატრიანებში ბოლნისში ეკლესიის მშენებლობა მიეწერება მეფე ბაკურს, თუ მეფე ფარსმანს, რომელთა ზეობის ხანად ტრადიცია მიიჩნევს IV ს-ის დასასრულს — V საუკუნის დასაწყისს.

მართლაც, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობით: „და მის შემდგომად მეფობდა ბაკურ, ძმ თრდატისი, და მთავარ ეპისკოპოსი იყო ელია, და ამან აღაშენა ეკლესია ბოლნისს...“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბილისი, 1964, გვ. 92; ქვემოთ ყველგან — „ძეგლები“). „ქართლის ცხოვრებაში“ შესული ლეონტი მროველის თხზულების თანახმად კი:

¹ პირველად ეს შეხედულება გ. ჩუბინაშვილს გამოთქმული ჰქონდა ჯერ კიდევ 1916 წ. მოხსენებაში «О базиликах Грузии», შემდეგ 1921 წ. ნაშრომში: Untersuchungen zur Geschichte der georgischen Baukunst და 1936 წ. «ქართული ხელოვნების ისტორიაში»; 1940 წელს გამოვიდა მისი საგანგებო მონოგრაფია «Болниси».

² გამოქვეყნდა პირველად: Г. Н. Чубинашвили, Болниси, Тбилиси, 1940, გვ. 69.

„დაცდა მეფედ ძე ვარაზ-ბაქარისი... სახელით ფარსმან... და მოკუდა ელია ეპისკოპოსი, და დასუეს სუმონ... და აღაშენა ეკლესია ბოლნისისა“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I. თბილისი, 1955, გვ. 136—137). ბ. მჭედლიშვილი ამ ცნობებს უმატებს ვახუშტი ბაგრატიონის ცნობასაც, რომ ბოლნისი აშენებულია მეფე ფარსმანის მიერ, ხოლო გორგასალმა აქ დასვა ეპისკოპოსი (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 311).

ბ. მჭედლიშვილიც (გვ. 101) და ს. კაკაბაძეც (გვ. 94—95) დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მემკვიდრეულ ფუნდამენტს იმ ცნობებსაც, რომელთა მიხედვით ვახტანგმა დააარსა 12 საეპისკოპოსო და ამასთან აქ აღნიშნულია, რომელი ეკლესია ააშენა თვით ვახტანგმა და რომელში (იგულისხმება ადრე აშენებულიში) დასვა ეპისკოპოსი. რადგან ვახტანგის მიერ აშენებულ ეკლესიათა შორის არაა ნახსენები ბოლნისი და მის შესახებ მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ აქ ეპისკოპოსი დასვა, მაშ ბოლნისი არ შეიძლება ვახტანგის დროს იყოს აშენებული.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე კეთდება დასკვნა: „მაშასადამე ყველა ქართული ისტორიული წყაროს მიხედვით, ბოლნისის სიონი IV ს-ის დასასრულს ან V ს-ის დასაწყისს განეკუთვნება“ (ბ. მჭედლიშვილი, გვ. 101, ხაზი ჩვენია, — 5. ლ.).

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება: „ყველა ქართულ ისტორიულ წყაროზე“ ლაპარაკი აქ უაღვილოა. ვახუშტი ბაგრატიონი უბრალოდ იმეორებს ლეონტი მროველის ცნობას და ფუნდამენტისთვისაც იგივე ცნობა ამოსავალი: რაკი „ქართლის ცხოვრების“ პირველ თხზულებაში (ლეონტის „მეფეთა ცხოვრებაში“) ბოლნისში ეკლესიის აღმშენებლად ფარსმან მეფეა გამოცხადებული, ფუნდამენტისაც, ცხადია არ შეეძლო ბოლნისის აშენება ვახტანგისათვის მიეწერა. ამდენად, ბოლნისის აშენების შესახებ ჩვენ ქართულ წყაროებში არსებითად მხოლოდ ზემოთქმული ორი ცნობა გვაქვს — „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და ლეონტი მროველისა.

ახლა ვნახოთ რამდენად სანდოა ამ ორი მემკვიდრის ცნობები ბოლნისის მშენებლობაზე.

როგორც ჩანს, უკვე შუა საუკუნეებში (IX—XI სს.) არ იყო ზუსტად ცნობილი ვის მიერ იყო აშენებული პირველი ეკლესია ბოლნისში, რადგან დასახელებულ ორ მემკვიდრეს განსხვავებული ცნობები აქვთ ამის თაობაზე: „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ბოლნისის ეკლესია აუგია მეფე ბაკურს და ელია მთავარეპისკოპოსს, ხოლო ლეონტი მროველით — მეფე ფარსმანსა და სუმონ მთავარეპისკოპოსს. მართალია, ამ ორ წყვილს შორის ქრონოლოგიურად დიდი ზღვარი არ ჩანს, მაგრამ თვით ფაქტი ასეთი განსხვავებული ცნობების არსებობისა უკვე თავისთავად საეჭვოს ხდის ამ ცნობათა სიზუსტესა და სანდოობას. ხოლო თუ ამას დაეუმატებთ, რომ თვით მირიანის მომდევნო მეფეთა რიგც არაა ამ ორ მკვიდრეულში ერთნაირი, ეჭვი მათი ცნობების სანდოობაში კიდევ უფრო იზრდება: „მოქცევაჲ ქართლისაჲს“, მირიანის შემდეგ მეფობენ ბაკურ, თრდატ, ვარაზ-ბაკურ, ბაკურ, ფარსმან, მირდატ (ძეგლები, I, გვ. 91—92), ხოლო ლეონტი მროველით — ბაქარ, მირდატ, ვარაზ-ბაქარ, თრდატ, ფარსმან, მირდატ (ქცა, I, გვ. 130—138).

საერთოდაც ხომ უნდა გავითვალისწინოთ, რა ხასიათის წყაროებთან გვაქვს ამ შემთხვევაში საქმე. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და ლეონტი მროველის თხზულებაც საკმაოდ გვიანდელი ნაწარმოებია — პირველი IX, ხოლო მეო-

 IX
 XI

რე XI საუკუნეს განეკუთვნება. ამიტომ მათი ავტორების ცხოვრების ხანას ესოდენ დაშორებული მოვლენების აღწერისას, როგორცაა IV—V საუკუნეების მოვლენები, ისინი ეყრდნობიან სულ სხვადასხვა რიგის, დროისა და ხარისხის წყაროებს. ამიტომაცაა, რომ ორივე თხზულებაში მრავლად გვხვდება უზუსტობანი, ანაქრონიზმები, მეფეთა რიგის აღრევა, მათი ნამოღვაწარის არასწორი გაშუქება. ამის ერთ-ერთი მაგალითია თუნდაც ზემოხსენებული ფაქტი ბოლნისში უძველესი ეკლესიის აღმშენებლებად სხვადასხვა მეფისა და მთავარეპისკოპოსის გამოცხადებისა³. ეს მით უფრო ითქმის ჭუნანშერის თხზულებაზე, სადაც ასეთი ხარვეზები და ანაქრონიზმები უამრავია. საქმარისა დავასანელთ თუნდაც ჩვენი საკითხთან ახლოს მდგომი მოვლენის ასახვა „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და ჭუნანშერის თხზულებაში: როგორც ცნობილია, ორივე წყაროში შუშანიკის მარტვილობა გადატანილია VI ს-ში, ბაკურ მეფის ხანაში (ძეგლები, I, გვ. 94, ქცა I, გვ. 216—217)⁴ თავი რომ დავენებოთ იმას, რომ თვით ამ ბაკურის მიფვობის რეალურობა ფრად სეეჷვა, ისეთი ცნობილი მოვლენის თითქმის ერთი საუკუნის ქრონოლოგიური დარღვევით ვადმოცემა იმის მოწმობა, რამდენად არასრულყოფილი წყაროებით საარგებლობენ ზოგჯერ ჩვენი მემატიაწეები. ამ მხრივ ნიშანდობლივია ის შეფასება, რომელსაც ამ უკანასკნელ ფაქტთან დაკავშირებით აძლევს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიაწეს ილია აბულაძე: შუშანიკის მარტვილობის ფაქტი ამ მატიაწეს მოკლედ აქვს აღნიშნული, „მისთვის ჩვეული ქრონოლოგიური ხასიათის შეცდომებით“⁵.

თუ აღნიშნული მემატიაწეები მეფეთა რიგს არღვევენ, ანაქრონიზმებს უშვებენ საყოველთაოდ ცნობილი მოვლენების ვადმოცემისას, ცდებიან საქართველოში ფრად ბოპულარული წმინდანის ცხოვრების დროის განსაზღვრაში, რატომ უნდა მოვთხოვოთ მათ მინცდამინც ბოლნისის, ან რამეღლიმე სხვა ტაძრის აშენების დროის ზუსტი ვადმოცემა და რატომ უნდა ვენდოთ მათ ამ საკითხში?!

მხედველობაშია მისაღები კიდევ ერთი: ბ. მჷედლიოვილიც და ს. კაკაბაძეც, ერთმანეთისაგან ვერ ასხვაებენ ორ სხვადასხვა მოვლენას — ბოლნისში უძველესი ეკლესიის აშენებას და ბოლნისის ბაზილიკის აგებას. თავისთავად არაა გამორიცხული, რომ მეფეების ბაკურისა თუ ფარსმანის დროს, ე. ი. IV ს-ის დასასრულს ან V ს-ის დასაწყისში ბოლნისში მართლაც აგებულყო რაღაც ეკლესია და ამის შესახებ ცნობები ხელთ ჰქონდათ გვიანდელ მემატიაწეებს, მაგრამ საიდან ვიცით ჩვენ, რომ ეს ცნობები მინცდამინც იმ არქიტექტურულ ძეგლს გულისხმობენ, რომელიც ბოლნისის სიონის სახელათა ცნობილი? ვანა ცოტაა საქართველოში ისეთი შემთხვევა, როდესაც მატიაწეში ამა თუ იმ ადგილას აღრეულ ხანაში ეკლესიის აგება აღნიშნული, ხოლო დღეს

³ ამგვარ შეცდომათა და აღრევების არაერთი ფაქტის აღნიშვნა შეიძლებოდა, საქმარისთა თუნდაც, რომ მთელი რიგი მეფეებისა, რომლებიც ამ მატიაწეებში არიან დასახლებულნი, არ არიან დამოწმებული ეპიგრაფიკულ ძეგლებსა და მათ თანამედროვე წყაროებში, ხოლო, პირიქით, ამ უეჷველ წყაროებში ნახსენები მეფეები საერთოდ არ ჩანან ქართულ მატიაწეებში. ან კიდევ ამ მატიაწეებში დაწერილებითაა აღწერილი ომები, რომელთაც, როგორც ეს დადგენილია, საერთოდ არ ჰქონიათ ადგილი.

⁴ დაწერილებით იხ. ნ. ჯანაშია, შუშანიკის აშება, თბ., 1980, გვ. 97—111.
⁵ იაკობ ცურტაველი, მარტვილობა შუშანიკის, ქართული და სომხური ტექსტების ვამოსა ილია აბულაძემ, ტფილისი, 1938, გვ. 011 (ხაზგასმა ჩვენა).

იმ უძველესი ნაგებობის კვალიც არაა დარჩენილი და იქ ბევრად უფრო გვიანდელი ეკლესია დგას?! მაშასადამე, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და ლეონტი მროველის ცნობები უკეთეს შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ ბოლნისში უძველესი ეკლესიის დროის სავარაუდო განსაზღვრისათვის, მაგრამ ეს ცნობები არაფერს მოგვცემენ ბოლნისის ბაზილიკის დასათარიღებლად.

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ ზემოხსენებულ მატიანეთა (ისევე როგორც საერთოდ ყოველგვარი ნარატიული წყაროს) ცნობებს, მით უფრო ადრინდელ, ამ მატიანეთა შექმნის ხანისაგან რამდენიმე საუკუნით დაცილებულ ფაქტებზე, ძალზე ფრთხილად უნდა მოვექცეთ და უკრიტიკოდ არ შეიძლება დავეყრდნოთ. ბოლნისის სიონის აშენების შესახებ ამ მატიანეთა ცნობების გარდა ჩვენ რომ სხვა არავითარი მონაცემი არ გვქონდეს, მაშინ იძულებული ვიქნებოდით ამ ცნობებით დავკმაყოფილებულიყავით და გვევარაუდა, რომ ბოლნისის სიონი IV ს-ის დასასრულს ან V ს-ის დასაწყისში აშენდა, თუმცა მაშინაც ეს მხოლოდ ვარაუდი იქნებოდა. ხოლო როდესაც ჩვენ ხელთ არის ამ ცნობათა საწინააღმდეგო მონაცემები — ეპიგრაფიკული ძეგლები და, რაც მთავარია, თვით ძეგლის ხელოვნებაშიცოდნობითი ანალიზის შედეგები, ცხადია, ამ უკანასკნელთ უნდა მიენიჭოს უპირატესობა. მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს თანამედროვე ისტორიოგრაფიის ერთადერთი მეთოდოლოგიური პოზიცია და ელემენტარული მოთხოვნა.

სწორედ აქ უნდა ვავიხსენოთ ივ. ჯავახიშვილის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. ს. კაკაბაძე და ბ. მჭედლიშვილიც იმომზებენ ივ. ჯავახიშვილის ავტორიტეტს და უნდათ მკითხველი დაარწმუნონ, რომ იგი გადაწყვეტილით ათარიღებდა ბოლნისის სიონს IV ს-ის დასასრულით თუ V ს-ის დასაწყისით, სწორედ ქართულ წყაროთა საფუძველზე (ს. კაკაბაძე, გვ. 90 და გვ. 95, მჭედლიშვილი, გვ. 101).

სინამდვილეში კი საქმე მთლად ასე არაა. ივ. ჯავახიშვილი იხილავს ბოლნისის სიონის სარკმლის თავზე არსებულ დავით ეპისკოპოსის წარწერას და ეკვს გამოთქვამს, რომ ეს სამშენებლო წარწერა არ უნდა იყოს. „წარწერის შინაარსი — წერს ივ. ჯავახიშვილი — თითქოს უფრო უკვე არსებულს საყდარში მუშაობას (ეკლესიასა შინა) გულისხმობს...“ შემდეგ მოაქვს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და ლეონტი მროველის ცნობები, აღნიშნავს მათ შორის უთანხმოებას, იმასაც, რომ „... ამ ხანის ქრონოლოგიურ-გენეალოგიურ საკითხები ჯერ კიდევ ნაკლებად არის შესწავლილი“, შემდეგ კი განაგრძობს: „რადგან ფარსმანი V საუკ. დამდეგს მეფობდა, ამიტომ ბოლნისის ეკლესიის თავდაპირველი აგების თარიღი, ისე როგორც ქართველი ისტორიკოსებს საქმის ვითარება წარმოდგენილი ჰქონიათ, დაახლოებით მაინც ირკვევა. სახელდობრ V საუკ. დასაწყისი უნდა ვიგულისხმოთ. ამრიგად, თითქმის ცხადი უნდა იყოს, რომ დავით ეპისკოპოსის მიერ ბოლნისის სიონის წარწერა ამ საყდრის თავდაპირველი აგების ამბავის მომთხრობელი ძეგლი არ უნდა იყოს“⁶.

ივ. ჯავახიშვილი, როგორც ვხედავთ, ბოლნისის აშენების თარიღის შესახებ თავის მოსაზრებას მეტად ფრთხილად აყალიბებს და არა ისეთი კატეგო-

⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 163—164 (ხაზგასმით ყველგან ჩვენია — ნ. ლ.).

რიულობით, როგორცაც მას ხსენებული ავტორები მიაწერენ. გამოთქმები „თითქოს უფრო“, „თითქმის ცხადი“, „დაახლოებით მაინც“ ასეთი სიფრხილის მოწმობაა და იმის ნაჩვენებელია, რომ ივ. ჯავახიშვილი ბოლნისის აგების თარიღზე უფრო იმას გადმოსცემს „როგორც ქართველ ისტორიკოსებს საქმის ვითარება წარმოდგენილი ჰქონიათ“, ვიდრე საკუთარ უუქველ დასკვნას.

მაგრამ მთავარი ისაა, რასაც ს. კაკაბაძეც და ბ. მჭედლიშვილიც მკითხველს უმაღავენ: მაშინ, როდესაც ივ. ჯავახიშვილი ამ საკითხს ეხებოდა (1926 წ.) არც ბოლნისის სამშენებლო წარწერა (ე. ი. ის წარწერა, სადაც პეროზი იხსენიება) იყო აღმოჩენილი და არც გ. ჩუბინაშვილის ნაშრომი „ბოლნისი“ იყო გამოქვეყნებული, რომელშიც გაანალიზებული იყო ძეგლის არქიტექტურა და იგი ხელოვნებათმცოდნეობითი მეთოდებით იყო დათარიღებული. მაშასადამე, ივ. ჯავახიშვილს არც შეეძლო რაიმე სხვა მონაცემებს დაყრდნობა, გარდა მატრიანეთა ცნობებისა. ამრიგად დღეს უკვე, როდესაც გვაქვს სხვა მონაცემები ბოლნისის სიონის აგების დათარიღებისათვის, ივ. ჯავახიშვილის მიერ ამ თითქმის სამოცი წლის წინ გამოთქმულ მოსაზრებას მნიშვნელობა ეკარგება და ამ შემთხვევაში იმისი ავტორიტეტის მოხმობა უადგილოა.

მაგრამ ს. კაკაბაძეც და ბ. მჭედლიშვილიც იმის დამტკიცებასაც ცდილობენ, რომ ბოლნისის სამშენებლო წარწერაც და ძეგლის არქიტექტურული ანალიზიც სწორედ ქართულ მატრიანეთა თარიღს უჭერენ მხარს და არა გ. ჩუბინაშვილის მიერ დადგენილსა და ყველა სპეციალისტის მიერ გაზიარებულ თარიღს — V საუკუნის დასასრულს.

აქ, პირველ რიგში, დგას იმ წარწერის თარიღის საკითხი, რომელშიც იხსენიება პეროზი მეფე. ეს წარწერა ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთი კარის თავზე იყო მოთავსებული. მისი შუა ნაწილი, რომელიც კარის ზღუდარს წარმოადგენდა, დიდი ხნის წინ ჩამოიქცა და მიწაში დაიმარხა, ხოლო კარის ორივე მხარეს შემორჩა წარწერის მარცხენა და მარჯვენა ნაწილები, რომელიც ისეა ჩამორეცხილ-გამოფიტული, რომ აქ მხოლოდ ცალკეული ასო თუ მათი კვალიღაა ზოგან შემორჩენილი. 1937 წ. გათხრების დროს აღმოჩნდა ჩამოქცეული ზღუდარი და, მაშასადამე, წარწერის შუა ნაწილიც; პირველ სტრუქტურში ერთი ადგილი, სახელის პეროზის წინ დაზიანებულია. ამ დაზიანებული ადგილის აღდგენა და წარწერის წაკითხვა სცადა აკად. ა. შანიძემ და იგი ასე წაკითხა (მოვიტანთ მხოლოდ დასაწყის წინადადებას, რომელიც მთავარ სადავო ნაწილად იქცა):

„შეწევნითა წმიდისა სამებისაათა ოც წლისა პეროზ მეფისა ზე ხიქმნა დაწყებამ ამის ეკლესიაჲსა და ათხუთმეტ წლისა შემდგომად განხეშორა...“⁷

1975 წ. ა. შანიძემ უფრო დაზუსტა თავისი წაკითხვა და წარწერამ ასეთი სახე მიიღო: „შეწევნითა წმიდისა სამებისაათა ოც წლისა პეროზ მეფისა ზე დახიდვა საფუძველი ამის ეკლესიაჲსა და ათხუთმეტ წლისა კავატ მეფისა ზე განხეშორა...“⁸

⁷ გამოქვეყნებულია პირველად: გ. ნ. ჩუბინაშვილი, *ბოლნისი*, გვ. 69. ყველა სხვა გამოქვეყნებაშიც მცირე შესწორებებით წარწერა ასე აქვს წაკითხული, იხ. ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, შეადგინა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 65—66

⁸ ა. შანიძე, *ბოლნისის წარწერები, „ნაზათი“* (ტუნან. „ცისკარის“ დამატება), № 1, 1975, გვ. 30—31.

რამდენადაც იმთავითვე მიჩნეულ იქნა, რომ წარწერის პირველ სტრიქონში მოხსენიებული პეროზ მეფე სხვა არაეინ შეიძლება იყოს, თუ არაა სპარსეთის ცხო-ბილი მეფე პეროზ (459—484), ბოლნისის მშენებლობის დაწყება დათარიღდა $459 + 20 = 478/79$, ხოლო დასასრული $478/79 + 15 = 493/94$ წლებით. ხოლო ა. შანიძის ახალი წაკითხვა, ტაძრის მშენებლობის დასასრული VI ს-ის დასაწყისში გადავიდა, რადგან კავადი გამეფდა 488 წ. თუ ამას მივუმატებთ 15 წელს, მივიღებთ 502/03 წელს.

რამდენადაც ა. შანიძისეული პირველი წაკითხვა მთლიანად ეთანხმებოდა გ. ჩუბინაშვილის მიერ ჩატარებულ ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევის შედეგებს, ბოლნისის სიონის აშენების თარიღი საყოველთაოდ იქნა მიღებული და დადასტურებულად მიჩნეული, რომ ბოლნისის სიონი აშენდა V საუკუნის დასასრულს, ხოლო ა. შანიძის ახლებური წაკითხვით, მისი მშენებლობა დასრულდა VI ს-ის დასაწყისში.

და აი, ამ უკანასკნელ დროს სწორედ ამ წარწერის შანიძისეული წაკითხვა იქნა მიჩნეული მცდარად, კერძოდ წაკითხვა „...ოც წლისა პეროზ მეფისა ზე“. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ადგილის ასეთი წაკითხვა ენობრივი კონსტრუქციის თვალსაზრისით იმთავითვე, მართლაც, იწვევდა გარკვეულ ეჭვს. ეს ეჭვი გამოთქვას ლ. მუსხელიშვილმა და კ. კეკელიძემ. მაგრამ ლ. მუსხელიშვილმა შემდეგ მიიღო შანიძისეული წაკითხვა⁹. ხოლო კ. კეკელიძემ აღნიშნა, რომ ა. შანიძის ცდა წარწერების ამოკითხვისა და აქედან გარკვეული დასკვნების გამოტანისა უფრო ნაყოფიერია, ვიდრე სხვა რომელიმე¹⁰.

ბ. მჭედლიშვილმაც და ს. კაკაბაძემაც არასწორად მიიჩნიეს აღნიშნული წაკითხვა. პირველის მტკიცებით, „ოც წლისა“ არაა სწორი, რადგან „ონის“ (Ω) შემდეგ არ იკითხება „ცანი“ (C) და სიტყვაში „მეფისა“ „მეფ“-ის შემდეგ არის „ენი“ (N) და არა „ინი“ (N) (იხ. ბ. მჭედლიშვილი, გვ. 102) ს. კაკაბაძეც ამტკიცებს, „ონის“ შემდეგ არ შეიძლება იყოს „ცანი“, შემდეგი ასო შეიძლება იყოს „ვ“ (V), „ე“ (E), „ი“ (I), „ვ“ (V), ხოლო „ლასის“ (L) ნაცვლად შეიძლება იყოს „ზ“ (Z). ამრიგად, ფორმა „ოც წლისა“ არასწორია, იმავე სტრიქონში არასწორია აღდგენა „მეფისა“, რადგან მეოთხე ასო უდავოდ არის „N“ (ე), ამიტომ აქ შეიძლება იყოს ფორმები „მეფემან“, „მეფესა“, „მეფეთა“ (ს. კაკაბაძე, გვ. 93).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ადგილის შანიძისეული წაკითხვის წინააღმდეგ აზრი გამოთქვა რ. პატარიძემაც, რომელმაც ერთადერთმა სცადა გამოეთქვა თავისი საკუთარი მოსაზრება ამ ადგილის წაკითხვის შესახებ: მისი განცხადებით, „წარწერის გულმოდგინე შესწავლისა და ყოველმხრივი შემოწმების შედეგად“, რაც მან და ბ. მჭედლიშვილმა შეასრულეს, პირველი „ონის“ შემდეგ აქ წერია მეორე „ონი“ (Ω) და შემდეგ „ვფლისა“ (ϜϜϚϚ) ე. ი. „უფალთუფლისა“¹¹.

⁹ ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსია მაშავერის ხეობაში, თბ., 1941, გვ. 12, შენ. 4.

¹⁰ კ. კეკელიძე, ბოლნისის ტაძრის წარწერების ინტერპრეტაციისათვის, ეტ. უღებო, VI, 1960, გვ. 420.

¹¹ რ. პატარიძე, ბოლნისის ტაძრის სმშენებლო წარწერები, „მნათობი“, № 1, 1984, გვ. 145—148. ჩვენ არ ვპირებთ რ. პატარიძის წერილის მთლიან განხილვას, რადგან იგი სავანეგუბო გარჩევას მოითხოვს; აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ მომენტს.

როგორც ვხედავთ, ა. შანიძის სამივე ოპონენტი გადაჭრით უარყოფს „ონის“ შემდეგ „ცანის“ აღდგენას, მხოლოდ ბ. მჭედლიშვილი სანაცვლოდ არაფერს გეთავაზობს¹², ს. კაკაბაძე ვარაუდს გამითქვამს, რომ აქ შეიძლება იყოს „ანი“ (C), ხოლო რ. პატარიძე დაბეჭდვებით ამტკიცებს, რომ „ონის“ მომდევნო ასო ისევე „ონი“.

ჩვენც „გულმოდგინეთ შევისწავლეთ და ყოველმხრივ შევამოწმეთ“ წარწერა და სრულიად გადაჭრით და უყოყმანოდ უნდა განვაცხადოთ, რომ ამ აღდგილას შანიძისეული „ცანის“ ნაცვლად მეორე „ონის“ (Q) აღდგენა მთლიანად გამორიცხებულია¹³. ეს ასო არ შეიძლება იყოს მარჯვენა მხარეს შეკრული, იგი უდავოდ ღიაა და ამ ღიობში, ყოველ შემთხვე-



ნახ. 1



ნახ. 2



ნახ. 3

ვაში იმ ნაწილში, რომელიც ეკვრის ასოს მარჯვენა ქვედა ბოლოს, სრულიად ბრტყელია, იმავე დონისაა, რაც მთელი წარწერის ფონის დონე და, ამდენად, დაუზიანებელია, თანაც ეს ბოლო კარგად მომრგვალებულია და შეუძლებელია იგი ზევითგან გრძელდებოდეს (იხ. ნახ. 1); ამას გარდა, მართალია, ასონიშნის ზედა ნაწილი დაზიანებულია, მაგრამ სათანადოდ განათებისა და ქაღალდზე ესტამპაჟირების გზით სრულიად აშკარად ჩანს ასოს დაზიანებული ნაწილი და მისი დასასრული (იხ. ნახ. 1). ამრიგად, რ. პატარიძის კატეგორიული განცხადება, რომ „გრაფემად დიდი შეკრული წრეა და არა მარჯვენა მხარეს გახსნილი დიდი რკალი“¹⁴, ასევე კატეგორიულად უარსაყოფია — გრაფემა დიახაც მარჯვენა მხარეს გახსნილი დიდი რკალია. ამას გარდა, აქ რომ „ონი“ იყოს, უნდა ჩანდეს ამ გრაფემის ქვედა მარჯვენა მხარეს მისი კუდი, რადგან ამ წარწერის ყველა სხვა „ონებს“ ეს დეტალი ძალიან დაბლა აქვთ — თითქმის ჰორიზონტალურ ხაზზე და ეს ადგილი დაზიანებული არაა (იხ. სურ. 2). ზემოაღნიშნულის გამო აქ არ შეიძლება იყოს „ღონი“ (D), გამორიცხულია „ანიც“, რომელსაც ს. კაკაბაძე ვარაუდობდა, რადგან სრულიად არ ჩანს მისი ზემო ჰორიზონტალური ხაზი და გარდა ამისა, ბოლნისის ამ წარწერაში ამ გრაფემის ქვედა ნაწილი არაა იმდენად მორკალული, როგორც ჩვენ სადავო გრაფემაზე, თითქმის ჰორიზონტალურად მიდის და ოდნავი შესქელებით მთავრდება (იხ. ნახ. 3). ამ ადგილას „ცანის“ წაკითხვის საწინააღმდეგოდ თითქოს ის გარემოება ლაპარაკობს, რომ ნახევარკალის ქვედა მარჯვენა ბოლოში არ ჩანს ამჟამად პატარა დახრილი ხაზი, რომელიც

¹² რ. პატარიძე უთითებს, რომ წარწერის ამოკრთვზე იგი და ბ. მჭედლიშვილი ერთად შეზობდნენ (დასახ. ნაშრ., გვ. 144, შენ.); ამდენად უნდა ვეზარალოთ, რომ ისიც აქ მეორე „ონს“ ხედავს.

¹³ პატარიძე - მჭედლიშვილის პირისპირ ცალკედ რომ არ აღმოჩნდეთ, აღენიშნათ, რომ წარწერა ვნახეთ ისტორიკოს და მუსხელიშვილთან, ხელმოწეა მდლან გ. ვადვინდაშვილთან ერთად, ხოლო შემდეგ საგანგებო დაკვირვება ვაწარმოეთ პლენოგრაფიის სპეციალისტებთან ვ. ცისკარიშვილთან და ე. მიჰვარიაშვილთან ერთად. მთ ყველამ აქ „ონი“ გამორიცხეს.

¹⁴ რ. პატარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

ამ გრაფემას საერთოდ აქვს და ბოლნისის წარწერაშიც ყველა „ცანს“ ახასიათებს. მაგრამ ამ ადგილის გულდაგულ შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ეს ხაზი შეიძლება ჩამოტეხილიც იყოს — ზედაპირი აქ ოდნავ დაზიანებულია. ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც ამ ადგილას გამოირიცხულია „ონიც“, „დონიც“ და „ანიც“, ქართული ასომთავრული ანბანის გრაფემათაგან აქ შეიძლება იყოს მხოლოდ „ცანი“. ამდენად, გამოირიცხა ამ ადგილის რ. პატარიძისეული წაკითხვა — „ოფალთ-უფალი“ და ერთადერთი ვარიანტი, რომელიც რჩება არის შანიძისეული „ოც წლისა“. როგორც ჩანს, სწორედ ამით აიხსნება, რომ მიუხედავად გამოთქმული ეჭვებისა, ლ. მუსხელიშვილმაც და კ. კეკელიძემაც მაინც მიიღეს ა. შანიძის წაკითხვა.

რაც შეეხება სიტყვა „მეფეს“, აქ მეოთხე ასო მართლაც „ენია“ და არა „ინი“. ამდენად, ა. შანიძის წაკითხვა „მეფისა ზე“ აშკარად რალაც კორექტივს მოითხოვს. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს აღმოჩენა არც ს. კაკაბაძეს ეკუთვნის, არც ბ. მჭედლოშვილს: ჯერ კიდევ 1977 წელს ეს გრაფემა სწორედ „ენად“ წაიკითხა ელ. მაჭავარიანმა და ბოლნისის სამშენებლო წარწერის გრაფიკულ გამოსახულებაზე „ფარ“-ის შემდეგ სწორედ ამ ასონიშნის ფრაგმენტი აჩვენა¹⁵. მეორეც, ეს საქმის ვითარებას არ ცვლის: ერთი რამ ცხადია, საკუთარ სახელს „პეროზ“-ს მოსდევს სიტყვა „მეფე“. ვის შეიძლება განეკუთვნებოდეს ეს ტიტული, რომელ ბრუნვაშიც არ უნდა იყოს იგი? პასუხი მართო ერთია — მხოლოდ და მხოლოდ მის წინ მდგომ საკუთარ სახელს, ე. ი. პეროზს. ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებზე, როგორც წესი, დამოწმებულია ჯერ სახელი და შემდეგ ტიტული და არა პირიქით. მაგალითად: დავით მაგისტროსი, ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი (ოშკი), ბაგრატ მეფისაჲ (იქვე), ჯოჯიკ პატრიკისაჲთა (იქვე), დავით ეპისკოპოსისა (ბოლნისი), სტეფანოს პატრიკოსისა, დემეტრე უპატოსისა, აღრნერსე უპატოსისა (ჯვარი), აშუშა პატრიკოსი (აბასთუმანი), ლეონ მეფისა (სამშვილდე), რატ ერისთავისა (შეპიაკის ეკლესია) და მრავალი სხვა¹⁶. რ. პატარიძის მიერ შემოთავაზებული წაკითხვა „მეფეთა თვისისა“ გამოირიცხულია, რადგან, ჯერ ერთი, ეს ტერმინი მთლიანად გამოგონილია¹⁷. მეორეც, და რაც მთავარია, თვით წარწერის გადარჩენილი ნაშთები არავითარ საშუალებას არ იძლევა აქ ამოვიკითხოთ სიტყვა „თვისისა“. დღეს არც ერთი ამ სიტყვაში შემავალი ასოს კვალის დანახვაც კი აქ არ შეიძლება: არ იყო ეს ასოები ან მათი ნაშთები არც 1937 წ., როცა წარწერას სწავლობდა ლ. მუსხელიშვილი, რადგან იმ ადგილას, სადაც რ. პატარიძე სვამს სიტყვას „თვისისა“, ლ. მუსხელიშვილს არც ერთი ასოს კვალიც კი არა აქვს აღნიშნული¹⁸. წარ-

¹⁵ ელ. მაჭავარიანი, ქართული ასომთავრულის გრაფიკული საფუძვლები, „საბჭოთა ხელოვნება“, 1977, № 10, გვ. 102—116.

¹⁶ ლაპიდარული წარწერები, შ. I, შეადგ. ნ. შოშიაშვილმა, იხ. გვ. 49, 50, 68, 95, 103, 236 238, და სხვ.

¹⁷ რ. პატარიძეს „მეფეთა თვისი“. როგორც ჩანს, ლეონტი მროველის ერთი ცნობის გაგენით მოსვლია აზრად. აქ აღნიშნულია, რომ მირიანმა „მოიყვანა სპარსეთით თვისი მისი, ნათესავი მეფეთა, სახელით ფეროზ“ (ქცა, I, გვ. 68). მაგრამ მემბტიანის თხრობაში სხვადასხვა პირთა ურთიერთამოკიდებულებების აღსანიშნავად ნახვარი სიტყვები არ შეიძლება ვაღმოვიტანოთ ეპიგრაფიკულ ძეგლში, სადაც ოფიციალური ტიტულატურა აისახება; თანაც მემბტიანესთან წერია, რომ ფეროზი „თვისა“ პირიანისა („მისი“), ხოლო მეფეთათვის — იგულისხმება სპარსეთის მეფენი — იგი „ნათესავია“. ან რატომ უნდა აღნიშნულიყო წარწერაში სპარსეთის მეფეთ „თვისობა“, სრულიად გაუგებარია.

¹⁸ ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, გვ. 325.

წერის მთლიანად დაზიანებული ადგილების აღდგენაც შეიძლება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აღდგენა გამართლებულია აზრობრივ-შინა-აზრობრივად, ისტორიულად, გრამატიკულად, ხოლო „მეფეთა თვისისა“ არც აზრობრივად, არც ისტორიულად, არც გრამატიკულად გამართლებული არაა: ასეთი ტერმინი არ არსებობს, გრამატიკულად შეუსაბამოა, აზრობრივად ყალბია. მაშასადამე ყოველნაირად დაუსაბუთებელია და მთლიანად ნებისმიერია წაკითხვა „ფეროზ მეფეთა თვისისა“. ვიმეორებთ, სიტყვა-„მეფე“, რა ბრუნვაშიაც არ უნდა იყოს იგი, დაკავშირებულია მხოლოდ პეროზთან, მისი ტიტულია; ამდენად, მეფეა პეროზი, ხოლო ამ ეპოქაში სხვა პეროზ მეფე ჩვენ არ გვგულებია, გარდა სპარსეთის მეფისა.

რაკილა წარწერაზე გვაქვს საუბარი, აქვე აღნიშნავთ, რომ არ იკითხება ს. კაკაბაძის და ბ. მჭედლიშვილის მიერ აღდგენილი და რ. პატარიძის მიერ გზავნილი ტიტული „ნახბეტიც“. წარწერის პირველი სტრიქონის მარჯვენა კიდე-სთან ახლოს ლ. მუსხელიშვილს შერთლაც აქვს აღნიშნული ასოები „ანი“ და „ონი“ კითხვის ნიშნით, ასო „ანი“ კითხვის ნიშნით, შემდეგ „ხანი“ და „პარი“ (E) ესენიც კითხვის ნიშნით.¹⁹ ეტყობა მაშინაც ამ ასოების ამოკითხვა სათუო იყო. დღეს კი ამ ადგილას იკითხება მხოლოდ პირველი „ანი“ (ბოლოდან მეხუთე ასო), შემდეგი ორი ასონიშანი სრულიად წაშლილია, შემდეგ კი ჩანს მხოლოდ ერთი ასო „ხანი“ (E)—არც წინა „ანი“, არც მომდევნო ასონიშანი სრულიად არ ჩანს. რაწინადად დაადასტურა აქ ს. კაკაბაძემ „ახპ“ და როგორ ამოიკითხა შემდეგ კიდე „ენი“ (N), სრულიად გაუგებარია. უკანასკნელი ასო წაკითხვა საერთოდ გამორიცხულია, რადგან „ხან“-სა და წარწერის ჩარჩოს შორის ორი გრაფმა ვერაფრით დაეტევა.

მაინც საიდან ვაჩნდა ეს „ნახბეტი“? საქმე ისაა, რომ ბოლნისის სიონის ინტერიერში რელიეფურად გამოსახულ ბოლნურ ჯვარს ახლავს წარწერა: „ესე ჭი ვნ ნპა“. ეს წარწერა მოიტანა ჯერ კიდეც ლ. მუსხელიშვილმა ივ. ჯავახიშვილის წაკითხვით და ქარაგმები ასეა გახსნილი: „ესე ჭუარი ვარდან (ვარსქენ) ნაჰაპეტისაჲ“²⁰. შემდეგ ყველა გამომცემელმა ეს წაკითხვა გაიმეორა. ბ. მჭედლიშვილმაც და ს. კაკაბაძემაც ასეთი წაკითხვა საბოლოოდ დადგენილად მიიჩნიეს და ეს წარწერა დაიმოწმეს ბოლნისის სამშენებლო წარწერაში მათ მიერ თითქოსდა უეჭველად ამოკითხული „ახპე“ კომპლექსის „ნახბეტად“ წაკითხვისას. მაგრამ ბოლნური ჯვრის თანმხლებ წარწერაში „ნაჲ“ კომპლექსის წაკითხვა როგორც „ნაჰაპეტისაჲ“ მხოლოდ სადავო მოსაზრებაა. თვით ლ. მუსხელიშვილიც ასეთ წაკითხვას შეინიშნასაც უკეთებს: „...საეჭვოა აგრეთვე ნაჲ-ნაჰაპეტისაჲ“²¹.

ამრიგად, სამივე ცდა ბოლნისის სამშენებლო წარწერის პირველი სტრიქონის ახლებურად წაკითხვისა მარცხით დამთავრდა. გამორიცხულია პეროზის წინ ორი „ონის“ წაკითხვა და პეროზისადმი არარსებული ტიტულის „უფალთუფალის“ მიკუთვნება; გამოგონილია სიტყვა „მეფეს“ შემდეგ „თვისისა“, და ასევე არ დასტურდება მომდევნო სიტყვის — „ნახბეტის“ ამოკითხვა.

¹⁹ ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, გვ. 326; სხვათაშორის რ. პატარიძის „დაიფიქსდა“ აღნიშნა, რომ ლ. მუსხელიშვილს ეს ასოები სათუოლ აქვს აღდგენილი თავის გამოცემაში მათ კითხვის ნიშნები აქვთ დასმული.

²⁰ ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, გვ. 331—332.

²¹ იქვე, გვ. 332 (შენიშვნა).

ბ. მჭედლიშვილიც და ს. კაკაბაძეც წარწერაში სპარსეთის მეფის პეროზის მოხსენიებას იმ საფუძველზეც უარყოფენ, რომ მათ წარმოუდგენლად მიაჩნიათ ქრისტიანულ ტაძარზე, მაზდეანობის წინააღმდეგ ბრძოლის გამწვავების დროს ქრისტიანეთა მღვდნელი მეფის, ირანის შაჰის სახელის ამოკვეთა (ს. კაკაბაძე, გვ. 94). ბ. მჭედლიშვილი უფრო შორსაც მიდის და კითხვას სვამს: „თუ ეს თარიღისთვის იყო საჭირო, განა არ შეიძლებოდა ბიზანტიის იმპერატორის სახელების ამოკვეთა?“ (ბ. მჭედლიშვილი, გვ. 102).

ერთი შეხედვით, მართლაც გაუგებარია, როგორ მოხდა, რომ ქრისტიანულ ქვეყანაში, ქრისტიანულ ტაძარზე, მის სამშენებლო წარწერაში, დამპყრობელი და არაქრისტიანი მეფის სახელი ამოკვეთილიყო. მაგრამ ვინც იმდროინდელი ქართლის პოლიტიკურ ვითარებას იცნობს, ვინც იცის, სად მდებარეობდა ბოლნისის ტაძარი და რა ვითარება იყო ქართლის ამ ოლქში, მას ეს ამბავი არ გაუკვირდება და სრულიად შესაძლებლად და გასაგებად მიიჩნევს. ქართლი V საუკუნეში ირანის ვასალური ქვეყანაა, ქართლის მეფე ირანის შაჰან-შაჰის ქვეშევრდომია და თავის უზენაეს ხელისუფლებას იგი სრულიად რეალურადაც ახორციელებს. მიუხედავად ვახტანგის აჯანყებისა, ქართლი ირანის ვასალურ ქვეყანადვე რჩება შემდგომაც. განსაკუთრებული ვითარებაა ამ მხრივ ქართლის საპიტიანოში, სადაც უშუალოდ ზის ირანის დიდმოხელე პიტიანში; ამ ოლქის შინაურ საქმეებზე ქართლის მეფეს ხელი არ მიუწვდება²² და ბოლნისიც სწორედ ამ საპიტიანოში ტერიტორიაზე მდებარეობს. ასეთ ვითარებაში სასწრაფო გასაგებია, რომ საპიტიანოში ტერიტორიაზე აგებული ტაძრის დასათარიღებლად გამოეყენებინათ ქვეყნის უზენაესი მმართველის სახელი, ტაძრის მშენებლებზე იძულებულნი იყვნენ ასე მოქცეულიყვნენ და სხვაგვარად ვერ მოიქცეოდნენ²³. რაც შეეხება ბიზანტიის იმპერატორის სახელის მოხსენიების შესაძლებლობას, ეს საკვებით გამორიცხული იყო სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებით: ქართლი ირანის მეფის ქვეშევრდომი ქვეყანაა, ბიზანტიის იმპერია ცნობს ამ ვითარებას, არ ერევა ქართლისა და სომხეთის შინაურ საქმეებში და მათ დამოკიდებულებაში სიუზერენთან. საკმარისია აღინიშნოს, რომ ბიზანტიამ არავითარი დახმარება არ აღმოუჩინა ამიერკავკასიის ქვეყნებს ირანის წინააღმდეგ 482 წ. დაწყებული აჯანყების მსვლელობაში. ასეთ ვითარებაში ბოლნისის სიონის, თუ რომელიც გნებავთ სხვა ძეგლის, წარწერაში ბიზანტიის იმპერატორის მოხსენიება ისეთი ანტირანული დემონსტრაცია იქნებოდა, რომელიც V ს-ის 90-იან წლებში, ქართლ-სომხეთის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, წარმოუდგენელი იყო, მით უფრო საპიტიანოში ტერიტორიაზე.

ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ, როგორ იწყება ამ ეპოქის აგიოგრაფიული თხზულება, იაკობ კურტაველის „შუშანიკის მარტილობა“: „იყო მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა კარად სამეფოდ წარემართა ვარქსენ პიტიანში, ძეა არშუშაისი“. დღეს დამტკიცებულად ითვლება, რომ ვადაშვერთაგან აქ გამოტოვებულია სპარსთა მეფის სახელი და თავდაპირველად ეწერა იგივე პეროზის სახელი. მაშასადამე, ეს წინადადება ასე იწყებოდა „იყო

²² საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1972, გვ. 92—93.

²³ ამის თაობაზე დაწვრილებით იხ. მ. ლომოური, ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1979, გვ. 63—64; შდრ. ჯ. ამირანაშვილი, აღრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურის და რელიეფური ქანდაკების ძეგლები, თბ., 1968, გვ. 57—58.

მერვესა წელსა პეროზ სპარსთა მეფისასა...²⁴ ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია. ჩვენს ავტორებს რომ ვკითხოთ, აქაც „გაუგებარი“ და „გაუმართლებელი“ ვითარებაა: აგიოგრაფიული თხზულება, რომელშიც ქრისტიანობისათვის თავდადებული, მახდებლობის წინააღმდეგ ამხედრებული წმინდანის მარტვილობა და მოწამებრივი სიკვდილი აღწერილი სამღვდლო პირის მიერ, თარიღდება არა ქართლის ქრისტიანი მეფის ან ბიზანტიის იმპერატორის ზეობით, არამედ სრულიად მკრეხელურად — სპარსეთის მახდებანი შაპან-შაპის ზეობით!

გავიხსენოთ აგრეთვე იმავე „შუშანიკის მარტვილობიდან“ პტიახშის სახლის ეპისკოპოსის აფოცის დამოკიდებულება შუშანიკისა და ვარსქენის კონფლიქტისადმი. იგი საკმაოდ განზეა გამდგარი, ერთგვარ გულგრილობას იჩენს შუშანიკის მიმართ, საკმაოდ ლოიალურია ვარსქენისადმი და დიდ უბედურებად არ მიაჩნია მისი გამახდებანება. ნ. ჯანაშიამ შესანიშნავად ახსნა ეს გარემოება აფოცის პოლიტიკური პოზიციებით²⁵, მაგრამ პოლიტიკურ დაჯგუფებათა ჭიდილი და მრწამსიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ ისეთ საკითხებზე მსჯელობისას; როგორცაა სპარსეთის მეფის სახელის მოხსენიების შესაძლებლობა შეუძლებლობა გარკვეული ეპოქის ქართულ ქრისტიანულ ტაძარზე.

დაბოლოს, გავიხსენოთ, როგორ იხსენიებს სპარსეთის მეფეს ქართლის კათალიკოსი კირონ (კირიონი) VII ს-ის დასაწყისში თავის ეპისტოლეებში: „ჩვენც და თქვენც (ე. ი. სომხები, — ნ. ლ.), აგრეთვე თუმცაღა მეფეთა-მეფის მონები ვართ, სარწმუნოება იერუსალიმისა გვაქვს... ახლა რაოდენ უფრო ნეტარნი ვართ, რომლებიც მეფეთა-მეფის სამსახურს ვეწიეთ... მეფეთა-მეფე ისევე უფალია რომაელთა, როგორც არიელთა ქვეყნის“... (ეპისტოლე XX). სხვა ეპისტოლეში კირონი ღმერთსა სთხოვს „მეფეთა-მეფე უკვდავ ჰყოს“ (ეპისტ. XII), ხოლო მესამეში აღნიშნავს: „ჩემსობას ჩვენმა უფალმა ღმერთმა ჩვენი ეკლესია უფრო გააბრწყინვა, ჩვენი სარწმუნოება უფრო განამტკიცა და მეფეთა-მეფის დიდებისაგან მე უფრო განმდიდა...“ (ეპისტოლე XXV)²⁶. ცხადია, ქართლის ეკლესიის საჭეთმპყრობელი იძულებულია სპარსეთის მეფე ასეთი ქვეშევრდომული თაყვანისცემით მოიხსენიოს ქვეყნის პოლიტიკური ვითარების გამო. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ VII ს-ის დასაწყისში ირანის ხელისუფლება ქართლში, შედარებით V ს-ის მეორე ნახევართან, უფრო შესუსტებული იყო. ყოველივე ზემოთქმული ცხადს ხდის, რომ არაფერი უჩვეულო და მოულოდნელი ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერაში სპარსეთის მეფის სახელის მოხსენიებაში არ არის.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ თავისთავად იხსნება საკითხი იმის შესახებ, რომ ბოლნისის წარწერაში სპარსთა მეფე პეროზი კი არ არის მოხსენიებული, არამედ ქვემო ქართლის ერისთავი, თუ „უფალთუფალი“, თუ „ნახაპტი“ ფეროზი, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ იხსენიება. ამდენად, ამ საკითხზე ჩვენ შეიძლება აღარც შევჩერებულყოფივით, მაგრამ, რამდენადაც ამ ფეროზს დიდი ადგილი უჭირავს ს. კაკაბაძის, განსაკუთრებით კი

²⁴ ე. გაბაშვილი, „შუშანიკის წამების“ სპარსთა მეფის ინდენტოიკაციისათვის, „შუშანიკის წამება“. საიუბილეო კრებული, თბ., 1978, გვ. 212—233.

²⁵ ნ. ლ. ჯანაშია, შუშანიკის წამების პერსონაჟები, მნათობი, № 9, 1893, გვ. 128—132.

²⁶ ეპისტოლეთა წიგნი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ნ. ალექსიძემ, თბ., 1968, გვ. 71—72, 77, 90.

ბ. მჭედლიშვილის კონცეფციაში და მათ კვალზე რ. პატარიძეც გადაჭრითა და უაპელაციოდ სწორედ მას მიიჩნევს ბოლნისის სიონში მოხსენიებულ პირად, მაინც იძულებული ვართ შევეხოთ მას.

ს. კაკაბაძესაც და ბ. მჭედლიშვილსაც, როგორც ჩანს, ამ ფეროზის „აღმოჩენა“ თავის დიდ დამსახურებად მიაჩნიათ. ბ. მჭედლიშვილს მოაქვს „ქართლის ცხოვრებიდან“ ყველა ცნობა, რომელშიც ეს ფეროზი იხსენიება — ასეთი ცნობა სულ თერთმეტია. ამის შემდეგ იგი აღნიშნავს: „ისტორიულ წყაროებში მხოლოდ ერთხელაც რომ ყოფილიყო ფეროზი დასახელებული, როგორც იმ ქვეყნის გამგებელი, რომელშიც ბოლნისიც შედიოდა (ეს საეპარქიოსო იქნებოდა), რომ სიონის წარწერაში მისი სახელი ამოგვეკითხა. წყაროების მოტიანილი ცნობები კი, ჩვენი შეხედულებით, უეჭველად ს. ლ. წარწერაში წყაროების სამშვილდის ერისთავი დაეინახათ“ (ბ. მჭედლიშვილი, გვ. 104, ხაზგასმა ჩვენი).

ამ ფრიად კატეგორიული განცხადების შემდეგ ბ. მჭედლიშვილი განაგრძობს: „ფეროზი ძლიერი პიროვნებაა, მეფის ტოლი, მეფეთა ნათესავი, მირიანის სიძე, „დიდი სპის“ მფლობელი, ნახევარი (ქვემო) ქართლის პატრონი. იგი თითქმის არ ემორჩილება მირიან მეფეს... ამდენად, IV ს-ის ქვემო ქართლის მფლობელი ფეროზი გვევლინება, როგორც მნიშვნელოვანი ისტორიული ფიგურა, რომელსაც ძალა შესწევს წინააღმდეგობა გაუწიოს მეფეს... მას, როგორც ქრისტიანს და ქვეყნის ბატონს, შეეძლო და მართებდა კიდევ ეკლესიების აშენება“ (იქვე, გვ. 104; ხაზგასმა ჩვენი, ნ. ლ.).

და აი ეს ფეროზი, რომლის ბოლნისის სიონის წარწერის პეროზთან დაკავშირება არც ერთ ისტორიკოსს არ მოსვლია აზრად, ს. კაკაბაძეს და ბ. მჭედლიშვილს „ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი“ სწორედ მასთან გაუთიფებიათ და უკანასკნელს ეს „თავისთავად ნიშანდობლივ“ გარემოებად მიაჩნია.

ახლა ვნახოთ, რა ცნობები გვაქვს აღნიშნული ფეროზის შესახებ და რამდენად ფასეულია ისინი ასეთი დასკვნების გამოტანისათვის.

იმ 11 ცნობიდან, რომელშიც ფეროზი ამა თუ იმ ასპექტშია ნახსენები, ოთხი მირიან მეფის ხანას განეკუთვნება. მირიანს მოჰყავს სპარსეთიდან „თუსი მისი“, სპარსეთის მეფეთა ნათესავი, ცოლად აძლევს თავის ასულს და აძლევს ქვეყანას ხუნანინდან ბარდავამდე, მტკვრის ორივე მხარეს, ე. ი. ადგენს რანის ერისთავად. (ქცა I. გვ. 68 და 71). უფრო ქვევით მემბატიანე პირდაპირ ამბობს, რომ ფეროზს „აქუნდა რანი“ (იქვე. გვ. 130).

რატომ არის ფეროზი „თუსი“ მირიანისა? იმიტომ, რომ ლეონტი მროველის კონცეფციით, თვით მირიანიც ირანელი უფლისწულია, იგი პირველი სასანიანი შაჰის არდაშირის შვილია. სპეციალურ ლიტერატურაში დიდი ხანია გარკვეულია, რომ მემბატიანის ეს კონცეფცია მთლიანად ყალბია და არავითარი რეალური საფუძველი არ მოეპოვება²⁷. ამდენად, ფეროზისა და მირიანის „თუსობა“ ასევე არარეალურია. მაგრამ დავანებოთ ამას თავი, იმის საწინააღმდეგოდ ზომ ვერაფერს ვიტყვიტ გარკვეულს, რომ ფეროზს მირიანმა თავისი ქალი მისცა ცოლად და ამ გზით გახდნენ ისინი „თუსნი“. მაგრამ აი, რამდენად რეალურია, რომ მირიანმა ამ თავის სიძეს მისცა საგამგეოდ ქვეყანა „ხუნანით-

²⁷ გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, ისტ. ინსტიტის შრომები. ტ. IV, ნაკვ. I, 1958, გვ. 162; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 60—62.

გან ბარდავამდე“, ე. ი. იგივე რანი? ლეონტი მროველით, როცა მირიანი ქართლის მეფედ დასვეს, მას მისცა სპარსთა მეფემ ქართლი, სომხეთი, რანი, მოვაკანი და პერეთი (ქცა, I, გვ. 64); უფრო მეტიც, მოგვიანებით, როცა გარდაიცვალა სპარსეთის მეფე ქასრე, მირიანს, როგორც უფლისწულს, მისცეს აგრეთვე ჯაზირეთი (შუამდინარეთი), შამის (სირიის) ნახევარი და აღრაბადავანი (იქვე, გვ. 67). მაგრამ საქმეც ისაა, რომ ეს ცნობები, როგორც ეს აგრეთვე აღნიშნულია ისტორიოგრაფიაში, არარეალურია და დაუჭერებელი. თავი რომ დავანებოთ მესოპოტამიას, სირიას და აღრაბადავანს, რანი და მოვაკანი აგრეთვე არ შეიძლებოდა ქართლის შემადგენლობაში ყოფილიყო, ხოლო პერეთიც საეჭვოა ქართლს აკუთვნებოდა²⁸. მაშასადამე, მირიანს რანი არ შეეძლო ფეროზისათვის მიეცა. ამდენად, არარეალურია მთელი ის ფაქტებიც, რაც რანის გაქრისტიანების მცდელობასთანაა დაკავშირებული — მირიანს უბრალოდ ხელი არ მიუწვდებოდა რანის გაქრისტიანებაზე, ხოლო თუ რანის ერისთავი ფეროზი საერთოდ რეალური პირია, მისი უარი ქრისტიანობის მიღებაზე, მეფე მირიანის მიმართ ურჩობა კი არ იყო, არამედ სრულიად გასაგები ნაბიჯი სპარსეთის ქვეშევრდომი რანის გამგებელისათვის. ამავე მიზეზით ფრიად საეჭვოდ გამოიყურება მემატრიანის ცნობაც, რომ მირიან მეფის შვილმა ბაქარმა „გაუცვალა ქვეყანა დისიდესა მისსა ფეროზს, რომელსა აქუნდა რანი... და მისცა მის წილ სამშვილდითგან მიღმართ ქუეყანანი ვიდრე თავადმდე აბოცისა“ (ქცა, I, გვ. 130—131). ასეთი გაცვლა-გამოცვლა ასე თუ ისე შესაძლებელია ერთი სახელმწიფოს ფარგლებს შიგნით, მაგრამ იმ პირობებში, როცა რანი ქართლისაგან სრულიად დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულია, ასეთი ოპერაცია სრულიად წარმოუდგენელია.

უფრო მეტიც, ჩვენ ისიც არ ვიცით დაბეჯითებით, ეკუთვნოდა თუ არა ქართლს ამ პერიოდში ტერიტორია, რომელზედაც მდებარეობდა ბოლნისი და იგივე სამშვილდე, ე. ი. გუგარეთი — გუგარქი. საქმე ისაა, რომ სომეხი ისტორიკოსის ფავსტოს ბუზანდის ცნობით, IV ს-ის 60-იან წლებში სომხეთის მეფეს აუჯანყდა რამდენიმე დიდებული და მათ შორის გუგარქის პიტაქსი; ეს უჯანასკნელი განუდგა სომხეთის მეფეს და თავისი სამფლობელო ქართლის მეფეს დაუმორჩილა. სომხეთის სპარაპეტმა მუშედ მამიკონიანმა ილაშქრა ქართლზე და გუგარქი სომხეთს დაუბრუნა²⁹. ამ ცნობას ეხმაურება მოვსეს ხორენაცის ცნობაც, რომლის თანახმად, გუგარქი სომხეთში შედის და ის პეროზი, რომელსაც ბ. მჭედლიშვილი ქართლის ცხოვრების ფეროზის იდენტურად მიიჩნევს, არის არა ქართლის ერთ-ერთი ერისთავი, არამედ სომხეთის ნახარაღი გარდმანაცის გვარიდან³⁰.

ამრიგად, ყველა ის ცნობა, რომელიც უშუალოდ ფეროზს ეხება, იმდენად არეულ-დარეულია, არარეალური, რეალურ ისტორიულ ვითარებას დაშორებული, რომ ამ ყალბ სიტუაციებთან დაკავშირებული ფეროზის შესახებ რაიმეს კონკრეტულის თქმა და მისი მიჩნევა რეალურ პიროვნებად საერთოდ ძნელია. თუ ეს ფეროზი, მართლაც იყო რანის გამგებელი, ის არ შეიძლებოდა მირიანის ქვეშევრდომი ყოფილიყო, რადგან რანი ამ დროს ქართლს არ ეკუთვნოდა; თუ იგივე პირი გახდა შემდგომში გუგარქის ერისთავი, ეს ცხადია,

²⁸ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 62—63.

²⁹ იქვე, გვ. 60—61.

³⁰ История Армении Моисея Хоренского, М., 1858, გვ. 199.

არ შეიძლება ისეთი გაცვლა-გამოცვლით მომხდარიყო, როგორც ეს მემატანეს აქვს წარმოდგენილი, რადგან რანი ცალკე პოლიტიკური ერთეული იყო და გუგარქი კი, როგორც ჩანს, სომხეთს ეკუთვნოდა; გუგარქის პიტიახში პეროზ გარდმანაცი, რომელიც მოვსეს ხორენაციის ჰყავს მოხსენიებული, არ შეიძლება იყოს რანის გამგებლის ფეროზის იდენტური — ეს სპარსელია, ის კი — სომეხი. ერთი სიტყვით ცხადია, რომ XI საუკუნის მემატანეს ძლიერ დარღვეული აქვს ისტორიული პერსპექტივა, აღრული ისტორიული სიტუაცია და ამ არეულ სიტუაციაში მოქმედი პერსონაჟი არ შეიძლება მივიჩნიოთ ისეთ პირად, რომელსაც სრულიად კონკრეტული ძეგლის აგება შეიძლება მიეწერებოდეს.

რაც შეეხება ფეროზის მოხსენიებას „ქართლის ცხოვრების“ სხვა დანარჩენ ადგილებში, აქ ფეროზი თვითონ აღარაა მოქმედი პირი და მისი რამდენიმეჯერ ხსენება იმით კი არაა განპირობებული, რომ ის რაღაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პიროვნებაა, არამედ იმით, რომ ქართლის მეფეს ვარზა-ბაქარს ორი ცოლი ჰყავდა: ერთი ასული თრდატისა, მირიანის შვილის შვილის შვილი, ხოლო მეორე ფეროზის ძისწული; ორივე ცოლისაგან ვარზა-ბაქარს ჰყავდა შვილები და იმისთვის რომ აეხსნას შკითხველს, ვისი შთამომავალი იყვნენ ვარზა-ბაქარის მომდევნო მეფეები — ასე, ვარზა-ბაქარის მომდევნო მეფე იყო სიმეობი მისი, „ძე რევისი, ძის წული მირიანისი“ თრდატ, ხოლო შემდეგ გამეფდა „ძე ვარზა-ბაქარისი, ძის წული ფეროზისი, სახელით ფარსმანი“ (ქცა, I, გვ. 137). მაშ, თვით ფეროზი აქ უკვე არაფერ შუაშია და მისი სახელი იხსენიება მხოლოდ შთამომავლობის ხაზის გასარკვევად. აი, ეს მეფე ფარსმანი, „ძისწულის წული ფეროზისი“; მიაჩნია ლეონტი მროველს ბოლნისის აღმშენებლად და ამას იჯერებენ ს. კაკაბაძეც, ბ. მჭედლიშვილიც და რ. პატარიძეც. თუ მემატანესადმი მთლიანად ნდობის კურსს ავიღებთ, მაშინ იმაშიც ვენდოთ, რომ ბოლნისს ეკლესია აშენდა (დაიწყო და დასრულდა) ამ ფარსმანის დროს. ხოლო ფარსმანის დროს კი ფეროზ ერისთავი დიდი ხანია ცოცხალი აღარაა. უკვე ვარზა-ბაქარის დროს იგი აღარ იხსენიება — ლაპარაკია მხოლოდ მის შვილებზე (ქცა, I, გვ. 137), ფარსმანის წინამორბედი მეფის თრდატის დროს ერისთავი სამშვილდისა სულ სხვა პირი — ვინმე ფარსმანი³¹. და ყოველივე ამის საფუძველზე როგორ სურათს გვიხატავენ ბოლნისის სიონის ახლებურად დამორიღებელნი: ფარსმანი აშენებს ბოლნისს და მის სამშენებლო წარწერაში რატომღაც იხსენიებს თავის პაპის მამას დედის ხაზით, რომელსაც არავითარი კავშირი არ შეიძლება ჰქონოდა ბოლნისის მშენებლობასთან, რადგან ამ დროს იგი კარგა ხნის გარდაცვლილი იყო. აღნიშნულ ავტორებს რატომღაც გამოორიცხულად მიაჩნიათ ქართლის უხუნაესი მბრძანებელის, სპარსეთის შაჰის ხსენება წარწერაში, რადგან მშენებლობის დასასრულისათვის ის ცოცხალი არ იყო, თუმცა ტაძრის შენება მის დროს დაუწყიათ, ხოლო შესაძლებლად მიაჩნიათ წარწერაში მოხსენიებული იყოს ტაძრის მშენებელი მეფის კარგა ხნის გარდაცვლილი პაპის მამა, რომელიც ტაძრის მშენებლობასთან სა-

³¹ ბ. მჭედლიშვილის ცდა სამშვილდის ერისთავად ამ დროს წარმოდგენის მომავალი მეფე ფარსმანი, გამოორიცხულია, რადგან მემატანეს, რომელიც დაწერილებით აღწესხავს, ვინ ვისი ძე და ძის წული ან ძისწულის წული იყო, დაუჭერებელია არ აღნიშნა ვინ იყო ეს ერისთავი ფარსმანი, ის რომ მეფეთა გვარადან ყოფილიყო და მით უფრო მომავალი მეფე.

ერთოდ არ ჩანს არავითარ კავშირში. მკითხველმა თვით განსაჯოს, რამდენად ლოგიკურია ასეთი მსჯელობა.

ამდენად, არც ისტორიულ რეალითა გათვალისწინება, არც სამშენებლო წარწერის მონაცემები, არც ცნობები რანის ერისთავის ფეროზის შესახებ, არ იძლევიან არავითარ, თუნდაც ოდნავ ხელშესახებ საბუთს იმისათვის, რომ ბოლნისის სიონის დათარიღება მოხდეს IV ს-ის დასასრულით ან V ს-ის დასაწყისით.

კიდევ ერთი გარემოება: რ. პატარიძე ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერის ბოლოს ასე კითხულობს: „...ვინ ამა ეკლესიასა მშრომელსა ბოლნელსა ეპისკოპოსსა ხულოცის იგიცა ღმერთმან შეიწყალებს. ამენ“³².

ნათუ რ. პატარიძეს და ტექსტის აღდგენაში მის თანამონაწილე ბ. მჭედლიშვილს არ აფიქრებთ ეს „...ბოლნელსა ეპისკოპოსსა...“ საინტერესოა, როგორ ახსნიან ისინი იმას, რომ IV ს-ის დასასრულს თუ V ს-ის დასაწყისში გამოკვეთილ წარწერაში იხსენიება „ბოლნელი ეპისკოპოსი“? აქამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში ასე იყო ცნობილი, რომ ქართლის დაცოფა საეპისკოპოსოებად ვახტანგ გორგასალის საეკლესიო რეფორმის შემადგენელი ნაწილი იყო; ამასთან ბ. მჭედლიშვილი თვითვე იმოწმებს ჯუანშერის ცნობას, რომ ბოლნისის ეპისკოპოსი დასვა ვახტანგმა (ბ. მჭედლიშვილი, გვ. 101). ახლა, როგორც ჩანს, ჩვენი მოპაექრეები იმასაც მოითხოვენ, რომ ქართლში საეპისკოპოსოთა დაარსებაც გადავთარიღოთ და IV ს-ში გადავიტანოთ!

წოდარ ლომოური

ბ. მჭედლიშვილისა და ს. კაკაბაძის წერილებში აღძრულია წმინდა სახელოვნებათმცოდნეო საკითხებიც. უფრო სწორედ, ორივე ავტორი ცდილობს დაარღვიოს ჩუბინაშვილისეული დებულებები ბოლნისის შესახებ. ჩვენი შენიშვნები, რა თქმა უნდა, არაა გამიზნული გიორგი ჩუბინაშვილის დასაცავად. ხელოვნების დარგის სპეციალისტი ჩუბინაშვილისავე გამოკვლევებში ადვილად იპოვნის პასუხს ყველა ამ „სადავო პუნქტთან“ დაკავშირებით, მაგრამ მაინც გვინდა ზოგი რამ განვმარტოთ დანიტერესებული მკითხველისათვის.

ბ. მჭედლიშვილის აზრით. გ. ჩუბინაშვილი ბოლნისის სიონის ანალიზისას „კმაყოფილდება აღწერით. ე. ი. არ იძლევა ანალიზს და დათარიღებაზე არაფერს ამბობს“ (გვ. 106). ჩანს, მჭედლიშვილს სხვათაგან განსხვავებულად ესმის ანალიზის რაობა. რასაკვირველია, თუ კი იგი ყოველ გვერდზე დათარიღებას ელოდა, იმედგაცრუებული დარჩებოდა. მაგრამ წიგნის მთელ ამ ნაწილს ჰქვია Художественный анализ архитектурных форм და მთავარი ამოცანა აქ არის იმ მხატვრული წრის მონივნა, რომელშიც ეძებნება ადგილი ბოლნისის სიონის ხუროთმოძღვრებას. საამისიდ მოტანილია ანალოგიები, განხილულია შენობის გეგმის კომპოზიცია, შიდა სივრცის აღქმის, განათების, გარე მასებისა და ფასადების, ქვაზე ნაკვეთი დეკორის ხასიათი. სწორედ ამას ერქვა აქამდე „ანალიზი“. მისი მეშვეობით კი ბოლნისის საყდარი თავსდება აღრექრისტიანული ე. წ. საქრისტიანო ადმოსავლეთის ხელოვნების წრეში და წარმოჩენილია ძეგლის თავისებურებაც.

³² რ. პატარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

9. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1984, № 3

მომდევნო პუნქტები კერძო, კონკრეტულ საკითხებს ეხება. მიეყვით ჩვენც ამ საკითხებს.

გ. ჩუბინაშვილის ნათქვამი— „...в Болниском Сионе... все-таки проявляются скромные зачатки также постановки проблемы наружной обработки здания»—ბ. მჭედლიშვილს ასე აქვს განმარტებული: „ეს წინადადება ისეთ შთაბეჭდილებას გვიქმნის, თითქოს V ს-ის დასასრულისათვის ქართველებს წარმოდგენა არა აქვთ ქტრისტიანულ საეკლესიო არქიტექტურაზე და დამოუკიდებლად იწყებენ საეკლესიო ფორმების, ბაზილიკური თემის დამუშავებას და ძიებას, რომელსაც საბოლოოდ ისინი უნდა მიეყვანა სხვა ქვეყნების მიერ შსა-უკუნის წინათ მიღწეულ შედეგამდე“ (გვ. 106-107). აქ ყველაფერი გაუგებრობაზეა აგებული. ერთი, რომ „2 საუკუნის წინათ“—ე. ი. III საუკუნეში, არ არსებობდა არავითარი ქრისტიანული საეკლესიო არქიტექტურა. შემდეგ, გ. ჩუბინაშვილის მსჯელობა ბოლნისის სიონზე დაწერილ წიგნშიც და ყველა სხვა ნაშრომშიც სწორედ იქითკენ იყო მიმართული, ეჩვენებინა, რომ თავიანთი ძიების გზამ ქართველები სწორედ სხვა „შედეგამდე მიიყვანა“, ვიდრე საქრისტიანოს სხვა ქვეყნების ოსტატები. დასასრულ, და ესაა მთავარი, აქ საერთოდ არ არის საუბარი ბაზილიკაზე ვითარცა ტიპზე; საქმე ეხება ფასადის გაფორმების საკითხს. ტაძრის გარე სახის გადაწყვეტა კი ყველგან ვანსხვაგვებულად ხდებოდა, ზოგან კი, სხვათაშორის, ჯერ რომის, შემდეგ კი ბიზანტიის იმპერიის უმთავრეს ცენტრებში (რომი, კონსტანტინოპოლი, იერუსალიმი, თესლონიკი) ეს საკითხი საერთოდ არა მდგარა.

იმავე 106-ე გვერდზე ბ. მჭედლიშვილი გვაფრთხილებს: „როდესაც ბოლნისის ტაძარს განვიხილავთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ იგი აგებულია მეფის, ან მეფის ტოლი კაცის მიერ, როგორც კათედრალური ეკლესია და მისი სამონასტრო ეკლესიების გვერდით დაყენება სასურველ შედეგს არ გამოიღებს“. ჯერ ერთი, თვით ბ. მჭედლიშვილი სხვაგან (გვ. 101). ბოლნისის საეპისკოპოსოს თითქოს ვახტანგ გორგასალის დაარსებულად მიიჩნევს და, ამდენად, გაუგებარია 100 წლით ადრე როგორ იქნებოდა უეპისკოპოსო ტაძარი კათედრალური (ელია მთავარეპისკოპოსი ხომ, უთუოდ, მცხეთელი მღვდელმთავარია). მეორეც, უეპეელია რა დანიშნულების გათვალისწინების საჭიროება, ზოგადი ისტორიული სურათის დადგენისას მას არა აქვს უპირატესი მნიშვნელობა. თანაც სამონასტრო, საკათედრო და სხვა ხასიათის ეკლესიები ერთმანეთზე ზეგავლენას ახდენდნენ (გავიხსენოთ, მაგ., სენდენის სააბატოს ტაძარი, რომელიც გუთური ზღოთმომძღვრების საწყისი შეიქმნა) და მათი მასშტაბიც დიდად ვანსხვაგვებული შეიძლება იყოს. ასე, ვთქვათ, ვაჩანაძის „ყველაწმინდას“ სამონასტრო ეკლესია არა მარტო მხატვრული ღირსებით, არც ზომით ჩამოუვარდება ბევრ საეპისკოპოსო საყვარელს შემთხვევაში, არქიტექტურის ისტორია, სადაც მკაცრად იქნებოდა გამიჯნული სამონასტრო და საეპისკოპოსო ტაძრები, წარმოუდგენელია.

პასტოფორიუმების შესახებ ბ. მჭედლიშვილი წერს: „... IV ს-ის დასასრულს ბაზილიკურ ნაგებობებში საკურთხევლის გვერდით სადიაკვნოსა და სამკვეთლოს მოწყობა ჩვეულებრივი ამბავია. ამასთან უპირატესობა ეძლეოდა სწორკუთხედში ჩასმულ აფსიდს. ამდენად, უპასტოფორიო ბოლნისის სიონი უკვე IV ს-ის მიწურულისათვის არქაულ შთაბეჭდილებას ტოვებს“ (გვ. 106). პასტოფორიუმებიანი საკურთხეველი, მართლაც, IV ს-ის დასასრულიდან ჩანს ჩრდი-

ლოეთ სირიასა და პალესტინაში, მაგრამ საქრისტიანოს სხვა მხარეებში სულ ცოტა VI ს-ის შუა ხანამდე ძალზე ხშირია სწორედ საკურთხეველი გვერდის სადგომების გარეშე. ასეა მცირე აზიის შიდა რაიონებში, სამხრ. სირიაში ან თუნდაც კონსტანტინოპოლში (იხ. მაგ., იუსტინიანე დიდის ქრესტომატიული ნაგებობანი. შტრ. Болнисский Снон, გვ. 124—125). იგივე ითქმის შვერილ აფსიდებზედაც, რომელნიც მრავალ რეგიონში სწორედ რომ დამახასიათებელი ფორმაა.

ბ. მჭედლიშვილი ფიქრობს, რომ გ. ჩუბინაშვილის მიერ უპასტოფორიუმო საკურთხეველის „შემოთავაზებული II-IV ს-ის პარალელები მხარს უმაგრებენ წყაროების მონაცემებს ბოლნისის სიონის აშენების შესახებ IV ს-ის II ნახევარში“ (გვ. 107). ცხადია, გ. ჩუბინაშვილი ვერ მოიტანდა რაიმე ანალოგიებს II საუკუნიდან, რადგან იმ დროს საეკლესიო ნაგებობები არც არსებულა. ნამდვილად წიგნის 124—125-ე გვერდებზე სულ სხვა რამ არის ნათქვამი, ლაპარაკობს რა სამხრეთ სირიაში უპასტოფორიუმო ტაძრების სიმრავლეზე, გ. ჩუბინაშვილი დისძენს: «Зато в ряде других гауранских же базилик... примыкающих к ... римским художественным формам и имеющихся, в частности, в языческом святылище (192 г. хр. эры) в Эс-Санамене развитой прообраз алтаря в форме полукруглой абсиды с камерами по сторонам ее, имеется эта вторая параллельная форма (ე. ი. გვერდის სადგომებიანი საკურთხეველი). შემდეგ ნახსენებია კიდევ მცირე აზიის უპასტოფორიუმო ძეგლები (უფრო V ს-ისა) და აპარანის (იგივე კასაპის) სომხური ნაგებობა.

ასეთივე გაუგებრობაა ნართექსის შემთხვევაშიც. ბ. მჭედლიშვილს თუ დავუჯერებთ, გ. ჩუბინაშვილის მიხედვით, ნართექსების უქონლობა ძალზე დამახასიათებელია ელინისტური ბაზილიკებისათვის და იგი უძველეს ქართულსა და სომხურ ბაზილიკებშიც არა გვხვდება. „ამდენად,—ასკენის ბ. მჭედლიშვილი,—ამ მომენტის გთავალისწინებთაც ბოლნისის სიონი უძველეს ეკლესიად შეიძლება მივიჩნიოთ, ხოლო საქართველოსათვის „უძველესი“ IV საუკუნე იქნება“ (გვ. 107). სინამდვილეში კი გ. ჩუბინაშვილი წერს: «Как известно, нартекс является по западному фасаду излюбленной формой в эллинистического типа базиликах Сирии. Характерно, что и в других древних базиликах Грузии, а также Армении нартексов нет» (გვ. 128). ამრიგად, ნართექსის უქონლობა ქართულ და სომხურ ტაძრებს განასხვავებს ე. წ. „ელინისტური“ (ე. ი. სვეტებიანი, ხით გადახურული) ბაზილიკებისაგან, ხოლო „ძველი“, თუ როგორც «ძვენიერ»-ს ბ. მჭედლიშვილი თარგმნის, „უძველესი“, საქართველოსათვის, ისევე როგორც მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის, IV საუკუნეც იქნება V-ცა და VI-ც—ე. ი. მთელი „ადრე“—თუ „ძველქრისტიანული“ ხანა.

მსჯელობს რა ორაფსიდიან სადგომთან დაკავშირებით გ. ჩუბინაშვილის მიერ მოტანილ ანალოგიებზე, სახელდობრ, ამგვარი მოხაზულობის რამდენიმე მაგალითსა და მისი სავარაუდო დანიშნულების გასარკვევად მოხმობილ ერერუიქისა და თალინის მცირე ეკლესიის ნიშებზე, ბ. მჭედლიშვილი აღნიშნავს: „...პუბლიკაციებში სომხეთის არქიტექტურაზე, ერერუიქისა და თალინის ეკლესიების გვემარებაში მსგავსი რამ არ შეინიშნება. ამდენად, უკვე ეს გარემოებაც ერთგვარად უნდობლობას ბადებს სხვა დამოწმებული პარალე-

ლების მიმართ, რომლებიც ბიბლიოგრაფიული იშვიათობის გამო შესაძლოა ყველასათვის ხელმისაწვდომი არ იყოს და შეცდომაში შეიყვანოს ბევრი მკვლევარი“ (გვ. 107). მეთხველისთვის მიგვინდია უქანასკნელი წინდადების ეთიკური მხრით შეფასება, მაგრამ ზოგი რამ აქ პირდაპირ გაცეხას იწვევს. ჯერ ერთი, რა „არ შეინიშნება“ დასახელებული სომხური ტაძრების გეგმარებაში? კონქით დასრულებული ნიშები იქ უუქველად არის (ეს ხომ საურმაგ კაკაბაძესაც აქვს აღნიშნული), ხოლო მათ ფუნქციანზე გეგმა, რასაკვირველია, ვერაფერს იტყვის. ან, ეგებ, ბ. მჭედლიშვილი იქ ორატსიდიან სათავსებს დაეძებდა? ძნელი წარმოსადგენია აგრეთვე ისეთი „მკვლევარი“, ვისაც ხელი არ მიუწვდება რომის სანტა-კონსტანცას, ლატერანის ბაპტისტერიუმის, რავენის სან-ვიტალეს საქრესტომატიო გეგმებზე. გ. ჩუბინაშვილის მოტანილი ბარალელების შემოწმებას ბ. მჭედლიშვილი 109-ე გვერდზეც ითხოვს ყრუ დასავლეთი კედლის საკითხთან დაკავშირებით. აღმოაჩინა რა, მისი სიტყვით, დასავლეთის კარი აშთარაკის ეკლესიაში, მას აუქვევებს მოტანილი სირიული ანალოგიებიც. გ. ჩუბინაშვილს ჯერ ხომ აშთარაკი საეგვიპტოსო მოყავს (იხ. სქოლიო 1 143-ე გვ-ზე, სადაც აღნიშნულია წინააღმდეგობა ი. სტრიგოვსკის გამოცემულ ასახელობათა — სადაც კარი არა ჩანს — და სიტყვიერ განმარტებას შორის), მაგრამ აშთარაკის ბაზილიკას უახლესი გამოცემებით მართლაც არა ჰქონია დასავლეთის კარი! აშთარაკის ცნობილ გუმბათიან ეკლესიას ხომ არ გულისხმობს ბ. მჭედლიშვილი, როდესაც აცხადებს: „ამ ეკლესიას დასავლეთიდან აქვს შესასვლელი“-ო? რა თქმა უნდა, „შესამოწმებელი“ არც სირიულ ანალოგიებს ჰქირს რამე.

აქ არაფერს ვიტყვით ჩრდილოეთის გალერეასა, ნავის გამყოფ სვეტებსა, ლუნეტებზე, ზოგიერთ ორნამენტულ მოტივზე, რომლებიც როგორც თვით ბ. მჭედლიშვილი ამბობს ერთგან, თარიღს ვერ დავგაზუსტებინებენ (თუმც კი მან ვერ შეამჩნია ორი მოტივი, რომელიც მარტო V-VI სს-ში გვხვდება იხ. Болнисский сион გვ. 170, 172) და რომელთა გამო მთელი მისი მსჯელობა ფუჭია, რადგანაც, როგორც ითქვა, ისინი აქ სხვა მოსაზრებით, ძეგლის მხატვრულ-ისტორიული დახასიათებისათვის არის გაანალიზებული. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ბ. მჭედლიშვილი არასწორად მიაწერს გ. ჩუბინაშვილს აზრს, ვითომც „ნალისებრი თალი ქართული არქიტექტურის პროდუქტია“ (გვ. 108), «Болнисский Сион»-ის შესაბამის გვერდებზე სინამდვილეში ნათქვამია: «Не останавливаясь подробнее на обзоре тех памятников, в которых применяется подковообразная форма, ... я считаю нужным только оттенить применение ее в структурном виде в памятниках Месопотамии, Сирии, Ирана и Малой Азии того же времени, что и Болнисский Сион, а также примыкающих к нему веков. Исследователи... пытались высказать при этом свое мнение о «происхождении» этой формы арки из того или иного района, но никакой убедительностью эти утверждения не отличаются» (გვ. 134—135). შემდეგ აღნიშნულია დეკორაციული ნალისებრი თალის არსებობა რომსა და ინდოეთში.

საკმაოდ ვრცლად მსჯელობს ბ. მჭედლიშვილი ბოლნისის სიონის თავდაპირველი გადახურვის ფორმასა და, აქედან გამომდინარე, განათების სისტემაზე

¹ იხ. B. Brentyes, S. Mnatsakanyan, N. Stepanjan, Kunst des Mittelalters in Armenien, Berlin, 1981, გვ. 60).

(გვ. 108—109, 110). თავისთავად ეს საგულისხმო და საქმაოდ რთული საკითხია, მაგრამ დათარიღების პრობლემასთან მას მხოლოდ ნაწილობრივ თუ აქვს კავშირი, რადგან ორკალთიანი თუ ოთხკალთიანი გადახურვა IV-VI სს-ში მაინც, დროის განმსაზღვრელად არ გამოდგება. მაგრამ ამ ნაწილშიც მრავლადაა გაუგებრობანი. ბ. მჭედლოშვილს თუ დავეუჯერებთ, გ. ჩუბინაშვილს XVII ს-ის „გადახურვის თაღელები“ (ჩანს, კამარებია ნაგულისხმები) თავდაპირველად მიუჩნევია და ამიტომაც „გადახურვაზე ავტორისეული მსჯელობა არაღამაჯერებელია“ (გვ. 108). ვერაინ დაუშლის ბ. მჭედლოშვილს გაიზიაროს შუა ნავის გადახურვის სხვა რეკონსტრუქცია, მაგრამ უცნაურია, რომ მან ვერ შენიშნა ორგზისი მსჯელობა (გვ. 16 და გვ. 136) გადახურვის პირვანდელ, ახლანდელისგან განსხვავებულ ფორმაზე. არაზუსტადაა ვადმოცემული გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებაც სიონის სარკმლების შესახებ. ბ. მჭედლოშვილის თანახმად, მისი „შეხედულებით თითოეულ ნავს თითო სარკმელი უნდა ჰქონოდა აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ დღეს შემორჩენილი სარკმლებიდან არც ერთი თავდაპირველი არ არის... თუ ნავებს, მართლაც, ამ გვარი განათება ჰქონდა და რალაც მიზეზით მათი ღიობები გააუქმეს, მაშინ კვალი მათი არსებობისა მაინც უნდა გადარჩენილიყო... ვინაიდან მსგავსი ნიშნები არც ერთ მკვლევარს არა აქვს შემჩნეული, მათ შორის გ. ჩუბინაშვილსაც, უნდა დავეუშვათ, რომ ეკლესიამ განიცადა უფრო სერიოზული რეკონსტრუქცია, რომელმაც მნიშვნელოვნად უცვალა სახე ტაძრის ზედა ნაწილს“ (გვ. 108). სინამდვილეში საგარაუდოდ რეკონსტრუქციებული გ. ჩუბინაშვილს მხოლოდ დასავლეთი კედლის სარკმლები აქვს, რომლის ზედა ნაწილი, მართლაც, მოლიანად არის აღდგენილი კამარის არეში XVII ს-ის განახლებისას (იხ. გვ. 17—18, 19). რაც შეეხება აღმოსავლეთის სარკმლებს, ისინი არც შენობის ზედა ნაწილში მდებარეობს და არც უკვალოდ გამქრალა. საკურთხევლის აფსიდისა და სამხრეთი ნავის სარკმლები ახლაც არსებობს, ოღონდ, როგორც გ. ჩუბინაშვილი მიუთითებს, გადაკეთებული სახით («окна уменьшены, искажены в формах или переложены совершенно заново» — გვ. 139, შდრ. აგრეთვე გვ. 19). რაც შეეხება ჩრდილოეთის სარკმელს, გ. ჩუბინაშვილს იგი ამოქოლილი ჰგონია და არა „რალაც მიზეზით“, არამედ ჩრდილო-აღმოსავლეთი ეკვდერის მიშენების გამო.

ბ. მჭედლოშვილის აზრით, „გრძივი ნაგებობისთვის კანონზომიერია განათების მოწყობა გრძივ კედლებში. ბუნებრივი განათების სხვაგვარი გადაწყვეტა საინჟინრო თვალსაზრისით მიუღებელია“. „უსამართლობა იქნებოდა ჩვენი მზრიდან“, აღნიშნავს იგი, „სიონის ზურთათმძღვარს დაგაბრალოთ ელემენტარული საინჟინრო უცოდინარობა“ (გვ. 108). იმასაც რომ თავი დავანებოთ, თუ რას ნიშნავს აქ „საინჟინრო თვალსაზრისი“, როგორც ეტყობა, თუ ბოლნისის სიონის არა, შუა საუკუნეების არაერთი სხვა ოსტატისთვის ეს „ელემენტარული“ მოთხოვნა უცნობი ყოფილა. მას არ დაგიდევდათ არც ბინბირ-კილისეს (მცირე აზია) IV, V, VI, XV და XVI ეკლესიების არქიტექტორები (ამათგან VI და XV ორქანობა სახურავით იყო დასრულებული?) არც ს. პერედე როდა-ს და სტ. მარტინ დუ კანიგონის (ორივე XI ს-ის, ესპანეთი, აგრეთვე ორკალთასაზურავიანი), არც XI ს-ის ლესტერპისა და ბოლიე-ლე-ლოშის და

² J. Strzykowski, Kleinasiens. Ein Neulander Kunstgeschichte, Leipzig, 1903, გვ. 15—16, 60—61, 64—65; Abb. 10—11, 49, 52—54.

XII ს-ის ფონტენეს ფრანგული ეკლესიების მაშენებელნი³. ამთგან არც ერთს არა აქვს შუა ნავის სარკმლები, ისევე როგორც, ჩანს, კასაპის სომხურ ეკლესიასაც⁴.

საკმაოდ ნებისმიერია განათებისათვის შესასვლელთა მნიშვნელობის შესახებ გ. ჩუბინაშვილის მსჯელობის ბ. მჭედლიშვილისეული ინტერპრეტაცია. გ. ჩუბინაშვილის „შუქის რაოდენობის გაზრდა“ (Увеличено количество света) და ჩრდილოეთის ნაგში მყოფთა „მეტად განათება“ (большая освещенность) ბ. მჭედლიშვილითან „ბოლნისის სიონის კარის დობებდნან განათება“—დ და „ჩრდილოეთ გაღერეიდან ცენტრალური და ჩრდილოეთის ნაგების განსაკუთრებულ განათება“—დ იქცა (გვ. 108—109). სხვათაშორის, ჩრდილოეთის შესასვლელები ბოლნისის საყდარში მინც რომ შუქის დამატებით წყაროდაა გააზრებული, ყველა დარწმუნდება, ვინც კი მას აღგილზე გაეცნობა.

არც ის არის დამაჯერებელი, ვითომც „XVII საუკუნეში ტაძრის ზედა ნაწილის რეკონსტრუქცია... შემოიფარგლა მხოლოდ კტიტორის ეკონომიკური შესაძლებლობით და ეკლესიის გადარჩენის აუცილებლობით“ (გვ. 108) ორქანობა სახურავის მოწყობა რიგი სირთულეების გადალახვას—და ე. ი. ზედმეტ ხარჯს—რომ მოითხოვდა, ამაზე ყურადღებას ამახვილებს რ. გვერდწითელი, რომლის აზრს თვით ბ. მჭედლიშვილიც სათანადო პატივისცემით ეკიდება: «... в XVII веке восстановителям Болнисского Сиона... пришлось прибегнуть к целому ряду ухищрений, от корытообразных сводиков перекрытия главного нефа до ряда поперечных стенок над сводами, позволивших получить нужные им уклон крыши»⁵.

დასასრულ, ლაპარაკობს რა ურბნისის, კაწარეთისა და ანჩისხატის ტაძართა მიმართ გ. ჩუბინაშვილის მიერ ორქანობიანი გადახურვის აღდგენის უარყოფაზე (გვ. 110), ბ. მჭედლიშვილს რატომაც არ ახსენდება, რომ კაწარეთის სამების შემთხვევაში ამგვარი რეკონსტრუქციის, მისი გამოთქმით, „სრული უსაფუძვლობა“ თვითონვე გ. ჩუბინაშვილმა გაარკვეა⁶. რაც შეეხება სხვა ნიმუშებს, ურბნისის ერთმნიშვნელოვანი აღდგენა ჩვენ ჯერ არა გვაქვს, ხოლო უემქველად ჰქონდა ორქანობიანი გადახურვა — როგორც ეს ნიკო ჩუბინაშვილმა დაადგინა — წილკნის ტაძარს და, როგორც ეტყობა (გ. ცინცაძის რეკონსტრუქციით), გორგასლისეულ სვეტიცხოველსაც. სხვათა შორის, ბ. მჭედლიშვილს არც ისა აქვს ნახსენები, რომ მის მიერ დამოწმებული მ. ჩხიკვაძე ბოლნისის სიონს IV ს-ით კი არა, გორგასლის ზეობის ხანით ათარილებს⁷. და რომ არც რ. გვერდწითელს წამოუყენებია ბოლნისის რაიმე ახალი, გ. ჩუბინაშვილისგან განსხვავებული თარიღი (მიუხედავად იმისა, მაშასადამე, რომ მას სხვა აზრი აქვს ძეგლის გადახურვის თავდაპირველი ფორმის შესახებ.—იხ. მოხ-

³ K. I. Conant, *Carolingian and Romanesque Architecture*, Harmondsworth, 1959, გვ. 51, 61, 129, 159, 160, სურ. 14, 16, 160, 1. 24, 30, 88.

⁴ იხ. B. Brentjes... *Kunst des Mittelalters*... გვ. 60.

⁵ P. Гвердцители, *Некоторые характерные черты грузинских базилик V—VI вв. в свете новых данных*. IV Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1983, გვ. 9.

⁶ Г. Н. Чубинашвили *Архитектура Кахетии*, Тб., 1959, გვ. 63.

⁷ იხ. მ. ჩხიკვაძე, *ბოლნისის ტაძრის აგების დთარიღებისათვის*. არქიტექტურა და მშენებლობა, თბილისის სახ. სამხატვრო აკადემიის სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 1981, გვ. 40—57.

სენებები ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ II (1977 წ.) და IV (1983 წ.) საერთაშორისო სიმპოზიუმებზე).

უცნაურია ისიც, რომ ნიშნის მოგებით ამბობს რა გ. ჩუბინაშვილის მისამართით, მან „ძიების და ჩამორჩენილობის გამოვლინებად ...სწორედ ის ელემენტები“ მიიჩნია, რომლებიც XVII ს-ის რესტავრაციის მიეკუთვნებაო, ბ. მჭედლიშვილი უარყოფს ბოლნისის სიონის იმ მარჯინებულ ნიშნებს, რომელთაც სწორედ რომ უნდა ჩასჭიდებოდა, თუკი მისი აღრეული ხანით გადათარილება სურს.

გ. ჩუბინაშვილის კიდევ ერთი „მცდარი მოსაზრება“ და, მეტიც, „მეთოდოლოგიური უზუსტობა სტილისტიკურ ანალიზისას“ აღმოაჩინა ბ. მჭედლიშვილმა აფსიდის კაპიტელის რელიეფის ვარჩევაში. გ. ჩუბინაშვილმა აქ გამოსახული არსებანი ფრთოსან ლომებად ჩათვალა, ბ. მჭედლიშვილი კი ნ. ალადაშვილის აზრს ემხრობა, რომელიც მათ უფროთ ლომებად თვლის. სრულეზით გაუგებარია, რატომ ჰგონია ბ. მჭედლიშვილს მოტივის ამოცნობა — გ. ჩუბინაშვილისა და ნ. ალადაშვილის შეხედულებებს ესლა ასხვავებს — სტილისტიკური ანალიზი. სტილის მახასიათებლები აქ გ. ჩუბინაშვილთანაცა და ნ. ალადაშვილთანაც⁸ გამოსახულების პირობითობა და ორნამენტულობაა. სწორედ ამგვარი ვადმოცემა ბადებს გამოსახულების ნაწილთა ამოცნობის სირთულესაც. ორნამენტული ხეიები შეიძლება მთლიან ფაფრადაც გავიაზროთ და — თუ კისერთან კონტურის გადაჭარბებულ გაზნექასა და ფოთლისებრი მოხაზულობის გამოყოფაზე გავამახვილებთ ყურადღებას — მკერდადა და ფრთად. თავი და თავი ისაა, რომ ორივე შემთხვევაში არა მარტო რელიეფის მხატვრული დახასიათება რჩება უცვლელი, არამედ მისი სემანტიკისა და წარმომავლობის ინტერპრეტაციაც.

მეტად დამაფიქრებელია ბოლნისის სიონის აღმშენებლობის ისტორიის ბ. მჭედლიშვილისეული სურათიც. თუ მშენებლობა IV ს-ის შუა ხანაში დაიწყო და საუკუნის გასულსა თუ სულაც V ს-ის დამდეგს გასრულდა, მისი ხანგრძლივობა 40—50 წელი გამოდის. ასეთ შემთხვევაში აქ ოსტატების ორი თაობა მაინც გამოიკვლებოდა. მაგრამ არც თვით ნაგებობა და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, არც მისი ჩუქურთმოვანი სამკაული წარმოაჩენს იმ რიგის სხვაობებს, რაც ათწლეულთა სიგრძეზე გარდაუვლად ხდება ხელოვნებაში. კიდევ უფრო ძნელი დასაჯერებელია ამ მხრივ. პატარიძის ვარაუდი⁹, რომ სიონი 342/3—356/7 წწ. ააგეს, ხოლო 390 წელს განაახლეს. პირველ მშენებლობას იგი ჩრდილოეთი ფასადის ვრცელ წარწერას აკუთვნებს, მეორეს კი იმავე ფასადზე ე. წ. აზარუხტის წარწერას. მაგრამ იმას რაღა ვუყოთ, რომ ეს ფასადი სრულეზით ერთიანია კონსტრუქციულ-სამშენებლო თუ მხატვრული თვალსაზრისით? დიდად სათუთა მეორე წარწერაში (აქ კარის შემაზება ლაპარაკი!) აღდგენის ამბავის ამოკითხვაც. სამწუხაროდ, თვით ნაგებობის მონაცემთა უგულვებლყოფა მასზე ამოკვეთილი წარწერის განხილვისას ბოლოდროინდელ გამოკვლევებში არაერთგზის შეგვხვედრია. ისეთ საფუძვლიან შრომაშიც კი, როგორიცაა ნ. შოშიაშვილის მიერ მომზადებული „ქართული ლაპიდარული წარწერების“ I ტომი (თბ.,

⁸ შტრ.: Болнисский Сион, გვ. 157 და Н. А л а д а ш в и л и, Монументальная скульптура Грузии, М., 1977, გვ. 14.

⁹ რ. პ ა ტ ა რ ი ძ ე, ბოლნისის ტაძრის სამშენებლო წარწერები, მნათობი, 1984 № 1, გვ. 154—155.

1980), სამშვილდის სიონის სამშენებლო წარწერა VIII ს-ის ნაცვლად X ს-ის 50-იანი წლებით არის დათარიღებული (გვ. 230—231). ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ოშკისა და ხახულის ტაძართა თანამედროვეა, ხოლო ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზი კი არა, უბრალო შეპირისპირებაც კი კმარა მათი თანადროულობის გამოსარჩევად.

აჯამებს რა გ. ჩუბინაშვილის კვლევის შედეგებს, ბ. მჭედლიშვილი ასკვნის, რომ იგი „არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ბოლნისის სიონი V ს-ის დასასრულით დათარიღდეს. პირიქით, ხშირ შემთხვევაში ეს ცდა სადავო ჩანს, და გარკვევით შეინიშნება მცდელობა მოძიებული პარალელური მასალები დაუქვემდებაროს წინასწარ დასახულ ამოცანას, ბოლნისის სიონი წარმოაჩინოს V ს-ის მიწურულის ძეგლად“ (გვ. 112). აქ აღარაფერს ვიტყვით, თუ რა და რატომ ეჩვენება სადავოდ ბ. მჭედლიშვილს, არც ამ დასკვნის ეთიკურ მხარეზე ვაგაჟანხვლებთ ყურადღებას. საყურადღებო აქ ისაა, რას გულისხმობს გ. ჩუბინაშვილის „წინასწარ დასახული ამოცანა“. თუმცა წინამდებარე წერილში ამის თაობაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ ამ საკითხზე თავისი შეხედულება ბ. მჭედლიშვილმა ჯერ კიდევ 1982 წ. გამოთქვა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში საჯაროდ წაკითხულ მოხსენებაში, შემდეგ კი იგი გამოერებულ იქნა ზ. კიკნაძის და მხატვარ თ. მირზაშვილის მიერ 1983 წ. ივნისში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ამ შეხედულების თანახმად, გ. ჩუბინაშვილს შექმნილი ჰქონია, როგორც ისინი ამბობენ, „ევოლუციური თეორია“, რომლის მიხედვითაც ჩვენში თავიდან აუცილებლად პატარა, მოგვიანებით კი დიდი ეკლესიები შენდებოდა. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში გამართულ პაექრობაზე არაერთგზის ითქვა, რომ მათი წარმოდგენა არ შეესაბამება სინამდვილეს. 1920 წ. 8 ივნისს გ. ჩუბინაშვილმა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე წაკითხა მოხსენება «К вопросу понимания некоторых эпизодов из эпохи введения христианства в Грузию (К анализу источников)». საისტორიო წყაროების ცნობათა მოშველიებით, იგი ვარაუდობდა, რომ პირველად ქართლში ჯვრები აღმართეს, შემდეგ აიგო ეკლესია სევეტიცხოვლის ადგილას, რომელსაც განსაკუთრებით ეკრძალებოდნენ, ცოტა ხანში კი მცხეთის მეორე ეკლესიაც ააგეს, ყოველდღიური წირვის ჩასატარებლად. საამდროოდ კონსტანტინე დიდის წარმოგზავნილი ინსტრუქციები უნდა მოსულიყვნენ, ე. ი. „ნამდვილი“ საეკლესიო ფორმების მცოდნეი. ამრიგად, კვლევითი მუშაობის დასაწყისში გ. ჩუბინაშვილი, უთუოდ, მოელოდა IV ს-ის მონუმენტური მასშტაბის ნაგებობათა მოპოვებას, თანაც ისეთგვარი შენობებისას, რაც რომის იმპერიის, რომაულ-ელინისტური ტრადიციების გამგრძელებელი იქნებოდა. იფარგლებიან რა წყაროების მონაცემებით, თითქმის იმგვარსავე დასკვნამდე მიდიან დღეს ს. კაკაბაძე, ბ. მჭედლიშვილი, ზ. კიკნაძე. მაგრამ ახალი ძეგლების გაცნობამ და მიკვლევამ გამოიწვია ამ წარმოდგენის გადასინჯვა და გადახალისება. სწორედ შემორჩენილ ნაგებობათა ერთობლივი მოხილვის შედეგად ჩამოყალიბდა ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის ჩუბინაშვილისეული კონცეფცია. რასაკვირველია, ცალკეულ შენობათა ახლად გააზრება და გადათარიღებაც საესებით ოსტენბრიცია. ამის დადასტურებას მრავალ ნახავთ გ. ჩუბინაშვილის ნაშრომებშიცა და მისი მოწაფეების გამოკვლევებშიც. მაგრამ მთლიანად აღებული ეს სურათი და საკვანძო ძეგლთა მისეული სტილისტური თუ ქრონოლოგიური განსაზღვრა ეჭვს არ იწვევს. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით,

თუ წუთით მივიღებთ ს. კაკაბაძის, ბ. მჭედლიშვილის და მათ თანამოაზრეთა შემოთავაზებულ დათარიღებას. თუ ბოლნისის ტაძარი და მთელი მისი ჯგუფი IV—V სს-ის მიჯნად „გადავანაცვლეთ“, თითქმის ორი საუკუნის მანძილზე, ე. ი. VI ს-ის ბოლო მეოთხედამდე ჩვენ ლამის არაფერი გვექნება და უცებ, არარაღან აღმოცენდება მცხეთის ჯვრის ტაძრები. სრულებით გაუგებარი გახდება ამ ჯგუფის წინამორბედად მიჩნეული, აშკარად უფრო არქაული, ძეგლები (ნეკრისის მცირე ეკლესია, შუამთისა და ნოქალაქევის ბაზილიკები და სხვ.) — როდინდელილა ისინი? IV ს-ის დასაწყისის? ხოლო თუ უკრიტიკოდ მივდივით წყაროთა ჩვენებას და პირველი ეკლესიების მშენებლებად „ბერძენი“ ოსტატები წარმოვიდგინეთ, მაშინ სულ ვერაფერს გავიგებთ. საიდანაც უნდა მოსულიყვნენ კონსტანტინე დიდის წარმოგზავნილი მშენებლები — რომიდან, კონსტანტინოპოლიდან, ანტიოქიიდან — სულერთია, ისინი ხით დახურულ, გვიანანტიკური ფორმებით გამართულ ტაძრებს ააგებდნენ. რა გზითღა შეიქმნებოდა ოციოდ წლის შემდეგ ასეთი აბსოლუტურად განსხვავებული ხუროთმოძღვრება? ან როგორ ჩამოყალიბდებოდა ის განსაკუთრებული კონსტრუქციული სისტემა, რომელიც, როგორც ფ. დაიჰმანმა¹⁰ აჩვენა, გამოარჩევს ბოლნისის ტაძარს მთელს ადრექრისტიანულ არქიტექტურაში?

ძნელი მისაღებია ახალი დათარიღება საქრისტიანო აღმოსავლეთის ხუროთმოძღვრების ზოგადი სურათის გათვალისწინებითაც. განსაკუთრებული ყურადღების ღირსი ორი რამ გვეგონია: 1. ბოლნისის სიონი კამაროვანი ბაზილიკა, ხოლო კამარებით გადახურული მოზრდილი ბაზილიკური ეკლესიები უფრო VI ს-ისკენ ჩნდება (რ. კ რ ა უ ტ ჰ ა ი მ ე რ ი ს თ ვ ი ს, მაგ., ბინ-ბირ-კილისეს ეკლესიები VI—VII საუკუნეებისა)¹¹. მოგვიანო დათარიღების საფუძველზე დასაბუთებული ტენდენცია ჩანს¹² მ. რესტლეს უახლეს წიგნშიაც, ბინბირ-კილისეს ეკლესიათაგან უძველესთ კი იგი V—VII საუკუნეებისად თვლის¹³. VI საუკუნეზე ადრეული თითქოს არც მესობოტამის კამაროვანი ნაგებობანი. 2. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მეზობელ ზოგიერთ რეგიონში დიდი მასშტაბის ძეგლები აგებოთვე V ს-ის მეორე ნახევრიდან არის გადარჩენილი. ასეა კაპადოკიაში და, რაც მთავარია, სომხეთში, სადაც, ზოგიერთი მკვლევარის მცდელობისდა მიუხედავად, დიდი ბაზილიკებიდან ერთიც ვერ იქნება V ს-ის მეორე ნახევარზე ადრეული. ყველა ამ მოსაზრებას ძნელად თუ გადაწონის მრავალგზის გამეორებული მტკიცება, რომ ესა თუ ის ელემენტი „არ გამოირიცხავს IV საუკუნეს“, მით უფრო, რომ ისინი არც V, VI ან VII ს. „უშლის ხელს“.

უფრო აკადემიური ჩანს, რა თქმა უნდა, საურმაგ კაკაბაძის წერილი. მაგ. / / რამ არც აქ არის ფაქტობრივად რაიმე ხელმოსაკიდი, რაც შეარყევდა მაინც ბოლნისის სიონის დღემდე დამკვიდრებულ თარიღს. მთავარ არგუმენტად (წყაროთა ჩვენების კვალდაკვალ) აქ რჩება განცხადება, რომ ძეგლის ყველა

¹⁰ Ф. В. Дейхман, О развитии базилик со столбами. Болнисский Сион, II Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1977.

¹¹ R. Krautheimer, Early Christian and Byzantine Architecture, 1965, გვ. 123; და 1975, გვ. 172.

¹² M. Restle, Studien zur frühbyzantinischen Architektur Kappadokiens, Wien, 1979.

¹³ Reallexikon zur byzantinischen Kunst, I, Stuttgart, 1966, გვ. 718;

კონსტრუქციული და არქიტექტურული თავისებურება, მათ შორის დეკორიც, შეიძლება მიეკუთვნებოდეს უფრო ადრეულ ხანასაც.

ზემოთ მოტანილი იყო მასალა, რატომაც უნდა ვამოვიციხოთ ბოლნისის ტაძრისათვის IV საუკუნეც და V საუკუნის პირველი ნახევარიც (თავი რომ გავანებოთ, მაშასადამე, ეპიგრაფიკულ მონაცემებს).

რას გვთავაზობს მაინც ს. კაკაბაძე? რომც გავიზიაროთ ავტორის თეორია შესასვლელთა გადახურვის კონსტრუქციულ სისტემებთან დაკავშირებით (გვ. 95—96), ამ გზით ძველის ქრონოლოგიის დადგენა, და მით უფრო დაზუსტება, რა თქმა უნდა, ვერ მოხერხდება. მსჯელობა ლუნეტების შესახებ, როგორც „ბოძების“ არქიტრაველისა და თაღოვანი შეერთების გარდამავალ ფორმაზე სრულიად უსაფუძვლოა. ასევე არაფრით არის კანონიერებული განცხადება, თითქოს ლუნეტი მაინცდამაინც „IV საუკუნის კონსტრუქციული იდეებს გამოხატავდეს“; ანდა რომ ბოლნისის ტაძრის არქიტექტურა თითქოს „ასახავს არქიტრაველიდან თაღოვან სისტემაზე გარდამავალ პერიოდს“ (გავიხსენოთ, რომ არქიტრაველი გადახურვა ჩვენში მთელი შუა საუკუნეების მანძილზე იხმარება შესასვლელთა აგებისას, ხშირად — უფრო მეტადაც! — თაღს შეთავსებული). თვით ს. კაკაბაძის მიერ მოტანილი პარალელებიდან (განსაკუთრებით ვანმტვირთავი ღრიზების (Щели) ანალოგიები: ერერუქი და ავანი) ჩანს, რომ ცალკე აღებული კონსტრუქცია თარიღს ვერ მოგვცემს.

ბოლნისის შესასვლელთა შესახებ. ავტორი გვიხსნის, რომ აქ არა მარტო მხატვრული, არამედ ფუნქციური მოთხოვნილებაცაა გასათვალისწინებელი. ჭერ ერთი, ამას გულისხმობს სწორედ ჩუბინაშვილისეული მსჯელობა ჩრდილოეთ. ფსადის, როგორც ტაძრის მთავარი ფსადის, გამო (იხ. ს. კაკაბაძის წერილის 97-ე გვ. — სქოლიო 33). მეორეც, თუკი, როგორც ს. კაკაბაძე ფიქრობს აქვე, გრძივ კედლებში შესასვლელთა მოწყობა ლიტურგიკული აუცილებლობით იყო შეპირობებული, როგორღა ავხსნათ ის შემთხვევები, სადაც კარი დასავლეთით არის?

კაკაბაძისეული მთელი მსჯელობა ორატორიული სადგომისა და მისი დანიშნულების შესახებ (გვ. 97—98) არსებითად გ. ჩუბინაშვილის გამეორებაა (შდრ. «Болниси», გვ. 128—160), დამატებულია მხოლოდ ორიოდ ქართული პარალელი.

კიდევ ორი პუნქტი, რომელიც საგულისხმოდ მიაჩნია ს. კაკაბაძეს, ბოლნისის დეკორს ეხება. „ბოლნური ჯვრების“ თაობაზე მას აღნიშნული აქვს, რომ ასეთი, მედალონში ჩასმული ტომკლავა ჯვრები კონსტანტინე იმპერატორის (გასაგებია, ე. ი. IV ს.) ჯვარს იმეორებს, და რომ ისინი იუსტინიანეს მიერ გოლგოთაზე აღმართული ჯვრებისგან განსხვავებულია. მაგრამ ემ სხვაობა, ცხადია, V—VI სს. მიჯნაზეც ასევე იქნებოდა. გარდა ამისა, „ბოლნური ჯვრები“ ხომ მოგვიანებითაც ვგვხვდება (ყველაფერი ეს გ. ჩუბინაშვილთან არის ნათქვამი, — «Болниси», გვ. 182—188).

რაც შეეხება ბოლნისის მინაშენის დეკორირებულ ფილასს, ს. კაკაბაძე მართალია, როდესაც კასპის ბაზილიკას მნიშვნელოვან ანალოგიად მიიჩნევს. მაგრამ: 1. წინააღმდეგს კაკაბაძის მტკიცებისა, გ. ჩუბინაშვილს არც უფიქრია კასპის VIII—IX სს. დათარიღება. პირიქით, «Болниси»-ს გვ. 109-ზე აღნიშნულია, რომ... эта...плита (საუბარია ე. ი. კასპის სამხრეთი შესასვლელის ბალავრის ქვაზე). ..не датирована, как и вся базилика»; ხოლო იქვე, სქოლიოში

(1), დამოწმებულია კასაპის გლუკისეული დათარიღება—V ს-ის შუა ხანები: 2. მსგავსება კასაპის ფილასა და ბოლნისის მინაშენის ჩუქურთმოვან სამკაულს შორის შინაარსობრივია და არა სტილისტური. იყენებს რა ძველ მოტივებს (შდრ., «Болнис», გვ. 109), მოგვიანო ბოლნელი ოსტატი არ ჯერდება შინაარსის მატარებელ გამოსახულებას, როგორც კასაპის ქვის მქანდაკებელი, არამედ ზედაპირს დამატებითი ორნამენტული ზოლებით ავსებს. ასე რომ, ს. კაკაბაძის არც ეს კორექტივია დასაბუთებული. არა გვაქვს არავითარი ობიექტური მონაცემები „ამ დეკორირებული ფილის მიხედვით ბოლნისის მინაშენი დავათარიღოთ არა უგვიანეს V ს., „ხოლო თვით სიონი ამიტომ „უფრო ადრეულ ხანაში გადავიტანოთ“.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, ს. კაკაბაძის დასკვნა — „... все основные элементы декор композиции и Болнисского Сиона не противоречат, и некоторые данные подтверждают возможность датировки памятника началом V в. или концом IV» (გვ. 99).—სრულიად უსაფუძვლოდ გამოიყურება.

მართალია, ს. კაკაბაძის ეს წერილი, როგორც თავშია განმარტებული, მხოლოდ ნაწილია დიდი დაუმთავრებელი ნაშრომისა. ჩვენ არ ვიცით, კიდე რა დამატებითი მასალის და რა მონაცემების გამოტანა ჰქონდა განზრახული ავტორს. არც იმაში ვართ დარწმუნებული, აპირებდა თუ არა საერთოდ იგი ამ ნარკვევის ასეთი სახით გამოცემას.

შემოთავაზებული ვადათარიღების ნებისმიერობა კარგად ჩანს კიდეც ერთი საყურადღებო ძეგლის მაგალითითაც. ავტორთა ჯგუფი — ბ. მჭედლიშვილი, ზ. კიკნაძე, თ. მირზაშვილი — წილკნის ტაძარსაც, ისევე და ისევე მატანთა ცნობების მოხმობით, IV საუკუნეს აკუთვნებენ (იხ. წერილი „ამან აღაშენა ეკლესია წილკნისა“. ახალგაზრდა კომუნისტი, 4. 11. 1984 წ.). საქმე ეხება სამნავიან ბაზილიკას, რომელიც მოგვიანებით გუმბათოვან ეკლესიად გადააკეთეს. აღარ გავიმეორებთ იმას, რომ წყაროები აქაც უკრიტიკოდ არის გამოყენებული, არც ავტორთაგან დამოწმებულ საკვირველად წინააღმდეგობრივ მ. ჩხიკვაძის წერილს გამოვუდგებთ („წილკნის ტაძარი“, საბჭოთა ხელოვნება, № 4, 1967 წ.). თავი და თავი ისაა, რომ ძეგლი ვერ იქნება V ს-ის მიწურულზე ადრეული და, შესაძლოა, VI ს-ის პირველი ნახევრისაც იყოს. სწორედ ამ ხანაზე მიგვანიშნებს ბაფთიანი ფრთების შორის მოთავსებული ჯვრის მოტივი¹³. ამ დროზე ადრე წარმოუდგენელია სირიულ-კაპადოკიური არქიტექტურიდან მომდინარე ფასადის სამკაულიც: ჰორიზონტალური სარტყლით თითქოს ორ სართულად გაყოფილი პილასტრები, მათ შორის მოქცეული სარკმლის თავსართებითურთ. მსგავსი სახით ასეთი დეკორი ჩრდილოეთ სირიასა და მცირე აზიაში ჩნდება არა უადრეს V ს-ის მეორე ნახევრისა, უფრო კი საუკუნის დასასრულისაკენ¹⁴. წილკანი საყურადღებოა ბოლნისის ტაძრის განხილვის თვალსაზრისითაც. იგი, ერთი მხრივ, აშკარად ახლოს არის მასთან (გვემის მსგავსი წაგრძელება, ჯვრული კვეთის პროფილირებულ-ძირიანი ბურჯები, ორქანობიანი გადახურვა), მეორე მხრივ კი, მასზე ოდნავ

¹³ იხ. Н. Андгуладзе, Из истории взаимоотношений сасанидского и грузинского искусства, II Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1977.

¹⁴ იხ. М. Restle, Studien zur frühbyzantinischen Architektur Kappadokiens, Text, გვ. 158—159.

მოგვიანოც უნდა იყოს — ამას გვაფიქრებინებს არა მხოლოდ ცალკეული მოტივები, არამედ ფასადის უფრო რთული გაფორმება, ჩუქურთმათა ურთიერთდაკავშირებული დინება, რაც უკვე VI ს-ის მეორე ნახევრისა და VII ს-ის დასაწყისის პრობლემებს მოასწავებს. წყაროების გამოყენების მხრივ კი უფრო საგულისხმოა ტაძრის ბ. მკედლიშვილისა და მის თანამოაზრეთა მიერ უკუღმებლყოფილი ახლანდელი სამხრეთ-აღმოსავლეთის ეკლდერი, რომელიც ნაწილობრივ მაინც, IV ს-ის შეიძლება იყოს¹⁵.

რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ დავიჩინებთ, რომ ყველა ეს მოსაზრება კატეგორიულია და საბოლოო. სრული სიმართლეა, როგორც წერილის ავტორები აღნიშნავენ, რომ წილკნის ტაძარი არ არის შესწავლილი, ყოველ შემთხვევაში დღესდღეობით არა გვაქვს ხელთ მონოგრაფიული გამოკვლევა, სადაც წარმოჩენილი იქნებოდა ამ რთული არქიტექტურული ორგანიზმის ყველა ქრონოლოგიური ფენა, განსაზღვრული იქნებოდა მათი მხატვრულ-ისტორიული ღირებულება. მაგრამ განა რა არის აქ საგანგებო და განსაკუთრებული? რატომ არის ეს ასე საგანგაშო? შეიძლება განა წარმოვიდგინოთ მეცნიერების დარგი, სადაც ყველაფერი შესწავლილია, ყველაფერი გარკვეული და გადაწყვეტილი? ანდა რატომაა გასაკვირი, რომ კვლევის გარკვეულ ეტაპზე ამა თუ იმ ძეგლის მიმართ (დათარიღება იქნება ეს თუ სხვა რამ კერძო საკითხი) სპეციალისტებს განსხვავებული აზრიც ჰქონდეთ? ძეგლის თარიღის დადგენა თუ მისი გადათარიღება არ არის ასე იოლი საქმე. მით უფრო რთული უნდა იყოს იგი (თუ არა შეუძლებელიც), რა თქმა უნდა, არა სპეციალისტთათვის.

აქ აღარ გავაგრძელებთ სიტყვას „ახალგაზრდა კომუნისტის“ წერილთან დაკავშირებით, რამდენადაც საკითხები, რომელიც აღძრულია გაზეთის ფურცლებზე და აგრეთვე ავტორთა მიერ დამოწმებულ მ. ჩხიკვაძისეულ სტატიაში, ცალკე არის განხილული¹⁶. ერთი კი უნდა ითქვას: წილკნის ცნობილი ხატი, რომლის „შესწავლისას — მ. მკედლიშვილის, ზ. კიკნაძის და თ. მირზაშვილის განცხადებით — გარკვეული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მატრიანთა ცნობებს მისი წარმომავლობის შესახებ“, კარგა ხანია შესწავლილია და მისი თარიღიც მტკიცედ არის დადგენილი. იგი IX საუკუნისაა¹⁷.

დაბოლოს, ერთხელ კიდევ უნდა გავიმეორებთ, სრულებით უნდაიდაგოა ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა მიმართ მოწოდება ვაითვალისწინონ წერილობითი წყაროების მონაცემები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში ერთი ხელოვნების საისტორიო ნაშრომიც არ მოიძებნება, წყაროებისა თუ საისტორიო ნაშრომების ცნობებს არ იშველიებდეს. მაგრამ ვინაიდან ცნობა შეიძლება გადაკეთე-

¹⁵ ზემოხსენებულ ავტორთა ჭეუფი თიანეთის სიონის გადათარიღებასაც მოითხოვს, თანაც ეთიომცდა არქეოლოგიური მასალის მოხზობით. მაგრამ ძეგლის გამთხრელი რ. რამიშვილი აღნიშნავს, რომ აქ მოპოვებული მასალა, ერთი სათუო დრაგმენტის გამოკლებით, VIII—IX სს. უადრესი არაა (რ. რამიშვილი, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, I, სიონი, თბ., 1970, გვ. 2, 30, 93, 98—99, 122—124, 130). ათარიღებდა რა ტაძარს V ს-ის ბოლოსის სიონისა და სხვა მსგავს ნაგებობათა ანალოგიით, რ. რამიშვილი არქეოლოგურს კი არა ხუროთმოძღვრების მონაცემებს ეუფძნებოდა (გვ. 30—42). თიანეთის სიონი მომავალში, უთუოდ, იქცევა კვლევის საგნად. წინასწარულად კი იმის თქმა შეიძლება, რომ რ. რამიშვილის სათანადოდ არა აქვს გათვალისწინებული გარკვეულ ეპოქებში ძეგლი ნიმუშების განზრახი მიზანების შესაძლებლობა.

¹⁶ 5 ანდლულაძე, წილკნის ტაძრის შესახებ, საბჭოთა ხელოვნება, 1984, №9, გვ. 67—74.

¹⁷ იხ. ლ. ხუსკივაძე, წილკნის ღვთისმშობლის ხატი, „საბჭოთა ხელოვნება“, 1973, №11, გვ. 58-62.

ბულ, გამქრალ ან უბრალოდ სხვა, ჩვენთვის უცნობ ნაგებობას შეეხებოდეს, ხელოვნების ისტორიკოსი მას აუცილებლად თვით ხელოვნების მონაცემებს უნდა უფარდებდეს. ხოლო დღევანდელი ცოდნის პირობაზე სამშენებლო ტექნიკის, ხუროთმოძღვრული ფორმებისა და დეკორის და, რაც მთავარია, მხატვრული სტილის კრიტერიუმები ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ ზუსტია, ვიდრე ისტორიული კრიტიკის ნებისმიერი სხვა საშუალება. მართალია, ამ ბოლო დროს ჩვენში ავტორიტეტთა აზრი და სიტყვა ზოგიერთებისთვის ადვილად ხელწამოსაკრავი გახდა, მაინც გვინდა აქ მოვიშველიოთ იაკობ სმირნოვი, ცნობილი რუსი სწავლული და სიძველეთმცოდნე, რომელიც ჯერ კიდევ 1916 წელს აფრთხილებდა მკვლევართ: «Археолог должен построить свой заключения исключительно на вещественных памятниках, не справляясь в первой стадии своей работы с показаниями истории письменной, так как преждевременное желание согласовать данные вещественные с данными летописными приводит обыкновенно лишь к сугубо ложным заключениям». და კიდევ: «... реальную историю памятника может дать, разумеется, лишь сам памятник, а не литература о нем, и не субъективные, сколько бы они ни были остроумными, построения...».¹⁷

ნუგზარ ანდლულაძე,
 დიმიტრი თუშანოვიძი,
 თეიმურაზ საყვარელიძე.

Н. Ю. ЛОМОУРИ, Н. И. АНДГУЛАДЗЕ, Д. Г. ТУМАНИШВИЛИ,
 Т. А. САКВАРЕЛИДЗЕ

К ВОПРОСУ О БОЛНИССКОМ СИОНЕ

(по поводу статей Б. Мchedlishvili и С. Какабадзе)

Резюме

В работах Б. Мchedlishvili и С. Какабадзе предпринята попытка опровергнуть принятую в науке датировку Болнисского Сиона концом V века. Основываясь на новой интерпретации строительной надписи храма и критике историко-архитектурных аргументов Г. Н. Чубинашвили, авторы выдвигают датировку IV веком. Однако, как выясняется, новое чтение надписи, так же как и вариант, предложенный Р. Патаридзе, не находит обоснования в сохранившихся ее частях и, более того, прямо расходится с ними. Мало убедительна и идентификация упомянутого в болнисской надписи Пероза с эриставом Перозом грузинских хроник, без критического рассмотрения источников. Весьма проблематична реальность личности и самого эристава Пероза — сведения летописей о нем не соответствуют современным научным представлениям о политической истории той эпохи.

Что касается собственно архитектуры Болнисского собора, большая часть возражений Б. Мchedlishvili и С. Какабадзе основывается на неправильном понимании положений Г. Н. Чубинашвили. Недостаточно учтен ими параллельный материал — как грузинский, так и иностранный. Рассматривая памятник совершенно изолированно, авторы не учитывают и общей картины грузинского средневекового зодчества. Столь же необоснована и предположенная Б. Мchedlishvili, З. Кикнадзе и Т. Мирзашвили передатировка Цилканского храма (конец V — первая половина VI вв.) на IV век.

¹⁷ Seminarium Kondakovianum, II, Прага, 1928, გვ. 8).

პ. მარგანი

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საპარტიალო ახალი ისტორიის განყოფილება და ახალი ისტორიის კვლევა-ძიება*

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ახალ ისტორიას დიდმნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება. ეს ეპოქა სათავეს იდებს გვიანფეოდალური ხანიდან, რომელიც ფეოდალიზმის რღვევით და ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვით იწყება და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით სრულდება.

საქართველოს ახალი ისტორია უდიდესი პოლიტიკური ძვრებით, ღრმა სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნებითა და კულტურის აღმავლობით ხასიათდება. ის მდიდარია ღირსსახსოვარი ფაქტებითა და მოვლენებით, გამოირჩევა ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრების მძლავრი პროგრესით.

ხანებული ეპოქის ზღურბლზე საქართველო რუსეთს შეუერთდა, რის შემდეგაც აქ, 1830-იანი წლებიდან, მშვიდობიანობა დამყარდა. ბურჟუაზიული ურთიერთობის დამკვიდრება და ქვეყნის მატერიალური და სულიერი ცხოვრების წინსვლა ქართველი ხალხის ერთდროულად ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესის დასრულებით დაგვირგვინდა. ქართველი ხალხის კონსოლიდაციის წყალობით მისი ეროვნული თვითშეგნება ამაღლდა, ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაფართოვდა, რამაც ბიძგი მისცა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის აღმავლობას.

ახალი ეპოქის საქართველოში მოღვაწეობდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი და ოცდაათორმეტიანელი, სახელოვანი თერგდალეულები დიდი ილიას მეთაურობით, სამოცდაათიანი წლების ქართველი რევოლუციონერები, განმათავისუფლებელი მოძრაობის პროლეტარული ეტაპის გამოჩენილი წარმომადგენლები. საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე და მესამე ეტაპის სახელმძღვანელო მესვეურები სრულიად რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელობაშიც თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ.

გვიანფეოდალური ხანა საქართველოში XIX ს-ის შუახანების ღრმა კრიზისით, ბატონყმობის გაუქმებითა და ბურჟუაზიული ურთიერთობის დამკვიდრებით დამთავრდა. კაპიტალიზმმა ჩვენში მოკლე დროში გაიმარჯვა, ბურ-

* 1983 წლის 26 ოქტომბერს მოხსენდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს, როგორც ამავე ინსტიტუტის „ახალი ისტორიის განყოფილების ანგარიში (იბეჭდება შემოკლებით).“

ეუზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წინაპირობები მომზადდა, განმათავისუფლებელი მოძრაობა სოციალისტური რევოლუციით დაგვირგვინდა.

ახალ ხანაში რუსეთის იმპერიის განაპირა ეროვნული მხარის — საქართველოს — ისტორიის კვლევა-ძიებას რევოლუციამდელ ხანაში მტკიცე საძირკველი ვერ ჩაეყარა. ამ მიმართულებით დაბრკოლებას ქმნიდა ქართული სახელმწიფოებრიობის დაკარგვა, მეცნიერებაში ფეხმოკიდებული „დისტანციის თეორია“, ასევე ისტორიოგრაფიაშიც ერთგვარად გავრცელებული „ევროპოცენტრისტული“ თვალსაზრისი, რაც არაეფროპელი ხალხების ისტორიულ შემოქმედებას უგულვებელყოფდა.

XIX ს-ის რუსეთის თავადაზნაურული და ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია მეტწილად „კავკასიის ომებით“ იყო გატაცებული, ქართველთა ისტორიული ჩამორჩენილობის კულტის შესაქმნელად იყო მოწოდებული და არა ქართველთა ისტორიის შესასწავლად. ამის მიუხედავად, მათ ნაშრომებში ერთგვარად აისახა ქართველი ხალხის ცხოვრების ზოგიერთი ფაქტი, კერძოდ, საქართველოს რუსეთთან შეერთება და აქ ახალი მმართველობის დამყარებასთან დაკავშირებული მოვლენები (ნ. დუბროვინი, კ. ბოროზდინი, ვ. პოტო, ა. ბერძე, ვ. ბუტკოვი, ე. ივანენკო, ი. პეტროვი და სხვ.).

მეტწილად ეპოქის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან დაკავშირებული მოღვაწენი „ქართველების გადარჩენისათვის“ ბრძოლის უამს გულმოდგინედ ცდილობდნენ ჩვენი ისტორიის ჩაყენებას აწმყოსა და მომავლის სამსახურში, თუმცა მათ ინტერესს უფრო ძველი და შუა საუკუნეების ისტორია იმსახურებდა, — ისტორიის რომანტიკული იდეალიზაციისას სახელმწიფოებრიობას მოკლებულ საქართველოს ისტორიის არ ცნობდნენ.

ამის მიუხედავად, საქართველოს ახალი ისტორიის შესამუშავებლად დიდძალი, მრავალფეროვანი მასალა დაგროვდა. თანამედროვენი თავ-თავისი წოდებრივ-კლასობრივი პოზიციებიდან ეხმიანებოდნენ ქვეყნის ცხოვრების გარდაქმნებთან დაკავშირებულ ფაქტებსა და მოვლენებს. ხსენებული ეპოქის არაერთი საკითხი გაშუქდა XIX ს-ის პირველ ნახევარში (ი. ბაგრატიონი, ა. ჭავჭავაძე, ს. დოდაშვილი, ნ. ბარათაშვილი, დ. ყიფიანი და სხვანი). თერგდალეულთა ბრწყინვალე პლეადის მესვეურმა, დიდმა ილიამ, „ქართლის ცხოვრება“ როგორც მეფეთა ისტორია რომ დაიწუნა, „საქართველოს წარსულსა და აწმყოში მშრომელი საზოგადოების როლის წარმოჩენა მოითხოვა“ (ნ. ბერძენიშვილი). თერგდალეულები, ხალხთან ერთად, თვითონ ქმნიდნენ რეალურ ისტორიას. 1860—90-იან წლებში თერგდალეულებმა, აგრეთვე ხალხოსნებმა შექმნეს მეცნიერულ-პუბლიცისტური ნარკვევები, რომლებიც ქვეყნის ცხოვრების უფრო ღრმად შესწავლისა და შეფასების ცდებსაც შეიცავენ (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, რ. ერისთავი, ნ. ხიზანაშვილი, ა. ცაგარელი, ა. ცაგარელი, ა. ფურცელაძე, ე. მჭედლიძე-ბოსლეველი, ს. ჭრელაშვილი, გ. მიაიშვილი-ზღანოვიჩი, რ. ფანცხავა-ხომლედი და სხვანი).

ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში თავადაზნაურული კოსმოპოლიტიზმის ტიპური წარმომადგენელი იყო გ. მუხრანსკი, ხოლო დიდმპყრობელური შოვინიზმის — კატკოვი. ამგვარ ტენდენციებს ისტორიის მოშველიებით თავგამო-

დებით ებრძოდნენ თერგდალეულები, რომლებმაც მჩაგვრელ ძალებს დაუპირისპირეს „ძველისძველი და ბრწყინვალე ქართული კულტურა, საქართველოს მდიდარი ისტორიის პროპაგანდა...“ (გ. მელიქიშვილი).

საქართველოს ახალი ისტორიისათვის მნიშვნელოვან ფაქტებს შეიცავენ ს. ესაძის, მ. ხელთუფლოშვილის, ს. გულიშამბაროვის, ს. ავალიანის, გრ. ყიფ-შიძის, ზ. ჭიჭინაძის და სხვათა ნაშრომები. ს. ავალიანმა პირველმა ჩვენს ისტორიოგრაფიაში ღრმად შესისწავლა უშუალო მწარმოებელი მოსახლეობის, გლეხობის, მდგომარეობა ამიერკავკასიაში. მისი მართებული შეხედულებით, საგლეხო რეფორმის გატარება საქართველოში ქვეყნის შინაგანი განვითარებით იყო მომწიფებული.

მეცნიერი ისტორიკოსები და მწერლები განაგრძობდნენ ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მასალების შეკრებისა და განზოგადების ადრე დაწყებულ საქმეს (ივ. ჯავახიშვილი, ალ. ხახანაშვილი, ს. გორგაძე, გ. ქიქოძე და სხვ.).

1890—1900-იან წლებში ყალიბდება სოციალ-დემოკრატიული (ს. ჯიბლაძე, ნ. ყორღანია, ა. წერეთელი, პ. გელიეშვილი, ი. გომართელი და სხვ.), ნაციონალ-დემოკრატიული (კ. აბაშიძე, ა. ჯორჯაძე, ი. ფანცხავა და სხვ.) ისტორიოგრაფია.

1890-იან წლების დასასრულსა და 1900-იან წლებში წარმოიშვა ქართული რევოლუციურ-მარქსისტული ისტორიოგრაფია (ალ. წულუქიძე, ფ. მახარაძე, ი. ჯულაშვილი-სტალინი და სხვ.).

ნაციონალ-დემოკრატი პუბლიცისტები ნაციონალიზმს ამჟღავნებდნენ, მენშევიკი სოციალ-დემოკრატები კი ნიჰილიზმს. რევოლუციონერი მარქსისტების უმეტესობისათვის უცხო იყო ამგვარი უკიდურესობანი, თუმცა ზოგიერთმა მათგანმაც ვერ დაძლია ნიჰილიზმი და ვულგარიზმი*.

ქართველ მარქსისტთა პირველი თაობის წარმომადგენლებმა ზოგადად მართებულად დაახასიათეს გასული საუკუნის საქართველოს წინსვლის ტენდენციები. ამასთან, ამ თაობის ზოგიერთმა წარმომადგენელმა თავიდან ვერ აიცილია ჩვენი ისტორიული პროცესისა შეუფასებლობა, ვერ მოახერხა XIX ს-ის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის არაერთი ფაქტის სწორად შეფასება, მემკვიდრეობის უარყოფამდე მივიდა. ამგვარმა ცდუნებებმა შემდგომში უარყოფითი გავლენა მოახდინა XIX ს-ის საქართველოს ისტორიის ბევრი საკითხის კვლევაზე.

ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში საზოგადოდ და საქართველოს ახალი ისტორიის კვლევაში კერძოდ თვისებრივად ახალი ეტაპი საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ დაიწყო, თუმცა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ისტორიულ კვლევაში მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის მტკიცედ დანერგვას ვულგარული სოციოლოგიზმი და „რაპული“ გავების გავრცელება აფერხებდა. ამის მიუხედავად, საბჭოთა ავტორების პირველი ნაშრომები 1920—1930-იან წლებში საქართველოს ახალი ისტორიის

* ამ ნარკვევში გამოყენებულია ალ. ბენდიანიშვილის, მ. ვაჭინაშვილის, გ. მარგიანის, ი. ორჭონიჭიძის სტატია „XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის საბჭოთა ისტორიოგრაფია“, „მაკე“, № 1, 1981.

ტორიის ზოგიერთი საკითხის მიუღებელ ინტერპრეტაციასთან ერთად სწორ გააზრებას და ეპოქის ზოგად დახასიათებას შეიცავენ (ფ. მახარაძე, გ. ხაჭაპურიძე, ს. ხუნდაძე და სხვ.).

1930-იანი წლებიდან მეცნიერული მეთოდოლოგიით საიმედოდ შეიარაღებული სწავლული ეკონომისტები, ისტორიკოსები, ფილოსოფოსები და ლიტერატურათმცოდნეები შეუდგნენ გვიანფეოდალური და ახალი ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ისტორიისა და კულტურის შესწავლას.

1940-იან წლებში გამოქვეყნდა XIX ს-ის საქართველოსა და ამიერკავკასიის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის პირველი მონოგრაფიული გამოკვლევები (პ. გუგუშვილი), რომლებმაც შუქი მოფინეს იმპერიის განაპირა მხარის ცხოვრებას.

1950-იანი წლების შუახანებამდე შეიქმნა XIX ს-ის საქართველოს ისტორიის კურსის მაკეტი, ასევე იმავე საუკუნის პირველი მესამედის ისტორიის ნარკვევი (ნ. ბერძენიშვილი, გ. ხაჭაპურიძე და სხვ.). 1954 წელს გამოიცა ა. კიკვიძის „საქართველოს ისტორია XIX ს.“.

ამის მიუხედავად, საქართველოს ახალი ისტორიის სრულყოფილი კურსის შემუშავება მაინც მომავლის საქმედ რჩებოდა. ამ მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1954 წლის 18 ივნისის დადგენილებით ჩვენს ინსტიტუტში შეიქმნა ახალი ისტორიის განყოფილება, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა პ. რატიანი, ხოლო მეცნიერ თანამშრომლებად მაქსიმე ბერძენიშვილი, მ. დუმბაძე, ტ. ხუნდაძე (1955 წლიდან), გ. ჯამბურია, დ. მეგრელაძე, მ. ქიქოძე. მომდევნო წლებში განყოფილებიდან არაერთი მუშაკი სხვაგან გადავიდა, სამაგიეროდ განყოფილებაში მოვიდნენ ი. ანთელავა (რომელიც 1957 წლიდან — 1978 წლამდე — 20 წელი — განყოფილების ხელმძღვანელი იყო), ა. ბენდიანიშვილი, ე. ორჯონიკიძე, დ. გოგოლაძე, ნ. ნიკოლაიშვილი, ც. კალანდაძე, ლ. ბარამია, ნ. ნაცვლიშვილი, ე. ხოშტარია, ი. უთურაშვილი, ა. იოსელიანი, ლ. ბერძენიშვილი, თ. ბერიაშვილი ნ. პაპავა, ნ. როდონაია, ვ. გონგაძე, ლ. ჩიქოვანი, ა. კიკვიძე, მ. გაფრინდაშვილი, ა. სურგულაძე, თ. გიცბა, თ. ჟორდანი, ლ. წინამძღვრიშვილი, ამ სტრუქტურის ავტორი და სხვები. მათ შორის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორია 10. განყოფილების რამდენიმე მაღალკვალიფიციური მუშაკი სამუდამოდ გამოგვავლდა. სამუდამოდ სხვაგან გადავიდნენ წამყვანი მუშაკები დ. გოგოლაძე, ი. უთურაშვილი, ე. ხოშტარია, ა. ბენდიანიშვილი და სხვები.

აქვე წინასწარ შევნიშნავთ, რომ ამჟამად განყოფილებაში ირიცხება 14 მუშაკი, სახელდობრ, უფროსი მეცნიერ თანამშრომლები ა. იოსელიანი, ნ. ნაცვლიშვილი, თ. გიცბა, ლ. ეძგვერაძე, ე. ორჯონიკიძე, ნ. პაპავა, ლ. ჩიქოვანი, თ. ჟორდანი, ვ. ლომაშვილი, თ. ჩხეიძე, ლ. წინამძღვრიშვილი, გრ. მარგიანი (განყოფილების გამგე), უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი ა. კობრეიძე, ასპირანტი თ. შაკიაშვილი. განყოფილებაში ისტორიის მეცნიერებათა დოქტორია 4. მეცნიერებს კანდიდატი — 8.

XIX ს-ის საქართველოს ისტორიის სისტემატური კურსის შემუშავება მაინც თავიდანვე უპირველეს ამოცანად დაესახა ახალი ისტორიის განყოფილებას. მუშაობის პირველ სამ (1954—1957) წელს განყოფილებამ დავალება წარმატებით შეასრულა, — შექმნა XIX ს-ის საქართველოს ისტორია (ავტორები მ. დუმბაძე, პ. რატიანი). ეს მონაკვეთი, რომლის ავტორებსაც მდი-10. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1984, № 3

დარი მასალები მოუმზადეს ახალი ისტორიის განყოფილების თანამშრომლებმა, შევიდა საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოს I ტომის მეორე გამოცემაში, რაც 1958 წელს განხორციელდა. 1962 წელს საქართველოს ახალ ისტორიას მიეძღვნა „საქართველოს ისტორიის“ სამტომეულის II ტომი.

ამ წამოწყებას რთული გავრძელება ჰქონდა. მონოგრაფიულად უნდა გაშუქებულიყო მოვლენებით მდიდარი ეპოქის ისტორიის კარდინალური პრობლემები და საკითხები.

რაკი საქართველოს რუსეთთან შეერთება უდიდეს გარდატეხას მოასწავებდა გვიანფეოდალურ საქართველოს ცხოვრებაში, ბუნებრივია, ეს ფაქტი მთელი თავისი შედეგებით იმთავითვე მოექცა საბჭოთა ავტორების კვლევის სფეროში. მოცემულ პრობლემას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს იკვლევდნენ ნ. ბერძენიშვილი, გ. ხაჭაპურიძე, შ. ჩხეტია, ა. კიკვიძე, მ. დუმბაძე, ი. ანთელავა, ა. იოსელიანი, ა. ფირცხალიაშვილი, მ. ალექსიშვილი, ი. ცინცაძე, ა. სურგულაძე, ვ. მაჭარაძე, ც. კალანდაძე, გ. პაიჭაძე, ზ. ციტიშვილი, ლ. ტუხაშვილი, ე. ორჯონიკიძე და სხვები. მათ ნაშრომებში მეტ-ნაკლები სისრულითა და სიზუსტითაა შეფასებული შეერთების ისტორიული აქტის მნიშვნელობა საქართველოსათვის, საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის გაერთიანებისა და ჩვენი ქვეყნის შემდგომი ბედისათვის, დახასიათებულია რუსეთის ძლიერების მნიშვნელობა საქართველოსა და კავკასიისათვის.

მეორე პრობლემა, რომელიც 1940-იანი წლებიდან დღემდე ინარჩუნებს პირველხარისხოვან მნიშვნელობას საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის შესაფასებლად, კაპიტალიზმის გენეზისი და განვითარებაა. მის თაობაზე კამათი ჯერ კიდევ XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე ატყდა. აზრთა ბრძოლაში თეორიულად მარქსისტებმა გაიმარჯვეს, მაგრამ მაინც დიდ ხანს იგრძნობოდა ხალხოსნური და სოციალ-ფედერალისტური კონცეფციების გავლენა. რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურაში კაპიტალიზმზე არც ერთი საფუძვლიანი გამოკვლევა არ გვხვდება.

როგორც ცნობილია, პირველად ვ. ი. ლენინმა მოგვცა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების სრულქმნილი სურათი, გააშუქა ძველი წოდებრივი ურთიერთობის დაშლა და ახალი კლასობრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება.

კაპიტალიზმის გენეზისისა და განვითარების მარქსისტულ-ლენინური კონცეფცია მეთოდოლოგიური საფუძველი გახდა ჩვენში ანალიტიკური პროცესის შესწავლისათვის, რასაც სათავე ფ. მახარაძემ დაუდო. პაატა გუგუშვილმა მრავალ ნაშრომში განიხილა კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარება სოფლად და ქალაქად საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

უკანასკნელი 20 წლის მანძილზე შეიქმნა განმარტავადი ნაშრომები და კონკრეტული გამოკვლევები, სადაც მონოგრაფიულად არის შესწავლილი მატერიალური დოვლათის წარმოების ძირითადი სფეროები და დარგები, საქალაქო ცხოვრება, ძველი წოდებრივი ურთიერთობის დაშლა და ახალი კლასობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება. ამ კონტექსტში აღსანიშნავია ახალი ისტორიის განყოფილების მუშაკების ი. ანთელავას, ალ. ბენდიანიშვილის, ი. უთურაშვილის, დ. გოგოლაძის, ე. ხოშტარის, ე. ორჯონიკიძის, გ. ჯამბუჩიას, თ. ბერიაშვილის, თ. ჩხეიძის, ო. ჟორდანია, ნ. ნაცვლიშვილის, თ. გიც-

ბას და სხვათა ნაშრომები, ასევე შ. ჩხეტიას, გ. ხაჭარაძის, ნ. ტყემელაშვილის, ა. ფანცხავას, ვ. მოჩალოვის, გ. ძიძარას, ი. ვანევეის და სხვათა გამოკვლევები. მიუხედავად იმისა, რომ ფუნდამენტურ გამოკვლევებთან ერთად სუსტი ნაშრომებიც გამოიცა, ჩატარებული კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა ახალი ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის ძირითადად სწორად შეფასება, ჩვენში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, ასევე სოციალისტური რევოლუციის ისტორიული წანამძღვრების გაშუქება.

მესამე პრობლემა, რომლის გადაჭრის გარეშე შეუძლებელიცაა ჩვენი ისტორიული პროცესის ახალი პერიოდის ჯეროვანი სიღრმითა და სიზუსტით გაშუქება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა და აზრია. მისი შესწავლა რევოლუციამდე წამოიწყო (ნ. დუბროვინი, ვ. ჩუდინოვი, ვ. პოტო, ალ. ჭავჭავაძე, დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ივ. ჯავახიშვილი, ა. ფრონელი, ს. ავალიანი და სხვ).

XIX ს-ისა და XX ს-ის დამდეგის საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობისა და აზრის ზოგადი დახასიათება 1920-იან წლებში დაიწყო (ფ. მახარაძე, გ. ხაჭაპურიძე, ს. ხუნდაძე). შემდეგში სპეციალური ნაშრომები მიედგინა მთიანეთის 1804 წლისა და კახეთის 1812 წლის აჯანყებებს, 1819—1820 წლების იმერეთის აჯანყებას, 1832 წლის შეთქმულებას, გურიის გლეხთა 1841 წლისა და სამეგრელოს 1857 წლის აჯანყებას, აფხაზეთის 1866 წლისა და სვანეთის 1875—1876 წლების აჯანყებებს (ნ. მახარაძე, ვ. ტოგონიძე, ა. კიკვიძე, ო. მარკოვა, გ. ხაჭაპურიძე, დ. ლემონჯავა, გ. ძიძარია, გ. გოზალიშვილი, მ. ბერძინიშვილი, მ. ახოზაძე, ი. სიხარულიძე, ა. ჩარკვიანი, გ. ვასივანი და სხვ.).

ამ სამუშაოების უმეტესობა ახალი ისტორიის განყოფილების ფარგლებს გარეთ შესრულდა, თუმცა განყოფილების თანამშრომელთა არაერთ ნაშრომში განზოგადებულია XIX ს-ის საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი მოვლენები და ფაქტები. საქმე ისაა, რომ მოცემული პერიოდის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა დროს მომხდარი მღელვარება თუ აჯანყება ზემოსხენებულ ავტორთა გამოკვლევებში ერთმანეთისაგან რამდენადმე იზოლირებულად განიხილებოდა, თანაც ეს აჯანყებები თუ ე. წ. 1832 წლის „შეთქმულება“ 1950-იან წლებამდე მეტწილად უმართებლო მეთოდოლოგიური პოზიციიდან განიხილებოდა, — შუქდებოდა როგორც პირწმინდა რესტავრატორული ფეოდალურ-მონარქისტული მოძრაობა, რეაქციული მიზანმიმართულების გამოსვლა (ამ კონტექსტში პირველ რიგში აღსანიშნავია გ. ხაჭაპურიძის ნარკვევები). ასეთი მიდგომა ძირითადად დაძლეულია საქართველოს ახალ ისტორიაში შექმნილ განმაზოგადებელ ნაშრომებში, სადაც ხაზგასმულია მოძრაობის ორმაგი ბუნება, — ანტიბატონყმური და ანტიკოლონიური ხასიათი.

დასამალი არაა, რომ ისტორიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე უფრო და უფრო აშკარა ხდება, რომ XIX ს-ის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ფაქტები ერთმანეთთან კავშირშია უფრო ღრმად შესწავლილი, რა თქმა უნდა, საამისო საისტორიო წყაროების უფრო დეტალურად განხილვით, ვიდრე ეს ხდებოდა ადრე, როცა ნაშრომები უფრო ხშირად მხოლოდ პუბლიცისტურ და ოფიციალურ წყაროებზე (ვთქვათ „აქტებზე“) დაყრდნობით სრულდებოდა.

XIX ს-ის ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზრის კვლევა უდრესად გაფართოვდა და გაღრმავდა საბჭოთა პერიოდში. უკვე 1920—1930-იან წლებში გამოქვეყნდა კ. კეკელიძის, ვ. კოტეტიშვილის, ს. ხუნდაძის, გრ. გიორგაძის, გ. ქიქოძის, ს. კაკაბაძის, მ. ზანდუკელის, ლ. ასათიანის, ქრ. რაჭველიშვილის და სხვათა განმაზოგადებელი ნაშრომები მთლიანად ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის თუ ცალკეულ მწერალთა და მოაზროვნეთა შესახებ. შემდეგში პრობლემის კვლევაში დიდი წვლილი შეიტანეს შ. ნუცუბიძის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის, გ. ლეონიძის და სხვათა გამოკვლევებმა.

ახალი ისტორიის განყოფილებაში, მისი დაარსების დღიდან დღემდე, ახალი ხანის საზოგადოებრივი აზრის ისტორიის შესწავლას თვალსაჩინო ადგილი უკავია, თუმცა ამას ვერ ვიტყვით ინტელიგენციისა და კულტურის ისტორიის კვლევაზე, რაც მრავალი სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების კვლევითი ცენტრის წარმატებზე არის დამოკიდებული. მოცემული მიმართულებით წინ გადადგმული ნაბიჯია ა. სურგულაძის ნაშრომები.

საზოგადოებრივი აზრის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია განყოფილების მუშაკების პ. რატიანის, მ. გაფრინდაშვილის და სხვათა ნაშრომები. ქართული პუბლიცისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის ნაყოფიერად სწავლობენ ლ. ჩიქოვანი, ლ. ბერძენიშვილი, ნ. პაპავა, ლ. წინამძღვრიშვილი, ჯ. ლომიშვილი.

საერთოდ კი უკანასკნელი 30—40 წლის მანძილზე ახალი ქართული საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურის ისტორია ვრცლადაა გაშუქებული პ. ინგოროყვას, პ. გუგუშვილის, გ. მეგრელიშვილის, გ. ჭიბლაძის, ლ. გორგილაძის, პ. რატიანის, ა. სურგულაძის, ა. კიკვიძის, ა. იოსელიანის, მ. კვესელავას, ი. კაჭარავას, ი. ბოცვაძის, მ. დუდუჩავას, ლ. ებანოიძის, მ. გოცაძის, გ. აბზიანიძის, ვ. შადურას, ზ. შველიძის, გ. თოდუას და სხვა ისტორიკოსთა, ფილოსოფოსთა, ლიტერატორთა და ეკონომისტთა ნაშრომებში.

ჩვენს ინსტიტუტში ისტორიოგრაფიის განყოფილებას კვლევის სფერო კარგა ხანია გაფართოვდა და ეს განყოფილება გარდაიქმნა ისტორიული მეცნიერებისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის განყოფილებად. ამის მიუხედავად, ახალი ისტორიის განყოფილებაში ახალი ქართული საზოგადოებრივი აზრის შესწავლას ჭეროვანი ადგილი განეკუთვნება.

როგორც ვხედავთ, ახალი ისტორიის განყოფილება, რომელსაც არსებობის 30 წელი მიმდინარე, 1954 წელს შეუსრულდა, შეძლებისდაგვარად წარმართავს საქართველოს ახალი ისტორიის კვლევა-ძიებას.

მის მიღწევებს შორის აღსანიშნავია არა მარტო საფუძვლიანი განმაზოგადებელი თუ კონკრეტული ისტორიული გამოკვლევები, რომლებიც მის თანამშრომლებს ეკუთვნით, არამედ ისეთი დიდი სამუშაო როგორცაა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ V და VI ტომები, რომლებიც უპირატესად ახალი ისტორიის განყოფილების ძალებით შეიქმნა. აქვეა აღსანიშნავი, რომ განყოფილებამ ძირითადად დაასრულა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ V ტომის რუსულ ენაზე გამოსაცემად მომზადება, — რამაც საკმაოდ დიდი შრომა მოითხოვა. ამ მიმართულებით უაღრესად შრომატევადი სამუშაოს შესრულება მოასწრო აწ განსვენებულმა პროფესორმა ირაკლი ანთელავამ. ტომი

რამდენადმე შემცირდა მოცულობით, მეორე მხრივ, ის შეივსო ზოგიერთი ახალი, პარაგრაფით, ჩასწორდა მისი არაერთი გვერდი და სხვა. ჩვენი განყოფილების თანამშრომლები მონაწილეობდნენ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ VI ტომის რუსულ ენაზე გამოსაცემად მომზადებაშიც.

მიმდინარე ეტაპზე განყოფილების, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირველხარისხოვანი საზრუნავია „თბილისის ისტორიის“ II ტომის (1801—1921 წწ.) შექმნა. ტომის დიდი ნაწილი განყოფილების თანამშრომლებმა უნდა დაწერონ და ის დასასტამბად გასამზადებელია.

განყოფილებაში გარკვეული სამუშაოა დაგეგმილი ჩვენი ისტორიული მეცნიერების ისტორიის ნარკვევების შესაქმნელად, რასაც ჩვენ ინსტიტუტის ხელმძღვანელობის თანხმობით და მეზობელი განყოფილების დავალებით ვასრულებთ. მოცემული თემატიკით განყოფილებაში პირველი ნაშრომები წელს სრულდება და მომავალ წლებში გაგრძელდება.

ზემოხსენებულ კოლექტიურ სამუშაოებში მონაწილეობამ, რა თქმა უნდა, სერიოზული კორექტივი შეიტანა განყოფილების პერსპექტიული სამუშაოების ვეგმაში. ამიტომ ალბათ საპატიოა ახალი ისტორიის კარდინალურ პრობლემებსა და საკითხებზე კვლევის დროებით, თუმცა ძლიერ შესუსტება.

განყოფილების მუშაობაში ნაკლოვანებანი და ხარვეზებიც შესამჩნევია. ზოგიერთი მათგანი სამუშაოს არაარულყოფილ დაგეგმვას უკავშირდება. ამიტომაცაა მაგალითად, რომ ბურჟუაზიული ხანის საქართველოს ვაჭრობაზე არც ერთი ნაშრომი არ მოგვეპოვება. აკი კაპიტალიზმი, უპირველეს ყოვლისა, საბაზრო ურთიერთობა და ვაჭრობა!

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ დიდი სამუშაოები ჩატარდა საქართველოში 1905—1907 წლების რევოლუციისა და, რაც მთავარია, სოციალური რევოლუციის ისტორიის ღრმად გაშუქებისათვის. ძიცი ვიცი, თუ რაოდენ ძლიერ იმპულსს აძლევდა ამ დიდი ისტორიული პროცესების შესწავლას შესაბამისი საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით მრავალგზის გაშლილი მუშაობა. ამის მიუხედავად, კარგა ხანია დრო დადგა ახალი ისტორიის განყოფილებამ დაგეგმოს ხსენებული დიდი პრობლემების ნაკლებად შესწავლილი საკითხების კვლევა-ძიება.

ჩვენ განყოფილებაში დღემდე არაფერი გაკეთებულა საკრედიტო სისტემისა და საბანკო ურთიერთობის შესასწავლად. არადა ჩვენი ეპოქისათვის ეს სისტემა და ურთიერთობა ცხოვრების მაქისცემის უტყუარი საზომია.

განყოფილებაში ცოტა გაკეთდა ქვეყნის საქალაქო ცხოვრების ევოლუციის შესასწავლად. გამოჩალისია თბილისი. ამავე დროს მისი მძლავრი აღმავლობა რომ ბურჟუაზიული ურთიერთობის ნიშანდობლივი თვისებაა, ეს კარგად ჩანს, უპირველეს ყოვლისა, თავისი დროის თბილისისა და ბათუმის მაგალითზე.

კოოპერაცია ქალაქსა და სოფელს შორის კაპიტალიზმის პირობებში საქართველოს ისტორიის მიტოვებული უბანია.

დიდძალი მასალა დაგვიგროვდა საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის ისტორიის შესაქმნელად.

მუშათა კლასის ჩამოყალიბება საქართველოს სამრეწველო ქალაქებსა და სამრეწველო რეგიონებში, ასევე სოფლის პროლეტარიატის გაჩენა სხვა საკითხებთან კავშირში, განხილულია მრავალ ნაშრომში, რაც საიმედო წინაპირობას ქმნის ახალი ხანის საქართველოს მუშათა კლასის ისტორიის განმარტავადელი გამოკვლევის შესაქმნელად.

ეს ნაშრომი შემოქმედებითი ძიებით უნდა შეიქმნას და არა რთული ისტორიული პროცესის ბელეტრიზირებით და კომპილაციის მეშვეობით.

ცოტა რამ როდი გაკეთდა საქართველოს გლეხობის ისტორიის შესამუშავებლად.

ნიადაგი ძირითადად მომზადდა ახალი ხანის საქართველოს გლეხობის ისტორიის შესაქმნელად. გლეხობა ჩვენში, როგორც უპირატესად გლეხურ ქვეყანაში, დაშლის მიუხედავად, ახალ ხანაშიც შემოგვრჩა, როგორც კლასი, (1905—1907 წლების რევოლუცია ჩვენშიც გლეხური რევოლუცია იყო), რაც ჩვენი ისტორიული პროცესის სპეციფიკაა.

ჩამორჩება პოლიტიკური ზედნაშენის კვლევა. შესწავლილია საქართველოს მართვა-გამგეობის სისტემის ორგანიზაციის ეტაპები, მეფის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაციის ევოლუცია 117 წლის მანძილზე.

დადგა დრო შევისწავლოთ საქართველოს ბურჟუაზიული, წვრილბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიულ-სოციალისტური პარტიები, მათი ადგილი და როლი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში.

უახლოეს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოჩნდა გამოკვლევები, სადაც მონოგრაფიულადაა გაშუქებული ექსპლუატატორული კლასების ისტორია XIX ს-სა და XX ს-ის დამდეგის რუსეთში.

რევოლუციამდელი საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობისა და აზრს არაერთი თვალსაზრისით წარმომადგენლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი დღემდე არა გვაქვს საფუძვლიანად განხილული და შეფასებული. დღემდე მხოლოდ თერგდალეულებს მიეკუთვნება ყურადღება.

განყოფილებაში ცოტა რამ კეთდება ისტორიოგრაფიული კვლევის სფეროში. საკმარისი არაა შესასწავლი პრობლემის თუ საკითხის ისტორიოგრაფიის შემუშავება. ბევრი მასალა დაგვიგროვდა განმარტავადელი ისტორიოგრაფიული ნაშრომებისათვის, რომელთა შექმნა საშური საქმეა, მომავალ სამუშაოთა პერსპექტიული დაგვემის თვალსაზრისითაც.

ახალ ისტორიაში თითქმის მიტოვებულია წყაროთმცოდნეობითი კვლევა-ძიება. არადა საისტორიო წყაროების სიუხვე და მრავალფეროვნება ჩვენი საკვლევი ეპოქის ნიშანდობლივი მოვლენაა, რაც, ერთი მხრივ, აადვილებს ჩვენს მუშაობას, მეორე მხრივ კი რამდენადმე აფერხებს, რადგან სტიმულს იძლევა სახელდახელო ნაშრომების ფაბრიკაციისათვის. ამგვარ ცდუნებას თავის მხრივ ძალზე ფრთხილ ასხამს ახალ ისტორიაში სამეცნიერო კრიტიკის მოღუწეობაც, უსუსურობაც და ზოგჯერაც ტენდენციურობა.

რაოდენ უყურადღებონი ვართ წყაროთმცოდნეობითი სამუშაოების მიმართ, ამას ცხადყოფს თუნდაც ის, რომ წყაროების უნიკალური და კაპიტალური გამოცემის — „აქტების“ — მრავალტომეულს დღემდე ვერც ერთი გამოკვლევა ვერ დაეთმო.

ახალი ისტორიის „კრებულში“ თავმოყრილი. წვრილები თემატურად არაა ერთმანეთთან დაკავშირებული. კარგა ხანია დრო დადგა ახალი ძატორიის კარდინალურ პრობლემებზე კოლექტიური ნაშრომების შესაქმნელად.

გიორგი ჯალაღამ

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდები

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორია 1852 წლის 10 მაისიდან იწყება. ამ დღეს გრაფმა ვლ. სოლოგუფმა კავკასიის საიმპერიო გეოგრაფიული საზოგადოების სხდომაზე პირველად დააყენა საკითხი კავკასიური მუზეუმის დაარსების თაობაზე. ამავე სხდომაზე საზოგადოების წევრებისაგან შეიქმნა სპეციალური საეთნოგრაფიო კომისია, რომლის ბაზაზე შემდეგში აღმოცენდა ეთნოგრაფიის განყოფილება. ამავე წლიდან მუზეუმში შემოვიდა პირველი კოლექციები შემოწირულობათა სახით. პირველი შემომწირველები იყვნენ გრაფი ვლ. სოლოგუბი, თავადი მ. ვორონცოვი და მისი მეუღლე, თავადი ჩოლოყაშვილი, რაფ. ერისთავი და სხვ. მათ მიერ შემოწირულ ნივთებშია კოსტიუმი და კოსტიუმის ელემენტები. მუსიკალური საკრავები, სამკაულები და სამეურნეო იარაღების მოდელები და სხვ.

თავიდანვე ეთნოგრაფიული ნივთები ცალკე დავთარში არ აღირიცხებოდა. ასევე, არ იყო ეს ფონდები ცალკე საცავებში გამოჩნული. გეოგრაფიული საზოგადოებისეული და ღირის ღროის დავთრებში ეთნოგრაფიული და არა-ეთნოგრაფიული ნივთები ერთ დავთარშია გატარებული.

კავკასიურ მუზეუმში ეთნოგრაფიის განყოფილების მუშაობის პროფილი საქმად კარგად იყო გამოკვეთილი. აღებული იყო ორიენტაცია, რაც შეიძლება მოკლე დროში შეკრებილიყო კავკასიის ხალხთა და ცალკეული ტომების ყოფა-ცხოვრების ამსახველი ნივთიერი მასალა. ამ ნივთიერი მასალის საფუძველზე უნდა შექმნილიყო სტაციონალური გამოფენები. კოლექციების მოძიების მიზნით მუზეუმი ახორციელებდა მივლინებებს და ექსპედიციებს. მივლინებების, ექსპედიციებისა და ადგილზე მუზეუმისათვის შემოწირულობათა გზით მუზეუმში საქმად დიდძალი ეთნოგრაფიული მასალა დაგროვდა. 1897 წლისათვის მუზეუმის საბჭომ გადაწყვიტა, რომ გამოეცა კავკასიური მუზეუმის კოლექციების კატალოგი 6 ტომად. რომელთა შორის ერთი ტომი უნდა დათმობოდა ეთნოგრაფიულ კოლექციებს. ამ ღონისძიებას მუზეუმის მაშინდელი დირექტორი გუსტავ რადდე ხელმძღვანელობდა. მისი გარდაცვალების შემდეგ (1903) კატალოგების გამოცემის საქმე შეფერხდა. ჯერ გუსტავ რადდეს და შემდეგ კი ა. კაზანაკოვის თაოსნობით განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კავკასიის ხალხთა კოსტიუმების კომპლექსებად შეკრებას. ამ მასალის შემოკრებას ორი მიზანი ჰქონდა, მასალა უნდა გამოყენებულიყო ცალკეულ ტომთა ტიპების გამოფენაზე საჩვენებლად, რომელიც მანეკენების სახით უნდა ყოფილიყო ნაჩვენები და კავკასიის ხალხთა ჩაცმულობის ატლასის შესადგენად.

1910 წლისათვის მუზეუმის მესურვეებს კავკასიის ხალხთა ატლასი შედ-

გენისათვის ფონდებში არსებული მასალა საკმარისად მიუჩნევიათ და გადაუწყვეტიათ ატლასზე მუშაობის დაწყება. ატლასზე მუშაობიდან მთავარი სიმძიმე მხატვრებზე მოდიოდა. მათ უნდა შეერჩიათ ტიპური და კოსტუმის ყველა დამახასიათებელი დეტალი. ამ მიზნით მუზეუმში სამუშაოდ მოიწვიეს სამი მხატვარი: მაქს ტილკე, დრახენფელსი და მატიასევიჩი, 1910 წელს დიდი ენთუზიაზმით დაწყებული მუშაობა 1914 წელს შეწყდა პირველი იმპერიალისტური ომის დაწყებისთანავე. ომის წლებში მუზეუმის ბევრი თანამშრომელი მოწყდა საქმეს. შენელდა სამუზეუმო ექსპონატებსა შექენა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე ეთნოგრაფიული ნივთების რაოდენობა 8 ათასს აღწევდა.

1921 წლიდან მუზეუმში იწყება გარდატეხის ხანა. გარდატეხის ხანა საგანგებოდ გამოიხატა ეთნოგრაფიის განყოფილებაში, როცა აქ სამუშაოდ მოვიდნენ მაშინ ახალგაზრდები, ხოლო შემდეგში ცნობილი დიდი მეცნიერები გ. ჩიტაია, ს. მაკალათია და ვ. ბარდაველიძე.

1922 წლიდან მიყოლებული ეთნოგრაფიის განყოფილებაში დიდძალი ნივთიერი მასალა შემოდის. მასალები შემოდოდა სხვადასხვა მუზეუმიდან და უწყებიდან. ამავე დროს დაწყებული იქნა საინვენტარიზაციო სამუშაოების მოგვარება. 1925 წელს შეიქმნა საინვენტარიზაციო კომისია გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით. კომისიამ ნივთები გადაიბარა დავთრების მიხედვით. ამავე კომისიის წევრმა გ. ჩიტაიამ შეადგინა 1865 წლიდან 1902 წლამდე შემოსული ნივთების თანმიმდევრული კატალოგი. ეს იყო უპარესად დიდი და მძიმე სამუშაო. ამ დავთარში გატარებულ ნივთებს ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ არა ჰქონდა არავითარი აღწერილობა, ან თუ ჰქონდა, ეს აღწერილობები იყო არასრული. ძველ დავთრებში ჩანაწერები, რუსულ ან გერმანულ ენაზე წარმოებდა. გ. ჩიტაიამ ახლად შედგენილ დავთარში აღწერილობათა ვადმოქართულებასთან ერთად გაათართოვა ძენწი აღწერილობები და ცალკეულ სავნებზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაც მიუთითა. აღნიშნულ დავთარში გატარებულია 1296 ნივთი. სამწუხაროდ, 1903 წელში შემოსული ნივთების სააღრიცხვო მაჩვენებელი განყოფილებას არ გააჩნია. 1904 წლიდან იწყება ეთნოგრაფიული ნივთების სისტემატური საინვენტარო დავთარის წარმოება: 1904 წლიდან ვიდრე 1925 წლამდე ეთნოგრაფიულ ნივთები გატარებულია II საინვენტარო დავთარში, დავთრები ერთიმეორის თანმიმდევრულია, ყოველი მათგანი ზონარაყრილი და დალუქულია. დასახელებულ თერთმეტ დავთარში გატარებულია 6692 დასახელების ნივთი. სამწუხაროდ, ზემოთ დასახელებულმა კომისიამ როცა ინვენტარიზაცია ჩაატარა ბევრი ნივთი ადვილზე არ დახვდა. ასე, მაგ., 1904 წლის დავთარში კომისიის მინაწერების მიხედვით ჩანს, რომ ადვილზე ვერ უნახიათ 82 ცალი ხალიჩური ნაწარმი, 117 ერთეული ვერცხლის ნივთები (20 ქამარი, 7 დოქი, 11 ხანჯალი, 2 დამბაჩა, თასები, სათუთუნეები და სხვ.). აბრეშუმის ქაოვილის 105 ნიმუში. თიხის 109 ნივთი, ასევე სხვა დავთრებს კომისიის მინაწერებით აკლია კავკასიური მალდის 26 ნიმუში. საყურეები, 4 თოფი და სამკლავე, იატაკანი, 4 ხანჯალი, ვერცხლის ძეწკვები და სხვ.

საინვენტარიზაციო კომისიამ დაიწყო მანამდე არსებული დავთრების მიხედვით ნივთიერი მასალის ახალ დავთრებში გადატანა, ახალი საინვენტარო ნომრისა და ძველის მითითებით. მაგრამ ამ მძიმე სამუშაოს ადვილად ვერ გა-

ართვა თავი. ბევრი ნივთი დარჩა დავთარში გაუტარებელი. ან ბევრ ნივთს ძველი ნომერი დარჩა ახალი ეტიკეტი აღარ შეაბეს. ამ გარემოებამ მუზეუმის შემდგომ თაობას საკმაოდ გაურთულა სააღრიცხვო და შეჯერებითი სამუშაოები.

ზოგიერთი ნივთი ჯერ კიდევ ძველ დავთრებში ორჯერ იყო გატარებული. ზოგი კი სამჯერ მოხვდა საინვენტარო დავთარში (№ 63—11 შარვალი გაუტარებით № 41—14-ით. № 96—11 კოლექცია გაუტარებით № 40—26/218-ით და სხვ.).

1926 წელს ხელახლა გაუტარებით მანამდე მუზეუმის ფონდში დაცული ჯეჯიმების კოლექცია, რომელიც საინვენტარო წიგნში (1926) ჯგუფებად გაატარეს და ძველი ნომრები დაუტოვეს ახალი ეტიკეტი არ შეაბეს.

ასევე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მეტეხის მცირე ხელოვნების მუზეუმის მიერ გადმოცემული ნივთიერი მასალა, რომლის საინვენტარო დავთარში გატარება დაიწყო 1935 წელს, თვით ნივთებს ეტიკეტები არ შეაბეს. ასეთი გზით შემოსული ნივთები ხშირად ორი, ან სამი ნომრით არის საძებარი.

მძიმე პირობებში იყო საერთოდ ეთნოგრაფიული ნივთები, იმის გამო რომ ნივთიერი მასალა დარგების მიხედვით არ ჰქონდათ გამიჯნული.

1954 წელს დირექციამ მიიღო ბრძანება, რომ მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში მთელი ფონდების შეჯერებითი სამუშაოები, ისე ჩატარებულიყო, რომ დარგებად მომხდარიყო მათი გამიჯვნა. ეს სამუშაო 1956 წლამდე გაგრძელდა.

ეთნოგრაფიის განყოფილებაში 8 ძირითადი დარგობრივი ფონდი შეიქმნა: ძვირფასი ლითონების, ქსოვილების, ხალიჩების, კერამიკის, ხის ნაკეთობათა, ლითონის, იარაღის და ტყავ-ბეწვეულის.

ცალკეულ ფონდებში დაცული მასალები ასე ნაწილდება.

ფონდის დასახელება	ექსპონატების რაოდენობა		
	1966 წ.	1976 წ.	1982 წ.
ძვირფასი ლითონების	3383	4554	4955
ქსოვილი კოსტიუმის	4656	5771	6185
ხალიჩების	698	766	799
კერამიკა	2480	2748	2757
ხის ნაკეთობანი	3213	3569	3609
ლითონის	3634	4035	4134
იარაღის	2895	2926	2928
ტყავ-ბეწვეულის	470	510	525

1982 წლისათვის აღნიშნულ ფონდებში დაუნჯებული იყო 25 630 დაახელების ნივთი. ამას გარდა, განყოფილებაში დაცულია 7000-ზე მეტი დასახელების დამხმარე მასალა (ნახაზები, ნახატები, ფოტოსურათები). ცალკეულ ფონდებში დაცული მასალები ასე ნაწილდება.

დამხმარე ფონდის მასალა განსაკუთრებით გაიზარდა უკანასკნელი 20 წლის მანძილზე. ამ მასალაში აღსანიშნავია სვანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციების მიერ ველზე მოპოვებული ნივთების, როგორც საცხოვრებელი და

სამეურნეო ნაკებობების ანაზომები და ჩანახატები. ნივთიერი მასალით ძირითადი ფონდები ნაკლებად იზრდება, ამის მიუხედავად თვით ეთნოგრაფიული მასალის შემცირება და მათი შექმნისათვის ექსპედიციებში ლიმიტირებული სახსრები. გარდა ამისა ეთნოგრაფიის განყოფილება დიდ სივიწროვეს განიცდის, რაც აგრეთვე გარკვეულად ზღუდავს ფონდების შემდგომ ზრდას. მიუხედავად ამისა 1975 წლიდან 1983 წლამდე ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში შემოვიდა ძვირფასი ლითონის ფონდში 482 ერთეული, ქსოვილის ფონდში 479 ერთეული, ხალიჩების ფონდში 40 ერთეული, სულ ყველა ფონდში გარდა დამხმარე ფონდისა 1000-მდე ნივთია მიღებული. ამავე პერიოდში ეთნოგრაფიის განყოფილებიდან მეცნიერებათა აკადემიის ნებართვით ათი დასახელების ნივთი გაიგზავნა პოლონეთში მუსიკალური საკრავების მუზეუმში, ხოლო 15 დასახელების ნივთი მოსკოვის სტროგანოვის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტის მუზეუმში.

უკანასკნელ დროს, როგორც ზემოთ ითქვა, გაძნელდა ეთნოგრაფიული ნივთების მოპოვება და შექმნა. საქართველოში მრავალი მხარეთმცოდნეობის და მემორიალური მუზეუმი გაიხსნა. დღეს მათი რიცხვი 100 აჭარბებს. ყველა მუზეუმში ცდილობს ნივთების დაამშვენოს თავისი ექსპოზიციები. ეს კი თავისთავად ეთნოგრაფიულ ნივთს ფასს უწევს. მარტო 1980 წელს ეთნოგრაფიული განყოფილებისათვის მუზეუმმა 29 ათასი მანეთის ნივთიერი მასალა შეიძინა. ამ მასალაში საგანგებოდ უნდა აღინიშნოს შემოწირულობით შემოსული კოლექციები გორის რაიონის სოფ. ქორდიდან სონა მიხეილის ასული ხაჩიურის (რიტუალური ტაბიკი), უშანგი ვასილის ძე ხშიადაშვილის (ვერცხლის ბალთები ქამრისა), ჟორა ვლადიმერის ძე ჯალბაძის (სახნისი), ცაგერის რაიონის სოფ. ოფიტარას მცხოვრებ მ. ორბელიძის (წალკატი), სამტრედიის რაიონის სოფ. ილორის მცხოვრებ. გ. რუსიას (ხელწისქვილი) მიერ შემოწირული ნივთებით ძვირფასი ნივთები შესწირეს მუზეუმს აკად. ავლიბი ზურაბაშვილმა (XIX ს. ქალის პერანგი) და ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ალექსი ბარნოვმა (XVII საუკუნის თარი).

მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების ცალკეულ ფონდში დღეისათვის იმდენად მდიდარი მასალაა დაგროვილი, რომ შესაძლებელი ხდება ცალკე აღებულ ამა თუ იმ პროფილით წარმოდგენილ მასალაზე შედგენილი იქნას, როგორც კატალოგები, ისე დაიწეროს მონოგრაფიული გამოკვლევები.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ველზე ეთნოგრაფიული მასალის მოძიება გარკვეულ სიძნელეებს აწყდება. მიუხედავად ამისა ექსპედიციებიდან მიიწვინება მუზეუმში შემოტანილი იქნას ეთნოგრაფიულად საინტერესო ნივთები. იმერეთის, სამეგრელოს, გურიის და ლეჩხუმის (1971—1980 წწ.) ეთნოგრაფიულმა ექსპედიციებმა განყოფილების ფონდებს მრავალი ახალი და საინტერესო ნივთი შემატანეს 1974 წელს სამეგრელოდან ექსპედიციამ წამოიღო ოხვამერის ჭური — სარიტუალო დანიშნულების მცირე მოცულობის ქვევარი — საზედაშე. თითოეულ ოჯახს, ოჯახის უფროსის სახელზე ძველად სამი მცირე მოცულობის ქვევარი ჰქონდა ეზოში ჩაგდებული მათი მოცულობა 20—40 ლიტრს არ აღემატებოდა. ქვევრების ადგილი საგანგებოდ იყო შერჩეული და შემოღობილი რომ სუფთად ყოფილიყო დაცული. ამ ადგილს ოხვამერს უწოდებდნენ. მათ ნათავარი ტყბილით ავსებდნენ. ახდიდნენ ერთს ახალწელს, მეორეს წყალკურთხევას, ანუ ახალიწლის ერთი კვირის თავზე. ამ ორს საღმ-

თოს უწოდებდნენ, ხოლო მესამეს სამავარიოს, რომელსაც აღდგომას მოხდიდნენ და ხარჯავდნენ. ასეთი საზედაშე ქვევრები ვადმოცემით თამაკონში უკეთებიათ და მათ მიწაში ყოველგვარი გაპოხვის გარეშე ათავსებდნენ. ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემთხვევაში სამივე ქვევრს ამოიღებდნენ წაიღებდნენ სადმე შორს, ადამიანისა და პირუტყვის უხვედრ აღდიღვე დაამსხვრევდნენ. გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ საზედაშე ქვევრებს კვლავ შეიძენდნენ და ჩაყრიდნენ მორიგი უფროსი მამაკაცის სახელზე.

კერამიკის ფონდში დაცულია ჩვენ მიერ დიდი-ჭყონიდან კ. ერქვანის ოჯახიდან ჩამოტანილი, შემთხვევით დამსხვრევას გადარჩენილი საღვთო ქვევრი (კოლ. № 64—974/4) რომლის სიმაღლე 24 სმ პირის დიამეტრი 4 სმ. იგი ეთნოგრაფიულად საინტერესო ბევრ საკითხთან არის დაკავშირებული. აქ მისი კავშირი აშკარად ჩანს, ერთი მხრივ, მევენახეობა-მეღვინეობასთან, როგორც უძველეს სამეურნეო დარგთან, მეორე მხრივ, თვით კერამიკულ წარმოებასთან და ასევე სოციალურ ასპექტში ოჯახის უფროსის კულტთან და მიცვალებულის სულთან. ე. ი. ამ უკანასკნელით ოხვამერთან დაკავშირებული რიტუალი სულიერი კულტურის სფეროსაც განეკუთვნება.

წლების მანძილზე ვანხორციელებული ექსპედიციების გზით, განყოფილებამ შეძლო საინტერესო ნივთიერი მასალა მოგოვებინა აგრეთვე შინამრეწველობის ისეთ დარგზე როგორცაა რკინამჭედლობა. თითქმის არ დარჩენილა დასავლეთ საქართველოს არც ერთი მნიშვნელოვანი კუთხე, საიდანაც მჭედლური ნახელავის ნიმუშები არ ჩამოგვეტანა.

განყოფილების ექსპედიციები დიდ დახმარებას უწევენ ადგილობრივ მხარეთმცოდნეობით მუზეუმებს. ბევრ მუზეუმს ექსპედიციებმა მიაწვადეს სამუზეუმო დანიშნულების ნივთების შესაძენათ.

ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში დაუნჯებული მდიდარი ნივთიერი მასალა იმის გარანტია იძლევა რომ მოეწყოს მეცნიერული თვალსაზრისით სრულყოფილი მრავალი ეთნოგრაფიული გამოფენა როგორც სტაციონარული, ისე მოძრავი დროებითი გამოფენების სახით.

უკანასკნელი წლების მანძილზე ფონდების შემდგომი მოვლა-მოწესრიგების გაუმჯობესებისათვის განყოფილება ახორციელებს დიდი მოცულობის სამუშაოებს. მოძრავ საკართოთეკო ბარათებზეა გადატანილი ნივთების აღწერილობა.

მიმდინარეობს დარგობრივი საკართოთეკო ბარათების შედგენა. ეს სამუშაო რამდენადმე გააადვილებს ფონდებზე მუშაობას. საშუალებას მოგვცემს გაკეთდეს დარგობრივი ფონდების შიდა კლასიფიკაცია.

აქ შეიძლება საუბარი ამით დაგვესრულებინა, მაგრამ გულისტკივლით უნდა აღვნიშნოთ, რომ მრავალი ეთნოგრაფიული ექსპედიცია, და მივლინება, რომელსაც ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებები ახორციელებენ სამუზეუმო ნივთებს უყურადღებოდ ტოვებენ. გასაგებია, რომ მათ საამისო თანხა არ ეძლევათ, მაგრამ ამა თუ იმ კუთხეში ნანახი სამუზეუმო ნივთის არსებობაზე ცნობა რომ მოგვაწოდონ ამით მუზეუმის ეთნოგრაფიის ფონდების შემდგომი გამდიდრების საქმეს დიდ სამსახურს გაუწევდნენ.

**ბ. სორნაული, მთავი და სახელეზი (მთიულეთ-გულდამყარის ტოპონი-
მიკური მასალები და ძიებანი), თბ., 1983**

საქართველოს ცალკეული კუთხის მეცნიერულ შესწავლას საკმაოდ ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიცია აქვს. ვახუშტი ბაგრატიონის ფუძემდებლური ნაშრომის შექმნიდან დღემდე მეტ-ნაკლები სისრული შექმნებოდა ისტორიის, ყოფისა და კულტურის საკითხები, მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობას საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ბოლო წლებში, როდესაც თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნულ-კულტურული პოლიტიკის განვითარებაში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიენიჭა სოფლის მოსახლეობის სტაბილიზაციის საკითხს. პირველ რიგში ეს ეხება საქართველოს მთიანეთს, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ საქართველოს მთიან კუთხეებს, რომელთა ერთ ნაწილში (მთიულეთი, გულდამყარი, ზევი, ქანის ხეობა, თიანეთი) დგას მიგრაციის შეჩერების, ხოლო მეორეში (თუშეთი, ხევისურეთი, ფშვი) — ამასთან ერთად, ცხოვრების აღორძინების საკითხი. აღნიშნული კუთხეების კომპლექსური სამეცნიერო შესწავლა დაგეგმილია საქართველოს სსრ სამეცნიერო დაწესებულებებში, საკოორდინაციო საბჭოებმა და კომისიებმა.

მთიანეთის კომპლექსურ შესწავლაში მნიშვნელოვანი ადგილი უკირავს ტოპონიმიკური ძიებას, რასაც მიეძღვნა გივი ხორნაულის ნაშრომი. მასში მოცემულია ავტორის მიერ არაგვის ხეობის მთის ზევი ალწერლი 7000 ტოპონიმის შინაარსობრივი და ენათმეცნიერული ანალიზი. ტოპონიმიკური მასალის აღნუსხვით, მისი კლასიფიკაციით, ენათმეცნიერული ანალიზით და ვრცელი კომენტარებით ავტორმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ტოპონიმიკური შესწავლის სფეროში. აღნუსხული ტოპონიმები საყურადღებო წყაროა როგორც ენათმეცნიერული, ისე ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევისათვის. ამ შემთხვევაში ჩვენს ყურადღება მიიქცია პირველ რიგში მთიულეთისა და გულდამყარის ლოკალიზაციის საკითხებმა, რაც წამოიჭრა ტოპონიმიკური მასალების ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემებით შეჭერების საფუძველზე. ამ მიზნით ავტორმა წიგნში სათანადო ადგილი დაუთმო გეოგრაფიულ, ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მიმოხილვას, რასთან დაკავშირები-

თაც ზოგიერთი საკითხი დაზუსტებას საჭიროებს.

ლოკალიზაციაში დაშვებული უზუსტობა გამოჩნდა წიგნის სახელწოდებაშივე, როდესაც ავტორმა ტოპონიმიკური კვლევის არას უწოდა მთიულეთ-გულდამყარი. სინამდვილეში ავტორის შესწავლის საგანია არა მარტო ხსენებული კუთხეების, არამედ მათ მეზობლად მდებარე მთის თემების — ხანდოს და ჭართლის ტოპონიმიკიკი. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ავტორი ჭართლისა და ხანდოს, ვითარცა არაგვის ხეობაში მდებარე მთის კუთხეების დამოუკიდებელ არსებობას ხელაღებით უარყოფს და მათ მთიულეთის შემადგენელ ნაწილებად მიიჩნევს, ხოლო ჭართლებს და ხანდოლებს მთიულეთთან აიგივებს. გ. ხორნაულის აზრით: „მთიულეთი და გულდამყარი საქართველოს მთის კუთხეებია, ორივე მდებარეობს კავკასიონის სამხრეთ კალთებზე; მთიულეთი — თეთრი არაგვის ხეობაში, ვერის უღელტეხილიდან ფასანაურამდე (ძირითადად ნაწილი) და ფასანაურიდან ქინვალამდე; გულდამყარი კი, მთიულეთის თითქმის განუყოფელი ნაწილი, — შავი არაგვის ხეობაში, ფასანაურიდან ბურსაქირისა და დუმატოს მთებამდე“ (გვ. 7).

ავტორი ასეთ დასკვნამდე მიიყვანა, ერთი მხრივ, წერილობითი წყაროების და ეთნოგრაფიული მასალების არამართებულმა ანალიზმა, მეორე მხრივ, კი ცნებების — „მთიულეთის“ და „მთიანეთის“, აგრეთვე, „მთიულის“ და „მთიელის“ ერთმანეთში არგვის ფაქტორმა.

სწორედ არსებული მონაცემების გაუთვალისწინებლობის მიზეზით ვერ გაარკვია ავტორმა, თუ „ვინ იყვნენ ჭართლები, რითი განსხვავდებოდნენ მთიულეთისა და ჭართლებებისაგან“ (გვ. 9), ხოლო მთიულეთის სამხრეთ მიყვალ ქინვალს გამოცხადებისათვის საკმარისად მიიჩნია მარტოოდენ ამ ფაქტის კონსტატირება, რომ „...ტერიტორია ჭართლს ქვემოთ, ქინვალამდე, და აგრეთვე ზოზხის ხეობა, ძირითადად მთიულურია. მართალია, ამ ტერიტორიაზე ბევრია არამთიული მოსახლეობა, კილოც ჭართლურით არის შეზავებული, მაგრამ უფრო მეტად მთიულურია, ვიდრე

სხვა. ამიტომ, ამჟამად, ჩვენი აზრით, მითუ-
ლეთის სამხრეთ საზღვრად ქინვალი უნდა მი-
ვიჩინოთ“ (გვ. 9).

საქოთხის ასე გადაწყვეტა გაუმართლებე-
ლია, ვინაიდან მითულეთის სამხრეთი მიჯნის
დადგენა ვახუშტი ბგარტიონის დამსახურებაა,
და, ამდენად, აღნიშნული კუთხის სამხრეთი
საზღვრის ვახუშტისეული ლოკალიზაცია, რაც
ადგილზე შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები-
ბითაჟ პოულობს დასაბუთებას, არაერთარ კო-
რექტირებას არ საჭიროებს. ცხადია, ვახუშტის
„აღწერაში“ დაცული ცნობების მეტი ყურა-
დღებით გაცნობის შემთხვევაში გ. ხორნაულს
არ უნდა ვასპირებოდით იმის გარკვევა, რომ
მითულეთის სამხრეთი საზღვარი არ სცილ-
დებოდა მითულეთის (თეთრი) და გუდამაყარის
(შავი) არაგვისის შესაყარ ადგილს დაბა ფსა-
ნაურთან და არ აღწევდა მითულეთ-კარამდე,
რომელიც მკვლევარს, შეცდომით, მითულეთის
კარის (ე. ი. ამ კუთხის სამხრეთი მიჯნის)
მნიშვნელობით აქვს გააზრებული. ვახუშტი
ბგარტიონი „მითულეთის აღწერაში“ ხომ
გარკვევით განმარტავს, რომ „გუდამაყარის-
კევის შესართავს ზეით, დასავლეთ-ჩდილოს
შუა, არს მითულეთი“¹. მითულეთის სამხრეთი
საზღვრის დადგენისათვის სწორედ ამ ცნობას
უნდა მინიჭებოდა გადაწყვეტი უპირატესობა
და არა არაგვის ხეობის სხვადასხვა კუთხეში
(ხანდა, ჰართალი, ხენგებული ხეობის მონაკვე-
თი ანანურდიან ქინვალიამდე, ხორხი) მითულ-
თა ჩასახლების ფაქტს; რაც თავისთავად აღ-
ნიშნული კუთხის (ე. ი. მითულეთის) ისტო-
რიული საზღვრების ცვლილებაში არსებით
როლს არასდროს არ ასრულებდა. საერთოდ,
ამის მტკიცების საჭიროება არც ჩანს, ვინაი-
დან მითულეთის ფარგლებს გარეთ მცხოვრე-
ბი მითული მთხრობლები, მართალია, არ ივი-
წყებენ თავიანთ კუთხურ წარმომავლობას და
დღესაც მითულობენ, მაგრამ ამავე დროს ისი-
ნი თავიანთ წინაპართა კუთხის — მითულე-
თის ისტორიულ ტერიტორიად უწყობანოდ
გვისახელებენ „ფსანაურის ზეითობას ჯვრის
ყელამდე“. რაც შეეხება ზოგიერთი მთხრობლის

იმ გამოთქვამს, რომ „ანანურს ზეით ჩვენ
სულ მითულებს გვეძახიანო“, ეს უქანსკელი
რელიეფურად ასახავს ცნებებს — „მითელის“
და „მითლის“ თანაბარმნიშვნელოვანი ხმა-
რების ბარში დამკვიდრებულ ტრადიციას, რო-
მელსაც გ. ხორნაულმა უერთგულა.

ჰართალებების ვინაობის საკითხთან დაკე-
შირებით კი ავტორის საყურადღებოდ უნდა
აღინიშნოს, რომ ისინი ჰართელ მითელთა
ერთ-ერთ ეთნოგრაფიულ ჯგუფს წარმოადგენდ-
ნენ (სიყვე როგორც მითულები, გუდამაყარე-
ლები, მოხვევები და ხანდოლები), ხანდოს
ხევისა და ანანურს შორის ლოკალიზებულ მთის
კუთხეში — ჰართალში სახლობდნენ და ამით
განსხვავდებოდნენ მითულებისა და მით უმე-
ტეს, ჰართალებისაგან².

სამუყუხაროდ, გ. ხორნაულს ბუნდოვანი წარ-
მოდგენა აქვს არა მარტო მითულეთის სამხ-
რეთი საზღვრის, არამედ აღნიშნული კუთხის
ჩრდილოეთი და დასავლეთი მიჯნების შესახებ,
რასაც თვალნათლივ მოწმობს ავტორის მტკი-
ცება იმის თაობაზე, თითქოს „მითულეთს ჩრდი-
ლოეთით და დასავლეთით ოსეთი ესაზღვრე-
ბა“ (გვ. 31).

როგორც ჩანს, ავტორს მხედველობაში აქვს
მითულეთის ტერიტორიაზე (დუდის ხევი,
ჯვრის უღელტეხილის მიდამოები) და ქსნის
ხეობის მაღალმთიან ნაწილში (ცაშურის ხევი)
ოსების დასახლება გვიანფეოდალურ ხანაში და
ამის შედეგად მითულებთან მათი დამეზობ-
ლება. მაგრამ საქართველოს ამა თუ იმ ხეო-
ბაში ოსების დასახლება და ამ გზით ჰართულ
მოსახლეობასთან მათი დამეზობლება სრულ-
ბითაც არ ნიშნავს იმას, რომ მითულეთს ჩრდი-
ლოეთიდან და დასავლეთიდან ოსეთი ესაზღვ-
რებოდა. განმარტებას არ უნდა საჭიროებდეს
ის ფაქტი, რომ დასავლეთი მხრიდან მითულ-
ეთის ესაზღვრება ქსნის ხეობა, კერძოდ
ცხრაქამის ხევი, ხოლო ჩრდილოეთი მხრიდან
ხევი — ყაზბეგის რაიონი.

ასევე მითულებელია გ. ხორნაულის კატეგო-
რიული ვანაცხადი იმის შესახებ, თითქოს —
„მითულეთი კეტავდა ჩრდილოეთის კარს —

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV
თბ., 1973, გვ. 355.

² ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, „ქართლის ცხოვრება“,
(ქვემო ყველგან ქ.), ტ. I, თბ., 1955, გვ. 27, 125; მატანე ქართლისა, ქც, I, გვ. 256; ისტორიანი
და აზნანი შარავანდეთანი, ქც, II, თბ., 1959, გვ. 111; სამწყსოს განახლების სიგელი ერეკლე II-
სა წილკნელ ქრისტიანობისადმი, 1746 წ., ქართული სამართლის ძეგლები (ქვემოთ ყველგან ქსა),
ტ. II, თბ., 1965, გვ. 396; კათალიკოსის სამწყსო სოფელი და ხელქვეშეანი მღვდელმთავარი ქარ-
თლსა და კახეთში (1788—1811), ქსა, III, თბ., 1970, გვ. 1114; Записка Н. С. Чилияева о
орских народах по Военно-Грузинской дороге, 1827, АКАК, VII, 1878 г, Тифлис, გვ.
347 და ა. შ.

დარიალს... თუ ვინიკობაა მთიულები გაუხსნიდნენ კარს საზრეთ რუსეთის ველებზე მცხოვრებ ტომებს: სკვითებს, ალანებს (ოსებს), ხაზარებს და სხვ. ამ ნიღდარით წამოსულ ლაშქარს შეიძლება ვუთხროთ წაელქა საჭარველის ბაი" (გვ. 7).

დამოწმებული სტრიქონებიდან ნათლად ჩანს, რომ მკვლევარი ხევის და მოხვეების არსებობას კიდევ ერთხელ აყენებს ეპქვეშ, ხოლო დარიალის კარის მცველთა ფუნქციას ხელალებით აკუთვნებს ჯვრის უღელტეხილის გაღმომლა მცხოვრებ მთიულებს (ხადელ-ცხავატელებს). მაგრამ აქ ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ავტორის ერთმანეთში არევიან ცნებები — „მთიელი“ და „მთიული“ და ამ მიზეზით მოხვეები მთიულებად წარმოდგენიან. საყურადღებოა, რომ აღნიშნული ცნებების თანაბარმნიშვნელოვანი ხმაირების ტრადიციის წინააღმდეგ თავის დროზე კრიტიკული აზრი გამოთქვა ალ. ყაზბეგმა. მთიელთან მთიულის გაიგივებას „სავალალო მოვლენად“ თვლიდას. მაკალათია, რომლის აზრით, „მრავალ ჩვენთაგანს მთიულეთზე მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს და ზოგიერთს მთიულები მთიელებისაგან დღემდე ვერ გაურჩევია“⁴. მართალია, ზ. ხორნაული საცხებით იზიარებს ს. მაკალათიას სამართლიან წუხილს იმის თაობაზე, რომ „ზოგიერთს მთიულები მთიელებისაგან დღემდე ვერ გაურჩევია“, მაგრამ იგი რატომღაც თვითონ ექცევა მთიულის და მთიელის შინაობრივი იდენტურობის ტრადიციის გველენის ქვეშ. როცა მოხვეებს მთიულებისაგან ვერ ახსვავებს.

ვეფქრობთ, ყველა ზემოაღნიშნული უზუსტობის გამოვლენის და კორექტირების შემდეგ კიდევ უფრო ცხადად ჩანს ის, თუ რაოდენ სერიოზული შეცდომაა მთიულეთის საზღვრის გადაწევა ქინვალამდე (ან დარიალამდე) და ხსენებული კუთხის მოცულობის ასეთი ხელეწიერი გაზრდის საფუძველზე მისი თვითნებურად დაყოფა ძირითად და არაძირითად ნაწილად. ამის კვალობაზე დაუშვებელია ხანდოს და ჰართლის შეყვანა მთიულეთის შემადგენლობაში, ხოლო გუდამაყარის გამოცხადება მთიულეთის თითქმის განუყოფელ ნაწილად. წერილობითი წყაროების, სპეციალური ისტორიულ-ეთნოგრაფიული ლიტერატურის და ადგილზე დაფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალების კომპლექსური ანალიზი თვალნათლად ცხადყოფს, რომ გუდამაყარი ძველთაგანვე წარმოადგენდა არაგვის ხეობაში დამოუკიდებლად არსებულ მთის კუთხეს, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბებული სახეთათმისო საზღვრით მტკიცედ იყო გამოყოფილი მთიულეთისაგან; იგივე ითქმის ხანდოს ხევის შესახებ.

ულოდ ხსენებული კუთხეების არამართებული ლოკალიზაციის მიზეზით დაასახელა ავტორმა ქინვალი ფშავისა და მთიულეთის არაგვის შესაყარ ადგილად (იხ. გვ. 8) კონკრეტულ შემთხვევაში არ არის ვათავალისწინებული ის გარემოება, რომ მთიულეთის არაგვი (ან თეთრი არაგვი) ამ სახელწოდებას მხოლოდ ისტორიული მთიულეთის ტერიტორიის ფარგლებში ატარებს, ხოლო გუდამაყარის არაგვის (ან შივი არაგვის) უფეროების შემდეგ იგი ჰკარავს თავის კუთხურ სახელწოდებას და ფასანაურიდან ვიდრე მცხეთამდე (ე. ი. მდ. მტკვართან შემერთებამდე) მიედინება არაგვის სახელწოდებით.

დაახლოებით ანალოგიური ხასიათის შეცდომებს უშუებს მკვლევარი მთიულეთის და გუდამაყარის ცალკეული სოფლებისა და ხეების ადგილმდებარეობის განსაზღვრისას, რაც ისევ და ისევ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების არასწორი ანალიზით აიხსნება. თქმულის საილუსტრაციოდ გამოდგება თუნდაც ავტორის შივი მოცემული ის განმარტება, რომ „კადა — ხეობაა მთიულეთის ზემო ნაწილში, თეთრი არაგვის ერთ-ერთი სათავე“ (გვ. 192). ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ თეთრი არაგვი აქვს მხოლოდ ერთი (და არა რამდენიმე) სათავე, რომელიც ღუდის ხევი და არა ხადის ხეობაშია საძიებელი. წერილობითი წყაროების მონაცემების და ეთნოგრაფიული მასალების გაცნობა ადვილად გვარწმუნობს, რომ გუდამაყარი მთიულეთის და გუდამაყარის ცალკეული სოფლებისა და ხეების ადგილმდებარეობის განსაზღვრისას, რაც ისევ და ისევ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების არასწორი ანალიზით აიხსნება. თქმულის საილუსტრაციოდ გამოდგება თუნდაც ავტორის შივი მოცემული ის განმარტება, რომ „კადა — ხეობაა მთიულეთის ზემო ნაწილში, თეთრი არაგვის ერთ-ერთი სათავე“ (გვ. 192). ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ თეთრი არაგვი აქვს მხოლოდ ერთი (და არა რამდენიმე) სათავე, რომელიც ღუდის ხევი და არა ხადის ხეობაშია საძიებელი. წერილობითი წყაროების მონაცემების და ეთნოგრაფიული მასალების გაცნობა ადვილად გვარწმუნობს, რომ გუდამაყარი მთიულეთის და გუდამაყარის ცალკეული სოფლებისა და ხეების ადგილმდებარეობის განსაზღვრისას, რაც ისევ და ისევ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების არასწორი ანალიზით აიხსნება.

³ ალ. ყაზბეგის თხზულებანი, ტ. V, თბ., 1950, გვ. 224.

⁴ ს. მაკალათია, მთიულეთი, თბ., 1930, გვ. 3.

⁵ Армянская география VII века по р. х., под изд. К. П. Патканова, СПб, 1877, გვ. 35—38; ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა .. ქც. I, გვ. 125; ბერ ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, ქც. II, გვ. 349; ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი, ქც. II, გვ. 444; ვახუშტი, აღწერა..., ქც. IV, გვ. 354—355; Письма старшин горных провинций Гудамакари, Мтиულети и Хевии к царю Вахтангу VI с изъявлением своей верноподданности, «Документы по взаимоотношениям Грузии с Северным Кавказом в XVIII в.» Тб., 1968, გვ. 122—126; სამწყისო განახლების საგელი ერეკლე მეორისა შილენელ ქრისტეფორესადმი, 1746 წ.; ქსდ, II, გვ. 396 და ა. შ.

მუნებს იმაში, რომ თეთრი არაგვი ლუდის ხევის თავში მდებარე ნედისკალის მთასთან იღებს სათავეს, ხოლო რაც შეეხება ხადის ხეებს (ყმათაღმწერლისეულ ციკარეს, ვახუშტის ხეებს „ნო-კოშოვან“ ციკარეს), მას ჩამოუდის ხადის წყალი, რომელიც ვახუშტის „აღწერაში“ ციკარას წყალის სახელწოდებით არის ცნობილი. ამდენად, ხადის წყალი („ციკარას წყალი“) თეთრი არაგვის ერთ-ერთი შენაკადია (იგი სოფ. ქვეშეთთან ერთვის თეთრ არაგვს) და არა მისი ერთ-ერთი სათავე, როგორც ეს სარეცენზო ნაშრომშია აღნიშნული.

კორექტირებას საჭიროებს აგრეთვე სარეცენზო ნაშრომის მე-4 გვერდზე მოცემული ის განმარტება, რომ „სოფ. მუგულა ჭარბალთან არის, მაღლა მთაზე“. როგორც ჩანს, გ. ხორნაუღი სოფ. ჭალისსოფელს ჭარბალთელის იმ მარტივი მიზეზით, რომ სამხედრო გზის გაყოფაზე მდებარე სოფ. ჭალისსოფელს საგზაო ნიშანზე არსებული წარწერა მგზავრებს სოფ. ჭარბალის სახელწოდებით აცნობს. მაგრამ ადგილზე გამოკითხვით ძნელი არ არის იმის გარკვევა, რომ ჭარბალი, როგორც დამოუკიდებლად არსებული სოფელი არ არსებობს, ისევე როგორც არ არსებობს სოფ. მთიულეთი, ან სოფ. გუდამაყარი. ჭარბალად სახელდებულია არა ერთი რომელიმე დასახლებული პუნქტი, არამედ მთელი კუთხე, რომელიც ლოკალიზებულია ანანურსა და ხანდის შორის. აღნიშნული ვითარებას გამოიმდინარე, სარეცენზო ნაშრომის ავტორს ჯეროვანი თვალსაჩინოებისათვის უნდა აღენიშნა, რომ მუგულა ჭარბალში (და არა ჭარბალთან) მდებარე ერთ-ერთი სოფელია, რომელიც ემეზობლება სოფ. ჭალისსოფელს.

სარეცენზო ნაშრომში აშკარა წინააღმდეგობას აქვს ადგილი, როცა ერთ შემთხვევაში ხამუშა გამოცხადებულია დამოუკიდებლად არსებულ სოფლად (გვ. 4), ხოლო მეორე შემთხვევაში იგივე ხამუშა სოფ. მუგულის ახლად წარმოქმნილ უბნად არის დასახლებული (გვ. 191). ჩვენთვის გაუგებარი მიზეზით, ავტორი ერთსა და იმავე დროს მაღლა მთაზე მდებარე სოფ. მუგულის, როგორც ჯერ კიდევ მოსახლეობისაგან დაუცვლილი სოფლის არსებობასაც აღიარებს და ამ უკანასკნელის სახელწოდების მიკროტოპონიმად გააზრებასაც არ უხერხულობს, რაც თავისთავად, სოფ. მუგულის (ძველი მუგულის) რეალური არსებობის იგნორირებას ნიშნავს. ავტორი წინ უსწრებს მოვლენათა მსვლელობას, როცა გადამწყვეტ

უპირატესობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ „მიკროტოპონიმი მუგულა სადაც არის მიკროდოქცევა“ (გვ. 191) და ამის კვალობაზე იმ ნაადრევ დასკვნამდე მიდის, რომ სახელწოდება „მუგულა კი გორისა შეიბრძოლა და მიკროტოპონიმად იქცა“ (გვ. 4). ვფიქრობთ, მკვლევარს არ უნდა სჭირდებოდეს იმის შესხენება, რომ თუნდაც ერთი კომლით დასახლებული სოფლის სახელწოდების მიკროტოპონიმად მიჩნევა დაუშვებელია, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს მკვიდრი მოსახლეობისაგან ბოლომდე დაუცვლილი სოფლის ნასოფლარად გამოცხადების ცდასთან.

ჩვენ ვერ გავიზარებთ სარეცენზო ნაშრომში გატარებულ იმ აზრსაც, თითქოს „მთიულეთ-გუდამაყარის ისტორიული წარსულის შესახებაც (ისევე, როგორც სხვა მისი კუთხეთა შესახებ) ძალზე ცოტა რამ არის ცნობილი. მაგრამ აღრინდელ წერილობით ძეგლებში, „ჭართლის ცხოვრებაში“ ზოგიერთ სხვა კუთხესთან შედარებით მინც მეტად იხსენიება მისი სტრატეგიული მდგომარეობის გამო...“ (გვ. 13).

დამოწმებული სტრქონების ავტორის საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ მთიულეთისა და გუდამაყარის ისტორიული წარსულის შესახებ საკმარისი რაოდენობით მოგვებოვება ცნობები წერილობით წყაროებში, რომელთა საფუძვლიანი ანალიზი გვაძლევს იმის ყველა შესაძლებლობას, რომ მთიულეთის და გუდამაყარის შესახებ არც თუ ცოტა რამ ვიცოდეთ. ამის კვალობაზე ჩვენ ვერ დავეთანხმებით სარეცენზო ნაშრომის ავტორს იმაშიც, თითქოს „ერთადერთი ძეგლი, რომელიც შედარებით ვრცლად ასახავს მთიულთა ყოფას, არის 1325—1338 წლებში შედგენილი იურიდიულ-უფლებრივი კანონების შემცველი დოკუმენტი „ქ. ძეგლის დღეა მეფეთ მეფის გიორგის მიერ“ (გვ. 14).

ვითარების ასეთნაირი შეფასებისას გათვალისწინებული არ არის ის ფაქტი, რომ ჯერ ერთი, „ძეგლის დღეა“ მარტოოდენ მთიულეთისათვის შედგენილ, პარტიკულარული ხასიათის სამართლის წიგნს არ წარმოადგენს, არამედ მისი მოქმედების ტერიტორიაში შედის მთიულეთის (ხადა-ცხავატის) მეზობლად მდებარე სხვა მთის კუთხეებიც, კერძოდ გუდამაყარი, ხანდო და ჭართლის გარკვეული ნაწილი (სოფ. მენესოს ზევით მდებარე ტერიტორია). ამაში თვალნათლივ ვერწმუნდებით საქლმდებლის მიერ სამართლის წიგნის შესავალში მო-

ცემული განმარტებიდან: „ჩუართა ყელს აქეთ, კადა-ცხატოს, ზანდუეის ქვეს, კიბეთ ქუეშეთ და მენესოს ზემთ ეს განაჩენი დადევით“⁷. მეორედ, „ძეგლის დადების“ გარდა, მთიულეთის და გუდამაყრის (ისევე როგორც არაგვის ხეობაში ლოკალიზებული სხვა მთის კუთხეების) ისტორიული წარსულის შესახებ მეტად საყურადღებო ცნობებს ეხვდებით „ქართლის ცხოვრების“ ავტორთა თხზულებებში (აქ საკმარისია დავასახელოთ ვახუშტის ნაშრომიდან „აღწერა მთიულეთისა“), სხვადასხვა პერიოდის საისტორიო საბუთებში და სამართლის ძეგლებში⁸, XVIII—XIX სს-ის სტატისტიკურ მასალებში⁹, და ამავე დროს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში (ი. ბატონიშვილი, გულდენშტედტი, ნ. ჭილაშვილი, ნ. ნიკიფოროვი და ა. შ.), რასაც ემატება ადგილზე მოპოვებული მრავალრიცხოვანი ეთნოგრაფიული მასალებიც. აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, გ. ხორნაულს, ცხადია, არ უნდა დაჰბადებოდა ის აზრი, რომ „მთიულეთის შესახებ ძალზე მცირე ცნობები მოგვეპოვება საისტორიო მწერლობაში“ (გვ. 14).

ავტორს არ ებატება იმის არცოდნაც, რომ მთიულეთში (ისევე როგორც მის მეზობლად მდებარე სხვა მთის კუთხეებში) XIV ს-მდე თემურმა წყობილებამ ინტენსიური რღვევა განიცადა და ადგილობრივი მოსახლეობაც მხოლოდ თემური ადამ-წყესებით აღარ ცხოვრობდა. მართალია, ჩვენ ვერ უარვყოფთ იმ ფაქტს, რომ XIV ს-ში არაგვის ხეობის მთიანეთი გაცილებით უფრო სუსტად იყო ჩართული ფეოდალურ ურთიერთობათა ორბიტაში, ვიდრე საქართველოს ბარი და საკვლევი რეგიონის მოსახლეობაც სოციალური დიფერენციის დონით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ბარის მოსახლეობას, მაგრამ ეს გარემოება არ იძლევა იმის მტკიცების უფლებას, რომ XIV ს-ის მთიულეთში „მტკიცე ყოფილა თემური წყობილება და ხალხიც თემურ ადამ-წყესებს ემორჩილებოდა“ (გვ. 14).

ისტორიული წყაროების მიმართ ასევე მეტი სიფრთხილე იყო საჭირო, როდესაც ითქვა: „საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების პირველი დღეებიდანვე სამეფო კარმა გადაწყვიტა მთიულთა რაჭული შემომტკიცება, წარმართი მთიელების მოქრისტიანება. ეს საქ-

მე იმდენად საგანგაშო იყო, რომ თვით წმინდა ნინო გაგზავნეს“ (გვ. 14).

ამასთან დაკავშირებით მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ მთიულთა გაქრისტიანების საქმე IV საუკუნეში საგანგაშო არ შეიძლებოდა ყოფილიყო, ვინაიდან მანამდე მთიულთა „გარჯულის“ ცდებს სამეფო კარის მხრიდან საერთოდ არ ჰქონია ადგილი და, ამდენად, ამ მართულებით მიღწეული რაიმე წარმატების კვალობაზე თუნდაც უმნიშვნელო მონაპოვრის დაკარგვის საფრთხის წინაშე ცენტრალური ხელისუფლება არ დამდგარა. ეს გარემოება, ცხადია, თვისთვად გამოირჩევა და ე. წ. „საგანგაშო“ ვითარების შექმნის შესაძლებლობას. სულ სხვა საქმეა, რომ უკვე მოქცეული მთიელები მიდრეკილიყვნენ რაჭულზე, რასაც მოგვიანებით ჰქონდა ადგილი რაიე მართლაც ქმნიდა საგანგაშო მდგომარეობას.

ასევე გაუმართლებელია იმის მტკიცება, თითქოს მთიანეთში შექმნილი საგანგაშო ვითარების გამო იქ თვით წმინდა ნინო გაგზავნეს. წერილობითი წყაროების ანალიზი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ წმ. ნინო საკუთარი ინიციატივით „წარვიდა მთიულეთს“, ხოლო იოანე ეპისკოპოსი მას თან გაჰყვა. მეტივე აღნიშნულ პირთ მხოლოდ „წარატანა“ ერისთავი ერთი. მაშასადამე ცენტრალურმა ხელისუფლებამ მთიანეთში ერისთავი გაგზავნა და არა წმ. ნინო.

ისტორიულ მიმოხილვაში დაშვებულია კიდევ ერთი უზუსტობა, როცა არაგვის საერისთავოს გაუქმების თარიღად დასახელებულია 1756 წელი (გვ. 14). წერილობითი წყაროების მონაცემების ჯეროვანი ანალიზის და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ლიტერატურის გაცნობის შემთხვევაში არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს იმის დადგენა, რომ აღნიშნული პოლიტიკური აქცია ცამეტი წლით ადრე — 1743 წელს თეიმურაზ II-მ განახორციელა¹⁰.

დაზუსტებას საჭიროებს აგრეთვე საქართველოს სამხედრო გზის ისტორიის საკითხები. გ. ხორნაულის მტკიცებით, „საქართველოს სამხედრო გზა თავდაპირველად გუდამაყარზე გადიოდა. 1859 წელს კი ახალი (დღეს არსებული) გზა გაიყვანეს მთიულეთზე“ (გვ. 10).

საქართველოს სამხედრო გზის შესახებ არსებული ლიტერატურიდან, პირველ რიგში მეგ-

⁷ „ძეგლის დადება“, ქმ, I, თბ., 1963, გვ. 404.

⁸ „ძეგლი ერ ისათვა“ — XIV ს., „განჩინება ბარისა“ და მთიურთა ადგილთა — XVIII ს. და სხვ.

⁹ 1774 და 1781 წწ-ის არაგვის ხეობის მთის ზოლის მოსახლეობის აღწერები.

¹⁰ პ. ო რ ბ ლ ი ა ნ ი, აშაქანი ქართლისანი, თბ., 1981, გვ. 68—69, 206; დ. გ ვ რ ი თ ი - შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 102 და სხვ.

ზურბიდან, ცნობილია, რომ უძველესი დროიდანვე გზა გადადიოდა ჯვრის უღელტეხილზე, ამ მარშრუტით მოგზაურობდნენ რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგაც. საქმარისია დავითოწმით ა. პუშკინის „მოგზაურობა არზრუმში“ (1829 წ.), რომელშიც აღწერილია მის მიერ გავლილი გულდამყარის ხეობაზე, ბურსაჰირის გადასასვლელზე გზის გაყვანა მიმდინარეობდა 1837—1847 წწ., მაგრამ ამ პროექტის დაწესების შემდეგ კვლავ ძველი მარშრუტი აირჩიეს და 1861 წელს (და არა 1859 წელს) მლეთის აღმართის გახსნა წილად ხვდა გრ. ორბელიანს.

სარეცენზიო წიგნში გარკვეული ადგილი დაეთმო ეთნოგრაფიულ მიმოხილვას, რაც არსებითად რეალურ ვითარებას მეტისმეტად ზერელედ წარმოსახავს, მაგრამ, ამასთან ერთად, კიდევ უფრო გაუმართლებელია ყოფითი მოვლენების ავტორისეული კვალიფიკაცია. მისი მტკიცებით: „ამჟამად, საბჭოთა წყობილების პირობებში, საბჭოთა კანონების გვერდით შემორჩენილია თემური ყოფის ადათ-წესები. ასეთებია ზოგიერთი საყოფაცხოვრებო თუ რე-

ლიგიური წესი: ხატობა-დღეობები, ქორწილი, ქელები და სხვა“ (გვ. 16).

ავტორს დავეთანხმებოდით ეთქვა, რომ დღესაც გვხვდება თემური ყოფის გადმონაშთები ზოგიერთი ჩვეულების სახით, მაგრამ შეუძლებელია მხოლოდ თემური ყოფის ადათ-წესებად გამოვაცხადოთ ქორწილი, ქელები ან დღეობები. აღნიშნული ფენომენები დამახასიათებელია საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების ყველა საფეხურისათვის, მათ შორის ჩვენი ეპოქისათვის, რის გამო შეუძლებელია მათი მიჩნევა მხოლოდ და მხოლოდ თემური ყოფის ადათ-წესებად.

ანალოგიური ხასიათის ხარვეზები ნაშრომში საქამო რაოდენობით გვხვდება, რასაც საფუძვლად დაედო ისტორიული წყაროებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების არასწორი ინტერპრეტაცია. ტოპონიმურ ძიებაში, რაშიაც ავტორმა გარკვეული წვლილი შეიტანა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროების გამოყენება დიდ სიფრთხილეს და მართებულ კვალიფიკაციას მოითხოვს.

ვახტანგ ითონიშვილი

НУЖНОЕ, ПОЛЕЗНОЕ ИЗДАНИЕ

(К выходу в свет на русском языке «Источниковедческих разысканий за 1979 г.». Тбилиси, «Мецниереба», 1984, 228 с.)

Грузинское источниковедение, имеющее давние исторические традиции и связанное с именами крупнейших грузинских и русских ученых, переживает в настоящее время подлинный расцвет. Активно действует Комиссия по источникам истории Грузии, выходят в свет новые публикации источников, выполненные на самом высоком научном уровне; издаются исследовательские монографии, посвященные важным источниковедческим проблемам; молодые грузинские источниковеды заявляют о себе интересными и новаторскими исследованиями.

Показателем возросшей творческой активности грузинского источниковедения является и выход в свет сборника 30 докладов, прочитанных в Кутаиси в 1979 г. на Всесоюзной научной сессии по вопросам изучения и издания письменных источников по истории Грузии. На этой сессии были рассмотрены как некоторые общие методологические проблемы, так и конкретно-источниковедческие работы по методике анализа источников, историографии источниковедения, изучения грузинских и иностранных источников по истории Грузии, причем главное внимание было обращено на исследование нарративных и документальных, а также эпиграфических памятников. С докладами выступали ученые из Тбилиси, Кутаиса, Москвы, Ленинграда, Баку и Ташкента.

Сборник разнообразен по содержанию. Самым большим тематическим разделом сборника можно считать статьи, анализирующие иностранные источники по истории Грузии. Так, сборник открывается интересной статьей Т. И. Абашидзе «Грузино-персидские двуязычные документы как дипломатическое явление», в которой даются тонкие наблюдения над текстом двуязычных документов. С. Б. Ашурбеили анализирует «Ресалей-е Фалакие» ал-Мазандарани — важный источник иранского проис-

хождения, содержащий сведения по социально-экономической истории Грузии. Р. А. Гусейнов дает обзор сведений о Закавказье II—XIV веков в сирийских источниках, а Д. В. Джanelидзе разбирает сочинение французского просветителя XVIII в. Клода Савари «Письма из Египта» как источник по истории грузино-египетских связей. М. Х. Сванидзе, анализируя османский «Пространный реестр вилаета Гюрджистан», показывает его значение для изучения сельского хозяйства юго-запада Грузии в конце XVI в. Османские документальные источники первой четверти XVIII в. о крепостях Кутаиси и Багдади разбирает Н. Н. Шенгелия. Наконец, последняя статья сборника (О. А. Эфендиев, «Всеобщая история» Хафиз-и Аbru как источник по истории Закавказья первой четверти XV в.) дает обзор малоизвестной в науке хроники, являющейся классическим образцом персоязычной историографии XV—XVI веков. Одним словом, все статьи по этой тематике весьма информативны и вносят много нового в источниковедение истории феодальной Грузии.

Не менее важны и статьи, посвященные источниковедческому анализу грузинских повествовательных источников. Это статьи Ш. А. Бадридзе о «Картлис Цховреба», А. А. Барамидзе и З. Ш. Дидебулидзе о хронике Леонтия Мровели, М. В. Габашвили о «Витязе в тигровой шкуре» Шота Руставели и Л. В. Микиашивили о «Новой истории», условно приписываемой перу Давида Багратиони. Авторы этих статей продемонстрировали тонкое понимание принципов текстологического анализа, умение и способность разбирать и сопоставлять различные данные. Их выводы, несомненно, будут иметь значение для разработки источниковедческих приемов анализа нарративных памятников.

Документальных грузинских источников

касаются в своих статьях Т. П. Енукидзе и Н. Ф. Шошиашвили («Жалованная грамота («Сигель») царицы Тамар Гелатскому монастырю») и Д. Э. Одишели («Грузинские грамоты выкупа крови»). Авторы первой восстанавливают текст документа, датируют его и методом палеографии и дипломатики восстанавливают значительную часть утраченного текста. Глубокое и умелое исследование помогает отвергнуть неверные выводы по политической истории Грузии конца XII в. Во второй автор сообщает ценные сведения для сложной источниковедческой проблемы подлинности и фальсификации источника.

Статьи, посвященные эпиграфическим памятникам — одни из самых интересных в сборнике. Грузия богата эпиграфическими памятниками, их исследование имеет богатую традицию. Публикуемые статьи выполнены на высоком научном уровне. Т. С. Каухчишвили анализирует греческие надписи Гелатского храма и показывает их значение не только для истории Грузии, но и для общего литературоведения и для изучения самого греческого языка. М. С. Нейматова разбирает арабо-персoturкo-язычные надписи на территории Грузии. Статья ее интересна и ценна своими выводами. Жаль только, что низкая полиграфическая культура исполнения иллюстраций (на некоторых рисунках не только трудно прочитать надписи, но и вообще разобрать, что на них изображено) снижает общее впечатление от этой работы. Г. К. Отхмезури сообщает интересные данные грузинской эпиграфики XI — начала XII вв. о царском землевладении и делает вывод, что они подтверждают установление царской и государственной собственности над центральными районами Грузии.

Большое впечатление производят статьи, посвященные историографии источниковедения. Грузинские историки традиционно посвящают разработке этой темы много сил и трудов. Это хорошо иллюстрирует статья Г. Г. Аласаниа «Некоторые тенденции развития источниковедения истории Грузии в 50—70 годах XX в.», дающая не просто обзор последних работ в этой области, но и указывающая на неразработанность определенных отдельных вопросов и проблем. В частности, глубоко справедлив вывод автора о необходимости

дальнейшего изучения понятийного аппарата источниковедения и других проблем теоретического характера. Г. З. Анчабадзе дал обзор изучения и публикации грузинских нарративных источников в Советской Грузии в 1921—1950 годах. Его статья интересна и содержательна, хотя и вызывает вопросы принятой им периодизация. В советской исторической науке насчитывается три историографических периода: 1917—середина 30-х годов, середина 30-х годов—середина 50-х годов и с середины 50-х годов до наших дней. Хронологические границы этих периодов обоснованы, как известно, крупными научными и политическими событиями и являются в настоящее время общепринятыми. Поэтому правильное было бы и авторам по историографии истории союзных республик придерживаться этой периодизации, что не исключает, конечно, возможных изменений, но эти изменения следовало бы мотивировать.

О. М. Чуанкова и К. Н. Юзбашян в своей статье рассказывают о работах С. С. Какабадзе и с уважением отмечают его огромный вклад в исследование, перевод, комментирование и издание важнейших памятников, особенно же «Картлис Цховреба». Наконец, Г. Д. Тогошвили сообщает новые материалы о труде грузинского историка XVIII в. Вахушти Багратиони, указывая на источники его труда, отмечает то новое, что внес исследователь в изучение истории, географии и геральдики Грузии и сопредельных с нею государств. Историографический характер имеет и статья Н. А. Мшвидобадзе о мероприятиях по рассмотрению грузинских документов русскими административными органами в начале XIX в. Как и статья Д. Э. Одишели, эта работа важна для изучения вопроса о подлинности исторических источников.

Из работ теоретического, методологического характера хотелось бы особо отметить вдумчивое и серьезное исследование М. К. Сургуладзе о дипломатике грузинских царских грамот. Автор творчески отнесся к дипломатическим методам А. С. Лаппо-Данилевского и С. М. Каштанова и указал на те сложности, к которым приводит буквальное следование предложенной им методике, предложив свой формулярный анализ грамот. Жаль, что небольшой объем статьи не дал автору возможности

подробнее мотивировать его систему формулярного анализа. Без этого принятый автором метод графического описания акта не всем понятен и ясен.

В сборнике довольно широко представлен информативный материал самого разнообразного типа. Это обзоры (фондов исторических документов Кутаисского музея — П. В. Вачридзе и Гелатского книгохранилища — М. В. Николойшвили), информации З. Н. Алексидзе об издании корпуса грузинских надписей и Э. В. Хоштария (Броссе) о состоянии и перспективах собрания, изучения и публикации грузинских исторических документов, а также В. А. Черных о координации деятельности Археографической комиссии при АН СССР в области изучения и описания письменных памятников. Такой же информативный характер носит статья Б. А. Ахмедова об изучении памятников истории Средней Азии XVI—XVIII веков в Узбекистане. Теоретической проблеме диалектического единства объективного и субъективного в определении исторического источника посвящена статья Л. Н. Пушкарева.

Высоко оценивая сборник в целом как удачное начало ознакомления всесоюзного читателя с достижениями грузинского источниковедения, хотелось бы указать и на некоторые упущения и недочеты, которые желательно устранить при публикации подобных работ в дальнейшем: продолжение издания подобных сборников крайне желательно и необходимо.

О важном недостатке говорили многие авторы статей сборника — это малое количество работ в области теоретического, методологического источниковедения. Нельзя сказать, чтобы эти проблемы не затрагивались совсем, в некоторых статьях они присутствуют, но лишь в качестве методологической посылки, а не как исследовательская проблема. А ведь без глубокого изучения теоретических вопросов — это все понимают — немислим дальнейший прогресс источниковедения как науки. Лишь тогда источниковедческие штудии станут плодотворными и перспективными, когда результаты конкретного источниковедения будут обогащать все источниковедение в целом. Таковы статьи Ш. А. Бадридзе, М. К. Сургуладзе, Т. П. Енукидзе, Н. Ф. Шошиашивили, Л. В. Микиашивили и др., но их мало и не они определяют лицо

сборника в целом. Итак — дальнейший курс на исследование теоретических, методологических проблем — вот важнейшая задача развития источниковедения на современном этапе.

Нельзя не обратить внимания и на то, что не все статьи сборника достаточно строго отредактированы. Встречаются еще неряшливые, неточные формулировки, неоправданные хронологические ограничения изучаемого материала и т. д.. Так, например, Р. А. Гусейнов делит сирийские источники на четыре группы: нарративные, юридические, эпиграфические и художественные (с. 73). Спрашивается, по какому принципу деления совершена эта классификация? Ведь художественные памятники — это часть нарративных (повествовательных) источников. Единство принципа деления автором нарушено, из-за чего его выводы повисают в воздухе как теоретически необоснованные.

Еще одно замечание структурного характера. Статьи в сборнике расположены по алфавиту авторов. Конечно, любая систематизация материала условна, допустим и этот принцип размещения статей, однако, на мой взгляд, он мешает читателю уловить специфику издания. Было бы правильнее сгруппировать статьи по тем главным направлениям источниковедческих исследований, которые легко выделены и направляются сами собой: методологические и теоретические проблемы, источниковедение нарративных, документальных, эпиграфических источников и т. д. В этом случае сборник производил бы целостное впечатление издания, отражающего направления источниковедческих работ в республике.

В. А. Черных совершенно справедливо пишет в своей статье, что Первая Всесоюзная сессия, посвященная вопросам изучения и издания письменных источников по истории Грузии, продемонстрировала «исключительно высокий научный уровень изучения и издания грузинскими учеными старшего и молодого поколений письменных памятников истории и культуры грузинского народа» (с. 208). К его выводу можно только присоединиться и одновременно высказать пожелание более оперативно публиковать материалы Всесоюзных сессий. Доклады, прочитанные в Кутаиси, ждали своей публикации пять (!) лет. За это время советское

источниковедение шагнуло далеко вперед. Некоторые из положений, высказанные в свое время в докладах, за это время успели утратить свою новизну. Оперативность публикации — важнейшее средство завоевания грузинским источниковедением подобающего ему места в многонациональном советском источниковедении. Мало того: вы-

ход в свет «Источниковедческих разысканий» на русском языке служит укреплению научных контактов не только внутри нашей страны, но и за рубежом, давая возможность включить достижения грузинского источниковедения в рамки мировой исторической науки.

Л. Н. ПУШКАРЕВ (Москва)

ЭКОНОМИКА И ОБЩЕСТВО В ОСМАНСКОЙ ИМПЕРИИ

(конец XVIII — начало XX вв.). Акты Страсбургского коллоквиума 1—5 июля 1980 г., опубликованные Жан-Луи Баке-Граммомом и Поль Дюмоном, Париж, 1983, 486 с.

ÉCONOMIE ET SOCIÉTÉS DANS L'EMPIRE OTTOMAN

(Fin du XVIIIe—Début XXe siècle). Actes du colloque de Strasbourg I^{er} —5 Juillet 1980) Publiés par Jean-Louis Bacqué-Grammont et Paul Dumont, Paris, 1983, 486 p.

За последнее время как в Турции, так и на Западе, в частности, во Франции все большее внимание уделяется изучению социально-экономической истории Османской империи. В этой связи несомненный интерес представляет состоявшийся в Страсбурге (Франция) с 1 по 5 июля 1980г. коллоквиум «Экономика и общества Османской империи (конец XVIII — начало XX в.)». Коллоквиум был организован и финансирован Национальным центром научных исследований Франции. В нем приняли участие 80 представителей из различных стран: СССР, Турции, США, Англии, Западной Германии, Болгарии, Румынии, Египта, Сирии, Алжира и др. На нем было заслушано 41 сообщение. Одновременно в Страсбургском университете проходил 11 Международный конгресс экономической и социальной истории Турции, на котором присутствовали представители 18 стран и было представлено 57 докладов. Доклады, прочитанные на конгрессе, не будут опубликованы отдельным сборником, однако они напечатаны в различных научных изданиях¹. 8 докладов конгресса, хронологически относящиеся к концу XVIII и началу XX века, внесены в акты Страсбургского коллоквиума.

Акты Страсбургского коллоквиума изданы национальным центром научных исследований Франции. Сборнику, включившему 35 докладов, предпослана вступительная статья Р. Мартрана и И. Мелико-

вой. Общая тематика докладов, представленных на коллоквиуме, такова: внутри-экономическая жизнь Османской империи; социально-экономические и общественные преобразования в период Танзимата; западный капитализм, его экспансия в Османскую империю и влияние на ее индустриализацию и идеологию; период правления младотурок; демография страны. 1)

Реформы Танзимата—одна из важнейших проблем изучения Турции XIX века и неслучайно, что на Страсбургском коллоквиуме этому вопросу было уделено столь большое внимание. В этой связи следует выделить доклад известного турецкого историка Энвера З. Карала «Препятствия, возникшие на пути движения модернизации в Османской империи» и О. Окияра «Новая точка зрения на политические и социально-экономические вопросы в историографии Танзимата».

Большой научный интерес представляет доклад Ю. А. Петросяна о главных социальных силах в реформаторском и конституционном движении в Османской империи. Некоторые аспекты воспитания и просвещения затронуты в сообщениях Е. Курана и Х. И. Корнрумфа.

Два доклада посвящены вопросам землевладения и землепользования. Один из них сделан Л. Белабери: «Изменения в структуре землевладения в Османской империи в эпоху Танзимата», другой — Г. Баер: «Феодал, крестьянин и правитель-

¹ Contributions à l'histoire économique et sociale de l'Empire Ottoman, Istanbul — Paris-Louvain, 1983; Travaux et Recherches en Turquie, Istanbul-Paris-Louvain, 1983; „Turcica“, и др.

ство в арабских провинциях Османской империи в XIX — начале XX в.»

Литературная деятельность известного турецкого писателя и общественного деятеля второй половины XIX в. Намика Кемаля достаточно хорошо изучена, однако совершенно неизвестны его воззрения по экономическим и финансовым вопросам, о чем было доложено в сообщении Кенана Акюза.

В 60-ых годах в Москве была проведена дискуссия об азиатском способе производства. На эту дискуссию откликнулись и зарубежные историки-марксисты. В этой связи заслуживает внимания статья Р. Эге: «Теоретические размышления об анализе марксистской концепции теории стагнации Османской империи.»

В содержательном докладе И. Валлерштейна и Р. Касаба прослежен процесс инкорпорации Османской империи в мировую экономику и вызванные этим изменения в структуре османского государства в 1750—1839 гг. Можно не согласиться с отдельными положениями авторов, однако в целом в нем имеются ценные высказывания и он, несомненно, привлечет внимание специалистов.

В своей работе О. Кумуш проанализировал последствия англо-турецкого договора 1838 г., и его отрицательное воздействие на экономику Турции. Эта проблема на более обширном фактическом материале (19 таблиц) изучена С. Канчалом—«Завоевание османского внутреннего рынка европейскими индустриальными государствами в 1839—1881 гг.» Этой же проблемы касаются А. К. Рефек—«Европейское влияние на традиционную экономику на примере Дамаска в 1840—1870 гг.» и Б. Лабаки—«Производство шелка в Горном Ливане в 1810—1914 гг.»

Несомненный интерес представляет сообщение Садуна Арена «Проблема индустриализации в Османской империи в XIX в.» По мнению исследователя, в результате конкуренции европейских государств местное производство пришло в упадок. Попытки правительства оказать ему поддержку и создать условия для индустриализации страны оказались безуспешными и Турция превратилась в полукolonиальную страну.

В докладе Д. Кватаерта (Quataert) прослежен процесс проникновения европейского капитала в строительство турецких

портов и железных дорог. Вопросы западной идеологической экспансии рассмотрены в сообщении М. Вахва.

Период правления младотурок является предметом исследования Ф. Ахмеда «Аграрная политика младотурок в 1908—1918 гг.» и Ш. Мардина «О революционном сознании младотурок». Ж. Тоби изучены вопросы конъюнктуры и стратегии Османской финансовой группы в 1914 году.

Морская торговля и экономика Османской империи в XVIII в. исследованы в статье известного французского историка Р. Мартрана.

В докладе У. Тургая, на базе богатого фактического материала, изучена турецко-английская торговля в городах Юго-Восточного побережья Черного моря в XIX в. Автор также рассматривает торговые связи Турции с другими государствами: Россией, Францией, Германией и др. Вместе с тем большое внимание уделено транзитной торговле с Ираном через Трапезунд.

Социально-экономические вопросы некоторых Балканских стран, входивших в состав Османской империи, рассмотрены в сообщениях Пьера Вуалера «Социальные структуры и Болгарский ренессанс» и М. М. Александреску-Булгару «Экономические взаимоотношения Турции с Румынскими княжествами в 1774—1829 гг.»

П. Дюмон в своем докладе осветил деятельность франко-масонской ложи в Стамбуле с середины XIX в. до начала первой мировой войны.

Сообщение Л. Базена посвящено турецкой цензуре и лексикографии, в частности, деятельности известного турецкого лексикографа Шамсеттина Сами Бея Фрашери.

Заслуживает внимания сообщение А. Буджикяна «Роль армян в политической и социально-экономической жизни Египта в XIX в.»

В сборнике опубликовано описание путешествия араба-мусульманина из Занзибара в Хиджаз, Египет, Палестину и Сирию в 1872 г. Этот источник содержит ценные сведения о социально-экономическом положении этих стран. Публикация арабского текста и английский перевод принадлежат Я. М. Ландау. В актах коллоквиума представлен перевод К. В. Фидли (Findley) сочинения Ашчи Деде Халила Ибрагима о турецких дервишах XIX в.,

дан анализ воззрений этого автора. К. Крайзер в своем сообщении уделил внимание медресе и дервишским монастырям в Стамбуле, в частности, их количеству, числу студентов в медресе, их процентному соотношению ко всему населению Стамбула и др.

Весьма ценными представляются доклады, посвященные вопросам демографии: К. Карпата «Османская демография: источники, концепции, методы», Н. Тодорова

«Демографические данные о городском населении Придунайского региона (вилайет Тун) в 1866 г.» и Д. Панзака «Демографическая основа турецко-египетского конфликта 1830—1840 гг.» 1)

Из краткого обзора материалов коллоквиума ясно видно, что тематика докладов актуальна и многогранна и, несомненно, привлечет внимание специалистов, работающих в области социально-экономической истории Османской империи.

М. Х. СВАНИДЗЕ

ა. შავხელიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიულ, თბილისი, გამომც. „მეცნიერება“, 1988, რუსულ ენაზე

საქართველოს ცალკეულ რეგიონთა ისტორიულ ეთნოგრაფულ შესწავლას საკმაოდ დიდი ტრადიცია აქვს. მას საფუძველი ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონმა ჩაუყარა და დღესაც გრძელდება საბჭოთა ეპოქაში.

ამის ნათელი დადასტურებაა ა. შავხელიშვილის წინამდებარე ნაშრომი, რომელიც ეძღვნება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო კუთხის — თუშეთის ისტორიის გვიანფეოდალურ ხანაში (XVI—XIX ს-ის პირველი ნახევარი). ავტორის დანიტერესება თუშეთის ისტორიისადმი იმით განპირობდა, რომ თუშები ქართული და არაქართული ეთნოსების შეხვედრების ზონაში ცხოვრობდნენ, კერძოდ, კახეთის ბარის, ფშავეხელების, ჩაჩან-ინგუშეთისა და დაღესტნის. აღნიშნულია ის გარემოებაც, რომ თუშები ფრიალ აქტიურ როლს ასრულებდნენ ქართველი ხალხის კულტურისა და საერთოდ ქართული სახელმწიფოებრიობის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. თემების ეს განსაკუთრებული აქტიური როლი ამ საკითხში ახსნილია მათი ბარის რაიონებთან მჭიდრო კავშირით და სამეურნეო საქმიანობის თავისებურებით, რაც გამოვლინდა მთური და ბარული მეურნეობის სიმბოლოში. საუკუნის მანძილზე თუშები (წოვა) საზოგადოებაში, მთის გარდა, ცხოვრობდნენ კახეთის რაიონებში (პანკისი, ბახტრიონი, ალვანი, ლაბოტი). ბარში ისინი მიწათმოქმედებას ეწეოდნენ, მთაში კი მეცხვარეობას, ბარი იყო მათი ცხვრის საზამთრო სადგომიც.

ნაშრომში ხაზი ესმება იმ მიზეზებსაც, რომელთაც განაპირობებს გვიანფეოდალურ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში თუშთა აქტიური როლი. გარეშე მტრებისაგან ბარის რაიონები ძლიერ ზარალდებოდა, რის შედეგადაც სამეფო ხელისუფლება ძაბუნდებოდა. თუშეთს აგრესორები ვერ სწევდებოდნენ და ამან განსაზღვრა ბარის დაცვის საქმეში თუშთა სულ უფრო მზარდი როლი, რადგანაც ბარი მათი მეურნეობის უმთავრესი საყრდენი იყო.

ნაშრომში განხილულია თუშეთის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები თუშთა განსა-

ზღების ისტორიული საზღვრები, სამომავლო ვეიგზა-ბილიკები, რომლებიც თუშებს აკავშირებდა კახეთის ბართან და ჩრდილო კავკასიაში ვენახურ და დაღესტნურ საზოგადოებებთან. ამ გზების მეშვეობით ხორციელდებოდა თუშთა ინტენსიური კულტურულ-ეკონომიკური კავშირი ქართულ თუ არაქართულ სამყაროსთან. აქვე, ავტორი ისტორიული მონაცემებით ასაბუთებს, რომ თუშებს ძველთაგანვე კახეთის ბარში მიჩენილი ჰქონდა სათანდო ადგილები, რითაც ისინი უცილობლად სარგებლობდნენ.

ნაშრომის ერთი ნაწილი ეძღვნება აღნიშნულ პერიოდში თუშების სოციალ-ეკონომიკურ ვითარებას. ამ თავში, ბუნებრივია, წინა პლანზე წამოწეულია თუშთა ძირითადი სამეურნეო საქმიანობა, კერძოდ-მეცხვარეობა და მიწათმოქმედება, რომელთაც უაღრესად დიდი ხვედრითი წონა ჰქონდათ თუშების ეკონომიკაში. ავტორი აღნიშნავს თუშეთის ფეოდალურ ურთიერთობის თავისებურებას, რომ აქ ქონებრივი დიფერენციაციის ადრე გაჩენის მიუხედავად ფეოდალიზმი სათანადოდ ვერ განვითარდა.

განსაკუთრებით საინტერესოა წარმოდგენილი ნაშრომში ერთ-ერთი ურთულესი საკითხი თუშთა წარმომავლობის შესახებ. ეთნონიმ თუშის და ტოპონიმ თუშეთის შესახებ მისი დაკვირვება, ვიქიმობთ, ახალი სიტყვა კავკასიათმცოდნეობაში. ასეთივე მნიშვნელოვანია აგრეთვე ტოპონიმების წოვა, ბაცას, ჩალმას და ვაბოს შესახებ ვაკეთებული დასკვნებიც. ავტორმა ამ ნაწილში თუშების (წოვა-ჩალმა) ადრე და გვიანფეოდალური ხანის ისტორიის ფონზე განიხილა მათი წარმომავლობის საკითხი; წარმოგვიდგინა კომპლექსურად ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური, ანთროპოლოგიური ეთნონიმიკური და სხვა მასალები და ძალზე საყურადღებო დასკვნები გააკეთა თუშეთის ცალკეულ საზოგადოებათა წარმოშობის შესახებ. საყურადღებოა ისიც, რომ ავტორმა ყოველი საკითხი ქართული „წოვა-თუშურ“, ვინახურ მასალების ურთიერთშედარება-შეჯერებით წარმოგიდგინა და მკითხველებს საკითხების ნამდვილი სურათი გააცნო. მის მიერ წარმოდგე-

წილი ცნობები უტყუარი ფაქტია იმისა, რომ დღევანდელი წოვა-თუშები, რომლებიც ამ საუკუნის დასაწყისამდე თუშების სახელით იყვნენ ცნობილი, ადგილობრივი ქართველი მთიელები არიან, მაგრამ ქისტ-ლილეებთან ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგად განიცადეს მათი ენის გავლენა, რაზედაც თავის დროზე კიდევ ვახუშტიმ გაამახვილა ყურადღება შემდეგ — თეიმურაზ ბაგრატიონმა, ივ. ჯავახიშვილმა, ნ. მარმა და სხვებმა.

ნაშრომის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია თუშთა ურთიერთობის საკითხი მეზობელ ხალხებთან, რომლის მთავარ ნაწილს წარმოადგენს ჩეჩენებსა და ინგუშებთან მათი ურთიერთობა. აღნიშნულია ის ფაქტიც, რომ ვეინახებში მამადიანური რელიგიის ფართო გავრცელებამდე თუშები და ვეინახები ერთობლივ ელჩობებს აწყობდნენ და რუსეთთან ურთიერთობის განვითარების გზებს ეძიებდნენ. ნაჩვენებია აგრეთვე თუშების აქტიური როლი რუსეთ-კახეთის ურთიერთობაში, მათი დიდი დანტერესებულობა რუსეთთან ურთიერთობით, მოტანილი მონაცემებით კარგად დასტურდება ის ფაქტი, რომ კახეთის მეფეების პრორუსული პოლიტიკის განხორციელებაში თუშები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. კახეთის ელჩები რუსეთში და რუსეთის კახეთში თუშეთ-ჩაჩნეთის გავლით მოგზაურობდნენ. ელჩობათა შემადგენლობაში თუშთა (წოვა-ჩაღმა) ყოფნა მათ მიმოსვლას ხელს უწყობდა. ამავე თავში ომებში თურქეთ-ირანისა და შამილის წინააღმდეგ XIX საუკუნეში, ნაშრომის მომდევნო ნაწილი ეძღვნება თუშთა მონაწილეობის საკითხებს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში XVI—XIX სს. პირველი ნახევარი). აქ კარგადაა ნაჩვენები ძნელბედობის ხანის საქართვე-

ლოს ბარის ცხოვრებაში მთიელი თუშების როლის ზრდა. მათი მონაწილეობა ერეკლე I-ისა და ვახტანგ V-ის ბრძოლებში კახეთის ტახტისათვის.

თუშები (წოვა-ჩაღმა) ავტორის ბახტრიონის ეპოპის ერთ-ერთ უპირველეს მონაწილეებად მიაჩნია. ასევე ვრცელაა ნაჩვენები თუშთა მონაწილეობა ერეკლე II-ს სამხედრო პოლიტიკურ საქმიანობაში.

დასასრულ განხილულია თუშების კულტურული წარსულის საკითხი. აქ ლაპარაკია თუშთა მატერიალურ და სულიერ კულტურაზე. დამწერლობის ძეგლებზე თუშეთიდან, თუშთა (წოვა) სწავლა-განათლების ზოგიერთი ასპექტზე,

სარეცენზიო გამოკვლევა კარგად ეხმარება სკკპ ყრილობებისა და სკკპ ცკ პლენუმებზე არაერთხელ ხაზგასმულ მოთხოვნებს საერთოებრთაშორისო ურთიერთობათა შესწავლის გაძლიერების შესახებ, აგრეთვე გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის საიუბილეო თარიღის ასეთია ძირითადად ა. შავხელიშვილის ნაშრომის სტრუქტურა და მასში განხილული საკითხების წრე. ნაშრომი ემყარება ნარატიული წყაროების მონაცემებს, სარქივო მასალას, სამეცნიერო ლიტერატურას, მასში კრიტიკულად არის განხილული და შეფასებული თუშეთის შესახებ შექმნილი რეეოლოგიამდელი და საბჭოთა პერიოდის ისტორიული მხარეთმცოდნეობითი ლიტერატურა. იგი დიდ სამსახურს გაუწევს იმ სპეციალისტებს, რომლებიც ცენტრალური კავკასიის ეთნო-კულტურულ საკითხებზე მუშაობენ.

ა. შავხელიშვილის ეს გამოკვლევა კარგი შენაძენია კავკასიათმცოდნეობაში.

თეიმურაზ გომეზაძე

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტის XXVIII სამეცნიერო სესია

1984 წ. 23—25 მაის შედგა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მორიგი XXVIII სამეცნიერო სესია, რომელიც გახსნა აკად. გ. მელიქიშვილმა.

სესიამ მოისმინა ე. ყორანაშვილის მოხსენება „მსოფლიო ისტორიის საკითხები. ფ. ენგელსის „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობაში“. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გავრცელებული შეხედულების საწინააღმდეგოდ, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის ის გზა, რომელიც ამ ნაშრომშია განხილული, არაა უნივერსალური, არამედ ასახავს დასავლეთ ევროპის ისტორიას. ამ გზისგან განსხვავებით აღმოსავლეთის ახასიათებს სხვაგვარი ისტორიული ევოლუცია, რაზედაც მარქსი და ენგელსი არაღიგაფის ლაბრაორდენდენ, მთ შროის ზემოთ დასახელებულ ნაშრომშიც. ანტიკური ეკონომიკა გავებულია, როგორც საკმაოდ განვითარებული სასაქონლო-ფულადი ხასიათისა. ფეოდალიზმის წარმოშობა-განვითარებას, ენგელსის აზრით, დასავლეთ ევროპაში აღვილი ჰქონდა ანტიკური ცივილიზაციისა და ბარბაროსობის სინთეზის საფუძველზე. გერმანელთა სახელმწიფოს წარმოქმნა ნაშრომში ახსნილია, როგორც დაპრობოლ ხალხებზე ბატონობის იარაღი. ამდენად, ნაჩვენებია სახელმწიფოს წარმოშობის სხვაგვარი გზა.

მომხსენება თემაზე: „ქვანე ჯავახიშვილის თვალსაზრისი ისტორიული მეცნიერების სტრუქტურის საკითხებზე“ წაიკითხა შ. ხანათაძემ. მომხსენებელმა უჩვენა, რომ ივანე ჯავახიშვილმა უკვე 900-იან წლებში შეიმუშავა და მოხაზა საქართველოს ისტორიის შესწავლის ზოგად-თეორიული შეხედულებები და ამის შესაბამისად შედგენილი გეგმა თანადროული ევროპული ისტორიოგრაფიის დონეს შეესაბამებოდა, მაგრამ ქართული ისტორიოგრაფიის იმდროინდელი წყარომცოდნეობითი და ფაქტოლოგიური ბაზა ძლიერ ჩამორჩებოდა ამ დონეს. ამი-

ტომ, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ივ. ჯავახიშვილს დიდი შემგროვებლობითი და ფაქტოლოგიური მუშაობის ჩატარება მოუხდა, რის გამოც მან ვერ მოასწრო თავისი გრანდიოზული გეგმის შესრულება. მაგრამ ის, რაც გააკეთა, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მაშინდელი ეტაპისათვის ფუძემდებლური იყო.

გ. ალასანიას მოხსენებაში „ქართლის ცხოვრების“ თხულებათა კავშირი ჰიმნოგრაფიასთან განხილული იყო დინამიკაში, სხვადასხვა ნიშნით. აქვე მოტანილი იყო პარალელური მასალა ბიბლიის ძველი და ახალი აღთქმებიდანაც. ზოგიერთი თხულების განსაკუთრებულ სიახლოვე ჰიმნოგრაფიასთან, გამომდინარე მათი ეპიგრაფიული თავისებურებებიდან, ახსნილი იყო აგრეთვე საერთო ეპოქალური ხასიათითაც. „ქართლის ცხოვრების“ ავტორთა წარმოდგენა რიცხვებზე ახსნილი იყო ჰიმნოგრაფიის ერთგვარი გავლენითაც. მომხსენებლის დაკვირვებით, რიცხვთა სიმბოლიკა „ქართლის ცხოვრებაში“ მეტ-ნაკლებად ვლინდება როგორც დართილებაში, ასევე აღმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში, ლაშქართა, ციხეთა რაოდენობაში და სხვ.

ა. კაკაბის მოხსენებაში „სასოფლო განსახლების თანამედროვე ცვლილებათა სოციალური და დემოგრაფიული ფაქტორები“, წარმოდგენილი იყო სასოფლო დასახლებებისა და განსახლების სისტემაში მიმდინარე დინამიკური პროცესების ზოგადი ტენდენციები და ადგილობრივი თავისებურებების თეორიული და პრაქტიკული საკითხები. ნაწილობრივ აღდგენის, სოფლების თვითოფიციაციისა და სასოფლო დასახლებების წარმოქმნის კონკრეტული მაგალითების ანალიზის საფუძველზე მოცემული იყო დასახლებისა და განსახლების სისტემის ტერიტორიულ-სოციალური ბუნება და მათი განსახლების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ზ. რატანა თავის მოხსენებაში „ივანის ქებათა განგება“, როგორც საქართველოს სოციალური ისტორიის წყარო აღნიშნა, რომ ძველის მონაცემებით საქართველოს ხერხდება XII—XIII სს. მთელი საზოგადოებრივი

აღნაგობის გარკვევა. 1. უმაღლეს ფეოდალურ წოდებას დიდებულები შეადგენდნენ. 2. დიდებულთა წოდების შემდგომ, უფრო დაბალ საფეხურზე, დგას აზნაურთა წოდება. 3. ფეოდალური იერარქიის უმაღლეს საფეხურზე დგას მსახურთა წოდება; 4. გლეხი წყაროს რამდენიმე ადგილას იგულისხმება, ხოლო წარჩინებული გლეხი იწოდება მსახურად. 5. დეკლარირებულ გლეხობას წყარო „მიწყითთ მთხოველთ“ უწოდებს; 6. დიდებულის მონასტერში მონაზვნებად აღცეკვილი არიან მისივე ვასალები — აზნაურები და მსახურები, ხოლო აზნაურის მონასტერში — მისი ვასალი მსახურები.

სესიამ მოისმინა ნ. ხაზარაძის მოხსენება „მოსხები, მუშეები, სომხები“.

გ. მისურაძემ წაიკითხა მოხსენება „კულტურული-იდეოლოგიური სიტუაცია X ს-ის აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და დინარ დედოფლის პრობლემა“. მომხსენებელს მიაჩნია, რომ ვაჰაწავაძის კომპლექსის გრიგოლ განმანათლებლის სახ. ეკლესიაში. ყველაზე გამოსაჩენ ადგილას მოთავსებული საფლავი სომხური წარწერით „დინარ“ ჰერეთის ცნობილი დედოფლის ყოფილი საფლავია. მომხსენებლის აზრით, წმინდანად შერაცხულ დედოფლის ნეშტს ხელი უნდა შეეწყოს სივნიეთის ქალკედონური მრევლისა და ამ აღსარების იდეოლოგიებისათვის ეს „ქართული“ სარწმუნოება მთელ ქვეყანაში გაეზიარებინათ. როცა ქალკედონიტები სივნიეთში დამარცხდნენ და იქ სომხური მონოფიზიტური ეკლესია კვლავ თავის უფლებებში აღდგა, დინარ დედოფლის ნეშტის იქ ყოფნამ აზრი დაკარგა და როგორც ჩანს, ბაგრატ III-მ ის იქიდან გადაასვენა.

ქ. ჩხატარაიშვილმა მოხსენებაში „სანაპირო“ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს სანაპირო (სახდრისპირა) ზოლი, მისი საზღვრო მნიშვნელობის გამო, ადრინდებულ სახელმწიფო მმართველობის საგანგებო მზარუნველობის საგანი იყო. საქართველოში არსებობა ქართული სახელმწიფოებრიობის დასაწყისიდანვეა დადასტურებული. ჩამოყალიბებული სისტემის სახე მან საქართველოს ერთიან სახელმწიფო — დავით აღმაშენებლის რეფორმის შედეგად მიიღო. II ს-ის მიწურულს საქართველოს სამხრეთ და აღმოსავლეთ საზღვრებზე 10 სანაპირო მიიწვინებოდა.

გ. ზაქარაიძე გამოვიდა მოხსენებით: „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხის გარშემო საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა ბრძოლა (1907—1914 წწ.)“.

ტ. კიკნაძის მოხსენება „თბილისის ეთნო-სოციალური სტრუქტურის ფორმირების თანამედროვე პროცესები“ შეეხებოდა თბილისის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის განვითარების ეთნიკურ თავისებურებებს. მან აღნიშნა, რომ რესპუბლიკის დედაქალაქისათვის დამახასიათებელია საზოგადოებრივი კლასებისა და ფენების სოციალური ურთიერთქმედების ინტენსიური პროცესები. თბილისის ეთნო-სოციალური სტრუქტურის საკითხები მომხსენებელმა განიხილა საქართველოს ისტორიული განვითარების კანონზომიერებათა შუქზე.

ც. კალანდარიძემ წაიკითხა მოხსენება „თბილისის აღწერა XIX ს-ის I ნახევრის რუს მეცნიერთა შრომებში“.

ა. აბლაძემ მოხსენებაში „საქართველოს სამეფო ხელისუფლების მოსპობის ბიზანტიის იმპერიის ცდების საკითხისათვის“ აღნიშნა: სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ ბიზანტიის იმპერიის ხელისუფალი XI ს-ში საქართველოს სახელმწიფოსაც იმასვე უმზანდუნენ, რაც სომხებს შეამთხვიეს, ე. ი. საქართველოს სახელმწიფოს მოსპობას აპირებდნენ. მომხსენებლის აზრით, საქართველოსა და სომხეთის მიმართ ბიზანტიის იმპერიის დამოკიდებულებათა ერთ სიბრტყეზე დაყენება გამართლებული არ უნდა იყოს. ბიზანტიის საგარეო პოლიტიკაში სომხეთის დაპყრობის საკითხი გაცილებით უფრო მწვავედ იდგა, ვიდრე საქართველოში, თუ არ ჩავთვლით დავით კურაპალატის სამფლობელოს. ამავ დროს, ბიზანტიის იმპერიის აგრესიული ზრახვები, გარკვეულ მიზეზების გამო, საქართველოში გაცილებით დიდ წინააღმდეგობას აწყობდა, ვიდრე სომხეთში. ამის შედეგად ბიზანტიის იმპერიის ხელისუფალი უფრო იმაზე ფიქრობდნენ, რომ ერთგულ ვასალებად ექცათ საქართველოს მეფეები, ვიდრე მოესპობთ სამეფო ხელისუფლება საქართველოში.

სესიამ მოისმინა ა. დაუშვილის მოხსენება „ეთნიკური ურთიერთობანი საქართველოს სამრწველო შრომით კოლექტივებში თანამედროვე პირობებში“.

სესიის შედეგები შეაჯამეს აკად. გ. მელიქიშვილმა და პროფ. მ. გაფრინაშვილმა.

ზურაბ ჯამბურის



უღროოდ, შემოქმედებითი ტალანტის აყვავების პერიოდში წავიდა ჩვენგან გამოჩენილი მკვლევარი, მეცნიერების თვალსაჩინო ორგანიზატორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აფხაზეთის ასსრ და საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველო სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ზურაბ ვიანორის ძე ანჩაბაძე.

ზ. ანჩაბაძე დაიბადა 1920 წელს ქ. გვარამში, ცნობილი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის ვიანორ ანჩაბაძის ოჯახში. იგი მრავალმხრივი ნათესაობით უკავშირდებოდა ქართული ინტელიგენციის ისეთ ბრწყინვალე წარმომადგენლებს, როგორც იყვნენ შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია...

სოხუმის აფხაზური საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ზ. ანჩაბაძე შევიდა ო. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე და დაამთავრა იგი წარჩინებით 1941 წელს.

უკვე სტუდენტობის წლებში გამოიკვეთა ზ. ანჩაბაძის როგორც მომავალი მკვლევრის ინტერესების სფერო. აქ შეამჩნია მისი ნიჭიერება ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერების დიდმა ამაგდარმა ს. ჯანაშიამ, რომელმაც ყურადღება არ მოაკლო და ხელი შეუწყო

მის მეცნიერულ მომზადებას. მან გაიარა ასპირანტურის კურსი ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში და 1948 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მისაპოვებლად.

აკადემიკოსები ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი, — ივ. ჯავახიშვილის ისტორიული სკოლის ეს ორი ბრწყინვალე წარმომადგენელი, — იყვნენ ზ. ანჩაბაძის გზის გამკვლევი ისტორიულ მეცნიერებაში. ბრწყინვალე მეცნიერულმა წრთობამ, შერწყმულმა დიდ ნიჭთან და ერთდროისთან, განსაზღვრა ზ. ანჩაბაძის ჩამოყალიბება ფართო და მრავალმხრივი ცოდნით შეიარაღებულ მკვლევარად, რომელიც თანამედროვე საისტორიო მეცნიერების მაღალ დონეზე იდგა; გამოირჩეოდა აგრეთვე ისტორიის სხვა მომიჯნავე დისციპლინების სანიშნო ცოდნითაც.

ზ. ანჩაბაძემ მეცნიერული მოღვაწეობა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში დაიწყო. 1956 წლიდან ორი წლის მანძილზე იგი მუშაობდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების გამგელად, 1958 წლიდან კი ისევ დაუბრუნდა ისტორიის ინსტიტუტს, სადაც სათავეში ჩაუდგა აკად. ნ. ბერძენიშვილის ინიციატივით ჩამოყალიბებულ კავკასიის ხალხთა ისტორიის განყოფილებას. ეს განყოფილება ზ. ანჩაბაძის ხელმძღვანელობით მომზადებული კადრებით დამკომპლექტდა. განყოფილება მოწოდებული იყო

პრაქტიკულად განეხორციელებინა დიდი ქართული ისტორიკოსის ივ. ჯავახიშვილის მოთხოვნა, რომ ქართველი ხალხის ისტორიული წარსული შესწავლილიყო კავკასიის მომხმე და მეზობელი ხალხების ისტორიასთან მჭიდრო კავშირში.

აღნიშნულ განყოფილებას ზ. ანჩაბაძე ხელმძღვანელობდა დაარსებიდან 1973 წლამდე — აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დანიშნვამდე. ამის შემდეგაც იგი რჩებოდა განყოფილებაში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე და აქტიურად მონაწილეობდა მის მუშაობაში.

ზ. ანჩაბაძემ სერიოზული წვლილი შეიტანა ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებაში. მის გამოკვლევებში ახლებურადაა დაყენებული და გადაწყვეტილი საქართველოს ძველი, შუა საუკუნეებისა და კაპიტალიზმის ეპოქების ისტორიის არაერთი საკითხი.

უდიდესი რულენებითა და მაღალი მეცნიერული პასუხისმგებლობით იკვლევდა ზ. ანჩაბაძე ქართველი და კავკასიელი ხალხების მრავალმხრივი ურთიერთობის საკითხებს. მის კლამს ეკუთვნის ისეთი თვალსაზრისი გამოკვლევები, როგორცაა „ძველი აფხაზეთის ისტორია და კულტურა“, „აფხაზეთის შუა საუკუნეების ისტორია და (აფხაზეთის ეთნიკური განვითარება და ქართულ-აფხაზური ურთიერთობები)“, „მარადიული, ურღვევი მეგობრობა“ (გ. ძიძარას თანავებრობით) და სხვ. ეს საკითხები გაშუქებულია ავტორისათვის დამახასიათებელი მეცნიერული სიღრმითა და ობიექტურობით.

ზ. ანჩაბაძე იკვლევდა აგრეთვე ქართველი და ჩრდილო კავკასიელი ხალხების ისტორიულ ურთიერთობას, არსებითი წვლილი უდევს მას კავკასიელ მთიელთა საზოგადოებრივი წყობილების მეცნიერულ გაშუქებაში. ამ მხრივ საინტერესო იყო მის მიერ პროფ. ა. რობაქიძესთან ერთად წამოყენებული კონკრეტული „კავკასიური მთური ფეოდალიზმის“ შესახებ. ამ ნაშრომში ნათქმულია კავკასიის მთიელ ხალხთა სოციალური განვითარების ტიპოლოგიური და სტადიალური განსაზღვრის სერიოზული ცდა.

საქართველოს ისტორიის ნარკვევების რეატიმეულის შექმნაში მონაწილეობისათვის ზ. ანჩაბაძეს 1982 წ. საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ღრმად ერუდირებული და განსწავლული მეცნიერი უაღრესად ყურადღებიანი და გულსახმიური იყო მოწაფეებისა და კოლეგებისადმი.

იგი გულუხვად, უშურვებლად უზიარებდა თავის ღრმა ცოდნას, დიდ გამოცდილებას ახალგაზრდა მეცნიერებს, მრავალრიცხოვან მოწაფეებს. მისი უშუალო ხელმძღვანელობა მომზადდა ათეულობით სპანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაციით. მის მიერ მომზადებული სპეციალისტები წარმატებით იღვწიან არა მარტო საქართველოს, არამედ ჩრდილო კავკასიის ავტონომიური ერთეულების სამეცნიერო ცენტრებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

ზ. ანჩაბაძე, — ჭეშმარიტი პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, ამ მაღალ თვისებებს უნერგავდა თავის მოწაფეებსაც. ამ თვისებების, აგრეთვე იმ დიდი დეაქის გამო, რაც ზ. ანჩაბაძეს მიუძღვის ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის კურსების შედგენის, მათთვის სამეცნიერო კადრების მოზადების საქმეში, იგი უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა იქაურ სამეცნიერო წრეებში.

ზ. ანჩაბაძე ყოველთვის ცდილობდა საკუთარი თუ კოლეგების მეცნიერული კვლების შედეგები ხალხს კუთვნილებად ექცია. იგი ხშირად გამოდიოდა საჯარო ლექციებით საზოგადოებრიობის წინაშე როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც, კითხულობდა ლექციების კურსს მოსკოვის ლომონოსოვის სახ. უნივერსიტეტში, სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. მისი ლექციები ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი მეცნიერული და თეორიული დონით, გადაცემის მიმზიდველობით.

ზ. ანჩაბაძეს დიდი წვლილი მიუძღვის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩამოყალიბების საქმეში. ინტენსიური სამეცნიერო-პედაგოგიური და ორგანიზატორული მუშაობის გარდა იგი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. იგი არაერთხელ იყო არჩეული საქ. კ. აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წევრად, პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრად, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატად. ნაყოფიერი მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის, საპატიო ნიშნის ორდენებით, მრავალი მედლით.

ზ. ანჩაბაძის დიდი, ღრმად შინაარსიანი ცხოვრება საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს მეცნიერი თავის ხალხს. ნიჭიერი მეკვლევარი, პრინციპული მეცნიერი და მოქალაქე, უსაზღვროდ სპეტაკი გრძნობით მოსილი აღამიანი — ასეთი იყო იგი და ასეთად დარჩება ყოველთვის ჩვენს ხსოვნაში.

ნიკოლოზ სტურუა



ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დიდი სამამულო ომის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორ ნიკოლოზ სტურუა.

ნ. სტურუა დაიბადა 1913 წლის 14 დეკემბერს გამოჩენილი რევოლუციონერი ბოლშევიკის ივანე (ვანო) სტურუას ოჯახში. 1936 წელს დაამთავრა საქართველოს ს. კირიძის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. სპეციალობით ჰიდროტექნიკოსმა მხოლოდ რამდენიმე წელი დაჰყო „საქკომუნაროექტში“ ინჟინერ-დამპროექტებლის პრაქტიკულ სამუშაოზე. 1939 წელს შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში და უმაღლეს პარტიული მუშაობა აირჩია სამოღვაწეოდ. მუშაობდა ჯერ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში ინსტრუქტორად, ხოლო მალე დააწინაურეს კადრების სექტორის გამგედ.

თეორიულ-ისტორიული ცოდნისადმი ნ. სტურუას დიდი ინტერესის გათვალისწინებით 1940 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა იგი მიაჯლინა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში, რომელიც 1942 წლის ივლისში დაამთავრა.

1942 წლიდან ნ. სტურუა სხვადასხვა წლებში იყო საქართველოს კომპარტიის ქუთაისის ქალაქკომის მებრე მდივანი, პარტიის ჭიათურის

საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, თბილისის 26 კომისიის რაიკომის პირველი მდივანი. 1953 წელს კი მას ირჩვევენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანად და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატად.

1954 წლიდან ნ. სტურუა მთლიანად გადავიდა სამეცნიერო სამუშაოზე. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიაში დაიკვა საკანდიდატო დისერტაცია პარტიის ისტორიის სპეციალობით. ამავე წლიდან მუშაობს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1961 წლიდან ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. ამ თანამდებობაზე ორ ათეულ წელზე მეტი ხნის მოღვაწეობის განმავლობაში იგი აქტიური თანამონაწილე იყო ინსტიტუტში განხორციელებული მასშტაბური სამეცნიერო და სამეცნიერო-ორგანიზაციული სამუშაოებისა. 1964 წელს ნ. სტურუამ დაიკვა სადოქტორო დისერტაცია, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა საქართველოს ისტორიის სრულიად ხელუხლებელ, გამოუკვლევებლ პირობებში — ომისშემდგომი საქართველოს ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული განვითარების ისტორიის შესწავლას. ასე შეიქმნა საქართველოს ისტორიის ამ ხანის თანმიმდევრული მეცნიერული ისტორია.

1975 წელს ნ. სტურუა სათავეში ჩაუდგა ახალდაარსებულ დიდი სამამულო ომის ისტორიის განყოფილებას, რომელსაც განაგებდა სიცოცხლის ბოლომდე. ფართო იყო ნ. სტურ-

რუას მეცნიერული თვალსაწიერი. მის კალამს ეკუთვნის 50-ზე მეტი ნაშრომი, რომელთაგან აღსანიშნავია მისი ფუნდამენტური მონოგრაფია „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნისა და განმტკიცების ისტორიიდან 1893—1904 წლებში“. ფრიად ფასეულია მისი დეაწლი მთელი რიგი კაპიტალური ნაშრომების მონაშაღებლად ავტორთა კოლექტივების შექმნისა და მათი ერთობლივი კვლევითი მუშაობის წარმართვის საქმეში, რაშიც მკაფიოდ გამოვლინდა, მისი, როგორც მეცნიერების ორგანიზატორის უნარი. ნ. სტურუას თაოსნობით, თანაავტორობით და რედაქტორობით შეიქმნა ისეთი უმნიშვნელოვანესი ნაშრომები როგორცაა „საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ამიერკავკასიაში“, რომლის დაწერაში მონაწილეობდნენ მოსკოველი, ერევნელი, ბაქოელი და თბილისელი სწავლულ-ისტორიკოსები. იგი იყო ერთ-ერთი ავტორთაგანი საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს მესამე ტომისა, რედაქტორი ამ ტომის რუსული გამოცემისა, თანაავტორი საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევების რამდენიმე გამოცემისა, წიგნისა „ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის“ და სხვა კოლექტიური ნაშრომებისა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნ. სტურუას დეაწლი საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის ისტორიის შესახებ პირველი გამაზოგადებელი მონოგრაფიის შექმნაში პროფ. მ. ნათ-მელაძესთან თანაავტორობით და ასევე საქართველოს ისტორიის ნარკვევების მრავალტომიანი ისტორიის მე-8 ტომის მომზადებასა და გამოქვეყნებაში. ყველა ამ გამოცვლევებში თვალნათლივ ჩანს ნ. სტურუას მეცნიერული კვლევის სიღრმე, კეთილსინდისიერება და დასკვნების მეცნიერული საბუთიანობა მისთვის დამახასიათებელი იყო წერის დახვეწილი და მკაფიო სტილი, პუბლიცისტური მანერა, მაღალფარდოვნებას მოკლებული სადა, მკაფიო არგუმენტირებული მსჯელობა.

ნ. სტურუა აქტიურად მონაწილეობდა საკავშირო და რესპუბლიკური სამეცნიერო-საკორდინაციო საბჭოებისა და საზოგადოებების მუშაობაში. იგი იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული კომპლექსური პრობლემის „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის“ სამეცნიერო საბჭოს, სოციალისტური რევოლუციის ისტორიის დარგში სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიის მრავალმხრივი თანამშრომლობის კომისიის წევრი და ამ კომისიის ქართული სექტორისა და მისი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.

რე. ამავე დროს იგი იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სპეციალიზირებული სამეცნიერო ხარისხების მიმდებელი საბჭოს თავმჯდომარე და პარტიის ისტორიის ინსტიტუტთან არსებული ასეთივე საბჭოს წევრი, საზოგადოება „სტოდინს“ თბილისის კალინინის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, სისტორიო საზოგადოების პრეზიდენტის წევრი. ყველგან, სადაც კი უხდებოდა მოღვაწეობა ნ. სტურუას გამოირჩეოდა საქმისადმი დიდი სიყვარულითა და თავდადებით. იგი წარმატებით უძღვებოდა რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებს, რომელთა უმრავლესობა რესპუბლიკაში მისი ინიციატივით იყო მოწვეული.

ოჯახურმა ტრადიციამ, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ნ. სტურუას პიროვნების ჩამოყალიბებაში, ხელმძღვანელ პარტიულ პოსტებზე მუშაობამ, ისტორიული მეცნიერების განვითარებაში თვალსაჩინო წვლილმა, არაჩვეულებრივმა შრომისმოყვარეობამ, ნიჭმა, თანდაყოლილმა შინაგანმა კეთილშობილებამ, უშუალოდამ, უანგაროდამ და ამასთან აღამაინურმა მომხიბვლელობამ მას დიდი ავტორიტეტი და პოპულარობა მოუპოვა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც.

ქართული საისტორიო მეცნიერების წინაშე ნ. სტურუას აღიარება იყო მისთვის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭება. 1982 წელს როგორც საქართველოს ისტორიის ნარკვევების მრავალტომეულის მე-8 ტომის თანაავტორისა და რედაქტორის მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია.

ნ. სტურუას ურყევი პარტიული პრინციპულობა, პასუხისმგებლობა, მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და კოლეგებისადმი მის პიროვნებაში შერწყმული იყო ადამიანებისადმი დიდ გულისხმიერებასა და სიყვარულთან. იგი დღეცხრამდე იწერავდა, რაინდული შეუპოვრობით და არაჩვეულებრივი ოპტიმიზმით სძლევდა ავადმყოფობას და კვლავაც ახალი პრობლემების ზორცემსმას უტრიალავდა მისი აზრები უკანასკნელ ამოკუნთვამდე. ავი თავის თანამშრომელთა შორის, სამუშაო მაგიდასთან უსიტყვოდ დაასრულა კიდევ სახელოვან განკლივი თავისი ცხოვრების გზა.

ნ. სტურუას, საოცარი ადამიანობით გამოჩნეულს, თვალსაჩინო მეცნიერისა და მოღვაწის ნათელი ხსოვნა მარად გაჰყვება მის მრავალრიცხოვან პატივისცემულს.

მაკაბლა ნათიმეაძე,
 უზანგი სიღაღონიძე

ფასი 18ან. 30 კაპ.

ინდექსი 76197

65/40